

114  
971



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ

# ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

114

7

80

1971

# ენათობი

ქვეყნთშორის ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურობი

წელიწადი 47-ე

№ 7

ივლისი, 1971 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა კ ს ი

თინათინ გომილაძე — შანი ჩივინი, რომანი, ვაგრაჟელება	3
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები	32
იაროსლავ იოსელიანი — საბავშვო კატაკი, მოთხრობა	34
გივი ბეგუშვილი — ლექსები	51
კლავდია ჯავახიანი — ანა სუგია, მამა მოთხრობა	56
კარლო კობახიძე — ანაკრის, მოთხრობა	61
მირუნ ხარბიანი — მოხუცი ბას სიკვდილი, მოთხრობა	69
ედვიჟ ბიოტაძე — ტოლი სიმალაყ მხრები, მოთხრობა	78
გულგარული კოეზიბა, თარგმანი მუხრან მაჭავარიანისა	82

### ნ ა რ კ ვ ე ე ი

კანდიდ ჩაკვიანი — საბჭო	90
ალექსანდრე ბეგუშვილი — დიდო ალაუნის ბაღი	114

### კ რ ი ტ ი კ ა დ ე მ ი ა

სოსო სიგუა — ოთარ შილაგის კომედი	131
რეზა პარპიძე — უკველსი ქართული მოთხრობა	148
ალ. ლომთი — ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემის გამო	161
გონდო არბელაძე — მეფე ბიორგო XII და სიბათნოვა	166
როინ შიკაძე — ბიორგო ლომთის თხზულებების კერძოდათა საკითხ- რი სახელები	171

### შ ა კ ტ ა ვ ი, მ ო მ ო ნ ე ბ ა ე ნ ი

როდინე კოკია — ვერსაფი საქართველოში	176
-------------------------------------	-----

11636



საქართველოს კავშირის საბჭოთა კავშირის კავშირის ორგანო





მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

სარედაქციო კომიტეტი:

ირ. აბაშიძე, დ. ბინაშვილი, დ. ბაგიჩაშვილი, შ. ლეიბანიძე, ბ. შლენგი, ა. სულაშვილი, ა. ქუთათელი, მ. შიშიანი (პ/მგ. მღვანე), ს. შანთაშვილი, დ. შინგელაია, ვ. ყაღარბაია, თ. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტიპრედაქტორი რ. ნაპოტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,  
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 92-55-11-11, 00752; ტირაჟი 12.950. შეკვ. № 2060.  
პ/მგ. მღვანის — 92-55-12, განყოფილებები — საქ. კა. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა.  
ბანკ — 92-55-15, 92-55-17, 92-55-20. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

გადაეცა ასაწყობად 31/V-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდებლად 30/VII-71 წ., ინწყობის ზომა 7 $\frac{1}{4}$  X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 $\frac{1}{16}$ , ფინიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. საიდ.-საგამომცემლო თაბახი 18.



## ქ ა მ ი რ ვ ე ნ ი

### არმანი

13.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ეზოს ჭიშკართან ეტლი გაჩერდა. მალე ჭიშკრის პატარა კარში, რომელიც ნელ-ნელა გაიღო, ჯერ მაგრად დატენილი ხურჩინი გამოჩნდა, მერე ვიღაცის დიდი ფეხი.

პატარა კარში ძლივს შემოეტია სანდროს სიძე ტატე გულვარდაშვილი. მხარზე ხურჩინი, ცალ ხელში ღვინით სავსე ოკლიტრიანი კასრი, ილიაში—ტომარაში გახვეული რაღაც.

მაღალი და ზორბა იყო ეს ახალგაზრდა კაცი, დიდ შავ ჭოჩორზე ერთიბეწო თუშური შავი ქუდი წამოემხო. ცხვირი გემის კიჩოს მიუგავდა, დიდი, კეხიანი და საკმაოდ წინ წამოწეული. თვალებს ისე აბრიალებდა, გეგონებოდათ სულ მუდამ საჩხუბრად იწვევსო. იგი რამდენჯერმე მყავდა ნანახი.

ფეხდაფეხ ცოლი, ნინო, მოჰყვებოდა, ისიც დატვირთული და დამძიმებული.

ნინოს მივეგებე, ტვირთი შევეშუსებუქე.

— როგორა ხარ, ძველო? — მომიკითხა ტატემ, როცა ძია სანდროს კართან ტვირთი ჩამოიხსნა და სული მოი-

ტქვა, — შინ არ არი ჩვენი ორდენოსანი?

— არ არის. გასაღებს აი, აქ ინახავს ხოლმე, — გასაღები მე თვითონ გამოვიღე სამალავიდან და კარი გაუღე კახელ სტუმრებს.

დაბინავდნენ. ნინომ სანოვავე ამოალაგა. აქეთ მოდგნენ, იქით მიდგნენ და დროც გავიდა.

სალამოს სიძე-სიმამრი დიდი ამბით შეხვდნენ ერთმანეთს.

— გაიკარ, ძველო?! — აღტაცებით ჰკითხა ტატემ.

— გავიკარ, მაშ! — მიუხვდა „ძველი“, რასაც ულოცავდა სიძე.

მერე დასხდნენ და ღვინის სმით შეიქციეს თავი. მალე ძია ვანო და მამაჩემიც მიიწვიეს. ისმოდა ტატეს როზროზი, „ძველო“ და „ძველო“. ყველანი „ძველები“ ვიყავით მისთვის. ისე იცინოდა, ძია სანდროს ქოხი ზანზარებდა. ყველას კინწი მოსტეხა თავისი ჩამოტანილი ღვინით, თვითონ კი წელში გამართული იჯდა, ფეხები მაგიდის ქვეშ გაეშოტა, ცალ ხელში ღვინით სავსე ჭიჭა ეჭირა, სიმამრს უყურებდა და ილოცებოდა.

— ეს იმ კაცს გაუმარჯოს, შენ რომ ორდენს ჩაგაბარებს, ძველო.

— გაუმარჯოს!

— ესეც მოსკოვს გაუმარჯოს, შენ რომ დაგხვდება, ძველო!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

ძია სანდრო რომ გავაცილებთ მოსკოვში, ტატე გულვარდაშვილი მეორე დღესვე აიბარა და კახეთისაკენ გასწია. ნინო კი დარჩა. რაც რამ ჩამოიტანეს, ღვინო, ხილი, ჩურჩხელები, ნაზუქები, ქაღები, ცივად მოხარშული ღებლები, შოთი პურები, ლეღვის ჩირი, სულ მოსკოვში გაატანეს ძია სანდროს.

ორი კვირის შემდეგ ჯერ ტატე გულვარდაშვილი გამოჩნდა ისევ ისე დატვირთული. ეტლიდან ვაღმოვიდა თუ არა, მე და ნინო შევეგებეთ.

— როგორა ხარ, ძველო? — ჯერ ცოლს ჰკითხა, მერე იგივე მე გამიმეორა. ნინოს აცოცა, მე კი თავზე გადამისვა ხელი. ჩამოტანილი ხორავი შინ შევზიდეთ.

— მოსკოვი გაუტკბა ჩემ სიმამრს, აი! — როხროხებდა ტახტზე ჩამომჯდარი ტატე.

რამდენიმე დღის შემდეგ ძია სანდროც გამოჩნდა. ბევრნი წავედით მის დასახვედრად.

მატარებელი ჩამოდგა თუ არა, იმ ვაგონისაკენ გავიქეციეთ, რომლითაც ძია სანდრო მგზავრობდა.

ფანჯარაში შევნიშნე. მკერდზე ორდენი ეკეთა, ახალთახალი, მბზინავი ორდენი. ძალიან ჯეელი მეჩვენა შუახნის მუშა კაცი. ღია ფანჯრიდან ვაღმოიხედა და ხელი დაგვიქნია.

ჩამოსვლა არ ვაცალეთ, ვაგონში ავცივიდით და გადავკოცნეთ. სათითაოდ ყველამ შევათვალეირეთ მოციმციმე შრომის წითელი დროშის ორდენი.

ტატე გულვარდაშვილმა, სიმამრი რომ გადაკოცნა, მისი ბარგიბარხანა დაიხარია და გაკვირვებით ჰკითხა:

— ჩემი „ბაჩონკა“ რა უყავ, ძველო?

— ერთ კარგ მუშა კაცს ვაჩუქე: გორკის საავტომობილო ქარხნიდან იყო. თვალი ზედ დარჩა და ხათრი ვერ გავუტეხე.

— მაღლი გიქნია, — უცებ მოლბა ტატე, — რახან იმას ჩემი „ბაჩონკა“ მოსწონებია, ალალი იყოს! — მაგრამ მერე შეერთა მატარებლის კარებში გაჩხერილი, — მერედა, შიგ რა უნდა ჩავასხაო, რა გითხრა?

— რაც უნდა ის ჩაასხას, შენ რასა დარდობ?

— აფსუს!

— მაინც ნანობ, არა?

— კახურ სუფთა ღვინოს იყო მიჩვეული... წვეთი წყალი არ ჩამისხამს. მითხარ ვინ არი, მისამართი მომე, ღვინოსაც ვავეუზხავნი.

ბაქანზე ჩავედით. მე თვალს ვერ ვაშორებდი ძია სანდროს მკერდს. ხალხით საესე ბაქანზე მის გვერდით რომ მივაბიჭებდი, ასე მეგონა ქვეყანა ჩვენ გვეუყრებდა და ბევრი ჩემ ყისმათს შენატროდა. მაშინ ორდენოსნები აქა-იქ იყვნენ და გამოირჩეოდნენ.

ორ ეტლში ჩავსხედით და შინისკენ გავეწიეთ.

მოსკოვში თუ ხურჯინითა და „ბაჩონკით“ წავიდა სანდრო, იქიდან ორი დიდი კრიალა ჩემოდანი და ერთი დიდი მუყაოს ყუთი ჩამოიტანა. ეს რადიომიმღებიო, გზაშივე გვითხრა მან.

სალამო ხანი იყო და ჩვენი ეზოს ბინადართავან არავინ გვაკლდა. ყველანი ძია სანდროსთან დავსხედით. ოთახში ტევა არ იყო. ტატე გულვარდაშვილი როხროხებდა:

— ქალებ თვალ არ აპარებდი, ძველო?

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს. რაღა დროს ჩემი ქალებია, ბიჭო? — მორცხვად იღიმებოდა მგზავრობით მოღლილი ძია სანდრო. მაგრამ მოსვენე-

ბის საშუალებას ვინ აძლევდა. ყველას ერთი სული გვექონდა მოეთხორო მოსკოვის ამბები. ისე იყო შთაბეჭდილებებით გაბრუნებული, მგზავრობაზე რომ ყვებოდა, უცებ კრემლის ამბებს იხსენებდა, მერე ისევ მგზავრობას უბრუნდებოდა.

კრემლში გადაღებული სურათი გვაჩვენებდა. დაჯილდოებულ მუშებს კალინინი ჩაესვით შუაში. როგორ გამოირჩეოდა ამ რკინის კაცებში მოხუცი კალინინი, მისი თეთრი თმა და წვერ-ულვაში, ციციკმა სათვალე. იჭდა წელში ოდნავ მოხრილი, მუშათა კლასით გარშემორტყმული. აგერ ძია სანდროც. კალინინის გასწვრივი, მარჯვენა მხარეს, მეოთხე. კარგად გამოსულა.

— ძალიან თბილი კაცია, — ამბობდა კალინინზე ძია სანდრო, — ჩემ წინ ბევრს გადასცა ორდენი და მედალი. მერე მეც გამომიძახეს! წამოვდექი და პირდაპირ კალინინისაკენ წავედი. შელოდებოდა. ჩემი ორდენი, პაწია წითელი ყუთით, ხელში ეჭირა. მივუახლოვდი. ჯილდო გამომიწოდა. გამოვართვი. და როცა მომილოცა და ხელი ჩამომართვა, ველარ მოვითმინე, მოვეხვიე, გადავკოცნე და გულში ჩავეიკარი. „თუ ყველა ორდენოსანმა ასე მომხვია ხელი, ჩემი ბებერი ძვლებიდან აღარაფერი დარჩება“ — მითხრა კალინინმა ღმილით. შემეშინდა, ხომ არა ვატყინე რა-მეთქი. მაგრამ მის მოკუტულ წვრილ თვალეებში იმდენი სიბოლო იყო, უმალ მომეშვა გულზე. მერე სიტყვით მოგვმართა და ასე დაამთავრა თავისი სათქმელი: „დღის წესრიგი ამოწურულია. გთხოვთ დაიშალოთ მომავალ დაჯილდოებაზე“. მზიარულად და ტაშის ცემით გავაცილეთ მოხუცი და მერე ჩვენც დავიშაილენით. სულ ეს იყო.

— სტალინი არ გინახავს, ძია სანდრო? — ვკითხე, რაც ყველაზე უფრო ძალიან მაინტერესებდა.

— არა, არ მინახავს. ორჯონიკიძემ კი მოგვიწყო შეხვედრა. აი, ეს რადიომიმღები პირადად იმან მარჯუა წარწერით.

— აბა, ძველო, სხვა რეები ჩამართანე, ვნახოთ.

არავინ დავვიწყებოდით ძია სანდროს. ყველას რაღაც გვარგუნა. ყველაზე უფრო ძალიან მაინც რადიომიმღებმა გავგახარა, რომელსაც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის, სერგო ორჯონიკიძის წარწერა აშვენებდა.

— საათიც გაჩუქეს, ძველო?

— ესეც მარჯუეს. ოქროს ფუტლარი აქვს, — ძია სანდროს საათი ხელზე ეკეთა. მოიხსნა და ყველას გვაჩვენა. ბედნიერი და კმაყოფილი იყო თავისი მგზავრობით, მოსკოვში ყოფნით, ჯილდოებით.

ნინო იმას ჩიოდა, სუფრის გაშლას ვაპირებ და აქ ყველანი ვერ დავებთ-ვითო.

— აგერ უშაბანდი, — მაშინვე წამოხტა სალომე.

დღეაღმეც მიეშველა ქალებს და სუფრის გაწყობას შეუდგნენ.

— ბინის საქმე კი ვერა გაქვს კარგა, ძველო, — შენიშნა სიმემ, — ხელამ, სუფრა ვერ გავიშლია, ყველანი რო დავებთო.

— ბინასაც მისცემენ, — უთხრა მამაჩემმა.

— ჯერჯერობით თავს ურიგოდ არა ვგრძნობ, — თქვა ძია სანდრომ, — სხვები უფრო ვიწროდ ცხოვრობენ, ჯერ იმათ მისცენ. მარტოხელა კაცი ვარ. ქეიფი რა, ყოველ დღე ხომ არა მაქვს. ქეიფსაც მოვახერხებთ.

— რადიო და საათი რო გაჩუქეს, მაგანედაც უარი გეთქვა, — გული მოუვიდა ტატეს, — რად გინდა რა! აქამდე ხო იოლად მიდიოდი ამ დანჯღრეული მადვიძართი. ე შავი თეფშიც ხო ჩვენებიანთ მაკრინესავით გეჩიფჩიფებოდა.

„შავი თეფში“ რადიორეპროდუქტორი იყო, კარის თავზე რომ ჰქონდა ჩამოკიდებული ძია სანდროს. ისეთი დაბალი ხმა ჰქონდა, მართლა ბებერი ადამიანის ჩიფჩიფს ჰგავდა. მაკრინე ვინ იყო, ეს არ ვიცოდით, მაგრამ ტატეს სიტყვებზე მაინც გავიცინეთ.

როცა რადიომიმღები ჩართეს, უმაღლეს მსოფლიოს მოვედეთ. ჭერ არეულ-დარეული ხმები მოგაწვდინეს მსოფლიოს დიდმა რადიოსადგურებმა, ზოგიერთმა მუსიკის ტკბილი ჰანგი გაგვაგონა.

სუფრა გაიშალა და ქალებმა შეშაბანდში მიგვიწვიეს.

ქარხნიდან რამდენიმე კაცი მოვიდა სანდროსთან მოსალოცად.

სუფრას ტატე გულვარდაშვილი თამალობდა.

— ეს გაუმარჯოს... — ყოველ სადღეგრძელოს ასე იწყებდა. მერე სათქმელს იტყობდა, სასმისს გამოცლიდა და ახლა სხვას მიაჩერდებოდა. როცა ის სხვა სასმისს ტუჩებთან მიიღებდა ტატეც შეუძახებდა:

— აბა პა, მიდი, მიდი, აუწი, ძველო! წვეთი არ დასტოვო! ღვინოა, წყალი კი არა. გაამოს! აი ეგერ!

— ეს გაუმარჯოს... — დაიწყებდა და სულ მაგრად იდგა ყოველ სადღეგრძელოზე.

კახური ღვინო ბანგივით მოედო სუფრაზე მსხდომთ. იმღერეს, იმხიარულეს, ხალხი დაიღალა. რამდენიმე კაცი წავიდა. ერთს მაგიდაზე ჩამოეძინა და საწოლზე გადაიყვანეს. ძია სანდრო და მამაჩემი შინ დაბრუნდნენ.

ტატე გულვარდაშვილი ისევ სუფრის თავში იდგა. ღვინო იმასაც მოჰკიდებოდა. ნინო ევედრებოდა, წამო, გეყოფაო, მაგრამ ფეხს არ იცვლიდა და როხროხებდა:

— ეს გაუმარჯოს...

არც ერთი „ძველი“ ყურს აღარ უგდებდა. კახელ კაცს კი სადღეგრძელოს რა გამოუღევედა მერედა, რამდენი რამ არის სადღეგრძელებელი ამ დალოცვილ ქვეყანაზე.

#### 14.

ბევრი რამ გვიანტერესებდა, ბევრი რამ გვიბოლავდა, ბევრი რამ გვსურდა გაგვეგო, გვსურდა იმის გაგებაც, თუ რა ხდებოდა სამყაროში. რანი იყვნენ

ვარსკვლავები, სად და როგორ თავდებოდა სამყარო...

წაიკითხეთ, ვისწავლეთ და შეგიგონებათ, რომ სამყაროში ყოფილა ვარსკვლავები დედამიწაზე ათასჯერ, ათიათასჯერ და უფრო მეტად დიდები.

მაგრამ ირმამ აიჩმა ყველაზე დიდი პლანეტა დედამიწაო.

— როგორ, აი, აქ წერია, ირმა, — ეუჩვენე წიგნში ის ადგილი, სადაც გარკვევით ეწერა პლანეტების დიდ-პატარობის შესახებ. შორს წასვლა რად გვინდოდა, შხის სისტემაშიც კი არის დედამიწაზე უფრო დიდი პლანეტები.

— არა, ყველაზე დიდი მაინც ჩვენი პლანეტაა. მე არ მეგულება სხვა უფრო დიდი...

ამას რომ ამბობდა, ამბობდა ჯიუტად, მაგრამ ეს ისეთი სიჭიუტე იყო, რომელიც არასოდეს არ გაგახელებს, ამბობს და რაღაც საიდუმლო სათქმელს მალავს. ამბობს და თვალები მხიარულად უციმციმებს, გცდის, კი არ გაბრაზებს.

— დიდა, დიდი, ყველაზე დიდი — ხელებს შლის ირმა, ერთ ადგილზე ტრიალებს, მერე უცებ გაჩერდება და მეკითხება:

— რატომ არ გჯერა, რომ ყველაზე დიდი?

— იმიტომ, რომ აი, აქ წერია...

— და აქ რაც წერია, იმას რატომ არ კითხულობ? — მკერდზე დამიკაქუნა თითი. მკერდზე სადაც ჩემი გული ფეთქავდა.

— აქ რა უნდა ეწეროს?

— სიცოცხლე! დედამიწა დიდა იმიტომ, რომ აქ სიცოცხლეა, აქ ჩვენა ვართ, ადამიანები და ჩვენი გონებით, ვინ იცის, სად არა ეწვდებით სამყაროს... ეს პლანეტის სიდიდე არ არის?!

მომეწონა ირმას ნათქვამი, წიგნი დავეკეცე და მივაჩერდი.

მან კიდევ ერთხელ გაშალა ხელები და თვალმინაბული, თავდავიწყებით დატრიალდა.

მე ის დღე არასოდეს დამავიწყდება. და როცა ბაღრ მთვარეს შევხედავ, მა-

გონდება კიდევ ერთი დაუფიქარი სა-  
ლაშოც.

კამკამა ცა ვარსკვლავებით იყო მო-  
კვდილი. საესე, ქათქათა მთვარე ციდან  
ისე დაგვეურებდა, რომ მის საჭერე-  
ტად ტელესკოპიც არ იყო საჭირო, ისე  
ჩანდა ყველა მისი ღრმული. ანდა რა  
ტელესკოპი უნდოდა თოთხმეტი წლის  
ბიჭის თვალს!

ზნინავდა მთვარის ზედაპირი. ასე კა-  
მკამა სინათლე მის დისკოზე არასოდეს  
შემიმჩნევია. თითქოს მოგვიახლოვდა,  
ალერსით გვეძახდა, თავისკენ გვიხმობ-  
და.

„მზე დედა ჩემი,

მთვარე — მამაჩემი.

წვრილ-წვრილი ვარსკვლავები

და და ძმა ჩემი“.

უნებურად გამახსენდა და მთვარეს  
კარგად დავაკვირდი, აბა, რა უგავს მა-  
მაჩემს-მეტი. გუნებაში გამეცინა. ვის  
მამასა ჰგავსარ? ვინ მოგიგონათ ცის მა-  
ნათობლებს ეს ლექსი?! იქნებ თქვენ-  
დამი სიყვარული სწორედ ასეთ სიმშვი-  
დეში იგრძნო, იქნებ მასაც ასე ჩემსა-  
ვით იღუმალად ეფერებოდით, ეალერ-  
სებოდით და უხმობდით. ციურნო  
სხეულნო?!

მაინც, რა მიმზიდველი და რა საოც-  
რად კამკამა იყო იმ საღამოს მთვარე!

მუსიკის შორეული ხმები მომესმა.  
ეზოში გული აღარ გამიჩერდა. ვიცოდი  
სადაც უკრავდნენ. ბოშების სახლთან  
ახლა ხალხი იქნებოდა შეჯგუფული.  
როგორც კი ჩამოთბებოდა, და-ძმანი  
ეზოში მართავდნენ კონცერტს. მზიარუ-  
ლება გვიანობამდე გრძელდებოდა, ვი-  
დრე ხალხს მაგრად არ მოერეოდა ძი-  
ლის ბანგი.

მართლაცდა, საამური იქნებოდა ბო-  
შების კონცერტი ამ მთვარიან ღამეს.

მათ ეზოში ხალხი ბლომად მოგროვი-  
ლიყო. რაც სხვა დროს იკრიბებოდა,  
იმაზე ბევრად მეტი. საერთო მზიარუ-  
ლებაში ყველა იღებდა მონაწილეობას.  
თითქოს კარნავალიაო. მუსიკოსები მო-  
ხდენილად უკრავდნენ. მაგრამ ესენი

ლიზას ძმები როდი იყვნენ. შეენიშნე  
უცხო მამაკაცები. აქ მათი რჯულის ქა-  
ლებიც ერივნენ. ციკვით მოქანცულ  
ლიზა ერთ ახალგაზრდა წარმოსადგ  
ბოშას მკერდზე მიყრდნობოდა და  
მხრებს ისევ აქნევდა მუსიკის ტაქტზე.

ირმასა და შერმადინს მოგვარი თვა-  
ლი. ერთად იდგნენ. ორივეს მთვარე ანა-  
თებდა. ახალ წელს ბოშა ლიზას როლი  
აღმათ იმიტომ აირჩია ირმამ, რომ უზ-  
ომოდ მოსწონდა ეს ქალი.

ბოშების განახახებულ ოთახში გაშ-  
ლილი სუფრა მოჩანდა. ეზოს სიღრმე-  
ში ორი ცხენებშებმული ეტლი იდგა.  
გულმა მიგრძნო, რომ აქ რაღაც ხდებო-  
და.

ლიზამ იცეკვა იმ ბოშასთან ერთად,  
რომელსაც წუთის წინ მკერდზე მისე-  
ნებოდა, მაგრამ მალე მოიქანცა. ახალ-  
გაზრდა ბოშა ხალხს არ მოერიდა, მზუ-  
რვალედ ჩაკოცა ჩვენი ქუჩის მშვენიე-  
ბა. მერე ხელში აიტაცა თავისუფლად,  
ღრუბელივით გააქანა ეტლისაკენ. ბო-  
შებმაც ეტლებს მიაშურეს.

ხალხმა შეუძახა ლიზას:

— მშვიდობით, ლამაზო ქალო!

— მშვიდობით, მეზობლებო! — ლი-  
ზამ ეტლიდან ჰაეროვანი კოცნა გამოგ-  
ვიგზავნა ყველას.

ეტლებს მივეხვეით, რომლებშიც  
ხმაურით ჩახსდნენ ბოშები. ძმები კი არ  
მიჰყვებოდნენ დას, საკრავები ხელში  
ეჭირათ და მხრებჩამოყრილები იდგნენ.

ირმას და შერმადინს მიეუახლოვდი.

— წელან შინ არ იყავი? — მკითხა  
შერმადინმა, — გამოვიარე. ხელაე,  
გეტოვებს ჩვენი ქუჩის მშვენიება.

— თხოვდება?

— ახლა მოხვედი გონზე, როცა ყვე-  
ლაფერი გათავდა? — გაიცინა ირმამ,  
მერე სახე მოედრუბლა, — მეწყინა  
რომ მიდის.

განა მარტო მას, ყველას გვეწყინა.  
ეტლები დაიძრნენ და თქარათქურით  
გაცივიდნენ ქუჩაში. ხალხმა ყიყინით  
გააცილა მექორწილენი. ბოშების სა-  
ხლისკენ მოვიხედე. ძმები ისევ ისე



იდგნენ მხრებჩამოყრილები და გაოგნებულები.

შინ ერთად დავებრუნდით მე, შერმადინი და ირმა.

— ხვალ სოფელში მივდივარ, — დავარდვით დღემილი.

— კეთილი მგზავრობა, — მომიგო ირმა.

ვიგრძენი, რომ ჩემი გამგზავრება თუ არგამგზავრება არც ირმას აინტერესებდა, არც შერმადინს. ორივესთვის სულ ერთი იყო. როცა ჩვენს ჭიშკარს მივატანეთ, ირმა მარტო მე გამომეშვეილობდა. შერმადინი გასაცილებლად გაჰყვა.

გული დამწყდა. შერმადინზე ავიღერდე. ისე მეწყინა მისი საქციელი, ლამის ვიტრიე.

ეზოში შევედი და გამიკვირდა, როცა ძია სანდროს სახლის წინ პატარა ტაბლა დავინახე გაშლილი. მთვარიანში დამსხდარიყვნენ სამინი და ღვინოს სვამდნენ. ერთი ძია სანდრო იყო, მეორე მამაჩემი, მესამე ვერ ვიცანი. პირველად ვხედავდი. უცნობს თეთრი ქუდი ეხურა, დიდი კვადრატული წინსაფრით. „გარმოშკა“ ზიბებებიანი თეთრი ხალათი ეცვა.

— სად იყავი? — მკითხა დედაჩემმა.

— ბოშებთან. ლიზა გათხოვდა. ახლა წაიყვანეს.

— რას მეუბნები?! — გაუხარდა დედაჩემს, — აკი იმიტომაც ირეოდა იმდენი ხალხი.

მამაჩემმა ყური მოჰკრა ჩემ სიტყვებს და შემომხედა.

— საწყალი გოგო, დაიტანჯა ლოდინში. მადლობა ღმერთს! სხვამ თუ არა, მე მაინც ვიცი, რაც მაგას წერილები უწერია.

„აი, თურმე რამ გაახარა მაშინ“, — გამიელვა გუნებაში. იმ კამფეტების გემო კი ვერ გავშინე.

— გაუმარჯოს ლიზას გათხოვებას! — წამოიძახა უცნობმა კაცმა, შერე ძია სანდრომ ვადიხარა და ჰკითხა, — ვინ ლიზაა, გამაგებინეთ მაინც?

— ჩვენი მეზობელია. ბოშა ქალი.

ღმერთმა ხელი მოუშარტოს, გამებარდა მისი გაბედნიერება.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — სტუმარმა ჩმა ჰქია ასწია და გადაჰკრა.

კაცებმა დალიეს ეს სადღეგრძელო.

შერმადინი მალე დაბრუნდა. მხიარულად შემოვიდა ეზოში. ძია სანდრომ შეაჩერა იგი, სუფრაზე მიიწვია და ღვინო დააღვინა. მე კი არაფრად ჩამავდეხ. იქვე კი ვიჯექი, ტახტზე, კარების წინ რომ გვედგა ეზოში.

ო, როგორ მინდოდა იმ დროს მეც ვყოფილიყავი თერამეტ-ცხარამეტი წლისა. გულში უკვე ფათურობდა სიყვარულის ჯერ კიდევ შეუზომბლავი ბარტყი, უსუსური, უღონო... ო, მაშინ რაღა იქნება, როცა ეს ბარტყი მომწიფდება, მოლონიერდება, როცა ირმაც დაქალდება, როცა სიყვარული ნამდვილ სიყვარულს დაემსგავსება!

— იცი რა გითხრა, — მომესმა სტუმრის აწეული და მკვახე სიტყვა, — ორდენი კარგია, რადიოც, საათიც, მაგრამ სირცხვილია სახელოვანი მუშა კაცი ასეთ ქოხში და ისიც ნაჭირავებში ცხოვრობდე. მართალი ვარ თუ არა? — ჰკითხა მამაჩემს.

ჩვენც იმდაგვარსავე ბინაში ვცხოვრობდით, როგორშიც ძია სანდრო. განა ჩვენ კი არ გვინდოდა კარგი ბინა? მამაჩემმა არაფერი უპასუხა, რადგან სანდრომ თავზე გადაისვა ხელი და თქვა:

— ქარხანაშიც დამიწყეს ასეთი ლაპარაკი... ამას წინათ რამდენიმე ბინა მიიღო საქარხნო კომიტეტმა. ერთი მე გამომიყვეს. უარი ვუთხარი.

— უყურე ერთი ამას! — წამოიძახა სტუმარმა და გულზე დაიკრა ხელი, — უარი როგორ უთხარი, კაცო?

— მარტოხელა კაცი ვარ, მეტი რად მინდა? აქაურობას ისე შევეჩვიე, არა მგონია, სადმე გავძლო...

— იქაც შეჩვეოდი.

— მე რომ მაძლევდნენ, იმ ბინაში ახლა ერთი კარგი ახალგაზრდა მუშა კაცი დაბინავდა... ეს უფრო მიხარია. კაცმა ახალგაზრდობაში უნდა გაიხაროს, თო-



რემ მერე სიხარულსაც აღარა აქვს ის გემო და სურნელი.

— არა, შენ მართალი ხარ, მაგრამ... მაინც შენი სახელის პატრონს არ შეგ-შეენის ასეთ ქოხში ცხოვრება... ვთქვათ და ვინმე ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან ქარხანაში და თქვენს უფროსებს სთხოვა, წამოყვანეთ ერთი და მაჩვენეთ თქვენი ორდენოსანი მუშა როგორ ცხოვრობსო. რას ეტყვიან, სად მოყვანენ?

— პოლიტიკაა, თორემ ფეხებზე არ კილია? ნახავს, რომ ნაქირავებ ქოხში ხარ და მთელ ქვეყანაზე ავ სიტყვას გაა-კენებს, ნახეთ, როგორ ცხოვრობენ სა-ბჭოთა მუშებო...

— ერთი, თუ ძმა ხარ... იმდენი აქე-ნოს ის ავი სიტყვა, რამდენიც უნდა... განა ცუდად დამაფასეს? ჩვენ ბურ-ჟუაზიას არაფერს ვუთანხმებთ როგორ ვიშრომით და ვიცხოვროთ. მობრძან-დეს, პურ-მარილითა და ღია გულით დავხვდები სტუმარს. ისე, მე შინ მივი-ღებ აბანანას თუ აბანოში ვივლი, იმი-სი საქმე არ არი. არც იმას არ ვეკით-ხები არავის, ქარხანაში ფეხით მივალ თუ მანქანით. თუ ის ვილაც კაპიტალი-სტების მიერ განგებ მოგზავნილი აგენ-ტი არ იქნება, იტყვის, რომ მე ჩემი ხვედრით კმაყოფილი ვარ.

— შენ ალალ გულს ვენაცვალე, სან-დრო! — ველარ მოითმინა და წამოიძახა შეზარხოშებულმა მამაჩემმა.

სტუმარმა კი თავი გააქნია. არ ვიცი, ძია სანდროს სიტყვა გულს ეფონა თუ არა.

მაშინ პირველად ჩავუფიქრდი, რა იყო აღამიანის ნამდვილი ბედნიერება, რა არის იგი და ვის როგორ ესმის. ჩე-მთვის ბედნიერება იყო, როცა ჩემი კა-რგი სწავლით მასწავლებელი მემად-ლიერებოდა, როცა ამხანაგს დახმარე-ბის ხელს გავეუწვდიდი. ჩემთვის ბედ-ნიერება იყო ოცნება დიად მომავალ-ზე... ძია სანდროს ბედნიერება უფრო მნიშვნელოვანი იყო. ის, ცხოვრების ფართო ასპარეზზე გასული კაცი, მრავალ მუშასთან ერთად სჭედდა ჩვენი

ქვეყნის ბედნიერებას. პირად ცხოვრე-ბას არ ემდებოდა და არც მაინცდამ-მაინც იყო დაინტერესებული, რადგან პირადი დიდი ხანია საერთოსთან ჰქონ-და შერწყმული. პირადი ისეთ უმნიშე-ნელო და პატარა საქმედ მიაჩნდა, რომ თითქმის ვერ ამჩნევდა. სწორედ ამით გამოირჩა მრავალ მუშათა შორის მა-შინ, როცა ჩვენს ქვეყანაში სტახანო-ვური მოძრაობა დაიწყო. ერთმა პირ-ველთაგანმა შრომის წითელი დროშის ორდენიც მიიღო ქართველ მუშათა შო-რის.

ძია სანდრო, ჩემი ტკბილი მეზობე-ლი! ჩვენი საამაყო კაცი!

რა დამაფიწყებს მის სახეს, მის სა-ხელს, მის საქმესა და მის სიტყვებს!

15.

უწინ ძალიან მახარებდა გიჟმაგი ზაფხული. იმ წელს კი აღარ მიჩრდე-ბოდა გული სოფელში. აღარ მიტაცებ-და ჩემი სოფლის ჩუხჩუხა ნაყადულები, რუ და წისქვილი, ატეხილი ქალები... ხალისიანად ველარ გამოვედევნე გო-გო-ბიქებს, თანატოლებს, რომლებიც ჩემსავით წამოყვირილდნენ.

...სანამ სოფელში ვიყავი, ჩემი ქუჩა ერთხელ კიდევ გაულამაზებიათ. გამე-ხარდა, როცა ქუჩის გარდიგარდმო ტროტუარი დავინახე. ქუჩა მთლიანად მოასფალტებული იყო.

მე და ირმა სკოლის ახალ შენობას-თან შევხვდით ერთმანეთს. გოგონებში იდგა. დამინახა თუ არა შორიდან ღიმი-ლით მომესალმა. მერე დერფანში შეს-ვლისას ჩამოვართეთ ერთმანეთს ხე-ლი.

სულ სხვანაირი მეჩვენა. მზეზე დამ-წვარი, გაშავებული, უფრო მეტად მო-ვიზგიზე, შემალღებული და მკერდ-აწეული.

— ისევ ისეთი ხარ. ვერ მომიტე? — შემნიშნა მაშინვე.

— რა ვიცი... — მხრები ავიჩეჩე, რადგან წონაში მომატებასა და დაკლე-ბაზე არც მიფიქრია და არც მიზრუნია.

უწინ მამაჩემი და დედაჩემი ძალიან განიცდიდნენ ხოლმე, რომ ზაფხულში კარგა დამესვენა და მოვფერიანებულიყავი. უკანასკნელ წლებში კი მათაც არ გახსენებიათ ეს. ნუთუ ცოტაოდენი ცვლილება მაინც არ იყო ჩემში? აი, თუნდაც ის, რომ ღინღლი კიდევ უფრო მომერია საულვაშზე. ამ ჩემ ღინღლს ისე შევეყურებდი, როგორც გლეხი ამოწვერილ ჭვჭილს. ჩემს სიმწიფეს საულვაშზე ვეძებდი. ასე მეგონა, როგორც კი ულვაში შემიმწიფანდებოდა, ვაყვაცობის ქამიც დამიდგებოდა. როგორ გვეჩქარებოდა ყველაფერი!

— შენ კი ძალიან გაშავებულხარ. სად ისვენებდი?

— ისევ ქობულეთში. მე, დედა და ბებიაჩემი მუდამ იქ მივდივართ. წელს ლამის დაგვეხრჩო ჩვენი თამრიკო. მე გადავარჩინე.

— ასე კარგად ცურავ?

— იხვივით, — თქვა და გაიცინა, — მეზღვაურად გამოვდგები, ისე შორს შევდივარ ზღვაში. არ მეშინია. ძალიან მიყვარს ზღვა და პოეზია.

— პოეზია მეც მიყვარს, მაგრამ ზღვაზე არა ვყოფილვარ.

— ზღვა ძალიან კარგია. იცი რა, შემადინს უთხარი ამ საღამოს ბიბლიოთეკაში მოვიდეს, რვეულებს დავებრუნებ. ეტყვი? — მითხრა და შევატყუე ლოყები როგორ წამოუწითლდა.

— ვეტყვი, როგორ არა.

— ზუსტად ექვს საათზე... — გამიმეორა და დერეფანში გაიქცა. უნებურად გავაყოლე თვალი, სანამ თავის საკლასო ოთახში არ შეირბინა. ერთხელ კიდევ მაშინ ვინანე, რომ მე პოეზიის ცეცხლის ნატამალი არ მედებოდა და მუხების ღმერთმა ჩემთვის ერთი წუთითაც არ მოიკალა.

— რას გელაპარაკებოდა? — უცებ ამეტუზა თემო ზამბახიძე.

— რა შენი საქმეა?! — მაშინვე გაკვირვებით შევხედე თემოს.

— ცოტა ჰქუთ იყავი, — მრავალმნიშვნელოვნად მითხრა და ამეფხორა. მეც ბრაზიანად წამოვიქოჩრე.

ასე შევხვდით მთელი ზაფხულის უნახავნი და ჩვენი მტრობაც განასლდა.

16.

რაკი ერთხელ შემატყო მამაჩემმა, რომ მისი საქმე არ ვითავილე და ჟურნალ-გაზეთები ჩამოვარიგე, კიდევ მთხოვა ჩამომეველო უბანში. თვითონ ქალაქში აპირებდა რაღაც საქმეზე წასვლას.

გაზეთებით, ჟურნალებითა და წერილებით სანახევროდ მოყრილი ჩანთა ზურგზე მოვიგდე და გზას გავუდექი. პირველად რომ ჩამოვარიგე, ახლა ცოტა იმაზე მეტი იყო. გორაკისაკენ რამდენიმე ქოხმახს ავუარე, მერე დამკვრელთა სახლისკენ გამოვწვი. ირმას ბინის კარზე უკვე ეკიდა საფოსტო ყუთი. ჩავეყარე გაზეთები და სწრაფად დავეშვი კიბეზე, რომ ჩემი მისვლა არ გავგო. სახლს სწრაფად გავმორდი და სული მოვიტყვი.

როცა ბოშების სახლს მივეახლოვდი, გამახსენდა ის მშვენიერი ბოშა ქალი, მისი კამფეტები. გული დამწყდა, რომ ახლა კიდევ ერთხელ ვეღარ გავახარებდი. მისი გათხოვების შემდეგ ისე მიყუნდა იქაურობა, ყოველგვარი ხალისი დაკარგა ჩემი ქუჩის ამ ერთმა კუნძულმა. ძმები აღარ უკრავდნენ. თითქოს აღარც კი ეცალათ. ახლა მათ იშვიათადლა ვხვდებოდი. სახლის კარი ისე მაგრად იყო გამოკეტილი, თითქოს იქ არავინ ცხოვრობდა.

ფერაძესაც მივეუბნე გაზეთები. თვითონ შემხვდა. გაკვირვებით ამხედ-დამხედლა:

— შენ რა, ყმაწვილო, მამის კვალს გაჰყევი და სწავლა მიატოვე? სად არის მამაშენი?

— მამაჩემი საქმეზე წავიდა ქალაქში.

— იცი რა, ყმაწვილო... გადაეცი მამაშენს, რომ მეორედ აღარ გაბედოს სხვას აპყიდოს თავისი ჩანთა. მით უმეტეს, მოზარდს. რამდენი წლისა ხარ?

— თოთხმეტისა მეთხუთმეტეში

— ცხვირმოუხოცელი ბარტყი! აბა, შემომხედე!

შეგხედე ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, მაგრამ ისეთი მომწუსხველი, მზერას ვერ გაუჩერებდა კაცი.

— რას ეწერათ გაზეთებში? და რას ვატარებთ ცხოვრებაში? აბა, მიპასუხე! — მიბრძანა და კისერი წაიგრძელა, ზემოდან ყანჩასავით გადმოხვდა.

— ბევრ რამეზე წერენ, ძია რაჟდენ.

— მამაშენი კითხულობს გაზეთებს? თუ მართო ის იცის, რომ სხვებს ჩამოურიგოს სულიერი საზრდო და თავისთვის აღარაფერი დაიტოვოს? გაზეთები გამოწერილი გაქვთ?

— გვაქვს, „კომუნისტი“ და „მუშა“.

— მერე, არ კითხულობთ, რა ხდება ქვეყანაზე, როგორ დავცინით საზიზღარ კაპიტალისტებს, რომ ისინი ბავშვებს ექსპლოატაციას უწევენ? არ კითხულობთ ამას?

— ვკითხულობთ და ვიცით, როგორ არა.

— მერე, რას გავს ეს? ამხელა ჩანთა აგვიდია და ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს. კაპიტალისტების რომელიმე ჯაშუშმა რომ შეგასწროს თვალი, რას იტყვის? და ჩემად სურათიც რომ გადაგიღოს?... ხომ მოგვეჭრა თავი!

— მერე, ხომ არ ემუშაობ, მამას ვეხმარები.

— მერედა, ეგ ყველაფერი შუბლზე გაწერია?

— შე რას დავეძებ იმ ჯაშუშს...

— სამაგიეროდ ის დაგეტებს... რას იცინი, ბიჭო?!

— სად ჩამისაფრდება, სურათს როგორ გადამიღებს?

— გადაგიღებს, ჩაგისაფრდება კიდევ. ეშმაკის კერძები არიან. იციან როგორ მოიქცენ.

— გინახავთ ჯაშუში, ძია რაჟდენ?

— ამ შეკითხვაზე შეკრთა.

— რას ამბობ, სად უნდა მენახა! მაგრამ ისე, იცოდე, რომ შენიღბულნი დაწანწალებენ... შენი სურათი მაგდიდი ჩანთით რომ დაიბეჭდება ნიუ-იორკში და ბერლინში, ნახავ მერე...

— იმ გაზეთს მე ვინ მაჩვენებს?!

— შენ არ მაჩვენებენ, მაგრამ ავერ, საერთაშორისო მასშტაბით მოგვეჩვენებს, რომ თავისუფლების ქვეყანაში ბავშვებს ექსპლოატაციას ვუწევთ და ბევრს კი ვლაპარაკობთ მოზარდი თაობის აღზრდაზე. ეგ ჩანთა მამაშენს მიუგდე და მეორედ აღარ დაგინახო, თორემ... ერთი სიტყვით, რაც გითხარი გადაეცი მამაშენს.

— სათქმელი დაგრჩათ რაღაც, ძია რაჟდენ, — ვუთხარი და ჭიქივით გავჩერდი, ფეხი არ მოვიცვალე ადგილიდან. ამას კი არ მოელოდა იგი და ჩემსკენ ორი საფეხურით ჩამოინაცვლა კიბეზე.

— რა დამრჩა, ბიჭო, სათქმელი?

— რა და ის... თორემო, რომ თქვით.

— უყურე ერთი ამას! თორემ მე ვიცო... დაგინახავ მაგ ჩანთით და მე ვიცო! პროვოკაციას რომ მიწყობთ ჩემს უბანში! პასუხისგებაში მივცემ მამაშენს. აი, რა იქნება ის „თორემ“! გასაგებია?

— ჰოო! — ვთქვი და შეეტრიალდი. გუნებაში მეცინებოდა რაჟდენ ფერაძის სიტყვებზე. სად არის ახლა ის ჯაშუში, სურათს რომ გადამიღებს და ნიუ-იორკში დაბეჭდავს? ეს ფიქრი ამეკვიცა. იქნებ მართალია ფერაძე? ვიცოდი, რომ ჩვენი ქვეყნისკენ მრავალ ჯაშუშს გზავნიდნენ კაპიტალისტები, რომ მათ მრავალი სიბოროტისა და ავკაცობის ჩადენას ავალებდნენ. იქნებ ესეც დაავალონ, რომ მართლა გადამიღონ სურათი და დაბეჭდონ თავიანთ გაზეთში? აი, ნახეთო, და მთელ მსოფლიოს მოჰფინონ, საბჭოთა კავშირში ბავშვებს ქუჩა-ქუჩა დააწანწალებენო. ვინ იცის, რას არ მიაწერენ. ჯერ მეცინებოდა ფერაძის სიტყვებზე, მერე, ღრმად რომ ჩაუფიქრდი, კუთაში დამიჭდა, მაგრამ, როგორც კი მისაბიშველი გამახსენდა, ყველა ეჭვი უმალ გულიდან გადაამეყარა.

ახლა მისკენ გავწიე. ერთი სული მქონდა მალე მივსულიყვიო და მეამბნა ყველაფერი. ძალიან მაინტერესებდა სიმართლის ნატამალი თუ ერთი ფერაძის ნათქვამში და შესაძლებელი თუ იყო მა-

როლა ვინმეს ჩუმაღ გადაელო ჩემთვის სურათი.

ამ ფიქრში რომ ვიყავი, ქუჩაში ერთი უცნობი კაცი ამოვიღე თვალში. თავისთვის მიდიოდა. მე კი მომეჩვენა, რომ ჩამციებოდა და თვალს არ მასწორებდა. არ მომეწონა მისი სახე და გამომეტყველება. ფერაძის სიტყვებმა ისევ ჩემს გონებაში დაიწყეს ფათური. ქართველს არ ჰგავდა. მაღალი და პირხმელი იყო, მოლუშული. იგი უცებ შეჩერდა და მკითხა:

— ასე რატომ მიყურებ, ბიჭუნო? — ისეთი ალერსიანი და თბილი ხმა ჰქონდა, ზირცხვილით ავიწურე და რა მეთქვა, აღარ ვიცოდი. ისღა დამჩვენდა, გავექცეულიყავი.

მისაბიშვილს კარზე მივეუკაყუნე. თვითონ მან გამომხედა. ჩანთა-აკიდებულნი რომ დამინახა, ელდა ეცა.

— მამაშენი აუღ ვახდა?

— არა, პატივცემულო მასწავლებელი, საქმეზე წავიდა ქალაქში და ერთხელ კიდევ მივხმარე.

ამჯერად შინ აღარ შევეუწვევია, გაზეთები გამომართვა, მომეფერა და მიტხრა, შინ მალე დაბრუნდით.

— რაღაც უნდა გითხრათ, მასწავლებელი.

— მოდი, თამაზ, — მაშინ კი შინ შემიწვია და დავსხედით. ყველაფერი დაწერილებით გუამბე. მის სახეს თანდათან ეფინებოდა ღიმილი, მერე ერთი გულიანად გადაიხარხარა. სიცილი სიცილია, მაგრამ მე მაინც მისი აზრი მაინტერესებდა.

— ღმერთმა შენისთანანი გვიორავლოს და დაე, რაც უნდა ის სწერონ ბურთულებმა. ჩვენ ყველანი შრომის შვილები ვართ და თუ ეს ვითაკილეთ, მაშინ ჩვენს ყოფას რაღა აზრი ექნება. დედ-მამასაც უნდა მიეხმარო, მეგობარსაც და ქვეყნასაც. წადი ახლა, ეგ დარჩენილი გაზეთები ჩამოართვი, მერე შენებურად ჩაუჭეჭი გაკვეთილებს, აბა, კარგად იყავი, ჩემო ბიჭო. ჯაშუშებს კი უფროთხილდი! — ხუმრობითა და სიცილით გამომაცილა.

თემოსთანაც მქონდა გაზეთები მისატანი. როცა მათ ეზოს მივეუხლოვდნენ, ერთი ბიჭი შევაჩერე.

— თემოს იცნობ?

— ვიცნობ.

— აბა, ეს გაზეთები მიუტანე, რა!

— მომეცი, ეხლავე მივეტან. თემომ ისეთი მტრელების გაკეთება მასწავლა, რომ.

— მტრედს გაზეთით აკეთებთ?

— ჰო. ისეთი დიდი მტრედი გამოდის, არწივივით.

გაზეთები მივეცი. ბიჭი ეზოში შევარდა, სადაც თემო ცხოვრობდა. ყურადღება აღარ მიმიტყვევია, ჩემი გზით გავწიე, დანარჩენი გაზეთები და წერილები ჩამოვარიგე და შინ დავბრუნდი.

მამაჩემი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. ცოტა შევისვენე და გაკვეთილებს ჩავეუჭეჭი. ფერაძის სიტყვები არ მასვენებდა. მინდოდა შერმადინისათვისაც მეამბნა. ეზოში ისეთი სიწყნარე სუფევდა, ჩემს გარდა სულიერი არავინ ჰაქანებდა. ამ დროს მე ყოველთვის მარტო ვიყავი ხოლმე. დედაჩემი ხან ბაზარში იყო, ხან ქალაქში რაიმე საქმეზე.

სალამოს მამაჩემს ვუამბე ფერაძის ამბავი. გაცინა. მაგრამ მეორე დღეს ეს სიცილი ჩაუშწარდა.

სკოლაში მივედი თუ არა, თემო ზამბახიძე ჯიჭურ გადამიდგა წინ.

— ფოსტალიონო, ჩვენი გუშინდელი გაზეთები შეიტყაბუნეთ? — ხმამაღლა მკითხა და გზიდან არ ჩამომეცალა.

— ცოტა ხმას დაუწიე, — ვუთხარი და ზემოთ ავიხედე, სადაც სამასწავლებლოს ღია კარი მოჩანდა.

— მამაშენს უთხარი, მოიტანოს ის, რაც დაგვაკლო, თორემ ისეთ დღეს დაგაყრით!

— მაინც, რას გვიზამთ?

— ნახავ!

— სულ ასე უნდა იმუჭრებოდე? გაკვეთილების შემდეგ სადაც გინდა იქ შემხვდი და როგორც გინდა ისე დაგაღილავებ! — დავემუჭრე ბოლმამორეული. მზად ვიყავი იმავე წუთს დავძვერებოდი.

ისიც მუქარით დამშორდა, მაგრამ გავკეთილებს შემდეგ თვალსა და ხელს შუა გამიქრა.

სალამოს მამაჩემი დამძარბული დაბრუნდა შინ.

— ზამბახიძის გაზეთები რა უყავი? — მკითხა კუშტად, — კიდევ ძალღმა ხომ არ დაგიფლითა?

— თემოსთან ნაჩხუბარი ვარ. იმათი გაზეთები ბიქს ვევატანებ.

— ეტყობა, რომ იმ ლეკვმა არ მიიტანა და ხათაბალას გადაგვყარა.

— რა ხათაბალას? — გაკვირვებული მივაჩერდი მამაჩემს. მას უმიზეზო საყვედური არასოდეს არ უთქვამს ჩემთვის და არც ახლა მოველოდი.

დღლით თემოს მამა, ირაკლი ზამბახიძე, ფოსტაში მისულა.

ის იყო მამაჩემს ჩანთა მოუმზადებია გაზეთების ჩასაწყობად, რომ ამ დროს ფოსტის გამგემ გამოიძახა. ფოსტის გამგე, ანიკო ლობჯანიძე, ერთი ფაშფაშა, მეტისმეტად რბილად მოსაუბრე და სათნო ქალი გახლდათ.

მამაჩემი გაჰყვა. გამგის ოთახში შევიდნენ, სადაც ირაკლი ზამბახიძე შუბლშეკრული იდგა.

— გამარჯობათ, — მიესალმა მამაჩემი.

ირაკლი ზამბახიძე მალალი, მკვრივად ჩახხმული კაცი იყო. მონღოლური სახე ჰქონდა, ყვრიმალეუბნაშროწყული, წვრილი თვალებით. მამა-შვილი ერთმანეთს ძალიან ჰკავდნენ.

ირაკლი ზამბახიძე უგულოდ მიესალმა და ასევე ცივად ჰკითხა:

— სად არის გუშინდელი გაზეთები?

— გუშინ თამაზს გამოვატანე. მოიტანდა, აბა, რას იზამდა. გაზეთები რა...

— თქვენთვის „რა“ სხვისთვის დიდ რამეს წარმოადგენს. მოიტანდაო? თუ მოიტანდა, სად არის?

— არაფერი მესმის! — გაიკვირვა მამაჩემმა, — თამაზი ახლა სკოლაშია, თორემ ვკითხავდი, რა უყო თქვენი გაზეთები.

— ასე არ ვარგა, ამხანაგო! თუ მუშაობა გინდათ, პატიოსნად იმუშავეთ.

— ძალიან გთხოვთ, ხმას ნუ აუშაღლებთ, — ჩაერია ანიკო ლობჯანიძეს სხვა დროს ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ვარდენს გაზეთები არ მოუტანია თქვენთვის?

— ეს ერთი შემთხვევაა კმარა... მაგალითად გუშინ, მინდოდა გაზეთის წაკითხვა. მოვიკითხე. არ მოუტანიათო. უკვე სალამო იყო და შინ გაზეთი არ მქონდა. ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი დღით გამოეთიშო ცხოვრებას, ერთი დღე ჭურში იჭდე და არაფერი არ გესმოდეს ამ ქვეყნისა.

— კარგად გცოდნიათ პრესის მნიშვნელობა, — ჩაუკრა ანიკომ, — მაგრამ მაინც მაკვირვებს ეს თქვენი აყალ-მყალი... სხვა რომ არა იყოს რა, თქვენი შვილები ერთ კლასში სწავლობენ...

— ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე მიყვარს პატიოსნება შრომასა და ადამიანთა ურთიერთობაში. რას ისწავლიან შვილები ჩვენგან? ვინ იცის, იქნებ გუშინდელ ფოსტაში წერილიც იყო ჩემ სახელზე, ან ბანდეროლი რაიმე, ან ფულის მისაღები ქვითარი...

მამაჩემი გამშრალი იდგა. თურმე იმ წუთში ირაკლიზე ისე არ მოსდიოდა გული, როგორც ჩემზე. მენდო და ეს ნდობა ვერ გავემართლე.

— იმის მაგივრად, რომ თქვენი თანამშრომელი გააფრთხილოთ, იცავთ? — ახლა ანიკოს უსაყვედურა ირაკლი ზამბახიძემ, — მესმის კაცს პური დაუგვიანონ, წყალი დროზე არ მიაწოდონ... გაზეთი და ჟურნალი დროზე არ მიუტანონ, ეს ვაგონილა?! მოკლედ, მე არაფერი ვიცი, გუშინდელი ფოსტა შინ უნდა მქონდეს!

თქვა და ოთახიდან გავიდა, სახტად დარჩენილი მამაჩემი ფოსტის გამგეს მისჩერებოდა. ქალიც ხმას არ იღებდა, ბოლოს გონს მოეგო და მამაჩემს დაყვავებით მიმართა:

— დაჭკეი, ვარდენ. მითხარი რა მოხდა.

მამაჩემმა ყველაფერი ისე უამბო, როგორც იყო, ქალაქში რომ წავიდა საქმის გამო და ჩანთა მე რომ გამატანა.



ანიკომ დაამშვიდა მამაჩემი, დაკარგული გაზეთების სამაგიეროს მე მოგიტან და „მიაშავეო“.

ჯერ ამ ურთ უსიამოვნო ამბავს არ გაველო, მამაჩემს ნერვები ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყნარებული, ფოსტაში რაოდენ ფერაძე შეეხეტა. ყველას თავიანთად მიესალმა და გამგის კაბინეტის კართან შეაჩერა მამაჩემი, შენთან საქმე მაქვსო. მამაჩემმა უკვე იცოდა ჩვენი ამბავი, არც აცია, არც აცხელა, მაინც გულმოსული იყო და ფერაძეს დაასწრო:

— გუშინ შეიდი ჭაშუში ერთად დახვედრია ჩემ ბიჭს. დღეს მსოფლიოს ყველა გაზეთს დაუბეჭდავს მისი სურათი... ერთი ჭაშუში უკვე ბრძანდებოდა აქ და ყველაფერი გვაუწყა!

მამაჩემი ისე იყო გაციცხლებული, ანგარიშს აღარ უწყევდა იმას, თუ რას ამბობდა. ფოსტის გამგე გაოცებული მისჩერებოდა და, ალბათ, შეშინდა კიდევ, ხომ არ გადაირია ეს კაცი, ფერაძეს არაფრის თქმა არ აცალა და ამას რას ეუბნებოდა.

— ვარდენ! — ცოტა ხმამაღლა შეუძახა ქალმა, რომ თავისი თანამშრომელი გონზე მოეყვანა.

— ჰო, ასეა! — თქვა მამაჩემმა, — მე უკვე ვიცი, რას იტყვის რაოდენი.

— მოიცა, ამხანაგო! — ცივად გამოსცრა ფერაძემ, — რამ გადაგრიია?.. მე სერიოზულ საქმეზე მოვედი და შენ...

მამაჩემმა ყური აღარ უგდო, გამგის ოთახიდან გავიდა, ჩანთა გაზეთებითა და წერილებით დასტენა და თავბრულახვეული გაუდგა გზას. იმის მაგივრად, რომ აღმა, ვეძისისაყენ წასულიყო, გზას დაღმა დაუყვა. კიმოთეს დუქანს რომ მიუახლოვდა, მაშინ მოეგო გონს, ეს საით წამოვსულეარო. გულმოსულმა დუქანში შეუხვია, ზედიზედ ორი ქიქა არაყი გადაჰკრა და გული ამითღა დაიმშვიდა.

...მამაჩემსა და ჩემ შორის საუბარი არ გამწვავებულა, რადგან ფერაძის ამბის გახსენება გულის დარღვევას უმსუბუქებდა.

მაგრამ ამ საქმემ მაინც ისე არ ჩაიარა. ერთ დღეს ფოსტის გამგეს ასეთი ქალაქი მოუვიდა „ზემოლან“.

„№ 57-ე საფოსტო განყოფილების გამგეს ამხ. ა. ლობჯანიძეს.

შემოსულია სიგნალი იმის შესახებ, რომ თქვენ და თქვენი ზოგიერთი თანამშრომელი, კერძოდ, ფოსტალიონი ვარდენ გორდელაძე, ბოროტად იყენებთ მოზარდის შრომას, რაც ყოველად დაუშვებელია. ამ დანაშაულისათვის გაფრთხილებთ. მსგავსი შემთხვევის განმეორებისას იძულებული ვიქნებით მივიღოთ მკაცრი ადმინისტრაციული ზომები“.

აი, სადამდე მივიდა რაოდენ ფერაძის შეხედულება!

ჭირის დღესავით შემძულდა ეს კაცი. ვერ წარმომედგინა თუ ამაზე ღვარძლიანი ჭაშუში ჰყავდათ კაპიტალისტებს. დასანახავად მეზარებოდნენ ზამბახიძეებიც.

ახლა ჩემს ქუჩაზე, ჩემს უბანში სამი დაუძინებელი მტერი მყავდა და ვიცოდი, რომ ამ ხალხთან ხშირად მომიწევდა დაუნდობელი შეხლა-შემოხლა, რადგან მე ვერ შევეგუებოდი მათ ღვარძლიანობას. ვიცოდი დიდი და დრმა სიყვარული და ვიგრძენი, რომ მჭონია დიდი სიძულვილის უნარიც. ეს კი საოცრად ცუდი გრძნობაა. რამდენადაც აღამიანს სიყვარული გალეღვებს და ამავდროს გამშვიდებს, გასპეტაკებს, იმდენად სიძულვილი სიცოცხლეს გიწამლავს. ცხოვრებას მიხვეულ-მოხვეული ბილიკებიც აქვს და ზოგჯერ ამ ბილიკებზედაც ვატარებს...

თინა ლაცაბიძე ისევ ერთ დაზვას დაუბრუნდა. ერთხანს დაღვრემილ დადიოდა, მაგრამ მერე შეეგულათვის ყისმათს და კიდევ გამოიღარა. საქმე ის იყო, რომ აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში ნესტანის ფეხის ხმას ბევრი აჰყვა, მაგრამ ყველამ ვერ შეძლო რამდენიმე დაზვაზე მუშაობა, მათაც თინას ხვედ-

რი გაიზიარეს; ნესტანს ჰყავდა მრავალ-  
დაზგოსანი ამხანაგები, რომლებმაც  
დასძლიეს ძნელი საქმე.

ერთხელ, გვიან საღამოს, ამხანაგთან  
წიგნისთვის ვიყავი წასული. შინ რომ  
ვბრუნდებოდი, ავტობუსის გაჩერებას-  
თან, პურის დუქნის წინ, სადაც ბოძზე  
ჩამოკიდებული ელექტრონათურა იჭა-  
ურობას ძლივს ანათებდა, ნესტანი ვი-  
ლაც ვაყთან ერთად შევნიშნე. ვაჟს მი-  
სი ხელი ხელში ეჭირა და არ უშვებდა.  
თვალი ავარიდებდა და ჭიშკარს სირბილით  
მიეუახლოვდი. როცა შინ შევედი და კა-  
რი მივხურე, ამ დროს გავიგონე ნესტა-  
ნის სწრაფი ფეხის ხმა. ასე სხარტად,  
ასე ბავშვურად მას არასოდეს არ ჩაუ-  
ვლია ჩვენი კარის წინ. შევატყე, გახა-  
რებული იყო. თითქოს იბოვნა ის, რაც  
სურდა, რასაც წლობით ეძებდა. დანაკ-  
ლისი მიიმატა და კოკასავით შეივსო.

შინ არაფერი ვთქვი, ვაყთან რომ ვნა-  
ხე.

რამდენიმე დღის შემდეგ იმ ვაჟმა  
ჩვენი სახლის წინ რომ გაიარა, ყველა-  
ფერი ნათელი გახდა. ლოყებატკრცია-  
ლებული ნესტანი გვერდში მოჰყვე-  
ბოდა.

ნესტანს ბედნიერება კარზე მიაღდა.

ის ახალგაზრდა კაცი ნესტანის საქმ-  
რო იყო, თქმა არ უნდოდა. მე და დე-  
დაჩემმა ერთმანეთს გადავხედეთ, მაგ-  
რამ არაფერი გვითქვამს. დედაჩემმა  
არც სალომესა და ვანოს ჰკითხა რამე,  
როცა ის ბიჭი გვიან გააციულეს.

ახალგაზრდა კაცი ღვინონასვამი იყო  
და ყველაზე ხმაშიღლა, ყველაზე მეტს  
ის ლაპარაკობდა. თავაზიანი და ცოტა  
ყბელი ჩანდა. ალბათ თავისი ენამჭევე-  
რობით მოაჩადოვა ნესტანი, თორემ  
შეხედულებით... თუმცა რა, არც ნეს-  
ტანი იყო მზეთუნახავი. რაც ალხანა,  
ის ჩალხანაო. ფერი ფერსა, მაღლი ღმე-  
როსაო.

იმ ბიჭსაც იქვე, ფაბრიკაში უმუშავ-  
ნია. ქალ-ვაჟის მიჯნურობაც იქიდან მო-  
დიოდა.

ქორწილის დღემდე სიტყვა არ დას-  
ძრეს. ემზადებოდნენ და მალავდნენ, მე-

რე, ერთ დღეს, ჩვენ და ძია სანდრო  
სუფრაზე მიგვიპატიეს.

დიდი ამბით წაიყვანეს ჩვენი სახე-  
ლოვანი ქალი. თითქოს ცხრა მთას იჭით  
მიჰყავდათ, სალომემ ცრემლი გადმოღ-  
ვარა. დედაჩემმა არ დაზოგა და მუჭლუ-  
გუნი წაჰკრა.

— რა გატირებს, ქალო?

— მიჰყავთ ჩემი ნესტანი! — სლუ-  
კუნით უბასუხა სალომემ.

— სატირალი ის იქნებოდა, რომ არ  
წაიყვანათ, — გაიცინა ძია სანდრომ, —  
ქაჯებს ხომ არ მიჰყავთ. შეხედე რა ბი-  
ჭია!

ღვინო ბლომად დაილია, ბევრი სად-  
ღეგრძელო ითქვა და ჩვენს ეზოს ერთი  
აღამიანი გამოაკლდა. დავრჩით რვაანი.  
მაგრამ იმ ერთის წასვლა ისე დაგვეტ-  
ყო, თითქოს ათი კაცი ერთად წავიდაო.

რამდენიმე დღის მერე ნესტანი ყვე-  
ლას მოგვენატრა. დღე ისე არ გავიდო-  
და, რომ შერმადინს ფაბრიკაში არ ენა-  
ხა თავისი და. ჩვენ კი თანდათან ვე-  
გუებოდი უიმისობას. ათასში ერთხელ  
შემოიბრუნდა, ყველას დაგვივლიდა, ძა-  
ლიან დიდი ხნის უნახავებივით დაგე-  
კოცინდა.

ჩამოცხა. მაისის ბოლო იყო და კაცს  
შუა აგვისტო ეგონებოდა. სწორედ ამ  
დროს სადილობო ნამუშევარს ამთავ-  
რებდა შერმადინი და პროექტზე ამხა-  
ნაგთან ერთად მუშაობდა. ადრე მიდიო-  
და და შინ როდის ბრუნდებოდა, ვერ  
ვიგებდი. კვირა დღესაც არ ისვენებდა.  
ვანოსა და სალომეს გახურებული ბაზ-  
რობა ჰქონდათ. ახლა ქორთვა კიტრი და  
ნაადრევი პამიდორიც მიუმატეს ბლო-  
მად მოსულ მწვანისს.

მამაჩემი ორშაბათობით ისვენებდა.  
კვირას კვლავ კარდაკარ დადიოდა, მე-  
რე ვინმეს გადაეყრებოდა და როდის-  
როდის მოდიოდა შინ ნასვამი.

დედაჩემი რაღაცას კერავდა. უცებ  
თეთრი ძაფი დასჭირდა და მითხრა, ბა-  
ზარში გადამერბინა და მიყვია.

შინ გული არ მიჩერდებოდა და მაში-  
ნვე წავედი ძაფის საყიდლად, ნელა მი-  
ვიდიოდი, რომ შინ მალე არ დაებრუნე-



ბულოყავი. ძაფი ბაზრის ერთ პატარა ფარდულში ვიყიდე. როცა უკან გამოვიწიე, ტიპტიპას „ფაბრიკასთან“ ფერაძე დაეინახე. ხარახს რაღაცას ელაპარაკებოდა, ლაპარაკის დროს ხელებს იშველიებდა. ტიპტიპას თავი დაეხარა და თავის მუხლებზე დაპირქვავებული ფესხაკმლის ქუსლს ჩაქუჩს უთათქუნებდა.

„ჯაშუში“ — გავიფიქრე ფერაძეზე. ისე ჩაუვარე, ჩემთვის არ შემოუხედავს. გაცხარებული იყო. ტიპტიპას რაღაცას უსაყვედურებდა, მაგრამ ვერ გავიგონე. ხარახი კი თავის საქმეს ისე მშვიდად განაგრძობდა, თითქოს არა ეყურება რაო.

დედოქემს ძაფი მივეტანე და მერე ბიკებთან ერთად სათამაშოდ წავედი გორაკზე. საღამოს, როცა გაოფლიანებული და დაღლილი დავბრუნდი, ძია ვანოსგან ერთი ამბავი გავიგე. როცა მან იცახშმა და კიბეზე ძია სანდროს ჩამოუჯდა, უთხრა, დღეს ბაზარში ტიპტიპამ ფერაძეს სილა სთხლიშაო. ამბავი არ დაემთავრებინა, მაშინვე ჩავერიე:

— ძია ვანო, შენ თვითონ დაინახე? მაგრად თუ სთხლიშა?

— რა ვიცი, ალბათ მაგრა იყო, რომ მილიციაში წაიყვანეს.

— ვინა, ტიპტიპა?

ამან კი მწარედ დამწყვიტა გული. მეორე დღეს სკოლაში ადრე წავედი და გზად ბაზრისაკენ გავიარე. ტიპტიპას „ფაბრიკას“ დიდი კლიტე ედო. გული დამწყდა. მილიციიდან არ გამოუშვიათ. მესამე დღეს ისევ კლიტე ედო. ერიპა, ტიპტიპა ცუდად არის შენი საქმე. მეოთხე დღეს კი გამოუშვეს. მილიციიდან წამოსულს გზად კიმოთეს დუქანში შეუვლია, არყითა და ზინკლით გული უჭერებია, მერე თავის „ფაბრიკასთან“ მისულა და მთელი ბაზრის გასაგონად დაუძახნია:

— ეპეი, დაკარგული დაგიბრუნდით. ძმებო, ჯიჯრებო!

ტიპტიპა ყველას უყვარდა. იმ დღიდან კი ჩემს თვალში ერთიორად გაიზარდა. დანამდვილებით ვერავისგან ვერ გავიგე, მაგრად სთხლიშა და გონება

დაუქარგა უბნის თავკაცს, თუ ისე, რბილად ლეწია სილა. ასე იყო თუ ისე, ორივე შემთხვევაში ქედს ვიხრი, ტიპტიპას წინაშე და დიდ მადლობას მოვასხენებ სიამოვნებისათვისი ვაშა და დიდება მის ვაჟკაცობას. გაუმარჯოს მის მარჯვენას, გული რომ მომფხანა!

## 18.

მისის ბოლოს მე, ირმა და რამდენიმე ჩვენი ამხანაგი კომკავშირში მიგვიღეს. მაშინ თხუთმეტ წლისანებს იღებდნენ და შეგვისრულდა თუ არა ეს წლოვანება, ჩვენც დავფაცურდით, დავეწერეთ განცხადება.

იყო რაღაც ბავშვურ-ჭაბუკური სიხარული იმ განცხადების წერისას. იყო ღრმა რწმენა იმ იდეალებისადმი, რასაც ორიოდ სტროქონში გამოცხატავდით და რასაც ჩვენი ნორჩი გულით ვეფიცებოდით.

განცხადება დიდხანს ეწერე. ეს იყო ჩემი პირველი განცხადება და მინდოდა იგი ძალიან კარგი ყოფილიყო. ასოები გულმოდგინედ და ფაქიზად გამოიყავდა. ჯერ ვითომ შავად ეწერდი, მაგრამ იმ „შავშიც“ ვცდილობდი ლამაზი ასოები გამომსელოდა. ველავდი. ეს კი ხელს მიშლიდა. ის არ გამომდიოდა, რასაც გული მკარნახობდა. გული ამ დროს გამიღებოდა ფეთქავდა. იგი ძალიან ბევრს მკარნახობდა, მიბიძგებდა, მამხინევებდა. აი, სწორედ ამ ჩემი პირველი განცხადების წერის დროს მთავრდებოდა ბავშვობა და იწყებოდა რაღაც ახალი... ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ იმ წუთებშიც კი საგრძნობლად კარგი.

ეპ, რა მშრალი გამოდიოდა ის განცხადება! იქნებ სჯობდა კომკავშირელებს კრებაზე ჩემგან ზეპირი განცხადება მოესმინათ, ისევე, როგორც მეომრები სდებენ ფიცს ბრძოლაში გასვლის წინ?

როგორ ველავდი, როგორ განვიცდიდი, სანამ კომკავშირის კრებაზე დამიბარებდნენ. მეგონა, რომ რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო.

კრებაზე იყვნენ ისინი, ვისაც ყოველ დღე ვხედავდი სკოლაში. კომკავშირში მიღება პირველი საკითხი იყო და ყველაფერი ჩემით დაიწყო. კრება მეათე პირველ კლასში ტარდებოდა. მერხებს ორმოცდაათამდე ახალგაზრდა უსხდა, სულ უფროსკლასელები იყვნენ. კრების თავმჯდომარემ გამომიძახა. გულის ფანჯალით წავედი დაფისაკენ. კომკავშირელებს გადავხედე. ისინი ჩუმად, ბრძენი კაცებივით ისხდნენ და მასწავლებლებივით გამომცდელი თვლით მიყურებდნენ. მერე, როცა ჩემი განცხადების კითხვა დაამთავრა თავმჯდომარემ, ბიჭებმა და გოგოებმა ბავშვურად ყიყინი ასტეხეს:

— მივიღოთ, მივიღოთ!

თავმჯდომარეს არც კი დასტირებია ეკითხა, ვინ არის წინააღმდეგი და თავი ვინ შეიკავაო. ასე თუ გაეხარებოდათ ჩემი მიღება, არ მეგონა. მაგრამ არანაკლები ღრიანცელით შეხვდნენ ირმას. ზოგიერთმა ტაშიც კი დასცხო. კიდევ ორი მოსწავლე მიიღეს და პირველი საკითხიც ამოიწურა.

როცა კრების შემდეგ შინ ვბრუნდებოდით, ირმას ეუთხარია:

— მე კი მეგონა გაგწურავდნენ. პროგრამას და წესდებას თავი ჩავაკალი.

— აქ თუ არ გკითხეს, რაიკომში გკითხავენ, ჩვენ ხომ ბიუროზე უნდა წავგიყვანონ. ისე კი, ძალიან მყვირალა განცხადება დაგიწერია. როდის იწყებ იდეისათვის თავდადებულ შრომას, როდის უნდა შეეწირო ხალხსა და სამშობლოს?

განცხადებაში მქონდა ასეთი ადგილი, სადაც ლაპარაკი იყო კომუნისტური იდეებისადმი ერთგულებაზე, რომ ამ იდეას თავდადებით ვემსახურები-მეთქი და მერე, თუ საჭირო გახდა, თავსაც შეეწირავ ხალხს, პარტიასა და სამშობლოს. ირმამ მომაგონა ეს ადგილები და ცოტა არ იყოს დამცინავად შემომხედა.

— რად დამცინი? — წყენით ვუთხარი მაშინვე.

— რატომ გგონია? მარტო შენ კი

არა, ასეთ განცხადებას ბევრი წერს. ჩემი აზრით, უფრო მოკრძალებით რომ დაგეწერა, უკეთესი იქნებოდა.

მხოლოდ ახლა გაეხსენე ირმას ძალზე მოკლედ დაწერილი განცხადება.

— ღრმად იცნობ კომუნისტურ იდეებს?

— რად ჩამაცივდი, ირმა?

— არაფერი, ისე, — კიდევ ჩაიცინა და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა. დავიბენი და ვერაფერი ეუბასუხე.

— პარტიაში შესვლისას როგორ განცხადებას დაწერ, ეს მაინტერესებს, მაშინ რალას იტყვი? — ეშმაკურად მკითხა.

რამდენადაც გახარებული ვიყავი, იმდენად ძალიან მეწყინა ირმას სიტყვები. წყენა შემატყო და გამომშვიდობებისას მითხრა:

— მართალი რომ გითხრა, მეც შენსავე მყვირალა განცხადება დაწერე, ასე ვიბრძოლებ და ისე ვიბრძოლებ-მეთქი. მამაჩემს ვაჩვენე და იცი რა მითხრა: ნუ აფრენო. შენ ჭერ რა იცი კომუნისტური იდეებისა, კომკავშირი პარტიის რიგების სამჭედლოა და სწორედ იქ უნდა გაეცნო და შესწავლო კომუნისტური იდეებით. როცა თვალი აგებილება და ცხოვრებას უფრო ეარგად დაინახავ, სწორედ მაშინ მიხვდები, სად დადგე და როგორ ემსახურო ხალხსო. ახლა კი თქვენი საქმე სწავლაა და ასეთი განცხადება არ შეგშენისო. ეგ სიტყვები მომავლისათვის შეინახე, როცა საამისოდ მზად იქნებიო. აი, რა მირჩია მამაჩემმა. ჩემი განცხადებაც იმიტომ იყო ისეთი მოკლე.

მე კი ასეთი მრჩეველი არავინ მყავდა. ირმამ ისე გულწრფელად, ისე გულლიად მითხრა ყველაფერი, ისეთი საყვარელი და თბილი იყო იმ წუთებში, გული ამიჩქროლდა და გავუღიმე.

— როცა იღიმები თვლებში არ გეტყობა ღიმილი, — შემნიშნა ირმამ.

— არ დავკვირვებია ჩემს თავს. სარკეში არასოდეს ჩემი თავისთვის არ გამიღიმა. შენ კი, ირმა, თმებზე ვხედავ ნის ხოლმე.

11636



და მან ჩემს სიტყვებზე გულიანად გაიცინა.

ის იყო ჩვენი სიკბაბუის პირველი დაუფიქარი დღე.

მალე რაიკომის ბიუროზე დაამტკიცეს კომკავშირული ორგანიზაციის გადაწყვეტილება. მეორე დღეს ახალ-ახალი ნაცრისფერი ბილეთებიც ავიღეთ მე და ირმა. რაიკომის შენობიდან გამოვედით და შინისაკენ მზიარულად გამოვეწიეთ. კომკავშირული ბილეთი ორივეს ხელში გვეჭირა და ისე მივაბიჭებდით, ცხელოდა. ქუჩას ალმური ასდიოდა. ირმა რაიკომის ბიუროს ელოდა, თორემ აქამდე ქობულეთში იქნებოდა. ნეტავ მეც მანახა ზღვა, მანახა მის ტალღებში შეცურებული ირმა. ცურვა არ ვიცოდი. ნაპირზე ჩამოვვდებოდი და ვუყურებდი გოგონას სილალეს.

— ეს ბებიანიჩემი არ არის?! — წამოიძახა უცებ ირმა.

ვერის ბაზრიდან თამარი გამოცუტ-ცუტდა სანოვაგით სავსე ჩანთით. რაიკომისკენ გამოსწია, ალბათ იმ ვარაუდით, რომ შვილიშვილს შეხვდებოდა. და იქვე, ბაზრის კართან კი შეგვეფეთა.

— ირმა, შვილო...

— ბებო, ასე შორს რატომ წამოხვედი ბაზარში? საბურთალოზე ნაკლები ბაზარია?

— ყურს არც კი მივდებ, როცა გელაპარაკები. მე ვითხარი ბაზარში გამოვივლი, მერე რაიკომთან მოვალ და ერთად წამოვიდეთ-მეთქი. შენ კი, დაადე თავი და მიდიხარ... ეს ვიღაა? — შემომხედა თამარმა და მხოლოდ მაშინ მიცნო, — შენა ხარ, თამაზ? კომკავშირში შენც მიგიღეს?

— დიხ, — ვუპასუხე და კომკავშირული ბილეთი ვაჩვენე.

— რა გიჭირთ რა! — ორბაზროვნად თქვა თუ ერთაზროვნად, ვერ მივხვდი.

— არა, რად მინდოდა შენი დახვედრა, — არ მოეშვა ირმა, — პატარა ხომ აღარა ვარ. აი საბუთი, — და კომკავშირული ბილეთი ცხვირთან მიუტანა

ბებიას, — რომ მე უკვე დიდი ვარ და ამის შემდეგ ბებია-ბაბუების დევნა აღარ გვეჩირდება.

— ირმა! — მკაცრად შეხედა ბებიამ, — კომკავშირის პირველი გაკვეთილი ეს არის?

— ჩვენ ბავშვები აღარა ვართ. ახალგაზრდები გვქვია. აი, წაიკითხე რა წერია ამ ბილეთზე, ახალგაზრდების კავშირით. ამას სწავლება რად უნდა?! — მზიარულად ელურტულებდა ირმა.

— სანამ სული მიღვას, ჩემს დაუკითხავად ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. ქმარ-შვილსაც რომ მოეციდები, მაშინაც ბავშვი იქნები ჩემთვის. გესმის? — ხმას აუწია ბებიამ. მერე ჩანთა მომაჩეჩა, კომკავშირში არ გასწავლეს, მოხსუცებს უნდა მიეხმაროთ?

— რას ჩააცვიდი კომკავშირს, ბებო? ჩვენ ისედაც ვიცით, რომ უნდა მივეხმაროთ, — წყენით მიუგო ირმა.

— მაპატიეთ, — ბოდიში მოვეუხადე თამარს.

— მამის ფეხი! აღვკატად დაუდექი? წამოდი, წამოდი! წამოყვინჩილდნენ და ჰგონიათ, ქვეყანა უკვე ამითია. როდის დაგინშნავთ რაიკომის მდივნად, რა ვითხრეს? — შვილიშვილს არ ეშვებოდა ბებია.

— სულ მალე, ბებო. ასე მითხრეს, წადი, ბებოს ჰკითხეო და თუ ნებას დავრთავსო, — ისეე გახალისდა ირმა.

ბებია კი პირგამეხებული მიაბიჭებდა-

— ბებო, დამრთავ თუ არა ნებას?

— დამეხსენი ერთი!

სასიამოვნო იყო ბებია-შვილიშვილის კამათი.

— კვერცხები არ დამიმტვრიო, — ერთხელ კიდევ მკაცრად გადმომხედა ბებია თამარმა.

— ნუ გეშინიათ, ფრთხილად მომაქვს, არ დავამტვრევ.

იმ სიცხეში ხალხით გაქედილ ავტობუსში ჩაჯდომას ფეხით წასვლა გვერჩინა. ხილთან რომ მივედით, პატარა მდინარის ხეობიდან სივრცულ ვივარქნით: გვესიამოვნა. ბებია ხილზე შედგა. შევდევით ჩვენც. ხილქვეშ ერთბაშად მდი-

ნარე მიწანწყარებდა, სულს ღაფავდა. ერთი კვირა კიდევ რომ არ მოსულიყო წვიმა, ალბათ, სულ მთლად დაშრებოდა. ვერის ხეობაში, ვაკის ფერდობზე და საბურთალოსკენ, ზოობარკს ვადაღმა, ბაღები იყო და სივრცულე იქიდან მოდიოდა. მაგრამ ხიდეზე, სადაც მზე აჭერდა, დიდხანს დგომა არ შეიძლებოდა. საბურთალოს აღმართს ავყევით, აღმართზე მანქანები ბებიასავით ხენეშით ადიოდნენ.

...მეორე დღეს ირმა აღარ მინახავს. ბებიასთან ერთად ქობულეთში წავიდა.

19.

იმ ზაფხულს შერმადინმა ტექნიკუმი დაამთავრა. დიპლომი ხიდეებისა და გზების მშენებლობაზე დაიცვა. ახლა გზა ან უმაღლესი სასწავლებლისაკენ უნდა მოენახა, ან ხიდეებისა და გზების მშენებლობაზე წასულიყო. არ ვიცი სხვისი რჩევა დაუჯდა ჰეუაში თუ თვითონ მოისაზრა, ერთ დღეს თავისიანებს უთხრა, არმიაში უნდა წავიდეთ. ორ-სამ წელიწადს სამხედრო ობიექტის მშენებლობაზე იქნებოდა, მერე სამხედრო საინჟინრო აკადემიაში შევიდოდა, რუსული სუსტად იცოდა, ჯარში ენასაც ისწავლიდა და აკადემიისათვისაც საფუძვლიანად მოეშაბდებოდა. თვითონ ყველაფერი ეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ შინაურებმა იჭოჭმანეს. მშობლებს არ უნდოდათ, შეილი შორს წასულიყო. ისინი არც ფიქრობდნენ შერმადინის დიდ მომავალზე, ოღონდ შინ ჰყოლოდათ. იმასაც კი დასჭერდებოდნენ, უბრალო ტექნიკოსად ემუშავა სადმე ახლო. უიმისობა ვერ წარმოედგინათ.

ძია სანდრომ თქვა:

— ჰკვიანი ბიჭია და თავის გზაც კარგად გამოუნახავს.

მამაჩემმა მხრები აიჩეჩა:

— გასძლებს კი რუსეთში? ორი წელი ჯარში, მერე ხუთი აკადემიაში. შეიძლება მერე აქეთ აღარც კი იბრუნოს პირი.

— რას ამბობ? — შეიცხადა სალომემ და მაშინვე გადაწყვიტა, არამც და არამც არსად არ გავეშვეტ!

შერმადინის ყისმათს შევნატროლი. მამაჩემის სიტყვებმა კი გული მატიანა. მის გარდა ქაბუქს არჩეულ გზას ყველა უწონებდა. ილიკო მასწავლებელმაც შეაქო ამის გამო. მამაჩემისთვის კი ეს ქვეყანა ძალიან პატარა სამყაროს წარმოადგენდა. მისთვის მთელი ქვეყანა მხოლოდ ის უბანი იყო, სადაც დილიდან საღამომდე ტრიალებდა. სხვა უბნები, სხვა ქალაქები და სივრცეებო მისთვის არ არსებობდნენ.

...მაგრამ სალომეს თავი არ მოუქლავს. ცრემლი კი გადმოღვარა, როცა შერმადინმა საბოლოოდ განუცხადა თავისიანებს:

— ყველაფერი გადაწყვეტილია. მივდივარ ლენინგრადის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში!

სამხედრო კომისარიატმა საზეიმო გაცილება მოაწყო შერმადინის პატივსაცემად. კინოსტუდიიდან ფილმის გასაშვებად კინოდანადგარი მოიტანეს და ჩვენს ეზოში, ღია ცის ქვეშ დადგეს. ამავე საღამოს გაზეთის კორესპონდენტი აცრემლებულ სალომეს ესაუბრა.

კინომ ძალიან გაგვახარა. მთელი უბნის გოგო-ბიჭები ჩვენს ეზოში მოგროვდნენ. სანამ მექანიკოსი აპარატს გამართავდა, იყო ერთი ყვირილ-ხივილი.

ეზოში შემობრძანდა რაყდენ ფერაძე. იგი სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელს მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და ჰკითხა:

— მიტინგს თქვენ გახსნით?

— რომელ მიტინგს?! — გაუკვირდა კომისარიატის წარმომადგენელს, — ჩვენ არავითარ მიტინგს არ ვპირებთ.

— კარგი იყო ერთი პატრიოტული სიტყვის თქმა, — ნაწყენი კაცის კოლოზე მიუგო რაყდენ ფერაძემ.

სიცილი ვერ შევიკავე და ფხუკუნე წამსკდა. კიდევ კარგი ბნელოდა და ვერ

დამინახა. შევნიშნე კი, რომ მიმოიხე-  
და, მერე ხელი ჩაიქნია.

— მე ხელ კომისარს მოველაპარა-  
კები... მიტინგი აუცილებლად უნდა  
ყოფილიყო, — თქვა მან და ჭიშკრის-  
კენ გასწია.

კედელზე გაკრულ თეთრ წარწერაზე  
შუქი აციმციმდა.

ორი დღის შემდეგ შერმადინი ლე-  
ნინგრაღში გაეცაილე. სანამ მატარებე-  
ლში ავიდოდა, დამიმართოვა და მი-  
თხარა:

— ირმა რომ დაბრუნდება, უთხარი,  
რომ მე ლენინგრაღში ვარ...

მატარებელი წავიდა და დაღონებუ-  
ლი, გულდაწყვეტილი ხალხი შეერჩით  
შაქანს. თინა და ნესტანი დედას ამშვი-  
დებდნენ, მაგრამ სალომე გზაშიც მოთ-  
ქვამდა.

— ქალო, თმი არ არი, დავიდარაბა  
არ არი, — ეუბნებოდა ვანო, — ლე-  
ნინგრაღში ბიჭს რა უნდა გაუჭირდეს!

მაგრამ როგორ დაეჯერებოდა იმ  
კაცს, რომელსაც ხმა უთრთოდა და  
მღელვარების ძაფი გაწყვეტილი ჰქონ-  
და.

— ჩვენ გაგვიჭირდება, ჩვენა! —  
უცებ მრისხანედ შეხედა აწყლიანებუ-  
ლი თვალებით სალომემ.

გადიოდა დღეები.

როცა შერმადინის წერილი მოვი-  
დოდა, მამაჩემი ფოსტიდან უმალ შინ  
ვადმოვიდოდა, თუკი ვანოს და სალო-  
მეს ვერ მოუწერებდა, ბაზარში მონახ-  
ავდა და დახლოთან გადასცემდა შვილის  
ბარათს.

ფოსტა რომ არ ყოფილიყო, რა ეშ-  
უელებოდა სალომეს და ვანოს? როდის  
შერმადინი დაბრუნდებოდა! წერილი  
კი ისე ახალისებდა დედ-მამას, თითქოს  
ოვით შერმადინი ჩამოსულიყო, მერე,  
როცა მოიწყენდნენ და ყურებს ჩამო-  
ყრიდნენ, მამაჩემი ხელახლა ახარებდა  
მთ. კლ-ქმარი ისევ დაგვივლიდა მე-  
ზობლებს და გვეტყოდა:

— დიდი მოკითხვა შემოგითვალათ  
შერმადინმა. ყველას გეხვევათ და გყო-  
ცნით.

შენატროდი შერმადინის ყისჩათს.  
ის ყველაზე ბედნიერი მეგობა იმ ახალ-  
გაზრდებს შორის, რომლებსაც ვიც-  
ნობდი. ჩემი ოცნება იყო მოსკოვისა  
და ლენინგრადის ნახვა. ეს ქალაქები  
კი არა, წიფის გვირაბს არ გავცილე-  
ბულიყავ და ზღვა არ მინახავს.

ძის სანდროს რადიომიმღები კარგად  
მეუშაობდა. ხშირად მიეუხსნებოდი  
ხოლმე და მსოფლიოს ამბებს ვისმენ-  
დი. მკედელი კაცი ძალიან განიცდი-  
და ფაშისტების მომძლავრებას ევრო-  
პაში. და როცა რადიომ ორ სექტემ-  
ბერს პოლონეთის ამბები შეგვატყო-  
ბინა, გაფითრებული მომაჩერდა.

— რა იყო, ძია სანდრო? გერმანია  
ხომ ჩვენი მოკავშირეა? პოლონელები  
კი... დასცხონ, რა გენადვლება!

— ავანგალა განგალა! — წამოიძა-  
ხა გაბრაზებით, — ვინ არი მოკავშირე,  
ბიჭო! მეგლს თავზე ხელი იმიტომ გა-  
დავეუსვით და მოვეფერეთ, რომ ცოტა  
ხანს არ გვიკბინოს. გესმის? ფაშის-  
ტებთან დამეგობრება ეინა თქვა. ეგ  
ისეთი სენია, შავ ჭირზე უარესი. მე ძა-  
ლიან მაფიქრებს ეს ამბები.

არაფერი ვუთხარი, რადგან პოლიტი-  
კისა ბევრი არა გამეგებოდა რა. ყო-  
ველ დღეს უესმენდი რადიოს. პო-  
ლონეთის არმია ნადგურდებოდა. გე-  
რმანელებმა ვარშავა აიღეს. მალე ჩვე-  
ნები დასავლეთ უკრაინისა და ბელო-  
რუსიის ხალხს წამოეშველნენ და მათი  
მიწა-წყალი გაათავისუფლეს.

შერმადინი ხშირად იწერებოდა. ლე-  
ნინგრაღში იმ დროს მშვიდობა სუფევ-  
და. რა იცოდნენ ვანომ და სალომემ,  
რომ ფინელები სულ რაღაც ოცდა-  
ათიოდე კილომეტრს იქით უკვე ამთავ-  
რებდნენ საომარ მზადებას მანერპეი-  
მის ხაზზე. ეს არავინ არ ვეცოდით და  
ვერ წარმოგვედგინა, რომ ლენინგრა-  
დთან მალე ბათქა-ბუთქი ატყდებოდა.

შევასრულე შერმადინის დანაბარე-  
ბი. ირმას ყველაფერი ვუთხარი. ახლა  
ირმას გოგო აღარ დაერქმეოდა. კიდევ  
უფრო სრული და შემადლებული ჩან-  
და.



— რაო, რას იწერება? — მკითხა ხმადაბლა.

— კარგად ვარო. აკადემიაში შესასვლელად ემზადება.

— შენ სწერ რამეს?

— ერთი წერილი გავუგზავნე.

— მაინც, რად გადაწყვიტა ასე უცებ წასვლა?

— არ ვიცი.

— ვერ წარმომიდგენია ჩემიანების გარეშე სხვაგან როგორ უნდა გავძლო. ლექსები არ გამოუგზავნია? მომეცი მისამართი, მეც მივწერ რამეს.

მისამართი მეორე დღეს მივეუბნე, რადგან ზეპირად არ მახსოვდა.

რამდენიმე ხნის მერე მამაჩემმა საიდუმლო გაანდო ძია ვანოს:

— შერმადინის წერილები დამკვრელთა სახლშიც მიმაქვს მოსამართლის გოგოსთან.

არ მომეწონა მამაჩემის საქციელი. ალბათ იფიქრა, ვანოს გავახარებო, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა და არაფერი თქვა.

20.

მივიღე პირველი კომკავშირული დავალება. მეხუთე მეორე კლასის პიონერთა ხელმძღვანელად დამნიშნეს. მასწავლეს, დამარიგეს რა უნდა გამეკეთებინა და სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მეხუთე კლასელებთან შემიყვანა. მთელი კლასი გასუსული უსმენდა ხელმძღვანელს. მან თავისი სათქმელი დაამთავრა, გამოგვემშვიდობა და საკლასო ოთახიდან გავიდა. გადავხედე ბიჭებსა და გოგონებს, ვიცოდი, რომ ცელქები და დაუდევარები იყვნენ. ახლა კი ჭკვიანად ისხდნენ. გული გამაღებით მიცემდა. ვღელავდი. სულ არ ვიფიქრებდი, თუ ასე ავღელდებოდი პატარების წინაშე, და ის იყო, უნდა დამეწყოს ის, რის გაკეთებაც მასწავლეს, რომ უცებ, მოლაპარაკებულებივით ერთად წამოცვიდნენ და ისეთი ევილ-ხივილი ასტეხეს, უკან დავიწიე და და-

ფას გაოცებული ივეჯარი, ზოგი მერხს აბრაზუნებდა. ზოგი ფეხებს უბაკუნებდა იატაკს. ვისაც როგორ შეეძლო ისე ხმაურობდა. ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა მათი ასეთი საქციელი. მსგავს რამეს, ვინ იცის, რამდენჯერ შევსწრებოვარ სკოლაში, მაგრამ ახლა მე რომ ასეთი ყოფით შემხვდნენ, არ მესიამოვნა, შევეძრწუნდი. ისე გავბრაზდი, ლამის კლასიდან გავიქეცი. მერე ვიფიქრე, ერთ-ორ ბიჭს ვადმოვითრევ და მივთვთქვავ გემოზე-მეთქი, მაგრამ თავი შეეკავე. მთელი კლასი გუგუნებდა. მტვრის კორიანტელი ბურუსივით დადგა. გოგოები ბიჭებს ეჯიბრებოდნენ, ვაკიოდნენ, ტაშს უკრავდნენ, ერთმანეთს ებღლაძუნებოდნენ.

უცებ კარმა გაიჭახუნა და გამოჩნდა პირგამეხებული ლევან მისაბიშვილი. წამში მთელი კლასი გაქეავდა. ვისაც როგორ მოუსწრო მასწავლებლის რისხვამ, ისე გახევდა. საითთაოდ გაუბედავად შესწორდნენ მერხებთან. ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. მაგრამ მე ისე მიზუზუნებდა მათი ხმა, ჩემს გონებაში არ განელებულყო ღრიანცელი.

მეც დამნაშავესავით მივჩერებოდი მისაბიშვილს. მასწავლებელი ხმას არ იღებდა. იდგა და შუბლშეკრული უყურებდა ბავშვებს. არ ვიცი, როდემდე გასტანდა ეს დაძაბულობა. სუნთქვა შემეკრა, წარმოვიდგინე, რა დაემართებოდათ შეშინებულ პატარებს.

მისაბიშვილს მჭექარე ხმა ჰქონდა. ყვირილი უზომო გაბრაზებისას იცოდა. ახლა არ დაუყვირია. მომიბრუნდა ისე, რომ სახიდან ცეცხლი არ მოშორებოდა.

— რა მოხდა? რატომ ღრიალდნენ მხეცებივით?

— არ ვიცი. პირველად შემოვედი და ასე შემხვდნენ, — ვთქვი და მაშინ ამოვისუნთქე თავისუფლად.

— პიონერხელმძღვანელად დავნიშნეს?

— დიახ.

— მერედა, პირველად მართო როგორ

გამოგიშვებს? სად არის უფროსი პიონერხელმძღვანელი?

— აქ იყო და წავიდა.

მისაბიშვილმა წინა მერხთან გააშეშულ ბიჭუნას შეხედა.

— მითხარი, რა გაყვირებდა?!

— მე არ ვყვიროდი, — ჩახლჩილა ხმით ძლივს მიუვო ბიჭმა.

იცრუა. ყვიროდა კი, როგორ არ ყვიროდა. შეეხედე და შემომხედა. შეეუბღვირე და თავი ჩალუნა. მერე ქვეშქვეშ გამოიხედა, ალბათ ეგონა მასწავლებელი დამესხნებო. მაგრამ ნურას უკაცრავად, მისაბიშვილი არ მოეშვა.

— თქვი რა გაღრიალებდა?!

— მარტო მე ხომ არ... პატ... მას...

— მე შენ გეკითხები. მერე სხვასაც ვკითხავ.

ბიჭს მხრები შეუთრთოლდა. მერე ორი კურცხალი მის წინ მერხზე წკაპანით დაეცა. მასწავლებელმა აზღუქუნებული ბავშვი დაფასთან გამოიყვანა.

— ასწიე თავი! — უბრძანა მისაბიშვილმა, — დაენახე შენს ამხანაგებს, რა ეუკაცოდ ბრძანდები! ასწიე თავი! ასწიე, ასწიე! კიდევ უფრო მაღლა!

ბიჭი ნელ-ნელა სწევდა თავს. ცრემლს ვერ იკავებდა.

— ახლა აღარ გრცხვენია? დაჯექი, შელაჩარი!

ბიჭი დაჯდა თუ არა, თავი ხელებში ჩარგო და ჩუმად აქვითინდა.

— აბა, შენ რაღას გვეტყვი, გულადო ბიჭო, რა გაყვირებდა?

— მე არა, მასწ...

... მერე ის ყმაწვილიც ატირდა. მისაბიშვილმა ისიც შეარცხვინა ამხანაგების წინაშე. არავის გახსნილი შუბლი არ აჩვენა, მომიბრუნდა და მეც მკაცრად გამომიტხადა:

— ჩაატარე ის, რაც დავალებული გაქვს.

საკლასო ოთახიდან გავიდა და კარი გამბრაზებით მოაჯახუნა.

დავრჩი მარტო ვასუსულ ბავშვებთან. ისე ვთავი დაბნეული და გუნებაამღვრეული, რაღა უნდა გამეკეთებინა. რაც

დამარიგეს და მასწავლეს, უსიამოვნებამ ყველაფერი ერთბაშად დამავეწყა.

მისაბიშვილის ლანდი კიდევ დამდებოდა კლასში. ამ ლანდს მისჩერებოდა ათობით შემკრთალი თვალი.

იმ დღეს ვერაფერი ვერ გავაკეთე. მხოლოდ გვარები გამოვკითხე პიონერებს. გაციცანი მყვირალა და მჩხავანა ბავშვები, ბოლოს შეშინებული კურდღლებივით რომ მომაჩერდნენ. მე მიყურებდნენ და მისაბიშვილის ლანდს კი ხედავდნენ. განა ვერ ვგრძნობდი, რა აშინებდათ მათ. პიონერები შინ გავუშვი და მე მეოთხე სართულზე ავედი, რომ უფროსი პიონერხელმძღვანელი მენახა და მეთქვა ყველაფერი, რაც მეხუთეკლასელებთან მოხდა, იმასაც ვეტყვოდი, რომ მე ამ კლასში ვერაფერს ვერ გავაკეთებდი.

პიონერთა ოთახში ირმა დამხვდა და ჩემი გადაწყვეტილება უმაღ შევცვალებიცი, ისეთ რამეს იტყოდა, ჩემ სიტყვას უკან წამალბენებდა.

— ასე მალე მოათავე ყველაფერი? — მკითხა პიონერხელმძღვანელმა.

— დიახ. დღეს მხოლოდ სამები დაჯუშინე პიონერებს.

— როგორ თუ ხმები? შენ სულ სხვა რამ უნდა გავგეკეთებინა. უნდა აგერჩია რაზმის საბჭო, მისი თავმჯდომარე... შენთვის მომწერალთა გუნდის ჩამოყალიბება არავის დაუვალუბია.

— სამაგიეროდ თვითონ მეხუთე კლასელებმა ითავეს. თქვენ წამობრძანდით თუ არა, ისეთი ღრიალი ასტეხეს, რომ...

ირმას გაეცინა.

უმაღ მის თვალებს შევხედე. აბა თუ სიცილის დროს თვალებიც უცინის-მეთქი. უცინოდა.

ჩემს სიტყვებზე სხვებსაც გაეცინათ. მეორედ რომ შევედი მეხუთე კლასში, თან კლასის ხელმძღვანელი მახლდა. მერე პიონერხელმძღვანელიც შემოვიდა. მათთან ერთად გავაკეთე ის, რაც შევალბოდა. შემდგომ უკვე მარტო მივდიოდი რაზმში. გულდაგულ ვაკეთებდი ყველაფერს. ბავშვებიც უსი-



ტყვოდ მიგონებდნენ. ისინი ალბათ ჩემს უკან ნიადაგ მისაბიშვილის უზარმაზარ ლანდს ხედავდნენ. მე კი არ მინდოდა, რომ ამ ლანდის წყალობით ყოფილიყვნენ ბავშვები ჩემდამი ასე მოკრძალებულნი, არ მინდოდა შინებოდათ ვისიმე. მინდოდა ვყვარებოდა, როგორც უფროსი ამხანაგი. მაგრამ სიყვარულს ხომ მოაოვება უნდა. ის ხომ ყველაზე უძვირფასესი განძია განძთა შორის.

— როგორ მიღის შენი თავდადებული შრომა ხალხისათვის? მეხუთეკლასელებს ეწირები? — თვლების ეშმაკური ციციკით გამეხუმრა ერთხელ ირმა.

— ვეწირები, რა გჭნა. ახლა არა უშავთ რა. მაგრამ მე მაინც მწყინს პირველად რომ ცუდად შემზვდნენ.

— შენ კი არა ზოგიერთ მასწავლებელსაც ასე ხედებიან ხოლმე. შენი გაგიკვირდა? მეექვსე კლასში რომ ვიყავი, ერთს ჩვენს მასწავლებელს სწორედ ასე შევხვდით პირველად; იცოვის? ფიზიკის მასწავლებელს.

— კაკო მენაბდეს? რა კარგი კაცია. მე ძალიან მიყვარს.

— ჩვენც ძალიან გვიყვარს, მაგრამ პირველად რა დღეში ჩავადგეთ... რაღაც ძალიან უფშური მოგვეჩვენა. კლასის ხელმძღვანელმა რომ გაგვაცნო და ჩვენთან მარტო დასტოვა, ცოტა ხნის მერე ავხმაურდით... იდგა საცოდავი კაცი და გვიყურებდა. მერე დაჭდა და ჩუმად შემოგვეტყუროდა. ისე მშვიდად იჭდა, გეგონებთ რესტორანში ზის და ოფიციანტს ელოდებო. ჩვენ კი ვუმატებდით ყვირილს. ვყვიროდით მანამდე, სანამ კარი არ გაიღო და განრისხებული კლასის ხელმძღვანელი არ შემოვიარდა. ეს რა ამბავიაო, დაგვიცაცხანა. მაშინ ფიზიკის მასწავლებელი წამოდგა და უთხრა: „პატივცემულო ქსენია, ეს მე დავრთე ნება ბავშვებს. ეყვირათ და ეხმაურათ, ვისაც როგორ შეეძლო. მოიღლებოდნენ და გაჩუმდებოდნენ. მეორედ ნულარ შეწუხდებით,

გეთაყვა. ვატყობ კარგი ბავშვები არიან“. „კარგი ამით დაემართათ...“ — რისხვა გადმოგვაფრქვია. „ქსენია, მასწავლებელმა, თავის კოლეგას გაკვირვებით შეხედა და კლასიდან გავიდა. ჩვენ გაოცებული მივაჩერდით ახალ მასწავლებელს. „თქვენ რა, ყვირილს ვიშლიან ხოლმე?“ — განგებ გვიტოხა მან. „გვიშლიან, მასწავ!“ — შესჩივლა ერთმა ჩვენმა ამხანაგმა. „უყურეთ ერთი! — თავი გააქნია მასწავლებელმა, — ძალიან დაუშავებიათ. მოდით შევთანხმდეთ. ყოველ გაკვეთილზე გყვირებთ და ვახმაურებთ ათ წუთს. დანარჩენი მე დამითმეთ. მეც ხომ მინდა ყვირილი?“ — ეს ისე თბილად, ისე ალერსითა და გადაკვრით გვიტოხა, რომ ყველანი სირცხვილით ავიწურენით. შეგვებრალა კიდეც. ის იყო და ის, აღარც გვიხმაურია მის გაკვეთილზე. მერე შეგვიყვარდა კიდეც. მართლა კარგი კაცია.

— მე ძალიან მიყვარს.

— ჰოდა, იმ წლის ბოლოს ქართულის მასწავლებელმა საშინაო დავალება მოგვცა — დაწერეთ, ვინ არის თქვენი ყველაზე საყვარელი მასწავლებელი. თითქმის ყველამ ფიზიკის მასწავლებელზე დაწერეთ.

— მერედა, ჩემში რაღა დაინახეს უცნაური მეხუთეკლასელებმა? მეტყობა უქმური რომ ვარ?

ირმას გაცეინა.

— მეც დამიპირეს აგდება. ერთმა გოგომ შენობით მომმართა და ეს არ ვაპატიე. გაავფროთხილე, მაგრამ მეორედაც ასე მომმართა. რეგვენო-მეთქი, არც ვაციე და არც ვაცხელე, ისე დავეუცაცხანე, როგორც ზოგიერთმა მასწავლებელმა იცის. მე შენზე ოთხი წლით უფროსი ვარ და თქვენობით უნდა მელაპარაკო-მეთქი. ვითომ რაღაო?! გაკვირვებით მითხრა. მაშინ ტასო მასწავლებელივით თმები ისე ავუწიწიქნე, ხმა ველარ ამოიღო. დაცინვის ვერ ვიტან.

— როცა შენ თვითონ სხვას დასცილნი?

— მაგალითად ვის?  
 — აი, თუნდაც მე.  
 — როდის დაგცინე, თამაზ? არა გრცხვენია?! ცუდი ადამიანი ყოფილხარ.

— რატომ ვარ ცუდი?  
 — მე შენთვის ისეთი რამ არ მითქვამს, რომ გულში ჩაიხვიო.

— ეგ სრულებითაც არ მიცდია.  
 — მაშ რად გაიხსენე, რომ მე შენთვის დამცინავად მითქვამს რაიმე? მაშ ისიც გემახსოვრება, რა ვითხარი.

შემომყურებდა და თვალები უციმციმებდა. ალბათ, თვითონაც კარვად ახსოვდა, რამდენჯერაც დამცინა. მაგრამ არ უნდოდა იმის გახსენება, რაც ბავშვური გულბრყვილობით მოსდიოდა. ერთ დროს თავაშვებული და ქაღალბიკა, ახლა თამამი, მაგრამ კეკლუცი, ალბათ ბევრ რამეს ნანობდა კიდევ. ესირცხვებოდა იმ საქციელისა, რასაც უწინ სჩადიოდა. რა დამაინწყებდა მის პირველ დანახვას, ანდა მის სასამართლო პროცესს, ნავთის მყიდველთა ყეენობაში მის გამორევას.

ველარაფერი ვუთხარი. დათმობაზე წაველი.

ასე იყო თუ ისე, პირველი კომკავშირული დავალების შესრულებას შევეუდექი. პიონერები რგოლებად დავაჯუფეთ, ავირჩიეთ რაზმის საბჭო, მისი თავმჯდომარე, გამოვეყავით კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია. კედლის გაზეთი ერთხანს დახატული გვედო. არ იქნა და არა, ორი სიტყვა ვერავის ვერ დავაწერინე. ჯიჯღინში, ზეწუნა-მუღარაში დრო გავიდა. ან ვინ იყო დამწერი. ერთ დღეს კომკავშირის ბიუროს სხდომაზე გამომიძახეს და მისაყვედურეს, რატომ არ მუშაობო. თავი მოვიკალი და ბავშვების გასაკეთებელი საქმე მე გავაკეთე. ერთ დამეში გაზეთი მასალოთ ავაჭრე და დილით უძილობით თვალებდასიებული, გამოთავყანებული მივედი სკოლაში. მეხუთეკლასელებს კედლის გაზეთი გავუკარი და პირველი ჩვენი ნამუშევარი გამოჩნდა კიდევ. თავისუფლად ამოვისუნთქე. ახლა რაღას

მისაყვედურებენ-მეთქი. მოწაფე ატორების გვარი და სახელები ისე მივაწერე, ისინი არც კი გამიფრთხილებია. ამას ერთი მოუტევებელი ამბავი მოჰყვა. ერთ წერილში ცელქი ბიჭუნა გავკიცხე. წერილს მისი ამხანაგის გვარი მივაწერე. ეს ცელქი ბიჭი ეცა „ავტორს“ და ატყდა ჩხუბი. ჩემდა უნებურად გადავიკიდე ისინი ერთმანეთს. ჩავერეო მათ ჩხუბში. გავაშველე, დავაშოშმინე და ავეხსენი, რომ ეს არის კრიტიკა. „ავტორმა“ მისაყვედურა, მე კრიტიკოსობას არ ვაპირებ და ჩემი გვარი რად მივაწერეთო. გაკრიტიკებული კი მიბლვეროდა და ალბათ ნორჩ გულში ჩემდამი სამუდამო მტრობა ჩაითესა.

ხელახლა გამომიძახეს ბიუროზე. ახლა უფრო მკაცრად მითხრეს, ასე მუშაობა არ ვარგაო.

საგონებელში ჩავეარდი. უფროსი პიონერხელმძღვანელი წამომეშველა და, როგორც იქნა, მოვამი საქმეს თავი. მივხვდი, სხვისი თვალის ახვევა აღარ გამომადგებოდა.

## 21.

ოცდაათიანი წლების უკანასკნელი წელი იწურებოდა. ნოემბრის პირველ რიცხვებში გაზეთები აუარება საინტერესო და დამაფიქრებელ ამბებს ბეჭდავდნენ. ლენინგრადთან თეთრფინელებმა წამოყვეს თავი და მალე ზარბაზნებმაც იქუხეს. მაშინ გავიგეთ რა იყო მანერპეიშის ხაზი. ლენინგრადის ფრონტიდან ჩვენი მეომრების პირველი საგმირო ამბები გვესმა. ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ჩვენი ჯარი გაარღვევდა მანერპეიშის ხაზს და თეთრფინელებს ისევე დაამარცხებდა, როგორც ამ ცოტახნის წინათ იაპონელი სამურაეები წამოაჩოქა ხასანის ტბასთან, ხალხინ-გოლთან. ამ ადგილებში ბრძოლები თითქოს გუშინ იყო. ვამაყობდით წითელი არმიით. მაგრამ ახლა ვანოსა და სალომესთვის ვეკითხათ, რა დღეში იყვნენ. როცა ფინელებთან ომის დაწყების ამბავი გაიგეს!

იმ დღეს შემოდგომის ბოლოკი აღარ გაუტანიათ ბაზარზე. ცოლქმარი ერთმანეთს შემფოთებულები შეპყურებდნენ. საღამოს ძია სანდრო და მამაჩემი მათ დასამშვიდებლად ეწვივნენ.

— სავალდებულო კი არ არის, ყველა სამხედრო ნაწილი ერთბაშად ჩააბან ბრძოლაში, — თქვა ძია სანდრომ, — თქვენი შვილი მშენებელია და იმას წინა ხაზზე არ გაუშვებენ.

არ ვიცი, ძია სანდრო ამას იგონებდა თუ მართლა სჯეროდა თავისი ნათქვამი, მაშ სად უნდა ყოფილიყვნენ შემტვევი ჯარების გზის გამკვალავი საინჟინრო ნაწილები, თუ არა მოწინავე ხაზზე? მაგრამ ერთში კი მართალი იყო, რომ ყველა ნაწილი ერთად არ გადის ბრძოლის ველზე.

ყველაფერს მაინც უახლოესი ცნობები არკვევდა. შერმადინის ამბები კი მხოლოდ მის წერილებს მოჰქონდა.

ნოემბერ - დეკემბერში შერმადინის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. წერილებს კვლავინდებურად ხშირად გზავნიდა და სულ იმას იწერებოდა, ჩვენები როგორ მამაცურად უტევდნენ იმ დროისათვის უდიდეს გამაგრებულ ზღუდეს — მანერჰეიმის ხაზს. ხაზი კი არა, ქაჯეთის ციხე ყოფილა.

დადგა ახალი წელი. ორმოციანი წლების პირველი თოვლიანი, სუსხიანი თვე. ომი არ წყდება, მაგრამ ქვეყანას ომის სუსხი არ დასტყობია. ბრძოლები ფინეთის მხარეს მიდიოდა.

შერმადინის წერილები ერთხანს შეწყდა, მერე შევიტყუეთ, რომ იგი ლენინგრადის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იწვა. ეს ისეთი თავზარდამცემი იყო, ყველანი შევმფოთდით. ვიშვიში და წუხილი ისედაც არ ნელდებოდა ლაცაბიძეების ოჯახში და ახლა ზომ მთლად მოიშალნენ. ვანო და სალომე მაშინვე მოემზადნენ და ლენინგრადში წავიდნენ შვილის სანახავად. აფორიაქებული თინა რამდენიმე დღე შინ მარტო დარჩა და მერე ნესტანთან გადაბარგდა, სანამ ვანო და სალომე დაბრუნდებოდნენ.

თოვლი თოვლს ემატებოდა ლაცაბი-

ძეების კიბესთან. გული მწყდებოდა, რომ ამ კიბეზე კაციშვილის ნაფეხურებს ვერ ვხედავდი.

ირმას შევატყობინე შერმადინის დაკრის ამბავი. ნეტავ არ მეთქვა. გაფითრდა, თვალები აუწყლიანდა და ძლივს მკითხა:

— მიმივდ არის დაკრილი?

— არ ვიცი. ვილაც უცნობი იწერებოდა.

ირმამ თითზე იკბინა. ჩემთან ველარ გაჩერდა და გაიქცა. ვერ მივუხვდი, ასე რატომ განიცადა. მე რომ შერმადინის ადგილზე ვყოფილიყავი, ნუთუ მეც ასე შემიცოდებდა? ისე მსუბუქად გარბოდა, თითქოს ფეხს არ აკარებს მიწასო. თითქოს იმიტომ გარბოდა, რომ დაჭრილ ვაჟკაცს მიშველებოდა. სხვა ვერაფრით ავხსენი მისი ასეთი საქციელი. იქნებ განმარტოება უნდოდა?

უცებ შედგა, ჩემსკენ შემობრუნდა და მომაჩერდა. ვხედავდი, როგორ გამალებით სუნთქავდა. მასთან მივირბინე.

— რა მოგივიდა, ირმა?

— მეც არ ვიცი... სული შემეკრა... ძალიან შემეცოდა შერმადინი. ვინ იცის, რა დღეშია. გადარჩება კი? თითქოს გუშინ იყო ჩვენთან ერთად... ვანა შეიძლება, რომ ის მოკვდეს? ზომ არ შეიძლება, თამაზ? თქვი, რა გამტერებული მიყურებ. შენ ყოველთვის ასეთი როგორ უნდა იყო. თქვი, ზომ არაფერი მოუვა? — ხელი მომიკლა, შემანჯღრია თვალცრემლიანმა, — თქვი-მეთქი! შერმადინმა იცოდა ადამიანის დამშვიდება. შენ კი არაფერი არ იცი. დოყლაბისასავით დგახარ და მიყურებ.

— მე იმას როგორ წარმოვიდგენ, რომ... არა, შერმადინს რა უნდა მოუვიდეს! რა გულჩვილი ყოფილხარ, ირმა.

— მაშ თვითონ ვერ მოიწერა? სხვისი ნაწერი იყო?

— სხვისი.

— ალბათ ძალიან ცუდად არის. აი, ზომ ხედავ, როგორ აირია ყველაფერი! — წამოიძახა და გამშორდა. წავიდა და აღარ მოუხედავს. არსად არ მიეჩქარე-

ბოდა და მოწყვეტილი, ნელა, სულ ნელა მიდიოდა.

ბევრი რამ არ ვიცოდი მაშინ, ბევრ რამეს ვერ ვხვდებოდი.

თებერვლის ბოლოს დაბრუნდნენ ვანო და სალომე. კარგი ამბავი ჩამოიტანეს. გულდამშვიდებულები იყვნენ. შერმადინი მალე ფეხზე დადგებოდა.

ეს ამბავი შაშინვე ირმას ვახარე.

— არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, ირმა.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი. გუშინ მივიღე წერილი. ახლა გაზაფხული მოდის და ყველაფერი კარგად იქნება... ჩვენ ყველანი კარგად ვიქნებით, თამაზ. შეხედე, როგორ იცრემლებიან ხეები. ეს ზომ სიხარულის ცრემლია!

## 22.

ვინ იცის, რამდენჯერ მიფიქრია სიკვდილ-სიცოცხლეზე. და ვის აღარ უფიქრია. გამირკვევია ქამი სიცოცხლისა. ვერ გამირკვევია ქამი სიკვდილისა. არა-რაობის არსი არ გამეგებოდა. რაობის არსი კარგად მესმოდა. ფილოსოფიური საუბრები მოგვიმრავლდა მე და ძია ილიკოს. 1941 წელს მერჩვიდმეტე წელში ვიყავი და ცხოვრებას უკვე სხვაგვარად ვაკვირდებოდი, მაგრამ ბევრ რამეს მაინც გულუბრყვილოდ ვუყუარებდი.

ერთხელ, სიკვდილ - სიცოცხლეზე რომ ჩამოვავდეთ საუბარი, ძია ილიკომ მითხრა:

— ქამი ჩვენთვის, ცოცხლებისათვის არსებობს, რომლებიც ყოველ დღეს წუთობით ვითვლით, ვსაზღვრავთ, ვზომავთ, ვუფრობილდებით, ვიყენებთ, ხან კი უქმდაც ვკარგავთ. ზოგჯერ კი, ვილაც, ან რაღაც შეგვიშლის ხელს, რომ სანეტაროდ ველარ გამოვიყენოთ ქამი ჩვენი სიცოცხლისა.

ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ გამახსენდა ძია ილიკოს სიტყვები, როცა ჩვენთვის სანეტარო ქამი დაიბრუნდა.

22 ივნისს, კვირა დღეს, მახსოვს,

მზიანი დღე იყო. ჩემი მეგობარ-ამხანაგები საავგარაკოდ იყვნენ გაქრეფილები და შინ მოწყვნილად ვერჩნებდნენ თავს.

დღილით დედაჩემი მოკეთესთან წავიდა. მამა უბანში იყო გასული. ძია ვანო და დეიდა სალომე სად იქნებოდნენ თუ არა ბაზარში, მწვანილი მოუვიდათ და მერე როგორი! ქორთა კიტრიც წაიღეს გასაყიდად. თინა ნესტანთან აიბარგა. ნესტანს გოგონა შეეძინა და თინას გული სულ იქ იყო. ჰოსპიტალში განკურნების შემდეგ შერმადინი დროებით სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად სცნეს და თბილისის შორი-ახლო, ერთ უდაბნო ადგილას, სამხედრო დანიშნულების მშენებლობაზე მოეწყო. ორ კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა თბილისში თავისიანების სანახავად.

წელზევით შიშველმა ონკანთან ვიჭყუბალავე და გავვარილდი. გახურებულ მიწაზე ფეხშიშველა ვავიარე. ცხელმა კენჭებმა ფეხისგულები ამიწვა.

ისეთი არხეინი დღე მეჩვენა, როგორც იმ წუთში მე ვიყავი. თურმე იმ დროს კი ქვეყანაზე დიდი ამბები ზდებოდა.

ქუჩიდან, ხალხის ხმაური შემომესმა. აღამიანთა რამდენიმე ჯგუფმა ჭიშკართან ყაყინით ჩაიარა, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიმიტკევია. ბაზარი იქვე ახლო იყო და აბა, ჩვენს უბანში ხალხს რა გამოლევდა?!

თავზე პირსახოცი წავიკარი და ისე გავწეჭი ტახტზე, როგორც ზღვაზე იციან-ხოლმე. მზე მწიწკნიდა და მთენთავდა. ძილი მომერია. შუადღე ახლოვდებოდა და მზე შუბის წვერზე აიპართა.

ჭიშკარმა გაიჭახუნა. იქითკენ ცერად გავიხედე. ეზოში ძია სანდრო შემოვიდა. ისეთი ჩქარი ნაბიჯებით არასოდეს არ წამოსულა შინისაკენ. მარდი ბიჭივით მოდიოდა. ტახტზე წამოვკეჭი და შევხედე. შეშფოთება შევატყე.

ძია სანდრო თავისი სახლის კარს მიუახლოვდა, გასაღები გადაატრიალა და თითქოს მხოლოდ მაშინ შემინიშნა, მო-

მიბრუნდა და მღვღინავე ხმით მითხრა:

— ხო გეუბნებოდი.

— რას შეუბნებოდი, ძია სანდრო? — ტახტიდან ვაღმოვედი და შინ შევეყევი. ძია სანდრო მძიმედ სუნთქავდა. ეტყობოდა, ჩქარი ნაბიჯით კარგა მანძილი გამოველო. რადიომიმღები ჩართო და შემომხედა:

— უბედურება დაიწყო... და ვინ იცის, როდის გათავდება.

— რა უბედურება, რის უბედურება, ძია სანდრო? არაფერი მესმის, — ცოტა არ იყოს შეგკრთო.

რადიო დუმდა. როგორ შეიძლებოდა ისეთ წყნარსა და მშვენიერ ღღეს საღმე ვისიმეს თავს იყოს უბედურება!

— ომი დაიწყო, — თქვა ძია სანდრომ მძიმედ, — აი, ყური უგდევ. რამდენიმე წუთში ყველაფერს იტყვიან.

მართალი ვითხრათ, მაშინ ვერც განვიცადე ომის საშინელება.

— ჰი! — ჩავიცინე გულუბრყვილოდ.

— ხომ არ გასულელდი? რა გაციონებს? სულელო, იცი რა არის ომი? და მერე ვისთან... გერმანელები დაგვეცინენ. შენ რა გეგონა, რად ვაიცი? — გამიბრაზდა ძია სანდრო. ასეთი ადელევებული და ჩემდამი აღრენილი არასოდეს არ ყოფილა. სულელიც კი მიწოდა.

მრავალჭირნახულმა კაცმა თვალნათლივ წარმოიდგინა ყველაფერი. შე კი ზერელედ, ქარაფშუტულად შეეხედე.

— ლაპარაკობს მოსკოვი... ლაპარაკობს მოსკოვი...

და ჩვენ გფინაბეთ.

ქუჩაშიც შეწყდა ხმაური.

...დაიწყო ეამი არეული ცხოვრებისა.

23.

ორმა და ბებიაძისი ქობულეთში შეგულბოდნენ. ომის დაწყების მესამე დღეს კი შორიდან დაგინახე. შინიდან აჩქარებით გამოვიდნენ და სამხედრო გზით ქვემოთ დაემგნენ. ირამ ვერ შემინა, თორემ უთუოდ შემეხმინებ-

ბოდა. იმავე საღამოს კი მარტო ვნახე. ადელევებულმა მითხრა, რომ მამამისი მოხალისედ წავიდა ჯარში. მუცლამ და უღელელ მოლაპარაკეს ბევრი არა უთქვამს რა ჩემთვის. მალე დაშორდა.

შინ რომ მოვბრუნდი, ძია სანდროს კარი ფართოდ იყო ღია, ელნათურა გაეჩაღებინათ და ოთახიდან ხმაური გამოდიოდა. უცებ ტატე გულვარდაშვილის როხროხი გავიგონე და გამეხარდა. არ ვიცი, რამ შემაყვარა ეს კაცი. როცა იგი კახეთიდან ჩამოვიდოდა, ჩემი ზეიმი იყო. როგორც ახლობელ ნათესავს ისე შევეუბრებდი.

— აბა, ძველო... აუწი ჭიქას, აუწი ჰიტლერ დედას ეუტირებთ და ისევ ვიქვიფებთ.

მამაჩემიც იქ იყო, ძია ვანოც, კართან გამოვიჩნდი თუ არა, ყველაზე უწინ ტატემ დამინახა. ფეხზე იდგა და შეზარხოშებული მხრებს აქნევდა, ისე იშმუშნებოდა, თითქოს ტანისამოსი ეჩოთირებოდა.

ნაცნობებისა და ახლობლების გარდა მაგიდას მკვიდროდ მისხდომოდა, ჩემთვის უტნობი, ხუთიოდე ჭველი კაცი.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! როგორა ხარ, ძველო? აქეთ ვადმო... გამოუშვით ჩემკენ. გამოუშვი, ლაღო!

ჩახერგილ სკამებს შორის ძლივს გავიარე და, როგორც იქნა, ტატეს მივეახლოვდი, შუბლზე მაკოცა ასეთი ჩვევა ჰქონდა. მერე ღვინით სავსე ჭიქა მომაჩეჩა და თავის ამფსონს ჩემი თავი გააცნო:

— ვარდენის ბიჭია. აბა, შეხედეთ! ძველია, ძველი!

— რამხელა ბიჭი ჰყოლია! — თქვა ერთმა. ვითომ მართლა გაუკვირდა. ნუთუ მამაჩემი ისეთი ჭველი ჩანდა, რომ შევილად არ შევეფერებოდი?

— გაიზარდე, გაიზარდე! — თქვა მეორემ (რადაცა ხომ უნდა ეთქვა).

— აბა, დაილოცე. ჩვენი გამარჯვებისა და ჰიტლერის რჯულის ამოვარდნისა. აპაანდეთ და ეს დღე დაიმასხოვრეთ, იმას ყოფას როგორ ვუტირებთ! — ტა-



ტემ ხელები გადაიფშვინტა და მერე მარჯვენა მტევანი მხარზე დამადო.

— სადღეგრძელოს გაუმარჯოს! — სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. ტატემ შემომიტია:

— ორი სიტყვის თქმა ველარ გასწავლეს ი სკოლაში? ამ ღვინოს კი ლაზათიანი სიტყვაც უნდა. ღვინომ დაგვზარდა ჯანიანი ბიჭები. დედის რძე ერთ წლამდე გვზარდიდა, მერე ამან ვაგვზარდა ყველანი, — თქვა და ხელი ზემოდან გადაავლო თავის ამხანაგებს, — სულ ამ ღვინოს წყალობით დაგვბერვია ძარღვები სისხლითა. ეხლა ჩვენი სისხლი ჰიტლერის მოსწყურებია... მე კი ის ვიცი, რომა, ვიდრე ჩემ სისხლ დაღვედეს, მე დავლევი იმი სისხლ!

— ვგრე, ტატე, ვგრე! — დაუდასტურეს ბიჭებმა.

როგორღაც მოვუყარე თავი ორიოდ სიტყვას.

— აფერუმ შენს ვაჟაკობასა! — მომაძახეს, როცა ჭიქა გამოვცალე. კახურმა, უმაღლ ძარღვებში დამიარა. ჭიქა დავდგი და საკმელს გადავწვდი. საკმელი კი უხვად ეყარა მაგიდაზე. რა ვიცოდით, რომ მალე სანატრელი გავეხდებოდა ასეთი სუფრა.

არ ვიცი, ეს კახელი ბიჭები თბილისის გასაწვევ პუნქტში როგორ მოხვდნენ. ბინად ჩვენი სკოლის შენობა მივიჩნათ. დროებით მათი სამხედრო ნაწილი იქ უნდა მდგარიყო. ეს ამბავი გამეხარდა. ტატე იქვე, ჩვენთან ახლო იქნებოდა.

შინიდან იმდენი რამ წამოვღოთ ბიჭებს, მთელ ასეულს ეყოფოდა. ახლა შეკრების პირველი დღე იყო, მკაცრად არავინ მოჰკიდებია მათ და ლაზათიანი ქეიფიც გაეჩაღებინათ.

სანდროს ჭაღიშვილი, ნინო, სწუხდა ქმარი რომ ჯარში გაიწვიეს, შეჭოფინებდა, ესიყვარულებოდა და მრავალ სააღერსო სიტყვას ეუბნებოდა, როგორ ეცოდებოდა ტატე! ომი ომია და ბევრი იხოცება ბრძოლის ველზე. იქ არავინ იცის, ვინ გადარჩება და ვინ დაეცემა. იქნებ ტატეც დაეცეს? ალბათ ამას

წარმოიდგენდა ხოლმე ქალი, დროდადრო ქვედა ყბა რომ აუთრთოლდებოდა მღელვარებისაგან და თვალში ცრემლი გამოუბრწყინდებოდა. ამის დანახვაზე მე გული მტკიოდა, ხოლო ტატე, თითქოს ვერაფერს ხედავსო. რიხიანად განაგრძობდა სადღეგრძელოებს. ვინც არ უნდა დაელოცა და რაც არ უნდა ეთქვა, ჰიტლერის გინებას ყველგან ოსტატურად ჩაურთავდა და ბოლო სიტყვებს ამით ამთავრებდა:

— ვიდრე ის დაღვეს ჩემ სისხლ, მე დაღვევი იმი სისხლ!

ერთმა ვაჟაკმა შენიშნა:

— ნეტა რა დარღუბალად გინდა იმი ტურტლიანი სისხლი?

მეორემ თქვა:

— ჩვენ აქა ვქეიფობთ და, ვინ იცის, რამდენი ჩვენისთანა ვაჟაკი კი სისხლსა ღვრის ფრონტზე.

— ამ პურისქამას ქეიფი არა ჰქვია, — შეაწყვეტინა სიტყვა ტატემ, — ჩვენს გზას ვილოცებით რომ ჭირიდან და ცეცხლიდან მთელნი და საღნი გამოვიდეთ, გამარჯვებულნი დაებრუნდეთ. ქეიფი მერე ნახეთ, როცა გავიმარჯვებთ... აბა, ძველო, აუწი ე მაგ ჭიქას! იცი რამხელა გზაზე ვართ წასასვლელები?

ღვინოს ეძალებოდნენ, ხარბად სვამდნენ ჯარში გაწვეული ბიჭები. მამაჩემს, ძია ვანოსა და ძია სანდროს კრიჭა შეჰკროდათ. მამაჩემისა მიკვირდა, სასმელისმოყვარული კაცი ოდნავ მოწრუპავდა ჭიქას და დაღვამდა. ამ სამთა არ აძალებდა ღვინოს ტატე. ღვინოს თავის ამხანაგებს ასმევდა. შემთვრალი ბიჭები არ უარობდნენ, ჭიჭებს ერთი სულისმოთქმით ამშრალდნენ. ცხელოდათ და საყელოები გადაედღათ. ეტყობოდა, ტატეს დიდ პატივსა სცემდნენ. ტატე ხნითაც მათზე უფროსი იქნებოდა, მათზე ტანადიც იყო და სიტყვაშიც დანარჩენებს სჯობდა.

დიდხანს ისხდნენ. მერე წამოიშალნენ და წავიდნენ. ტატე სიმამრისას დასტოვებს ბიჭებმა და თვითონ ნაწილში გასწვიეს. არც ენა ებმოდათ და არც ფეხი.

შამოგზნებულები იყვნენ და სულ ბუზღუნით იმუქრებოდნენ. ისინი რომ წავიდნენ, ჩვენ კიდევ ვისხედით და ტატეს ვუსმენდით. არც თვითონ იძინებდა და არც ჩვენ გვიშვებდა დასაძინებლად. ისევ სუფრაშთან იჯდა, მაგრამ სადღეგრძელოს არ ამბობდა, ღვინოს არ სვამდა. თავისი ნინო გვერდით მოესვა და როგორც პატარა ბაღს, ისე ეფერებოდა. გულაჩუყებული ნინოც გვერდიდან არ შორდებოდა.

მეორე დღეს გვიან გამეღვიძა.

ტატე ნაწილში წასულიყო, ძია სანდრო — ქარხანაში. ნინო ქურქელს რეცხავდა. ცრემლით ასწყლიანებოდა თვალები. ვთხოვე, რადიოს ჩაერთავ-მეთქი. ნამტირალევი ხმით მომიგო:

— ნუ ჩართავ, თუ ღმერთი გწამს, გული ღამის გამისკდეს.

იმ დღეს პირველად შევნიშნე, რომ ჩვენი ქუჩიდან გაქრნენ ავტობუსები.

სკოლის შენობას მივადექი. ოთხსართულიანი სახლი სკასავით ზუზუნებდა. შესასვლელში თოფიანი კაცი იდგა. თოფს უანგინი ხიშტი ეკეთა. ალბათ ჩვენი სამოსწავლო თოფებიდან აიღო, სამხედრო კაბინეტში რომ გვქონდა. გუშავს სამხედრო სამოსელი არ ეცვა, მოტვლებილ თავზე თუშური ქუდი მოეგდო. ნაცრისფერ სატინის ხალათზე ვერცხლით გაწყობილი ვიწრო ქამარი ეკეთა. ავუარ-ჩაუუარე და ტატე ვიკითხე.

— აბა, აბა, იქით გაიარე! — შემომიბღვირა გუშავმა.

— მე კი არა ვარ ჰიტლერი, რას მიბღვერი! — არც ვაციე, არც ვაცხელე, ვუთხარი და ვიწრო ქუჩის მხარეზე გადავედი. ახლა იქიდან შევხედე ყაზარმაღქცულ სკოლას.

მალე ჯარში გაწვეული ხალხი გარეთ გამოიყვანეს. ისეთი ყაყანიტ გამოხროვნენ, თითქოს კრებიდან დაიშალნენო, სათქმელი რომ ვერ მოუთავებიათ და კამათს კიდევ განაგრძობენ.

სულ უქოჩრო, თავმოტვლებილი ბიჭები იყვნენ, მაგრამ ზოგს თუშური, ზოგს ჩალის, ზოგს თავიანთი შეკერილი

ქუდეები ეხურათ. აქა-იქ თეთრი, ფართოფარფლებიანი ქუდეებიც; ჩანდა

გამოხროვდნენ და უმალე შეგნიშნე ტატე გულვარდაშვილი. ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდცხვირა. თუშური ქუდი მთლიანად ვერ უფარავდა მოტვლებილ თავს. პირისახე მზისგან შერეული ჰქონდა.

აქეთ-იქიდან, როგორც ცხვრის ფარას მწყემსები, ისე დაურბინა ხალხს რამდენიმე სამხედრომ, გასძახ-გამოსძახეს და ბრბო ჯარს დაამსგავსეს, გაწვეულები ოცეულებად მოაწყვეს.

ტატეზე მეღიმებოდა. მაღალი რომ იყო, ოცეულს წინ დაუყენეს. მაშინ კი დავლონდი, უცებ გავიფიქრე, ფრონტზედაც თუ ასე წინ გაუშვებს, ვაი, შენს ტატეს-მეთქი. მის მიზანში ამოღებას დიდი დავიდარაბა არ დასჭირდებოდა. ასეთი მაღალი ხალხი არც უნდა წაიყვანონ ჯარში. ალაღებდნენ გასროლილი მტრის ტყვიაც კი ადვილად მოძებნიდა. ერთნატილმა დამიარა. შემეცოდა ტატე. საბრალო კაცი! სხეები გადარჩებიან, ის კი... გული შემიკეუშმა და მოვიღუშე. ოცეულს მივუახლოვდი, რადგან სხვა ცნობისმოყვარენიც მოგროვდნენ და ათვალიერებდნენ ჯარში გაწვეულ, ახალთავმოტვლებილ ბიჭებს, ჰიტლერმა საქმეს რომ მოაცდინა.

ტატემ დამინახა და გამიღიმა. წყობილების წინ სარჩაყლაპულივით იდგა.

ოცეულის მეთაური ლოტოს კოქსა ჰკავდა. სამხედრო კაცს სულ არ შეშვენოდა ასეთი სიდაბლე და სიმსუქნე. პატარა ბიჭივით სხარტი კი იყო. ერთი დაიძახა, სმენათ და თავისი ოცეული წამში გააქვავა.

ოცეულები სამხედრო გზაზე გაიყვანეს და ზევით აატარეს.

უწინ სამხედრო ნაწილი თუ აივლიდა, ჯარისკაცები დელისის მინდვრები-საკენ გადაუხვევდნენ, ან ლისის ტბისაკენ გასწევდნენ. აქეთ ხშირად დადიოდნენ სამთო-საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები. ახარბიანებდნენ ქვემეხებს და გვიან საღამოს ისევ ჩამოახრიანებდნენ. ახლა, მეგონა, რომ ამ



ბიჭებსაც დელისისაკენ ან ლისის ტბისაკენ წაიყვანდნენ, მაგრამ, როგორც კი მიუახლოვდნენ პურის დუქანს, კომერციულს რომ ვეძახდით, მთელი ის იმდენი ხალხი შემოაბრუნეს და უკან დასძრეს. ცალ-ცალკე ოცეულებად დაყოფილნი მოდიოდნენ.

როცა ზევით აიარეს, მეთაურები ქართულად უძახდნენ, ერთი, ორი, სამიო. ნაბიჯს უთვლიდნენ. ჩამოიარეს და ტატეს ოცეულის მეთაური, რომელსაც შუბლზე ხვითჭი გადასდიოდა, ძლივს ქვინავდა და ისტაბარს მაინც არ იტყვია, თავის მეომრებს ჩახლენილი ხმით უძახდა:

— აით, დვა, იი! აით, დვა, იი!

ტატე გულვარდაშვილი წინ ისე მხნედ მოაბიჯებდა, გეგონებოდათ მკერდით რაიმე წინალობა უნდა გაიტანოსო. მკერდიც განიერი ჰქონდა. სულ შიშში ვიყავი, რომ ფრონტზე გასვლისთანავე რაიმე უბედურება ეწეოდა.

ჩვენი ეზოს ჭიშკართან ვიდექი და შევეყურებდი ჯარისკაცების წვრთნას. ბიჭები ცდილობდნენ მეთაურები არ გაენაწყენებინათ და თავიანთი მზადყოფნა ეჩვენებინათ.

რვაჯერ აიარ-ჩამოიარეს. ოფლში გაიწურნენ. ზაფხულის მწველი მზე აჭერდა და აბა რა სიკეთე დაადგებოდათ იმდენ ხანს მზის გულზე ყოფნით.

ჭიშკართან იდგა ნინოც, დაღონებული, მოწყენილი თვალებით მიაცილ-მოაცილებდა თავის ქმარს. დროდადრო სევდიანად და ღრმად ამოიოხრებდა.

— ღმერთი არა გწამთ? — გაბრაზდა ქალი, როცა ტატე და მისი ამხანაგები მეცხრედ წაიყვანეს პურის დუქანისაკენ. — აქვე თუ დახოცეს ეს ხალხი, იქ რაღა უნდა გააკეთონ?

— უნდა გაწვრთნან. გაუწვრთნელად ფრონტზე როგორ წაიყვანენ, — ავუხსენი ნინოს.

მან ცრემლი მოიწმინდა და კახეთში ნასწავლ-გაგონილი წყველა გულიანად გადმოაფრქვია.

სალამოს ტატე მარტო გამოუშვეს

თრიოდ სავით. მოვიდა თუ არა, ცოლს უთხრა:

— ხვალ დილას აიკარ გულვარდაშვილს და იჭაურობას მიხედვ... აქ ცქერა არ მინდა. თეატრი ხო არ არის? ჩამოდგებით ჭიშკართან და მიყურებთ, ტატე გულვარდაშვილმა სიარული იცის თუ არ იცისო. სიჭა კი გამაგლებინეს. მაგრამ სამაგიეროს იმისგან ავიღებ, ბერლინში რომ მივეყარდები... გაიგვრა გითხარი, ჩემო სიცოცხლევ და ანგელოზო? — ტატე ცოლს ძალზე სათუთად მოეფერა და აკოცა.

ნინო ქმარს მკერდზე მიეკრა. შევატყვე, ტატეს ენა ჩაუვარდა და ხელი. რომლითაც ცოლის თავი მკერდზე მიეკრა, ოდნავ უთრთოდა.

ცოლმა შეუსრულა თხოვნა. ცრემლითა და მუდარით გამოეთხოვა, თავს გაუფრთხილდით.

ორი დღის შემდეგ ბიჭებს სამხედრო ტანისამოსი ჩააცვეს. ახლა კი ახალთახალ ჩექმებს გამეტებით ურტყამდნენ სამხედრო გზის ასფალტს.

ტატე სულ სხვანაირი ჩანდა სამხედრო სამოსელში. ნაზღის ქუდის მაგიერად პილოტურა ეხურა.

ასფალტზე ბრაგაბრუვი გაუდიოდა ჩექმებს.

— აით, დვა, იი! აით, დვა იი!

ერთი კვირა ასე იარეს.

ერთ დღეს კი ტატე დაფეთებული შემოვარდა ჩვენს ეზოში, ყველას დაგვერია. გადაგვკოცნა, სიმამრი გულში ჩაიკრა, მივდივართო და ფართიფურთით ისევ გავარდა. გამოგვდევნეთ. სკოლის შენობასთან ხალხი ირეოდა. იღვრებოდა ცრემლი.

ძია სანდრომ ნავთლუღის სადგურამდე გააცილა სიძე. ჩვენ არ გავყოლილვართ. მაგრამ არ დავგიძინია, ვღარვმეშა კაცი შინ არ დაბრუნდა.

— არა გძინავთ?

დეიდა სალომე, დედაჩემი და მე გარეთ, ტატე ვისხედით.

— წავიდა, ჰა? — ჰკითხა დეიდა სალომემ, როცა სანდრო თავისი თათბის კარს აღებდა.

— წავიდა, — ამოიოხრა სანდრომ და ოთახში შევიდა. სინათლე არც კი აუნთია, ისე გაიხადა და დაწვა. კარს ღიას სტოვებდა, რადგან სიცხე აწუხებდა. ღამის სიგრილე კი სასიამოვნო იყო.

მალე ჩვენც წამოვდექით.

მშვიდი ღამე იყო. და სადღაც იმ დროს იყო გახურებული ომი. იმ ომში მიდიოდნენ და მიდიოდნენ ეშელონები ერთ მათგანში იჭდა ტატე გულვარდამ-ვილი და, ალბათ, თავისი მშობლიური კუთხის გამოსათხოვარ სიმღერას გულამოსკვნილი ამბობდა. ანდა, ბოლშე-მორეული კაცის შფოთიანი ძილით ეძინა აჯანჯლარებულ ვაგონში.

24.

არც სარდაფი გვექონდა, არც საკუჭ-ნაო, არც სურსათის რაიმე მარაგი.

ომი დაიწყო და შინ ერთი კილო ბრინჯი, სამი კილო შაქარი და ცოტაოდენი ბურღული შეგვჩაჩა.

ცხოვრება ერთბაშად შეიცვალა. უმალ დაცარიელდა მაღაზიები, აიწია ფასებმა. ომის პირველივე დღეებში ხალხმა საგრძნობლად იმატა საბურთალოს ბაზარში. დღითიღლე უფრო მატულობდა და მატულობდა. გამოჰქონდათ და ჰყიდდნენ, რაც კი რამ გააჩნდათ შინ.

როცა პირველად ბარათით ავიღე პური, მაშინ ვიგრძენი ომის სუსხი. სამ სულზე კილო და ორასი გრამი პური მოგვეცეს. შავი პური მანამდეც ცხებოდა, მაგრამ მის ჭამას არაფერი სჯობდა. ახლა კი ვინ იცის, რა არ იყო შიგ გარეული.

## ნიკოლოზ ჩაჩავა

უფროსი თაობის ნიჭიერ პოეტთა პლედადს ეკუთვნის ნიკოლოზ ჩაჩავა, რომელსაც წელს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა.

ცხოვრების მრავალმხრივი გამოცდილებით აღჭურვილმა პოეტმა შექმნა ლირიკული ლექსების რამდენიმე თემატური რკალი.

ვაჭვეუხებით პოეტის ახალ ლექსებს.

## ჩვენი ღირების ქვედატან ვეზავარ

შათი თლილი ქვა დღევანდელს უხმობს,  
ეხმიანება ხვალინდელ დღესაც.  
ნურავინ ფიქრობს, რომ დგანან უხმოდ,  
მათ ეს სიჩუმე შემორჩათ წესად.

სიჩუმე ქვების ისე მეტყველებს,  
უნო კაცსაც აუბამს უნას,  
ამ მოებს, ამ მინდვრებს კლდეებს და ველებს  
აძლევს სიცოცხლეს და აღმაფრენას.

## პაპაღა მოთახში

ეცოტავება სუნთქვა მოთახის.  
მას უსასრულო სივრცე მოსძახის,  
კუთხიდან კუთხეს აწყდება, ცდილობს,  
როგორმე ისევ გავიდეს გარეთ,  
დასანანია და სასაცილო

პეპელას ლტოლვაც და სიმწუხარეც.  
შემოიტყუა სხივთა დინებამ,  
ნათურას ირგვლივ ბორგავს, ფათურობს —  
რატომ ჰგონია, მზეს ეჭოდება?  
უზარმაზარ მზეს რით ჰგავს ნათურა?

## ნაშუაღამევს ქალაქში

„ო, ბნელო ღამეე, შეჯავრები მე შენ“  
ი. ჭავჭავაძე

მე ვერ გავეუძლებ ქალაქის დუმილს,  
რის მაჭისია ქალაქი ჩუმი.  
თვალბდათხრილი სახლები თითქო  
დამუნჯებულან, თავისთვის დგანან.  
ვინ შემიკედლებს, ვის მივაკითხო.

ბნელში ერთმანეთს ასე რომ ჰგვანან.  
დაუსრულებელ ამ სიბნელეში,  
არვინ იცინის, არავინ კენესის.  
ჰეი, სახლებო, რა დროს ძილია,  
მე მარტოხელა კაცი ვარ ახლა,


მარტოხელობა არ შემოქლია,  
 კარებს ვაწყდები თვითეულ სახლთან.  
 გემუდარებით, გამიღეთ კარი,  
 დაერჩი ღამეში მიუსაფარი.  
 აანთეთ ყველა ელნათურები,

რომ დღესასწაულს ცხოვრება ჰგაედეს,  
 რომ დაგტკბე დიდი ქვეყნის ფიჭვებით...  
 დღის სიცოცხლე ღამეშიც ჩანდეს.  
 ვერ შევეჩვევი ქალაქის დუმბილს,  
 საცოდავია ქალაქი ჩემი.

### ნამდვილად ასე...

ჩვენ ერთად ვდგავართ, არ ვგრძნობთ  
 სრულიად  
 ირგვლივ უამრავ ფოთლების წრიალს,  
 ყველა დრო უკვე გარდასულია,  
 დროს აქ მანძილიც კი წაუშლია.

და ვსუნთქავთ თითქოს ყველაფრის მიღმა,  
 მიღმა დროის და მიღმა მანძილის...  
 და ვერ ვგრძნობთ, დრო რომ განაგებს  
 იღბალს,  
 მახშია ჩვენი სუნთქვა ნამდვილი.



იაროსლავ იოსელიანი

## საგანგებო პატაკი

ვიური კავი

ჩემში ტევა არ არის. ხალხს სუნთქვა უჭირს. გეგონებათ, ზორის ნახევარკუნძულის მთელს მოსახლეობას თავი მოუყრია ამ ერთ ვიწრო ქოხში, თოლას ბუდესაგეთ რომ მოყუყულა ჩრდილოეთის პატარა კონცხის ვიწრო ველზე. ესაა გვარის უხუცესის, ბაბუა ტუნგა უდეს ქოხი, ანუ „ჩუმი“, როგორც იმიერპოლარეთში ეძახიან. აგერ უკვე მეორე დღეა, რაც ტუნგა უდეს ჩემში სიკვდილს ებრძვის უცნობი კაცო, რომელიც მეთევზეებმა იპოვეს ზღვაში, დახრჩობას გადაარჩინეს და აქ მოიყვანეს წყნელებისა და ირმის ტყავებისაგან უბრალოდ გაშენებულ თავწვეტიან სამყოფელში. ავადმყოფი ირმის ტყავებზე წევს, იატაკზე რომ დაუფენიათ. სასთუმალთან უზის ახალგაზრდა თვალმოციმიკიე ქალიშვილი, ჩქემა, ამ მხარეში ექიმად წოდებული, თუმცა მხოლოდ საფერწლო სკოლა დაუმთავრებია ნაოიან-მარში და კრავკოვის კუნძულზე გამოუგზავნიათ, სტალინის სახელობის მეცხოველეობის კომპიუტერნობაში. იქვე, ავადმყოფის გარშემო, მამაკაცები ჩატუქტულან და ხმადაბლა საუბრობენ. რა ბუმბერაზიო, უკვირთ, მოხუცებს კი ირმების მომთვინიერებელი ღმერთი ჰგონიათ. ვინაა ეს ბუმბერაზი და რანაირად

მოხვედრილა ღია ზღვაში თითქმის სრულიად ტიტველი? ცხოვრების ქირვარაში გამობრძმედილი ბრძენკაცი ტუნგა უდეს სიტყვაძუნწი მოხუცია, უფრო მოსმენას არჩევს ზოლმე, სიტყვის სათქმელად კი იშვიათად გადადებს პირს, მაგრამ ამჯერად იმასაც აუდგამს ენა. წუნს, ოხრავს და თავს აქნევს:

— ახ, ესეც თუ ექიმიწა როგორ იქნება ასეთ გოგონას ადამიანის სიცოცხლე მიანდო? იმდენი ვერ მოუხერხებია, რომ ავადმყოფს ცხელებამ გაუაროს, ზომიერად ისუნთქოს, პირიდან ქაფი არ ამოუშვას...

— ფილტვების ანთება აქვს, მარჯვენა ხელის მოტეხილობა, — ამოდ უხსნის ჩქემა. — მაგისი მორჩენა ასე ადვილი არ არის...

— მაშინ რა საჭიროა ექიმი? — ყრუდ პასუხობენ ხანდაზმულნი. — ავად რომ არის, ამას ჩვენც ვხედავთ. მორჩენა უნდა და არა ლაპარაკი.

მაინც ვინ არის ეს უცნობი? იქნებ გერმანელია და მისი მორჩენაც არა ღირს? ამბობენ, კარის ზღვაში გერმანელთა წყალქვეშა ნაგები გამოჩნდნენო. ნაგები კი არა, ნამდვილი გემები! ეშმაკებივით დაძვრებიან წყალქვეშ, მხოლოდ დროგამოშვებით გამოჩნდებიან ზედაპირზე და ჩვენს ხალხს მუს-



რავენო. აი, ამტკიცებენ, მეზობელ მე-  
თვეზეთა კანჯო გერმანელებმა ჩაძი-  
რესო, იმ ქავებმა.

— არა, ეს გერმანელი არ არის! —  
გადაჭრით აშბობს ტუნგა უღე. — ნა-  
ხეთ, რა შავი ქოჩორი აქვს, ყორნის  
ფრთასავით უღვაშები, რა ნაზი ვაყა-  
ცური სახე... ეს სამზრეთის კაცია!  
დროით უნდა შევატყობინოთ დიქსონ-  
ზე, იქ ნამდვილი ეჭიმები არიან... მაგ-  
რამ რა ექნათ, რადიო გაფუქდა, მარ-  
ხილით კიდევ იქ როდის ჩახვალ! მა-  
ნამდევ შეიძლება კაცი საიქიმს ესტუ-  
მროს. გზები არაა. დღეს მხოლოდ  
ორი ოქტომბერია, ყინულიც არაა, —  
თითქოს თავის თავს ესაუბრება მოხუ-  
ცი და მეჩხერ, თუმცა საკმაოდ გრძელ  
წვერს თითებით ივარცხნის.

— ქმბას მარხილი ხომ წაიდა, მა-  
ლე დაბრუნდება კიდევ, — გაუბედა-  
ვად მიმართავს ერთი.

ჩუმის დაბალ კარზე ტყავმა ვაიშრი-  
ალა, ქოხში დახრილი შემოდის მოხუ-  
ცებული კაცი, ცოტა სხვანაირად ჩაც-  
მული. ირმის ტყავებისაგან შეკრული  
ქურჭი და ტყავისავე შარვალი აცვია,  
ზემოთაც ირმის ტყავის კაპუშონი წა-  
მოუსხამს, თავით ფეხამდე ტყავებში  
გახვეულს, ძლივს უჩანს აჯაგრული სა-  
ხე.

— დაე, ყველას ბედნიერება მოუ-  
ტანოს ჩემმა მოსვლამ! — აცხადებს ახ-  
ლად მოსული. — მე მინდა ამ უბე-  
დურს ვუმკურნალო.

— არა! არ შეიძლება! — ტყვიასა-  
ვით ახლის ჩქემა. — ეჭიმბაშები დაჭ-  
რილს ვერაფერს უშველიან. მე, რო-  
გორც კომკავშირელი, ნებას არ მოგ-  
ცემთ.

— გაჩუმდი, ჩქემა! — ტუნგა უღე  
ხელს მაღლა სწევს, — ვის როგორ ვუ-  
წამლოთ, ეს ჩვენ ვიცით, უფროსებმა,  
შენ კი ის ვააკეთე, რასაც გეუბნებიან.  
ყველა საშუალება უნდა ვიხმართო,  
ყველამ უნდა ვცადოთ, ახალგაზრდა  
კაცია, ცოდვია, უნდა იცოცხლოს.

უხუცესის სიტყვა სხვებისათვის კა-  
ნონია.

— ციურო კაცო! — მიმართავს გვო-  
რის უფროსი ახლად შემოსულს. —  
შენ შეგიძლია ჩვენი სტუმრის შორჩე-  
ნა? პირობას მოგვცემ?

სტუმარი პასუხს აყოფენებს, ავად-  
მყოფთან მიდის, წყნარად და დიდის  
ამბით იხრება, ყოველი მხრიდან ყნო-  
სავს, შემდეგ უხუცესს თანხმობის ნი-  
შნად თავს უქნევს და ზანტად მიემარ-  
თება გასასვლელისაკენ, თუმცა სუ-  
ლაც არ აპირებს გასვლას. ისე ფრთხი-  
ლად მიდის, თითქოს მინისაა და დამ-  
სხვრევის ეშინია.

— კეთილი ჩქემა ვერ ნორჩია, —  
თავისთვის ბუტბუტებს ბერიკაცი, —  
სურს, მაგრამ არ შეუძლია შევლა.

— ეხ, დიდ ცოდვას კისრულობთ,  
აღამიანებო! — ხმას იმაღლებს ციურო  
კაცი და უხუცესს მიმართავს. — შე  
მგონია, ეს კაცი განგებ მოგვივლინა  
ღმერთმა! — და ხელსა სწევს მაღლა,  
— რათა გამოგვცადოს ცოდვილი...

ტუნგა უღე ერთ ადგილზე მობუხუ-  
ლა, თითქოს თავი ცივი შხაპისათვის  
შეუშვარია, შემდეგ კი ხელს მაღლ,  
სწევს: სმენა იყოსო.

— გეყოფა, ციურო კაცო, ეს სიტყ-  
ვა უწინაც მოგვისმენია, — საკმაოდ  
ცივად მოუჭრა ეჭიმბაშს. — შენ ისა  
თქვი, რა უნდა გვაკეთოთ, რომ უცნო-  
ბი გადაჩრქვს.

— მე ვუმკურნალებ, მაგრამ... ბევ-  
რი რამ გაუფუჭებია კეთილ ჩქემას წა-  
მალს და... ხნის იმედი ნაკლებია, —  
მკურნალი მზაკვრული იერით ცრის  
კბილებში სათქმელს, — მაგრამ მე მა-  
ინც შევეცდები, ღმერთია შემწე...

— არა, ბაბუა ტუნგა, ეს არ შეიძ-  
ლება! — თითქმის ყვირის ჩქემა და  
ცალი ხელით ავადმყოფს გახურებულ  
შუბლზე პირსახოცს უჭერს. — ყველა-  
ფერს გვაკეთებთ ავადმყოფის გადა-  
სარჩენად. მალე დაბრუნდება მარხილი,  
შენ არ გავზავენე ქალაქში? წამლებს  
მოიტანს, ავადმყოფი მოიკეთებს. ეჭ-  
იმბაში კი დალუპავს, როგორც დალუ-  
პა მამაჩემი.

— გაჩუმდი, სატანის კერძო! — კა-

რგავს ნაძალადევ ზომიერებას ექიმბაში. — მამაშენი უკვე მკვლარი იყო, როცა მე მომმართეს, და მისი გადარჩენა აღარ შეიძლებოდა! შენ დაგავიწყდა, როგორ გადავარჩინე მოკამრი, მდაჩევი, მლაკრი?

— მოკამრი, მდაჩევი და მლაკრი შენი მკურნალობის გარეშეც ჯანმრთელები იყვნენ! — მკაცრად ედავებო ჩქემა. — შენმა წამლებმა ის ვაჟაკები გერ მოკლა, ისე მაგრები იყვნენ. ასევე მკურნალობ ირმებსაც...

— გაჩუმდი, ჩქემა! — ტუნგა უღე კამათს ხელის აწევით წყვეტს. — ცუტრო ჯაცო! მეც მეფიქრება და მეექვეება: მეტად ზშირად კვდებიან ის ადამიანები, რომლებსაც შენ მკურნალობ... მრავალი ირემიც ისე დაიღუბა, შენმა წამალმა ვერ უშველა. იქნებ კენჭი ვუყაროთ, მოგანდოთ თუ არა ამ კაცის მკურნალობა? — და ჩუმში თავმოყრილ ხალხს მიმართავს: — რას იტყვით, ხალხნო?

— არ შეიძლება-მეთქი, ბაბუა ტუნგა! — ცხარობს ისევ ჩქემა. — პატროსან კომკავშირულ სიტყვას გაძლევი, ამ ავადმყოფს მე განკურნავ. ნუ მიშლით, ბაბუა ტუნგა, გთხოვთ ყველას...

— კარგი, ჩქემა! — გადაჭრით ამბობს უხუცესი. — ხვალამდე ვადას მოგცემ, უმკურნალე. თუ არც ხვალ მოიკეთა, ისევ შევიკრიბებით და ვითათბირებთ, რომელს დავავალოთ უცხო კაცს მორჩენა.

— რამდენი ხანია, თუ მეტყვი, ბებრო ტუნგა უღე, რამდენი ხანია მას შემდეგ, რაც თავზე გოგოები დავისვით? — კბილებში ცრის აღშფოთებული ექიმბაში. — მე საერთო აზრი მიინდა და არა შენი გადაწყვეტილება. მამაკაცებმა თქვან. თუ ღვთის კაცს დაღუპავთ ქოჩად მავალთა მთელს სამოსახლოს უზედურება დაატყდება.

ტუნგა უღე ხელის აწევით ყურადღებას ითხოვს. ავადმყოფი ძლიერ ახველებს და პირიდან ღუჭთან ერთად წყალს აფრქვევს. ჩქემა ზრუნვით ასუფთავებს, ცივ კომპარესს უცვლის

უზბლზე და ხალხს მიმართავს: ავადმყოფს ჰაერი უნდა, ჩუმიდან გადითო, ან ცივი ჰაერი შემოღუწინდო!

— უხუცესო ტუნგა უღე, გესმის, რა თქვა მაგ გოგამ? — ბოროტად იცინის ექიმბაში. — ცივ ჰაერს ითხოვს. უტვინობებშიც კი იციან, რომ ავადმყოფს სითბო არჩენს და არა სიცივე. მე მოვითხოვე კენჭისყრას.

უხუცესი კითხვის გამომხატველ მზერას ავლენს გარშემო. ხალხს თავი დაუხრია. სდუმან. ცუდი ნიშანია. ეშმაკმა იცის, შეიძლება ექიმბაშს დაუჭირონ მხარი. ჩქემაც შემფოთებული უყურებს უფროსებს. ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს, თითქოს თვალებით ბურღავს მდუმარე ადამიანებს.

— არა, — თითქოს საკუთარი ხმისა ეშინიაო, ისე იწყებს ტუნგა უღე. — დღეს კენჭის ყრა არ იქნება. ხვალ მოვითათბიროთ. შენ კი, ცუტრო კაცო, შენს გზას ეწიე. ჩვენს სასწორზე ვერ დავდებთ ჩვენი უზედური სტუმრის სიცოცხლეს. ჩქემას კითხვა შეუძლია, შენ კი ყრუ ხარ. მამასადამე, ეს გოგონა მაინც შენზე ჰკვიანია. ჩქემა სუფთა გოგოა, ყოველ კვირახუნანობს თბილ წყალში, შენ კი ისე დაბერდი, ერთხელაც არ დავიბანია ტანი. ავადმყოფს ცოდნა და სისუფთავე უფრო მთარჩენს, ვიდრე ჭუჭყი და სიბნელე...

— გაჩუმდი! შენ უფროსი კი არა, სატანა ხარ! — ყვირის ბერიკაცი. — შენ უღალატე ჩვენს ხალხს! მე წავალ და არც დავბრუნდები თქვენს ქოშში. სატანა იყოს თქვენი მკურნალი!

ყველა ერთბაშად წამოიჭრა, თითქოს უბრძანესო. ატყდა ყაყანი, შეხლამემოხლა, ექიმბაშს ჩუმიდან არ უშვებენ, უხუცესს წინადადებას აძლევენ, აზრი შეიცვალეო.

— კეთილი, — ამბობს ტუნგა უღე. — თანახმა ვარ საქმის გასარჩევად კვლავ შევიყაროთ არა ხვალ, არამედ დღესვე საღამოს, როცა ირმები ღამის გასათევად დაწვებიან. თუ შებინდებამდე ავადმყოფი მოიხედავს, მის მკურნალობას ჩქემა განაგრძობს, და თუ

არაფერი მსგავსი არ მოხდა, მას ექიმბაში შეცვლის. მე ვთქვი.

— შებინდებისას მოვალ! — ტოვებს სიტყვას უჩიათი ბერიკაცი და ისე გარბის, თითქოს მდევრის ემინიაო.

ერთხანს დუმის მხოლოდ ბუხარი და ავადმყოფის კვნესა არღვევენ. ჩქემა სტუმარს შუბლს უმშრალებს და ყოველ წამს უცვლის საფენს, დანარჩენები უხმოდ ეწევიან თამბაქოს და არაფრის ახსნას არ ცდილობენ.

— ცოტა დრო მომეცით, — თითქოს ლოცულობს ჩქემა. — ვთხოვთ, გახვიდეთ ქოხიდან, გვანიავებ, ავადმყოფი იხუთება. შედით ირმების ბაკში. მლენაც იქაა. უთხარი, დამეხმაროს, წყალი მომიტანოს, ნემსია გასაკეთებელი და...

მამაკაცები უსიტყვოდ დგებიან და სათითაოდ გადიან კვამლით დაბურული ქოხიდან. ჩქემა მაშინვე განზე სწევს ირმის ტყავებს, კარის მაგიერობას რომ ეწევა, და ჩუმში სწრაფად იჭრება ცივი ჰაერი. მალე შემოდის მლენაც, პატარა, ელამი გოგონა, მეექვსე კლასის მოწაფე. ჩქემას სულმოუთქმელად უსმენს და ყველა სურვილს უსრულებს.

ჩქემა შპრიცს იღებს მდულარე წყლიდან და ოსტატურად უკეთებს ავადმყოფს მორიგ ნემსს, ფეხებზე უკვე მერამდენედ უსვამს სპირტს, ირმის ტყავს ახურავს დამატებით და ისევ სასთუმალთან ჯდება. ზრუნვით დასცქერის უცნობი სტუმრის მოწამებრივ სახეს და ნატრობს: ერთხელ მაინც გააბილოს თვალი და სახელი მითხრასო. ამას ყველა დაინახავდა. შემდეგ კი ისევ წოლილიყო გაოგნებული, ისე აღარ შეეშინდებოდა, კომკავშირულ სიტყვას შეასრულებდა. თუ ეს არ მოხდებოდა, ფიჭრიც კი საზარელია. ექიმბაში ნამდვილად დალუპავს ამ პირნათელ ვაჟკაცს, ზღვის ბუმბუკაზს, „ღმერთის ნებით მოვლენილს“.

უკვე მიიწურა დღე, მწუხრის სიგრილემ შემოიხედა ჩუმში. მალე ირმებს მორეკავენ, ავადმყოფს კი უკე-

თესობა არ ეტყობა, ისევ ისეა, შეილება უარესადაც... რა ქნას? ჩქემას თვალებიდან უნებურად წამოსდის მდულარე ცრემლი, მზადაა გაიქცეს, მაგრამ საით? სულერთია, ოღონდ ამ აყვია ცრუმორწმუნეთა დამცინავი სახეები არ იხილოს.

ნემსი ერთხელ კიდევ მოასწრებს ნემსის გაკეთებას და ეს ალბათ უკანასკნელი ნემსი იქნება. ექიმბაში ასეთ „მავნე ჩხირებს“ არ გააკარებს, რა თქმა უნდა. ჩქემა და მლენა სწრაფად აკეთებენ ნემსს. ჯერ კიდევ რჩება ცოტაოდენი დრო შეღამებამდე, მაგრამ ქოხის სიახლოვეს კაცის ქაჭანება არ ჩანს. მხოლოდ ძაღლები ყეფენ აქიქ, ალბათ ირმების ჭოგი მოჰყავთ დამის სადგომებში. უეცრად ავადმყოფი ხველებას წყვეტს, შავ თვალთა ისარს ჯერ მლენას აპყრობს, მერე კი ჩქემას. ფერშლის მოციმიციმე თვალბის ხილვა მაშინვე არბილებს მამაკაცის თვალთა მრისხანე გამოხედვას, და ავადმყოფი თითქოს იღიმება კიდევ, ტუჩებსაც კი არხევს მისალმების ნიშნად.

— სადა ვარ? რა ხდება? — მღვეკაცის გარეგნობას სულაც არ შეეფერება მისი რბილი, ზავერდოვანი ხმა. — ევბ! — უეცრად ტკივილმა სახე დაუმანჭა.

— მარჯვენა ხელს ნუ არხევთ! — ურჩევს ჩქემა. — ნუ გეშინია, მეგობრებთან ხარ, ჩვენ მალე მოგარჩენთ.

ავადმყოფი ტუჩებს იკვნეტს, მერე ტკივილს, სძლევს და ისევ ჩქემას მიმართავს:

— შენ უთუოდ ნენეცი გოგო იქნები. რუსული გვარიანად გცოდნია... მგონი, ვიცი, როგორ აღმოვჩნდი თქვენთან... მომისმინე და დაიმახსოვრე. რასაც ახლა გეტყვი, ის დიქსონზე ფლოტის სარდლობამ უნდა გაიგოს. მისმენ? — და ისევ აკრაპუნებს ტკივილისაგან კბილებს.

— გისმენ, ყველაფერი გავიგონე და გავიგე კიდევ! — ტყვიამჭკვევივით ჩაარაკრავს ჩქემამ.

— მე მხლებელი გემის „ბეტეშას“

უფროსი ვარ, კაპიტან-ლეიტენანტი ვა-  
მეხი მიმინოშვილი. ჩვენი ბადრაგი აღ-  
მოსავლეთიდან მიემართებოდა დიქსონ-  
ის მხარეს და, როცა კუნძულ პოდკო-  
ვოს შერიდიანზე გავედით...

— ვინ, ვინ გავედითო? — წარბეზს  
იკრავს ჩქემა.

— აჰ, მართლა, — მისუსტებული  
ხმით ამბობს ავადმყოფი, — შენ ვერ  
გაიგებ. არაფერ არის, რომ შენზე მე-  
ტი გაიგოს?

— არაფერ, ძვირფასო, აქ ყველაზე  
დიდი ნასწავლი მე ვარ, — ჩქარობს  
ჩქემა. — მამაკაცები ომში არიან, მო-  
ხუცები და დედაკაცები სულაც უმეცა-  
რნი არიან.

— მაშინ მომისმინე, უბრალოდ გე-  
ტყვი, — ვამეხი ტყვილისაგან კბილს  
კბილზე აჭერს, გმინვით ლაპარაკობს.  
— ბადრაგი იყო, ესე იგი, ოთხი დიდი  
ხომალდი, და შვიდი სამხედრო გემი  
იცავდა. ყველა ერთად მიდიოდა, ცო-  
ტა დაშორებით. მე ერთ-ერთი სამხედ-  
რო გემის უფროსი ვიყავი...

— აჰა, მესმის, ხომალდები და სამ-  
ხედრო გემები, მისწავლია.

— ჰოდა, კარგია. მისმინე. კუნძულ  
პოდკოვოს ჩრდილოეთით გერმანელთა  
წყალქვეშა ნავი დაგვესხა თავს და ტო-  
რპედოებით ჩაძირა ერთი ტრანსპორ-  
ტი, ესე იგი, დიდი ხომალდი. ჩემი გე-  
მი იმ მტაცებელ ნავს დაედევნა და  
ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩაძირა ბომ-  
ბებით. ჩაძირული ნავიდან ორი ოფი-  
ცერი გადმოხტა. ზღვაში მოცურავდ-  
ნენ, ჩვენც მივუახლოვდით, ბანზე ამ-  
ოვიყვანეთ და დავატყვევეთ.

— ყოჩაღ თქვენა! — ბავშვივით ტაშს  
უკრავს ჩქემა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, მაგრამ მთლად ეგ-  
რე არ არის საქმე. ვიდრე ტყვეებთან  
ვჯახირობდით, გერმანელების მეორე  
ნავი ნავი მოგვეპარა და ჩაგვძირა.

— ჩაგვძირათ?

ავადმყოფს ავიწყდება, რაზე ლაპა-  
რაკობდა, ერთ წერტილს აცქერდება და  
ღუმს. ჩქემა სულგანაბული შესცქე-

რის, თითქოს ეშინია, სანატრელი ჩი-  
ტი არ გამოფრინდეს.

— ეშმაკმა დალაზეროს! ეს როგორ  
მოხდა? არც ტორპედო დაგვინახავს,  
არც მტრის პერისკოპი. — მიმინოშვი-  
ლი თავის თავს ესაუბრება, განსაცდელ-  
ლის წუთებს იფონებს. — მაგრამ რა  
ამინდი იყო! არა, მენიშნეები ვერ შე-  
ნიშნავდნენ ტორპედოებს, ქარი ხუთ  
ბაღს აღმატებოდა. ვერ შენიშნავდ-  
ნენ. 1944 წლის 24 სექტემბრის თერთ-  
მეტი საათის მეცამეტე წუთი საბედი-  
სწერო გამოდგა ჩემთვის და ჩემი გე-  
მისთვის... აფეთქება კიჩოს არეში მო-  
ხდა. აფეთქების ძალამ საკე და ხრახ-  
ნები მალლა ამოღრიცა, კორპუსმა ფო-  
რმა შეიცვალა, ქიმი გადაიღრიცა. რა-  
დიომიმლები, პელენგატორები, ექოლე-  
ტები და ყველა ხელსაწყო უიმედოდ  
მოიშალა. გემის მექანიზმებმა მუშაობა  
შეწყვიტეს და შუქი ყველგან ჩაქრა.  
მოკლედ, უბედური „ბეტეშჩა“ მოკ-  
ვდა, სვლა დაკარგა და ძლიერ გადაი-  
ხარა მარჯვენა მხარეს. ზომები სწორად  
მივიღეთ: საარტილერიო ცეცხლი გავ-  
ხენით მტრის საეარაუდო სამყოფე-  
ლის მხარეს, რომ ვერაგი ავაზაყისათ-  
ვის განმეორებით თავდასხმის ხალისი  
დაგვეკარგა. სათბობის ნაწილი ზღვაში  
გადაეტუმბეთ, რომ გემს ნორმალური  
მდგომარეობა მიეღო. გადამცემი რა-  
დიოაპარატურის შეკეთებას მივყავით  
ხელი. „ბეტეშჩა“ ისევ მიცურავდა, ოდ-  
ონდ სვლა აღარ ჰქონდა და სტიქია თა-  
ვის ნება-სურვილზე ატრიალებდა.  
მტრისთვის ახლა ის იოლ სამიზნეს წა-  
რმოადგენდა, მტერი კი სადღაც ახლო  
იყო უთუოდ, სიღრმეში, მანევრებით  
ლაშობდა ჩვენი ცეცხლიდან თავის და-  
ღწევას...

მიმინოშვილი აბველებს და ღუმი-  
ლის შემდეგ წყნარად განაგრძობს:

— რადიოაპარატურის შეკეთება ვერ  
მოხერხდა, ხოლო ადგილზე დარჩენა  
ამდენი ხალხითა და ტყვე ოფიცრების  
თანხლებით, რომელთაც ჩვენი სარდ-  
ლობისათვის ძვირფასი ცნობების მი-  
წოდება შეეძლოთ, არ მინდოდა.

ავადმყოფი ისევ ისვენებს, თვალდა-  
ხუშული. ჩქემას ესმის კბილთა სუსტი  
კრაქუნის და ჩუმი კენესა. მისი ავადმ-  
ყოფი ტკივილების მორიგ შემოტყვას  
ებრძვის. სუნთქვაშეკრული ელის, რო-  
დის გაუვლის და დაიწყებს ისევ ლაპა-  
რაქს. მართალია, მისი თქმულიდან ბე-  
ვრი რაშე არ ესმის, მაგრამ ასეთი ყუ-  
რადღებით ჭერ არავისთვის არ მოუს-  
ვენია.

ბოლოს ავადმყოფი ისევ გონს მო-  
დის და კიდევ უფრო სუსტი ხმით გა-  
ნაგრძობს:

— მე გადაწყვეტილება მივიღე გე-  
მის ბანზე იმდენი ხალხი დამეტოვებო-  
ნა. რამდენიც უზრუნველყოფდა მის  
დაცვას, დანარჩენები გამეგზავნა... ნა-  
პირზე გაგზავნა უნდა მეცადა, გამოსა-  
დგვი აღმოჩნდა ერთი კატარლა და ერ-  
თიც ნავტიკი, პონტონი... კატარლაზე  
დავსვი ოცდაექვსი კაცი და ორი ტყვი-  
პონტონზე კი ოცი კაცი, მათ შორის  
ოთხი დაჭრილი... მძიმე მომენტი იყო,  
ჩვენ ვალი მოვიხადეთ. ყველა საიდუ-  
მლო საბუთი გადავეცი. წასვლის წინ  
ამხანაგებს ჩემი მახარაც გადავეცი:  
„სახსოვრათ გქონდეთ, ვეუბნები, გ-  
მოვადგებათ“. შტურმან ღემენტიევს  
კი დანიშნულების ადგილზე ჩასაბარე-  
ბლად გადავეცი პარტიული ბილუთი,  
წერილები და ორდენები... ო, როგორ  
მინდა ვიცოდე, მიიტანეს თუ...

მიმინოშვილი უფრო ცხარე ხველე-  
ბას იწყებს, მერე კენესის და შეუძრ-  
ველად გადადის კენესა ხროტინში.  
ამოდ ცდილობს ჩქემა ავადმყოფის  
მოსულიერებას, მეზღვაური ცნობას კა-  
რგავს და ხროტინის დროს პირიდან  
ღუჭი გადმოსდის. „ნემსი!“ — ამბობს  
ჩქემა, და გოგონაც ისარივით გარბის  
გარეთ, რათა შპრიცი გადახარშოს ცე-  
ცხლზე, მომთაბარეთა ჩუშებს შორის  
რომ ანთია. ქოხში ერთიმეორის მიყო-  
ლებით დამნაშავეებივით შედიან მამა-  
კაცები, ღუმან და ხელები ირმის ტყა-  
ვის ფართო ხალათის ჭიბეებში ჩაუწყ-  
ვიათ. ისევ ავადმყოფის ვარშემო იყრი-  
ან თავს ტუნგა უღე კვარს იღებს და

შემოსვლისთანავე სტუმარს აშტურ-  
დება. ღუმელს ჩქემა არღვევს.

— ახლახან ლაპარაკობდა! — უკუთ-  
იყო... დაილა... ისვენებს. მალე ისევ  
დაიწყებს ლაპარაკს ბაბუა უღე, მაცა-  
ლეთ, მოიხედავს. არ დაანებოთ ექიმ-  
ბაშს, დაღუპავს! გემის უფროსი ვარო.  
გმირი ყოფილა, ფაშისტებს ებრძოდა,  
მაგის სიკვდილს არავინ გვაპატიებს...

— შენი არაკებით ნუ გვაყრი თვალ-  
ში ნაცარს! — შუქს აბნელებს ექიმბა-  
ში. — აქ კაცის შვილს არ გაუგონია  
მისი სიტყვა. სიცოცხლეშივე ღმერთს  
დაიწყებია და ასეთ ყოფამღე ამ გო-  
გონას მიუყვანია, თავს რომ ექიმს ეძა-  
ხის. ო, ღმერთებო! როგორ აძლევთ  
ამის ნებას! თქვენ კი, სასტიკო ადამი-  
ანებო, ხელს იმიტომ მიშლით, რომ ჩე-  
მთვის გასამრჩელოს მიცემა არ გინდათ.  
ღმერთის კი არ გეშინიათ! მაგრამ უეც-  
დავი არც თქვენა ხართ...

ამ ლაპარაკს ისევ ყაყანი მოჰყვა.  
ყველა ხმამალა გმობს „ციურ კაც-  
საც“ და უხუცესსაც.

— ციური კაცი ვარო, ენა კი ეშმა-  
კისა გაქვს, ზვიგენის კბილებზე მჭრე-  
ლი. ტუნგა უღეს ბრახნარევი ხმა ყვე-  
ლას აჩუშებს. — ჩვენ არაფერი არ გვე-  
ნანება! ჩვენი ძმობა არასოდეს არ ყო-  
ფილა ვალში შენს წინაშე, მაგრამ თე-  
ვად კი კეთილად მოსაგონებელი ბევრი  
არაფერი გვახსოვს შენგან. გვეშინია,  
სტუმარი არ მოგვიკლა! გესმის, რა  
თქვა ჩქემამ, გმირიო! ჰოდა...

— ჩქემამ დაღუპა ეს კაცი, — თეი-  
ლთა ბრიალით იყურება მალა ბებე-  
რი. — ღმერთი ხედავს, ტუნგა უღეც  
გოგოს მხარეზეა. შემინდე, ღმერთო, მე  
მივდივარ, სხვა გზა არ არის...

საერთო ყაყანი პატარა ჩუშში ყვე-  
ლა ხმას ახმობს. მოხუც უღეს დიდხანს  
უჭირავს ხელი მალა ყურადღების ნი-  
შნად, ვიდრე ისევ მიუჭრდებიან.

— ჩვენი ახალგაზრდები ოშში არიან,  
— იწყებს შეურევბული მოხუცი. —  
შინ მხოლოდ უმეცარი მოხუცები დავრ-  
ჩით, მეშინია, არ შევცდეთ. ჩქემასი  
უფრო მჭერა, იმიტომ რომ წიგნი იც-



ის. ჩვენ რა გვისწავლია? მოდი, ქალებს ვკითხოთ.

— რაო?! ქალებსო? დიაცმა რა იცის? ჩვენი მოხუცი ქუაზე შეცდა!

— მართლა, რომელს სმენია, საქმეში დიაცის გარევა? მას ხომ სელაპზე მეტი ქუა არა აქვს!

აღშფოთებას ისეთი სახე აქვს, რომ უხუცესი უკვე უძღურია.

— რა გაეწყობა! — ამბობს ხმაჩახლეჩილი. — ორივემ უმკურნალოს, ჩქემამ და ექიმბაშმა, ერთმანეთს დაეხმარონ!

— არა! — ხმას იმაღლებს ექიმბაში. — ამ გოგოსთან საერთო არაფერი მაქვს. ეს მბერეს წინააღმდეგია, ჩვენს სტუმარს კი მხოლოდ მბერე თუ მოარჩენს.

— ბაბუა ტუნგა უდე! — ტირის იმედდაკარგული ჩქემა, რომელსაც ეშინია ზიტყვას არ დამაცლიანო, — ავადმყოფი მბერეს ვერ გაუძლებს. ხელი გადატეხილი აქვს, ფილტვების ანთება აქვს, დასუსტებულია ირმის ცივ ტყავში რომ გაახვიონ და თოკი მოუჭირონ, აუცილებლად მოკვდება! არ მოაკვლევინოთ გმირი უმეცარ კაცს!

ტუნგა უდე დუმს. თითქოს ყრუა.

ჩქემას ხელს ჰკიდებენ და ქოხიდან გამყავთ. ხალხი უკან იხვეს და ავადმყოფთან გამარჯვებულ ექიმბაშს გზას აძლევენ. ბებერი შარლატანი სასათუმალთან იჩოქებს, თვალებს ნაბავს. მალა იყურება და დიდხანს ჩურჩულებს ღმერთთან რაღაც საიდუმლო საქმეებზე. შემდეგ ზეზე დგება და მრისხანე ხმით ბრძანებს ახალგაზრდა ირმის ტყავის მოტანას, მერე ზღვიდან ცივი წყალი უნდა ამოიღონ და მაგარი ბაწარი გამოუნახონ, რომ ავადმყოფმა ვერ გაწყვიტოს, თუ გაძლიანდება.

### დენანტი კოდეკოს კუნძულზე

მონადირეთა ცხოვრების ყოველდღიურ სიმშვილეს დიდხანს არაფერი არ არღვევდა პოდკოვოს პატარა კუნძულზე,

ზე, კარის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე რომ ნაფოტივით შეცურებულა, ომი მთელი თავისი საშინელებით აქედან შორსაც არის და ახლოსაც. სადღაც იქვე, კარის ზღვის ყინულოვან ტალღებში მოწინააღმდეგეები თითქმის ყოველდღე სამკვდრო-სასიცოცხლო კიბილიში არიან, მაგრამ შემპუსვრელი მოლოჭის სისხლიანი ხელი თვითონ კუნძულზე ერთხელაც არ გამოჩენილა. აი, დღესაც რვა საკმაოდ ხანდაზმული, მაგრამ ჭერაც ჭანმაგარი მამაკაცი, კუნძულის მთელი მოსახლეობა, დინჯად ტოვებს უბრალო ქოხს და დიშნაია ბუნტაში მიეშურება, მთავარ სარეწზე.

კუნძული, რომელიც ცუდად გაკრეკილ ცხვარსა ჰგავს, ნისლის სქელი საბნით დაფარულა. მეშვიდე დღეა, რაც ეს აბეზარი ნისლი დასწოლია მწირ მიწას, სადაც მეჩხერი ბუჩქნარისა და ჭუჭა არყის ხეების გარდა, კაცი ვერაფერს სანუგეშოს ვერ ნახავს. ასეთ ამინდში ნადირობა უფრო ხელსაყრელია, მეტადრე სელაპსა და ლომთეზაზე, მაგრამ მონადირეებს ნისლი მაინც არ უყვართ. ამ დროს თვალთან თითს ვერ მიიტან და ასე-გგონია, ერთიანად ამყავებულ რძეში ვარო ჩაძირული.

მონადირეები წალიკად მიჰყვებიან ზღვის ნაპირს, მხრებზე თოფები აქვთ გადადებული, საკმაოდ თბილი ალპაკოს კოსტუმები აცვიან. მკაცრი ბუნების შვილებს ბევრი ლაპარაკი არ უყვართ, მაგრამ დღეს რატომღაც ხან ერთი იტყვის რამეს, ხან მეორე. სათქმელიც აქვთ. ეს არის მოისმინეს საინფორმაციო ბიუროს ცნობები. საბჭოთა ჯარები უტყვევენ პოლონეთში, აღმოსავლეთ პრუსიაში, ბალკანებში... ახლა დღემილი როგორ იქნება!

— ახლა გერმანია წელში ველარ გასწორდება, ომი წააგო.

— გერმანელებმა ასე იციან: პირველად გაიბერებიან, შეუტყვენ, გაიმარჯვებენ, მერე კი უცებ შეუბრავენ და ფშივ! ჩაიფუშებიან.

— მოიცადეთ ჭერ, არავის წაუგია.

ბერი ჯახირი იქნება წყეულთან, წელიწადი მინც უნდა...

— რას ამბობ! აი, უკვე...

— ნახეთ, ზღვაში გემის ლანდი აყვებულა... კატარლა უნდა იყოს.

ვისი უნდა იყოს? სამქოთა გემები ამ კუნძულს სამხრეთიდან მიადგებიან ხოლმე, გამზადებულ ყურეში, ეს კი... ჩრდილოეთიდან მოსულა-მოშავებულა. ჩვენი გემები ნიშანს იძლევიან, ვიახლოვდებითო, ეს კი...

— ძმებო, გერმანელები არ იყონ! დაცვა გვინდა...

— შენც ერთი ვინ დაგვიცავს? სამხედრო გემი ჩანს, ჩვენ კი სანადირო თოფები გვაქვს... ორ ნაბიჯზე თუ ვისვრით...

— ადამიანებს ვესროლოთ, როცა გადმოსხდებიან. კატარლას ნულარ ვესვრით, ვასაგებია? უსარგებლო იქნება. უფროსს უსიტყვოდ ემორჩილებიან, ლოდებს ეფარებიან იმ ადგილზე, საითაც კატარლას კურსი აუღია.

აქაფებული ტალღები მთასავით ეხეთქებიან კლდოვან ნაპირს, დამსხვრეულნი ბრუნდებიან უკან და გაშვლებულ ხრიოკს ტოვებენ. ასეთ ამინდში გადმოსვლა ხმელეთზე იოლი არ არის.

მაგრამ მეზღვაურები განზრახვაზე ხელის აღებას არ აპირებენ, ჭიუტად უახლოვდებიან შავ კლდეებს, სადაც ზღვა თითქოს სამესისხლოდ შებშია იმერპოლარეთის გრანიტის კედლებს. გარდა ამისა, ჩრდილოეთის მხრით ბრავებია, სასწაულოთ თუ გადარჩება გემი. რუკები ჭერაც არაა დაზუსტებული და მეზღვაურები აქაურობას ისე გაურბიან, თითქოს სცილა და ქარიზდა აქ ეჯულებოდეთ.

ეტყობა, მხოლოდ ახლა შენიშნეს უცნობმა მეზღვაურებმა საფრთხე, მაგრამ გვინდა. კატარლა უკვე ზვირთთა თხემზეა და კატასტროფული სისწრაფით უახლოვდება სანაპირო კლდეებს. თხელ წყალში ვაბრუნება შეუძლებელია! წუთიც და ტალღა თავისი კ-

იაციანად პირდაპირ ქვიან ნაპირზე ააგდებს კატარლას.

— კატარლა ჩვენია, ძმებო! მისი მონადირის ძახილი. დროშა თუ შენიშნა, ანძაზე მოფრიალე. — ჩქარა მივეშველოთ!

მონადირეები წელამდე წყალში არიან, თავგამოდებით ეხმარებიან დაღუპული გემის მეზღვაურებს. სტიქიასთან ბრძოლა საკმაოდ დიდხანს გრძელდება, მაგრამ გამარჯვებით თავდება. ყველა ნაპირზეა. მხოლოდ ორი დაზიანებულია მძიმედ და ისინი წყლიდან თითქმის უგრძობლად გამოჰყავთ.

— ლეიტენანტი სოლოვიოვი, იური ივანეს-ძე, გემის კომისარი. რა მიწაზე ვართ? — ლეიტენანტს ჭერ კიდევ წურწურით ჩამოსდის წყალი და სამკლავე ნიშნები რომ არა, ამ წვეროშვებული, ტანმორჩილი კაცის კუნთოვან სახეზე ოფიცერს ჯადოქარიც ვერ შეიცნობდა. — ვინ არის აქ თქვენი უფროსი? ახლაც უნდა დავუკავშირდეთ დიქსონს, სარდლობას უნდა შევატყობინოთ, რომ ნაპირს მივალწიეთ

— სკაუნოვია ჩემი გვარი, ვასილკას მეძახიან. ჩვენ ჭერ არ გიცნობთ, — თითქოს განზრახ თვალმოკუტებული მონადირე — პომორი უხალისოდ პასუხობს და ტანჩამოსიდან წყალს იფერთხავს. — ნაპირამდე ჭერ არ მიგღწევიათ, თუ... მოკლედ, კუნძულ პოდკოვოზე ხართ. დიქსონთან კავშირი მხოლოდ რადიოთი შეიძლება დამყარდეს, ჩვენი რადიო კი... მოსმენით კარგად ვისმენთ, გადაცემისა კი რა მოგახსენოთ, ცუდად გვისმენენ...

— თქვენ აქ ვინა ხართ? ხელისუფლების წარმომადგენლები თუ...

— რომელი ხელისუფლებისაო, ჩვენ აქ მთელს კუნძულზე რვა მონადირე ვართ, აი მთელი ხელისუფლება.

— მ! — ლეიტენანტი საგონებელშია — რამე სადგომი არა გაქვთ, რომ ხალხი ვაშრეს მაინც?

— სადგომი დათვებაც კი აქვთ! — მარად პასუხობს პომორი. — წავიდეთ, გთხოვთ! ტყვეებიცა გყრიან.

საყრობილე კუნძულზე არავის აუშენებია, მაგრამ არაფერია, ხელ-ფეხი შევეურათ და დაისვენონ დამშვიდებით. თბილი ლოგინიც მარხილებზე გავშალეთ, ყველას გვეყოფა. ტყვეები სადღა ვიპოვიათ? ალბათ ფაშისტები არიან, ძალღებსაც დაუქამიათ მაგათი გამზრდელები.

— წავიდეთ, ამხანაგებო! — ბრძანებს ლეიტენანტი და თვალს არ აშორებს ტალღებში დარჩეულ კატარღას. — ენანობ, რომ დავლენეთ ჩვენი მცურავი სახლი, მაგრამ რას იზამ, კარგი სამსახური კი გავვიწყია. ოცდაექვსი კაცი და ორი ტყვე მშვიდობით გამოგვიყვანა ხმელთაზე. — როგორ ფიქრობთ, კატარღას ვერ გამოვზიდავთ ბრაგებიდან? — მიუბრუნდა პომორს.

— რატომაც ვერა! — მხნედ უდასტურებს სკაქუნოვი. — აი, დაწყნარდება ტალღა, ვცადოთ. ახლა კი ჭერ წავიდეთ, ძმებო! ერთი ქოხში ვაგებრუნდეთ, ვუმასპინძლოთ ამ ხალხს და ნადირობას მერეც მოვასწრებთ.

მიიმედ დაშავებულები ფაშისტ ტყვეებს წამოუყვიდებიან, თუმცა არავის უბრძანებია, და ისე მიჰყვებიან ადამიანთა გრძელ რიგს, რომლის თავშიც მონადირე სკაქუნოვის მალალი ლანდი ჩანს.

მონადირეთა სადგომი ნახევრად სარდაფია, ნახევრად ქოხი. ახლა ხალხით გაქედლია. მაშინვე რამდენიმე ადგილას ჩაღდება ცეცხლი. იზარშება თევზი. მაგიდაზე აწყობენ მკაცრი განედების ბინადართა უბრალო სანოვაგებს.

ყველა მადიანად მიირთმევს, მხოლოდ სოლოვიოვი და მისი რადისტი მატროსი ვესიოლოვი არ ეკარებიან საკმელს, დიქსონთან დაკავშირებას ცდილობენ. საკვამურთან სკაქუნოვი ჯახობს და ვერ უპატიებია რადიოსათვის ცული მუშაობა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, მაპატიეთ სიბრძნვე, მაგრამ მინდა ვიცოდეთ, რა უნდა შეატყობინოთ დიქსონზე... ჩვენ მაინც არ ვიცით, ვინა ხართ, კარგი იქნებოდა ამის გაგება, — თითქოს უცებ

გადმოაღაგა დიდი ხნის შეკავებული ცნობისმოყვარეობა სკაქუნოვმა უფრო ლეიტენანტის დასამშვიდებლად.

— მართლაც, ამხანაგო ლეიტენანტო, — თითქოს კასრიდან ამოსძახა ბოხი ხმით აურა ვესიოლოვმა, — ჩვენმა მასპინძლებმა ხომ არაფერი იციან, ვინ ვართ და რანი ვართ. უამბეთ რამე, ვიდრე ამერიკელი ბიძიების ნაჩუქარ ამ მიძლებთან ვჯახობ.

ლეიტენანტმა მიმოიხედა. კუთხეში კუნძი გდია. იქით იწვევს სკაქუნოვს და თავის ფათერაკს მოუთხრობს.

— თქვენი არ ვიცი და მე კი დავიდალე, სულ დახრილი რომ ვარ. რადიოკვანძი დაბალზე გაქვთ, პირდაპირ უნდა ვითხრათ.

— ეს ყველაფერი დროებითაა, იური ივანეს-ძევ...

— აი, მე ინგლისში ვიყავი, ამერიკაში, — აწყვეტინებს ლეიტენანტი, — იქაც ასე დროებით აშენებენ საცხოვრებელს.

— ეს მიძლებიც იმათია, არ კი ლაპარაკობს წესიერად... ჩანს, იქ ვერ არის ყველაფერი რიგზე, აშუშა კაპიტალისტებს ფული ბლომად აქვთ.

— საერთოდ, რა თქმა უნდა, ქვეყნიერება ჯერ კიდევ მოსაწყობია... არც ომში არიან ბაყათარები. აი, ჩვენს ადვილზე რომ ყოფილიყვნენ, კიდევ დანებდებოდნენ ფაშისტებს და მორჩა.

— მეც ასე მგონია... თქვენს ამბავს კი მაინც არ მეუბნები, იური ივანეს-ძევ.

სოლოვიოვი მონადირის გვერდით იკალათებს, ფეხებს თითქმის იატაკზე აწყობს და აუჩქარებლად იწყებს:

— ჩვენი გემი ბაღრაგს ახლდა. უეცრად ღია ზღვაში ბაღრაგს მტრის წყაღქვეშა ნაგმა შეუტია. მაშინვე დავედევნეთ და ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩავძირეთ. მაგრამ თურმე ორი ნაეი ყოფილა. როცა დაღუპული ნავის ეკიპაჟიდან ოფიცრები ტყვედ მოგვყავდა, მეორე ნაგმა შემოგვიტია და ტორპედოებით დაგვაზინა. ამასობაში ჩვენი ბაღრაგი შორს წავიდა, ჩვენ ღია ზღვა-

ში დაერჩით სრულიად უმწეოდ, სვლას მოკლებულნი, კავშირს მოწყვეტილნი, გვერდზე გადახრილნი, ისე რომ სათბობის გადატუმბეაც მოგვიხდა ღია ზღვაში. გემის უფროსმა მიმინოშვილმა გადაწყვიტა პირადი შემადგენლობის მინიმუმის დატოვება, დანარჩენი კი კატარლასა და პონტონზე დაგვესვა და ნაპირზე გადასვლა გვიბრძანა. პირველ ორ დღეს პონტონი და ჩვენ ერთად მოვცუარავდით, მერე კი უამინდობამ გავკეთიშა, ნისლში ერთიმეორე დავკარგეთ. აი, ახლა ვჩქარობთ, რომ სარდლობას შევატყობინოთ ეს ამბავი. მართალია, გემიდან რადიოსიგნალები გადასცეს, მაგრამ ვინაა თავდები, რომ გაიგონებდნენ. წლის ამ დროს აქ, ჩრდილოეთში, საერთოდ ცუდი ხილვადობაა, რადიოსიგნალებიც კი იკარგება.

— რატომ არ უნდა დაეძებნოთ კატარლით პონტონი?

— საამოვნებით, ვასილკა, მაგრამ ჩვენს კატერს სვლა არა აქვს, კუნძულს ჩვენი შეკერილი იალქნებით მოვადექით, ტომრებისაგან რომ შევაკოწიწყოთ. ამიტომ გადმოგვაგდო ტალღამ. კიდევ კარგად გადავრჩით.

სწრაფი ნაბიჯის ხმა ისმის, ქოხში სულშეგუბებული მეზღვაური შემორბის და კარებშივე იწყებს:

— ამხანაგო ლეიტენანტო! ზღვიდან კუნძულს გემი უახლოვდება, სილუეტი წყალქვეშა ნავისა აქვს.

სოლოვიოვი, მოლოდინის წინააღმდეგ, პირველად ამ მოხსენებას გულმშვიდად ხვდება. დინჯად დგება, ქოხში ბოლთის ცემას იწყებს, მერე რადისტს უბრძანებს, ყველაფერი გააკეთე, რაც შეგიძლია, რომ რაცღა მწყობრში ჩააყენო და ცნობა გადასცეო.

— შეიძლება ეს სულაც არაა ნავი, იქნებ ჩვენი პონტონია. თუმცა ასევე წარმატებით შეუძლიათ ფაშისტებსაც, რომ კუნძულებს ესტუმრონ, — თავისთვის ლაპარაკობს ლეიტენანტი. — და უყოვნებლივ ჩააღვლით იარაღს ხელი

როგორც ვატყობ, მკლავს გამოცდა მოგვიხდება.

მეზღვაური გარეთ გარბის და უკან სოლოვიოვი მისდევს.

ნისლი იფანტება და ხუთბალიანი ქარი თითქოს ქალღდის უზარმაზარ გრავნილებს მოაგორებს. ამინდი იცვლება.

მართლაც, პორიზონტზე აღმართული შავი წერტილი თანდათან იზრდება და ნავის სილუეტს ემსგავსება. თუ ეს ნამდვილად ნავია, გერმანელთა ნავი იქნება. საბჭოთა ნავეები კარის ზღვაში არ დაეცურავენ.

წყობის წინ სოლოვიოვი უჩვეულოდ მოკლედ ლაპარაკობს, მაგრამ მისი ნათქვამის აზრი ყველასათვის გასაგებია. ყველაზე უფრო მოსალოდნელი ისაა, რომ ნავიც იმ ადგილზე მიადგეს კუნძულს, სადაც კატარლა გაიჩხირა. მეზღვაურები კატარლის მახლობლად ჩასაფრდებიან და თუ წყალქვეშელები ხმელეთზე გადასვლას მოიწადინებენ, ან ტყვედ ჩაიგდებენ ან შემუსრავენ. მეზღვაურებსა და მონადირეებს ორი ტყვიამფრქვევი აქვთ, ოცდაორი ავტომატი და სანადირო თოფები.

დრო ჩქარა გადის. მალე ყველაფერი ნათელი ხდება. ნაპირს აჩქარებით უახლოვდება კიჩოაწეული ნავი, მის ცხვირზე ფაშისტური აღამი ფრიალებს.

რა ხდება? რისთვის დასჭირდა გერმანელების ნავს საეჭვო, თუნდაც უკაცრიელ კუნძულთან მისვლა, რომ გვერდები დაუზილონ? ჩასაფრებული მეზღვაურები ამაოდ ცდილობენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

ნავი სულ უფრო და უფრო უახლოვდება ნაპირს, ბოგირზე უკვე ჩანან ადამიანები. ხედავთ? ისინიც გამზადებულიან საომრად. ბოგირის წინაფრის ქვეშ ქვემეხებს დაუღლიათ პირი, ცხვირის ქვემეხთან საარტილერიო რაზმეული დგას, აშკარად ზეერავენ სანაპიროს, ღურბინდით ცდილობენ კუნძულის სიღრმეში შეღწევას. ყველაზე მეტ ყურადღებას კი კატარლას უთმობენ, ტალღებში რომ ირწყვა და უკან-უკან

მიიწევს. გერმანელებს ქვემეხი სწორედ ამ დაღწეული გემისათვის დაუმინებიათ. ეტყობა, ღია ზღვიდან კატარღა სულაც არა ჰგავს ნაპირზე გარიყულს. ალბათ ღუზაზე მდგომი ჰგონიათ.

— უცნაურია, — თითქოს თავისთვის ბუზღუნებს სოლოვიოვი. — რა უნდა ამ საოხრეს ყინულოვან კუნძულზე? უთუოდ დაზიანებულია და წყალში გაჩერება აღარ შეუძლია.

— მერე, რაღა ჩვენი ქვიანი კუნძული აურჩევია? იქნებ ტყვედ დანებებას აპირებს? — იმავე კილოთი მსჯელობს სკაუნოვი, — მაგრამ მაშინ ქვემეხი და ტყვიამფრქვევეები რისთვის გაუშვადებია?

— ვასილკა, პირველად ხომ არ შეგინიშნავს, ჰორიზონტზე რომ გამოჩნდა? მე მგონია, უკვე ორი საათია, რაც გვიახლოვდება? ასე მხოლოდ კუ დადის.

— თუ არ ვცდები, ტალღას მოაქვს, თავისი სვლა კი არ გააჩნია. ნაღმს თუ გადააწყდა საღმე...

— კარის ზღვაში ნაღმს რა უნდა, ვასილკა?

ქვემეხის ხახა თხელმა კვამლმა დაფარა. მეზღვაურები მაშინვე მიხედნენ, რომ ნავმა ცეცხლი გახსნა. მალე აფეთქების ხმაც ისმის. ოთხი გასროლით კატარღას ხანძარი შეენთო. გვერდზე გადაწოლილი გემი ცეცხლის ალსა და ორთქლში გაეხვია. საბჭოთა მეზღვაურები მოუთმენლად უჭირენ ხელს იარაღს, მაგრამ გასროლის ბრძანება ჯერ არ ისმის. უნდა დაიცადონ. ვინც ვერ იცდის, ვერ გაიმარჯვებსო, ხშირად უთქვამს უფროსს.

მეტუთედ აღარ უსროლიათ. ნავმა როგორღაც გაიჭრიალა, მარცხნივ გადაიწვა, მეზღვაურები მაღლა შექრებულან, ბოლოს დახრილობამ კატასტროფულად იწყო ზრდა და წყალქვეშელები ზღვაში ხტებიან. ტალღა ტალღაზე მოწოლილა, ნავს მარჯვენა მხარეს უტყვენ და აშკარად დასაღუბავად სწირავენ.

— კმ, ხედავთ? — გაჭიანურებით

ამბობს სოლოვიოვი. — ეს უკვე ავარია კი არ ვახლავთ, სრული კატასტროფაა. ნავს ველარაფერს უშველი. წყალქვეშელები კი დაველოდებით, მეტი რა გზაა, მაგრამ ვეჭვობ, რომ ჩვენი ტყვეების რიცხვი ბევრად გაიზარდოს. როგორ მოუვიდათ ეს გერმანელებს, ისინი ხომ საუკეთესო წყალქვეშელები არიან?

— ომი ომია, სასწაულიც არ უნდა გეკვირდეს, — ამბობს ვასილკა იმ მიზნით, რომ რაიმე უბასუხოს.

წყალქვეშა ნავი უკვე დაქრილი ზვიგნივით გვერდზე გდია, წყალი უწყალოდ აესებს მის ლუკებს, ბოგირს, გამეტებით სცემს და ანარცებს ქვემეხე-წყალქვეშელები უკვე გასაბერ კანჯოებს. უშვებენ წყალში და ნაპირზე გადასასვლელად ეშვადებიან. რაკი კატერი დაწვეს და პასუხი არავის გაუცია, კუნძულს სრულიად უკაცრიელად თვლიან.

— თქვენ კარგად ხართ შენიღბული, ხოხვით იარეთ და მწყობრს შეატყობინეთ, ყველას გადაეცით ჩემი ბრძანება, — მიმართავს ვასილკას ლეიტენანტი: — როგორც კი ნაპირზე გადავმოვლენ სათითაოდ შეიპყრონ ფაშისტები, უხმაუროდ, იარაღს უკიდურეს შემთხვევამდე ნუ გამოიყენებენ.

სკაუნოვი მაშინვე ჭრება, სელაპივით ხოხვით უახლოვდება მთომრებს, ლოდებს უკან რომ მიმალულან. სოლოვიოვი სულმეგებებული შესცქერის რეზინის კანჯოებს, ნაპირისაკენ რომ მიჰყავს წყალქვეშელებს გაჭირვებით. ნაპირამდე ალბათ ვერ მოაღწევენ, მაღლე გადაბრუნდებიან და ადამიანებს წყალში გადაყრიანო, ფიქრობს.

მაგრამ ხდება სოლოვიოვისათვის მოულოდნელი რამ. ერთ-ერთი ფაშისტის კატის სიმარლით აყენებს ტალღაზე კანჯოს და უკანვე აბრუნებს ნავთან, რომელსაც ქინკველებივით დახვეწიან ადამიანები. წყალში დარჩენილი გერმანელები ზოგი ზეზეულად, ზოგი ცურვით მოეშურებიან ნაპირისაკენ. ასეთივე ხერხით გადმოსხა „დესანტი“



სხვა კანჯომ, თვითონ კი ნავთან დაბრუნდა.

წყლიდან გამოსული წყალქვეშელები მზებრებულად იმალებიან მაღალ ლოდებს შორის, სადაც მათ ალბათ შეიძლება ყოფნა. ყველაფერი ჩინებულად გამოდის. ტყვედ ჩავარდნილი ფაშისტები ისე ჭრებიან, თითქოს მიწამ პირი უყო. მაგრამ აი, მესხეთე გზობაზე სურათი ანაზღვეულად იცვლება. ავტომობილის გრძელი ჭერი არღვევს ყურეში გაშვებულ დუმილს. ოფიცერი-ფაშისტი ქვებს შორის სადაც საეკვოს ხედავს და ავტომობილს აკაკანებს. აქედან ჩვენებმა უპასუხეს, და ნაპირზე სასტიკი ბრძოლა იმართება.

ძალთა თანაფარდობა კი საბჭოთა მებრძოლების სასარგებლოდ იცვლება. მტრის ქვეშეხები ველარ გაისვრიან, იარაღი წყალშია. ეკიპაჟის 56 წევრიდან ექვსი მოკლულია, ოცდამდე დატყვევებული. დანარჩენები კი ქარიშხლისაგან ყალყზე დამდგარ ზღვაში იმყოფებიან. მტრის საფარი არ გაჩინია საბჭოთა მებრძოლებს კი ლოდებს უკან არც კი ჩანან.

პირველსავე შეტაკებაში წყალქვეშელები ზარალდებიან და თითქმის უყოყმანოდ იღებენ სოლოვიოვის წინადადებას, დაგვენდით, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო.

გერმანელთა სწრაფი ვეაქუაცია ხმელეთზე ერთი მოულოდნელი ამბით თავდება. პირველთაგანი, ვინც კუნძულზე გადმოიყვანეს, ნავის უფროსია.

— წყალქვეშა ნავის უფროსი, საკმაოდ მხნედ, თუმცა ძლიერ შეწუხებული კაცივით სუფთა რუსულ ენაზე ლაპარაკობს, — ლაშქრობის დროს ჩავიბრუნე რუსების გემი, რომლის ქიშხეც იყო ნომერი „ტშჩ—120“...

„აი, ვისთან მაქვს საქმე, — ფიქრობს სოლოვიოვი. — ჩემი სახელოვანი „ბეტეშია“ ამ ოხერს მოუკლავს!“ —

და დაუფარავი ბრახით შესცქერის ოფიცერს.

გერმანელი კი განაგრძობს: — მაგრამ ამ გემმა ცოტა ადრე ჩაძირა ჩვენი წყალქვეშა ნავი „ი 386“, შემდეგ კი... არსებითად იმავე გემმა დაღუპა ჩემი წყალქვეშა ნავი... კაპიტანი კი არა, ქაჯი მართავს... მეტს აღარაფერს არ გეტყვით.

სოლოვიოვი ფიქრებშია. გაურკვეველად აცქერდება უზარმაზარ ლოდს, რომლის ფონზეც გერმანელი ოფიცერი, თითქოს ფოტობიჭვების წინ იყოს, ამყ იერს იღებს.

— უფრო დაწერილებით შიამბეთ თქვენი შეტაკების ამბავი ჩვენს გემთან, რასაც „ტშჩ—120“-ს ეძახით, — არღვევს ხანმოკლე დუმილს სოლოვიოვი. — სწორედ ეს უკანასკნელი შეტაკება მაინტერესებს.

— ნება მომეცით. — ხალისით თანხმდება ოფიცერი და მის ხმაში იცნობა ტრამბის ნოტები. — პირველად შეტევაზე გადავედი 24 სექტემბრის 10 საათსა და 14 წუთზე...

— არა, მე მაინტერესებს მეორე შეტაკება.

— კეთილი. პირველი ბრძოლის შემდეგ ნაჟს კონტრშეტევის ეშინოდა და იძულებული იყო დიდ სიღრმეზე დაეყოფნებინა, ვიდრე ტორპედოებით სროლას განაგრძობდა. მეორე შეტევაზე მხოლოდ 12 საათსა და 34 წუთზე გადავედი. ტორპედო შუა ადგილას მოხვდა გემს, რომელიც ჩემის აზრით სვლას მოკლებული იყო. კვამლის უზარმაზარი სვეტი დადგა აფეთქების ადგილზე. როცა კვამლი გაიფანტა, ზღვის ზედაპირზე მხოლოდ გემის კიჩო დაცურავდა. პირველად აღამიანები არ ჩანდნენ. სიფრთხილისათვის მას ისევ წყალქვეშა ჩავუარე. შემდეგ ამოვცურე და ნახევრად ჩაძირულ გემთან მივედი. იქ ექვსი კაცი აღმოჩნდა: ხუთი მებრძოლი და გემის უფროსი, ცბიერი მელა, ეშმაკმა კი წაიღოს მისი თავი!

— თქვენ, როგორც მართლმორწმუნ-

ნე ფაშისტმა, ყველანი დაუყოვნებლივ დახვრიტეთ, არა? — ვერ მოითმინა სოლოვიოვმა.

— არა, ბატონო ლეიტენანტო. ჯერ ერთი, მე არასოდეს არ ვყოფილვარ ფაშისტი. ყველა გერმანელი ფაშისტი როდია. მეორეც, მე არავინ დამიხვრეტია. ყველა ცოცხალია, უფროსის გარდა, რომელმაც საკუთარი თავი აიფეთქა.

— როგორ?! — სოლოვიოვი ისე იხრება წინ, თითქოს მტერს თავს უნდა დაესხასო. — გარკვევით მოთხარით!

— ხალხი გემის ნამუსრევზე იდგა და ჩვენს ნავს შესცქეროდა, თითქოს მსხნელს ელიანო. მე იარაღის დაყრა და დანებება ვუბრძანე. ბრძანებზე ცარიელი ხელები მიჩვენეს, უიარაღო ვართო. გემის უფროსს ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა, რაც სრულიად ბუნებრივად მივიჩნიე. ოფიცერი ოფიცერია, მას ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს აუცილებელი საჭიროების ნივთები, მაგრამ... ამჯერად კი გამოუსწორებელი შეცდომა დავეუშვი. ამ ქაჯს ჩემოდანში სიღრმის ბომბი აღმოაჩნდა...

— არწივი ზღვაშიაც არწივია, გემზეც და გემის ნამუსრევზეც? — აღტაცებას ვერ ფარავს სოლოვიოვი. — განაგრძეთ, განაგრძეთ!

ოფიცერი აქეთ-იქით იხედება, ახველებს და განაგრძობს:

— გემის უფროსმა, ეშმაკის კერძმა, როგორც წესდებითაა გათვალისწინებული, დაღუპული გემი უკანასკნელმა მიატოვა და ჩემს ნავში გადმოვიდა. მაგრამ იმის მაგიერ, რომ სხვა ტყვეებს გაჰყოლოდა და ნავის სიღრმეში შესულიყო, ის წყეული ქაიჯი ანაზღად მძვინვარე ვეფხვად იქცა, თავის მეზღვაურებს რაღაცა გადასძახა და ჯიხურის უკანა მხარეს გაიქცა, არც გაჩერებულა, ისევე ისროლა თავისი ჯოჯოხეთური ჩემოდანი პირდაპირ ზრახნების რაიონში, მერე კატის სიმარჯვით მოგვიბრუნდა და ტყვია დაგვაყარა

პისტოლეტიდან, რომელიც ეშმაკმა იცის, საიდან გამოაძვრინა. ტყვე მეზღვაურებმა რომლებიც იერიშზე გადმოვიდნენ, და ჩვენმა წყალქვეშელებმა ვერაფერიც ვერ მოასწრეს, ისევ ვაისმა აფეთქების ხმა და... ჩვენი ნავის კიჩო პაერში აფრინდა. გემმა სვლა დაკარგა. რადიოთი მაშველი ვიხმეთ, არავინ მოვიდა, და აი, როგორც ხედავთ... ღრეფით აქეთ მოვცურეთ... ეჰ, ბატონო კომისარო, ომი მართლაც საზიზღარი რამეა!

— საზიზღარი რამე? ჩვენ მას კაცობრიობის უდიდეს უბედურებას ვეძახით და თმის გამჩაღებელი მილიონების მკვლელად მიგვანჩია.

— ამ საკითხში თქვენ, ალბათ, მართალი ხართ... მაგრამ კაცობრიობა ომის გარეშე...

— ჩინებულად იცხოვრებდა კაცობრიობა ომის გარეშე, მხოლოდ ერთი მუქა განდიდებული ბანდიტები საჭიროებენ ომს ერთიმეორის ჯაერის ამოსაყრელად, და ცოფიანი ძაღლებივით უსევენ ერთიმეორეს ხალხებს, რომელთა სიცოცხლე და სიყვარული უნდა... მაგრამ ამაზე შემდეგ... სად არიან თქვენი ტყვეები?

— მატროსები იქ არიან, — ოფიცერი ზღვის მხარეს უჩვენებს, — ალბათ მალე მოიყვანენ. გემის უფროსი კი... ვერ გადავარჩინეთ. მისი ბრალია, თავი აიფეთქა, მერე თვალსა და ხელს შუა გაგვიჭრა, ალბათ ზღვაში გადავარდა. მოკლედ, დაიღუპა.

— არწივი იყო ჩვენი ვამეხ მიმინოშვილი! სოლოვიოვი ქედს იხდის, ნაპირს ვასცქერის, სადაც კანჯოთი მორიგი ჯგუფი გადმოჰყავთ.

— ბატონო ლეიტენანტო, იცნობდით იმ უფროსს? — რაღაც შეშფოთებული ხმით ეკითხება ოფიცერი.

— მე იმ „ბეტეშას“ კომისარი ვარ. რომელიც თქვენ ვერაგულად დაღუპეთ. როგორ არ უნდა ვიცნობდე ჩემს უფროსს?

— როგორ! თქვენ? კომისარო! ნუთუ ეს შესაძლებელია? — ახლა გერმა-

ნელი ოფიცრის გაცემის ჯერი დგება. — თუმცა ომში რა არ მოხდება მპატივით, მაგრამ მე შეომარი ვიყავი. მკვლელი რომ ვყოფილიყავი ტყვე მატროსებს დაეხვრეტდი და ჩემი ნავიც გადარჩებოდა. ჰუმანიზმი, ეტყობა, ცუდი თანამგზავრია ომის გზებზე...

— ჰუმანიზმი ომის თანამგზავრი არ არის, — იცინის სოლოვიოვი. — ისე კი, მართლაც შეგეძლოთ, უარესი ცყოფილიყავით, თქვენ ამას გავალბებენ.

— შეიძლება... თქვენ მალე ნახავთ თქვენს მეზღვაურებს.

— თქვენც ასეთი შესაძლებლობა მოგეცემათ. აქ ჩვენ სტუმრად გვყავს სამი წყალქვეშელი, თქვენი ნავის „ი — 386“ ეკიპაჟიდან.

სოლოვიოვი დიდხანს აღარ უყურებს გერმანელი ლეიტენანტის გაცემისაგან დაჰყვითლ თვალებს, იქით მიეშურება, სადაც თავის თანამებრძოლ მეზღვაურებს უნდა შეხვდეს.

## დაილუპა მაგრამ გაიზარაზა

ბელომორის ფლოტილის უფროსის კაბინეტში სიწყნარება. ნამძინარევი აღმირალი პანტელეევი მაგიდასთან ზის და გულგრილად დასცქერის დაბლა გადაშლილ ოპერატიული ზონის გეგმებს. მის პირისპირ გაშუშებული ოფიცრები მეტისმეტად კარგად იცნობენ თავიანთ აღმირალს, რომ მიხვდნენ, სძინავს თუ ღვიძავს უფროსს, ამიტომაცაა ოთახში სამარისებური დუმილი. ისიც კარგად იციან, რომ დიდხანს არ იძინებს და უეცრად გამოღვიძებული არავის შეუწოდებს „ხასიათის სისუსტესა“ და უდისციპლინობას. უყვირებს, დატუქსავს ყველას. მაგრამ ამჟერად აღმირალი ჩვეულებას ღალატობს. ნელა იღებს მძიმე თავს, აუჩქარებლად აშორებს თითქოს თუქისაგან გაყვებულ ნიკაბს მარჯვენა ხელს და პატარა თვალთა გამხვრეტ მზერას აპურობს ოპერატიულ მორიგეს.

— აბა, რას უცდით? რატომ შეწყვეტით მოხსენება? მომახსენეთ!

— არის, ამხანაგო სარდალო! ჩვენ დუფაცურდა მორიგე. — მე ვიფიქრე... დავაშავე, ამხანაგო აღმირალი! მე მამეჩვენა, რომ თქვენ...

— რას დავებებ, რა მოგეჩვენათ! მომახსენეთ! — აღმირალი ისე ღრიალებს, რომ ყველას აკრთობს.

— არის, მოგახსენოთ! — მორიგეს თავისი დავმართა. — დაღუბული „ბეტეშა“ პონტონმა დატოვა კატარღსთან ერთდროულად 24 სექტემბერს 11 საათსა და 5 წუთზე. პონტონზე ოცი კაცი: ძლიერ ნისლში პონტონმა და კატარღამ მალე დაქარგეს ერთიმეორეთუმცა რადიოსადგური და კომპასები ორივეს ჰქონდა, მაგრამ ერთხელაც ვერ მოახერხეს დაკავშირება. განსაკუთრებით მძიმე დღე დაადგათ იმათ, რომლებიც პონტონზე იმყოფებოდნენ. კატარღამ იალქნები აღმართა და მიუხედავად იმისა, რომ მოტორი ტალღებმა გააფუქეს, მაინც საკმაოდ სწრაფად წავიდა წინ, ასე რომ 25 სექტემბერს უკვე კუნძულ პოდკოვოს მიადწია, ხოლო ნავიკივი სულ ათიოდე მილით გაცურდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ორი ნიჩბის მეტი მეზღვაურებს არაფერი გააჩნდათ. ძლიერი გადატვირთული ნავტიკის მართვა თითქმის შეუძლებელი გახდა, ტალღებში იმალებოდა. მას შემდეგ, რაც ორი ნიჩბი ანძის მაგიერ აღმართეს და ზედ ტომრებისა და მზარებისაგან შეკერილი იალქანი გაქიშეს, პონტონი ცოტა უფრო აჩქარდა და ორი დღის დაგვიანებით, 27 სექტემბერს, ნაპირს იმანაც მიადწია, მაგრამ არასახარბილო ვითარებაში. მართალია, არავინ დაღუბულა, ნაპირზე ყველანი გადავიდნენ, მაგრამ ეს აღმოჩნდა სრულიად უდაბური კუნძული სკოტ-ჰანსენი. აშკარაა, რომ საყვებსა და თავშესაფარს მოკლებული აღმირანები, რომელთაც მხსნელი არსიდან არ ელოდათ, დასაღუპავად იყვნენ განწირულნი, მით უმეტეს, წლის ამ დროს იქ ვინ შეიხნავდა! ამიტომ 12 კაცი

ისევ ჩაჭდა ნაეტიკში და პირველ ოქტომბერს მიაღწიეს სუიანტის კონცხის სანაპირო არტილერიის ბატარეას.

როგორც კი ბატარეიდან შეგვატყობინეს „ბეტეშას“ ეკიპაჟიდან გადარჩენილი მეზღვაურების ჩასვლა, დიქსონიდან დაუყოვნებლივ ვავაგზავნეთ სწრაფი ტრალერი, ერთი დღე-ღამის შემდეგ გემმა ჩამოიყვანა ნაეტიკის მთელი ეკიპაჟი — კუნძულ სტოკ-ჰანსენზე დარჩენილებიც და სუიანტის კონცხზე მისულნი, სულ თერამეტი კაცია იყო: ორი დაქრილი ნაეტიკზევე გარდაიცვალა და ისინი მეზღვაურების წესისამებრ დაკრძალეს ზღვაში...

ადმირალის წყნარი ხერხევა მორიგეს აიძულებს ხმას უკლოს და მალე სულაც გაჩუმდეს. სავარძელში ჩაჯდომასაც კი აპირებს, რომ მრისხანე უფროსის მკაცრი ყვირილი დასვენების ხალისს უკარგავს არა მარტო მას, არამედ ყველა იქ მყოფ სხვა ოფიცერსაც.

— განაგრძეთ! რა, ძილი გერევით თუ რა ეშმაკი მოვივიდათ? — ქუხს პანტელევეი და ამჯერად ზეზეც კი წამოიჭრა. — გახსოვდეთ: ომია, დაღლილობა უნდა დაივიწყოთ!

— არის, ამხანაგო ადმირალო! ყველაფერი გასაგებია, დავაშავე, გთხოვთ მამატიოთ!

— განაგრძეთ! ყველაფერი მომახსენეთ! ნუ აქუცმაცებთ მოხსენებას! საქმიანი ბრძანების გაცემა რომ მოათავა, ადმირალმა ისევ თავისი ადგილი დაიკავა.

ოფიცრები ჩრდილოეთის საომარი მოქმედების თეატრის დიდ რუკას დააქებრდნენ.

— მეორე დღესვე მოვიდა მორიგი გემი „მოლნია“, — დამნაშავესავეთ ვანაგრძობს მორიგე, — პოლკოვოს კუნძულიდან ოცდახუთი კაცი ჩამოიყვანა, ექვსიც ტყვეობიდან განთავისუფლებული მეზღვაური, „ბეტეშას“ ეკიპაჟიდან. გარდა ამისა, „მოლნია“ დიქსონზე ჩამოიყვანა ორმოცდაცამეტი გერმანელი წყალქვეშელი, ფაშისტური წყალქვეშა ნაგების „ი — 358“

და „ი — 386“ ეკიპაჟებიდან. ეს ნაგები კი ჩაძირეს. ამრიგად, მხლებელი გემის „ბეტეშას“ საბრძოლო მოქმედების შედეგად, რასაც გემის უფროსი ვამეხ მიმინოშვილი ხელმძღვანელობდა, განადგურებულია ორი ფაშისტური ნავი. ჩვენ დავკარგეთ მხლებელი გემი, ეკიპაჟიდან ზღვაში დაიღუპა ოცდარვა კაცი, მასველი გადასვლების დროს დაიღუპა კიდევ ორი, დანარჩენები გადარჩნენ. გემის უფროსი მძიმე მდგომარეობაშია. მოხსენება დავასრულე.

— ჭერჭერობით ჩამოჯექით! ადმირალი დგება და სიარულს იწყებს. — აბა, მორიგი მოხსენება, ტყვეების დაკითხვის შედეგებზე. დაზვერვის უფროსო, გისმენთ! — და თავისი ჭერის პოლოდინში მაგიდასთან გამოჭიმულ ოფიცერს თავს უქნევს.

— ტყვეების დაკითხვა ჭერ კიდევ გრძელდება, ამხანაგო ადმირალო! — იწყებს დაზვერვის ოფიცერი, — ამიტომ ჩემი მოხსენება რამდენადმე ზოგადი ხასიათისა იქნება, მაგრამ ერთგვარ შუქს მაინც მოჰქენს ჩრდილოეთის საომარი მოქმედების არის დღემდე ბუნდოვან ზოგიერთ უბანს.

— პირდაპირ თქვით, კაშპული სიტყვების გარეშე!

— მაგალითად, ტყვეები ადასტურებენ, რომ კარის ზღვაში აგვისტოს მეორე ნახევარში მოქმედებდა გერმანელთა მხოლოდ ორი წყალქვეშა ნავი, ასევე იყო სექტემბერშიც. სწორედ მათ ჩაძირეს ტრალერი „ტშ — 120“, რომელსაც უშიშარი დიმიტრი ლისოვი მეთაურობდა, თოლორ დემჩენკოს ხომალდი, კონსტანტინე ნაკონჩინის გემი და, გარდა ამისა, ცეცხლი დაუშინეს სურვილის კონცხზე აღმართულ შუქურასა და სასიგნალო პოსტს. მათვე, ვ. ი. „ი — 358“-მა და „ი — 386“-მა ჩაძირეს კარის ზღვაში ჰიდროგრაფიული გემი „ნორდი“. ერთი სიტყვით, ეს ორი გათავხედებული წყალქვეშა ნავი დიდ ზიანს აყენებდა კარის ზღვაში ჩვენი არტილერიის ხაზის ზღვაოსნო-

ბას, ვიდრე ბოლოს „ბეტეშჩას“ არ შე-  
ეტაკნენ და მიმინოშვილმა არ გაუსწო-  
რა ანგარიში ყველაფრისათვის. ეს  
ტყვეთა დაკითხვითაც დასტურდება.

— „ბეტეშჩა“, „ბეტეშჩა!“ — ხმა-  
მალა მსჯელობს ადმირალი. — ლაპა-  
რაიც შედმეტია, გმირები არიან, რა  
თქმა უნდა! ხედავთ, დაიღუპა, მაგრამ  
გაიპარჯვა! აი, ეს მესმის! ოფიცერიც  
ისა ყოფილა და კაციც. მესმის... დღეს  
ხომ არ მოუხსენებიათ, როგორია მიმი-  
ნოშვილის ჯანმრთელობის მდგომარე-  
ობა? რას იტყობინებიათ? — ადმი-  
რალი ექიმს უყურებს. — სადაა გუსინ-  
სკი?

— თქვენ გაათავისუფლეთ, ალბათ  
ისვენებს. — მოახსენებს ოპერატიუ-  
ლი მორიგე. — დილის ოთხი საათია.

— აჰ, მართლაც, ცოტა გვიანაა... ესე  
იგი, აღრეა... მაგრამ არაფერია, მიხ-  
მეთ გუსინსკი, თვითონ მომახსენოს  
როგორაა „ბეტეშჩას“ უფროსი.

ვიდრე მორიგის თანაშემწე ადმირა-  
ლის ბრძანების შესასრულებლად მი-  
ეშურება. დაზვერვის უფროსმა განა-  
რობა:

— ყველაზე უფრო ძვირფასი, რაც  
ჩვენ ტყვეებს გამოვგლიჯეთ, ესაა ცნო-  
ბა გერმანელთა წყალქვეშა ნაევბის შე-  
იარაღებაში უკვალო ტორპედოების  
არსებობის შესახებ. მათ ელექტროძრავა  
აქვთ და ისე დაპარიალებენ. კვალს  
არ ტოვებენ. ასეთი საიხლე შეიძლება  
ით უფრო სასარგებლო გამოდგეს.  
რომ ერთმა წყალქვეშელმა ზეპირად  
დაგვიხატა უკვალო ტორპედოს მოწყობილობა.

— ასეთი გერმანელებიც არიან ფაშ-  
ისტ წყალქვეშელთა შორის? — ცნო-  
ბისმოყვარეობით აკვირდება ადმირალი  
ოფიცერს. — მიკერს.

— არიან! — სუტიაგინი ეშმაკურ-  
ად ილიძება. — აჰ, ამხანაგო ადმირა-  
ლო, ერთგვარი მუშაობა ჩავატარეთ.  
კომისარმა სოლოვიოვმა გზაში ცოტა  
რამ შეაჯერა. ზოგიერთი რიგითი გვა-  
რიან ცნობებს გვაწვდის.

— ჰეჰ! — თავს აქნევს მომლიმარი

ადმირალი. — ეს ის სოლოვიოვი იქ-  
ნება, რომელზეც პოლიტგანუტყველ-  
ების უფროსი ამბობდა, ეშმაკს უნდა  
ლოზად გარდაქმნისო. ახალგაზრდაა,  
მაგრამ გამობრძმედილიო. პიტლერი  
ასეთ კაცში რას არ გადაიხდიდა, რომ  
აყიდებოდეს!

— არა უხმაუროდ იღება და წყნარად  
მეწოდის სამხედრო ექიმი. სუნთქვაზე  
შეატყობთ, როგორ ჩქარობს.

— გეძინათ უთუოდ. — პირველი  
ამბობს ადმირალი, — მაგრამ ომი ჯერ  
არ დამთავრებულა, ძილს უნდა ვერი-  
დოთ, შეიძლება გამარჯვება გამოგვეპა-  
როს.

„ქველის სწავლება როგორ უყვარს,  
თვითონ კი ბუზივითაა: სადაც დაჭდე-  
ბა, იქ იძინებს“, — ფიქრობს გუსინს-  
კი.

— არც მიფიქრია, ამხანაგო ადმი-  
რალი! ავადმყოფს ვიღებდი ჰოსპი-  
ტალში. ავადმყოფი მიმინოშვილი ჩა-  
მომიყვანეს ზორის ნახევარქუნძული-  
დან.

— ავადმყოფი მიმინოშვილი? —  
ადმირალი თვალებს აბრიალებს. —  
რატომ არ შემატყობინეს, თუ აქ ჩამო-  
პყავდათ? რა წესებია?

— ამხანაგო ადმირალი, ყველაფე-  
რი შემთხვევით მოხდა, — გუსინსკი  
ჯერ კიდევ კარებში დგას და სხაპა-  
სხუპით ლაპარაკობს: — როცა ჩვენი  
გაგზავნილი ექიმები ნენცების სამოსა-  
ხლოში ჩავიდნენ, ავადმყოფს ადგილო-  
ბრივი ექიმბაშები მკურნალობდნენ,  
უფრო სწორად რომ ვთქვათ, აწამებ-  
დნენ და აბუჩად იგდებდნენ. პირდაპირ  
გასაკვირია... არა, ნაღმს რომ ვაღარ-  
ჩა, ეს კი არ მიკვირს, გასაკვირი ისაა,  
როგორ ვაღარჩა ცოც აბაზანებს დახუ-  
თულ ჩუშში... ორი დღე აწამებდნენ.

— როგორ, ექიმბაშები? ნუთუ იქ  
ექიმები არ იყო? ან ის ხალხი კვლავ  
არ იყო, რომ ავადმყოფი ექიმბაშებს  
მიუგდეს, იმ შშიერ მგლებს?

სამოსახლოში მხოლოდ მოხუცები და  
დედაკაცები დარჩენილან. ექიმი არა



ჰყავთ. ფერშალი ქალიშვილი ყოფილა, ძალიან ჰკვიანი და მცოდნე, კომკავშირელი, მაგრამ არ დაუჭერეს, გაუგდიათ...

— ეშმაკმა დალახვროს! როდის დავლწვეთ თავს ამ ჩამორჩენილობას? — ისევ მოჰყვა სიარულს ადმირალი. — ჰო, კარგი! განაგრძეთ. ჰო, მართლა, საიდანაა ის მიმინოშვილი?

— საქართველოდან... ზესტაფონიდან... სოფელ სიმონეთიდან, მგონი... ნებას მომცემთ, რომ დავაზუსტო, ამხანაგო ადმირალთ?

— ყველა წერილმანი დამიზუსტეთ, მისი მშობლების ვინაობა... ასეთი წერილმანები თვითონვე უნდა იცოდეთ! — უკმაყოფილოდ ატრიალებს თვალებს ადმირალი. — თუმცა მეც უნდა მცოდნოდა, რომ მიმინოშვილი ქართველი იქნება. ამხანაგო გუსინსკი! განაგრძეთ მოხსენება.

— ფლაგმანის ქირურგმა საჭიროდ ჩათვალა მისი სასწრაფოდ გამოგზავნა ჩვენს ცენტრალურ ჰოსპიტალში. იმავე თვითმფრინავით ჩამოიყვანეს. ეს არის დაიწყო ოპერაცია. აუცილებელია ხელის ამპუტაცია... განგრენა ეწყება...

— ნუთუ ასეთ ოფიცერს ვერ შევინარჩუნებთ? — წყენით შესძახა აღშფოთებულმა ადმირალმა, სამწუხაროდ, ვხედავ, მედიცინას დასაკვევნი ბევრი არაფერი აქვს...

გუსინსკი არ აპირებს ადმირალთან შეკამათებას, მხოლოდ მხრებს იჩქივს და რალაცის თქმა სურს, მაგრამ ვერ ასწრებს. ადმირალი იძლევა ნიშანს, რომ ზელქვეით ოფიცრებთან თათბირი დაამთავრა, და ბრძანებს:

— ამხანაგო შტაბის უფროსო! შეადგინეთ სპეციალური პატაკი ფლოტის მთავარი სარდლის სახელზე მზღებელი გემის „ბეტეშჩას“ საბრძოლო მოქმედების თაობაზე. ჩვენი შეამდგომლობა განსაკუთრებით გამორჩეულ გმირთა მთავებობის ჯილდოებზე წარდგენის შესახებ სპეციალურ საველე კავშირის შიკრიკს უნდა გაეატანოთ არა უგვიანეს ხვალისა...

ყველას საწყენად და სამწუხაროდ, ვამეხ მიმინოშვილის დაჯილდოება ლენინის ორდენით მოხდა... მისი ვარდაცვალების შემდეგ, მედიცინამ, ხელი კი არა, სიცოცხლეც ვერ შეუნარჩუნა გემის უფროსს — კუშტი არქტიკის თავდადებულ გმირს.

## „მეორე კვანძი“ ოთხი მკვლევარი

### 1.

რითმის მომხიბლავ ტირანის ვერ გავუქეცი.  
შენთან მოვდივარ ლექსის ცახცახით,  
ლანდის მონური მორჩილებით და ქანობით.  
ვეძებ ნაფოტებს,  
რომ არ ჩამიჭრეს ძლივს დანთებული ცეცხლი საუბრის.

მე მინდა გითხრა, რაც ვერ გითხარი  
და მაწუხებდა ამ გაზაფხულზე,  
როდესაც სევდა შემოგაწვება,  
მაშინ აიღე და გადაფურცლე.

მე გავიხარებ, თუ შენც გენიშნა,  
მე გავიხარებ, თუ დაგაფიქრა,  
ჩემი წიგნია, ჩემი ტანჯვაა,  
არაფერია თუ დასტამბული  
გაიყიდება თხუთმეტ კაპიკად.

მე მინდა გითხრა, რაც მსურდა მეტქვა,  
არ ვისვენებდი სასვენ ნიშნებზე,  
არ მაჩერებდა დიდხანს წერტილი,  
მე ნათელი ვარ, ჩემო ძვირფასო,  
და მე გახსნილი ვარ კონვერტივით.

ლექსია ჩემი რელიგია და გვედრები  
ნაწერი ფურცლის ამ ფარატინით,  
ჩემი სახელი შენს ხსოვნაში, ვით სამოვარი  
არ დაიფაროს მწვანე პატინით...

### 2.

თუმცა მრავალი მოგონება ისე ანათებს,  
თითქოს შუქია მტერიან ნათურის,



პაგრამ მე მაინც გზა არ შეშლება  
და არ მიფიქვარ ხელის ფათურით...

შენ კაბა გასურდა საქორწინო და ოცნებობდი,  
გვერდით მომდევდი და ტიტინებდი  
და გიზგიზებდა შუადღის ცეცხლით  
გაშუქებული შენი თმები და ვიტრინები

შენ მოხვედრილი ვიწრო ქუჩების  
მდინარის ჩქერში ხალხს მიჰყვებოდი  
და ყველაფერი შენ გემხრობოდა.

შენ გიყურებდნენ.  
ბედნიერება გაუმაძღარი და ცვალებადი  
ჩემს სულში იჯდა, როგორც ობობა.

ვიღაც უკრავდა.  
მუსიკა იყო ზამთრის ცისფერი სუნთქვის ნაყოფი.

შენ გიყურებდნენ.  
მოგდევდი გვერდით, მოგდევდი გვერდით და ვამაყობდი.

იყავ ძლიერი უმწყობით და შენს ხელებზე  
ზამთრის უღონო სხივი თბებოდა.

მე მადლიერი ვიქნები შენი,  
რომ ბედნიერი ვიყავი ერთხელ  
და აზრი ჰქონდა ჩემს არსებობას.

### 3.

დავკვიდე თეთრი დროშა. გბარდები.  
მე მოვალ შენთან... ჩემი სულია  
გამოკეტილი, ვით აგარაკი.  
რწმენას ბრმა უყვარს. მე დავბრმავდები  
და მე ვიქნები რწმენის ზვარაკი.

აუტანელი შეჭმარტების  
დუმღილი მელი. ჩემი სურვილი  
ახლა დამიდან დამეში მიმაქვს  
და მესმის, მესმის დაქანებულ თუნუქის მიღში,  
როგორ ჩხრიალებს წითელი წვიმა.

რა მშვიდად მინგრევს ახლა სიმშვიდეს  
შენი მშვიდი და ნათელი სული.  
მე შემოგყურებ მხოლოდ ვედრებით.  
მე მესმის, მესმის ნელი ნაბიჯით  
ჩემს სიზმარს როგორ უახლოვდება  
სულ სხვა ქუჩებით და მოედნებით.

გადადგმულ ნაბიჯს გადადგმული მოსდევს ნაბიჯი.  
მე შეშინია თვალის გახელა.



მე ველოდები, ქუჩებს ქუჩილით  
გადაუაროს შენმა სახელმა.

ბოლოს ვისწავლე მოთმინება. მე ველოდები,  
როდის დაუკრავ სულში კლავსინს.  
ყველაზე უფრო,

ყველაზე უფრო,

ყველაზე უფრო

მე შენ მიყვარხარ დღის ვარსკვლავებში.

მე შინდა ერთხელ დაგინახო და მეღობუბა  
დამძიმებული წვიმის ტოტები,  
სულ რამდენიმე გაუბედავი  
ღიმილის იქით შენ მელოდები...

4.

მე მოვალ შენთან,

მე მოვალ შენთან,

ხელშესახები ვიქნები ლანდი,

მე მოვალ შენთან, ჩემო ძვირფასო,

ისეე დავიდგამ პატარა სარკეს

და ფანჯარასთან მზიანი დილით

დაფუძები, წვერი რომ გავიბარსო.

ან ვივლით, ვივლით და ავტობუსი

აწკმუტუნდება გზებზე ლეკვით,

შენი თვალებით გაიცინებს ჩემი თნილისი --

აქანებული და არეკლილი.

ოუ მოვა წვიმა (ბრმა არის წვიმა,

თითქოს აქა ხარ, ისე დაგეძებს),

წვიმას გაჩუქებ, როცა ღამეში

წვიმა დაფრთხება მანქანების ყვითელ თვალებზე.

ვიქნები ჩვენი წარსულიდან შენთან მოსული,

მოვალ კეთილთან და მომღიმართან,

შენ გეგონება ალბათ სიზმარი

და დაიჩივლებ, რომ გარდასული

უთანასწორო ბრძოლას გიმართავს.

ოუ დაგეგარგა საუბრის ძაფი

და დადუძდები, შენს მდუმარებას

მე წავიკითხავ, როგორც ბარათებს,

ჩვერა ისკუპებს, ვით ათინათი

და შენს მუხლებზე კატასავით მოიკალათებს.

აიზნიჭება კოცონით შენი სხეული

და მოთმინება დაიფშენება, ვით ქვამარილი,

როდესაც შენი შიშველი მკერდი



ღამის წყვდიადში დაეძვრება  
თვალებს მანქანის ორი ფარივით...

და ვერასოდეს, ვერასოდეს გამომიტირებ,  
არ შეხორცდება სულის ჭრილობა  
ჯამის მსვლელობით და თაბაშირით.  
მე მოვალ შენთან,  
მე მოვალ შენთან  
და გულუბრყვილო შენი სიცილი  
გამოიჭყვევა ჩემსკენ ბავშვივით...

## ფრანგული ბაკშეტილი

კიბის თერთმეტი საფეხური და მოედანი.  
ფეხის წვერებზე აიწიე. დარგვე. შედი.  
შენ შემოგხვდება ტანმორჩილი ქალის ღიმილი  
და დარაბაში შემოჭრილი სინათლის სვეტი.

იქ ოთახია ისე გრილი და იდუმალი,  
ვით მიმაგალი ტყეში ბილიკი,  
იქ ქალის სახე ბრწყინავს, როგორც მედალიონი,  
და მყუდროება დგას ბაზილიკის.

იქ იტანჯება სიყვარულით და სიამაყით  
და სარაცინებს ერკინება შმაგი როლანდი.  
და იქ ფრანგული შენს ბაგებზე  
ისე იმტვრევა, ვით შოკოლადი.

ჯადოსნურია და აბეზარი  
ავუარის და ეტრის პრეზანი.

ჯადოსნურია, რაც იმ ოთახში  
განმეორდება ხვალაც და ზეგაც,  
როცა კედლიდან მწუხრში ცისფერი  
ბალურივით გადმოვა დევა.

შენ თავს დააღწევ მუსლინის ბურუსს,  
როცა განდევნის მათ აბაჭური,  
ხარ დაბნეული და უსუსური,  
შენი ღიმილი არის ბავშვური.

შენ უნდა იჯდე ტანმორჩილ ქალთან,  
უნდა უსმინო და დაემონო,  
მისი ხმა ნაწი ვიოლინოა  
და გეფურება მისი ტრემოლო.

არაფრანგული შენი ბგერები  
თითქოს თრთიან და თითქოს გეკვირან..





დღეს რომ ფარფატებს შენს მაგიდაზე,  
მისი ღიმინის ანარეკლია.

გამომცდელია იმისი მზერა  
და იმ მზერაში თითქოს მეღაუნდები,  
მისი სიტყვები ისე ბრწყინავენ,  
ვით ნათურების გირლიანდები...

## „შინა ანდჰის“ კიდე ერთი ფრაგმენტი

მე ალბათ უნდა გაეზიარო მივიწყებული პოეტის ბედი.  
მაგრამ უცერად მტვრიან თაროზე  
წამაწყდები და აღვსდები მკვდრებით.

შენ დაგაფიქრებს ის, რაც ოდესღაც  
მე მაფიქრებდა და არ მართობდა,  
შენ დამაბრუნებ და გამაცოცხლებ,  
შეცვლი განაჩენს და აღუდგები  
გულგრილი ჯამის უსამართლობას.

ბუკინისტური მაღაზიის მტვერს მომამორებ  
და ამოჩრილი შენს ილღიაში  
ჩემი თბილისის ქუჩებში გავალ,  
თავს დამატყდება ქუჩის გნიასი.

ვეღარ დამიტევს ჩემი სტროფის ოთხი კედელი  
და ვიქანავებ ნათელი ლანდი  
ხიდზე, ხეებში და ტრამვაიში,  
შეუბრალებლად დაუსტვენს ჩიტი,  
პეპლების ფრთებით იფარფატებს გზებზე მაისი...

მე დაებრუნდები იქ, სადაც ყველგან  
მზე ოქროს აწრთობს, როგორც ჰეფესტო,  
აბილისი არის ჩემი ტკბილი მოხუცი მეფე,  
მე დაებრუნდები მოხუც მეფესთან.

ის ჩემზე ისევ შეაჩერებს დაფანტულ მზერას  
და ჩაფიქრდება გვირგვინოსანი,  
იქნება მაშინ სხვა საუკუნე  
და გულის შესერს მოაწვევა სევდა ბრბოსავით.

მთვა საღამო და მე ვეღარ გადავიტყვევი  
წიგნის ფურცლებად და ქალღმერთად  
და მიმავალი მანქანების წითელი შუკი  
შინდის ბუჩქივით ჩემს თვალებში აფართხალდება...



## ასე სჯობია, მამა!

### მოთხრობა

წვიმს.

მთელი ღამე წვიმს.

დილის სიომ ღრუბლები გაფანტა. ცხრათვალა მზის სხივებმა გორის წვერები გაანათა.

ოთახში სიჩუმემ და მარტოობამ დაისადგურა.

საძროხიდან მერცხალას ზმუილი მესმის.

მერცხალა მეძახის.

მერცხალას მარტოობა აწუხებს.

ყველას აწუხებს მარტოობა.

ვდგები.

მერცხალასთან შევდივარ. მერცხალა ჩემკენ იხედება. შუბლზე ვეხან.

ის დიდრონი, ჭკვიანი თვალებით მომჩერებია, მერცხალა ყოველ დღე ასე მომჩერებია. მის შემდეგ, რაც ესმა აღარ არის.

ქოთანს ვდგამ. მერცხალასთან მოსაწველად ვიხრები. რძე ჩხრიალით ჩაღის ქოთანში, ქაფს იყენებს. რძის ჩხრიალს ყურს ვუვდებ და, ასე მგონია, გვერდით ესმა დგას, ჯოხზე დაყრდნობილი, და სიბრაღულით მიყურებს. ასე იდგა ის, როცა მერცხალას მოწველა აღარ შეეძლო და მიყურებდა.

წველას ვამთავრებ, ვდგები. საბძლის ბნელი კუთხიდან ესმას თვალები მიყურებენ. მისი ჩურჩული მესმის:

— მარტო დარჩენილს რა გეშველება?

— მარტო რად დავრჩები, მორჩები, მერცხალას ისევ შენ მოწველი.

ესმა თავს უნდობლად იქნევს. უღიმამოდ იღიმება და ჯოხზე დაყრდნობილი კარისაკენ მიდის. მე მის მხრებს ვუყურებ. ვფიქრობ — რა უნდა ექნა, როცა ეს მოხრილი მხრები წინ აღარ წამიძღვება? რძით სავსე ქოთანს ვიღებ. გარეთ გავდივარ. ესმას მოხრილი მხრები კვლავ წინ მიმიძღვება.

ოთახში შევდივარ. საათს ვუყურებ. დროა მატარებლის დასახვედრად წავიდე. ლურჯ ალაშს ვიღებ. საათის წინ ვჩერდები. ცხოვრება ახალი დაწყებული გვექონდა, როცა ეს საათი ვიყიდე.

უ, რამდენი წელიწადი გავიდა მის შემდეგ!

ქალაქში წავედი, ესმამ დაიყინა:

— საათი ვიყიდეო, მატარებლის დროს გავიგებთო. — კაცმა რომ თქვას, საათი სულაც არ გვექირდებოდა. ეს პირველი ნივთი იყო, რომელიც ჩვენი პატარა ოჯახისათვის შევიძინეთ.

უ, როგორ გვიხაროდა!

მოგვექონდა საათი და მთელი ქვეყანა ჩვენი გვეგონა.

მთელი დღე ოთახის კედელზე ადგილს ვეძებდით. ხან ერთ ადგილზე დავკიდეთ, ხან მეორეზე, როგორც იქნა შევარჩიეთ. მას შემდეგ, ასე ქანქა-

რებს ჩვენი საათი. ერთხელ თითქოს გაუჭირდა, თითქოს ისე გულიანად ვედარ ტიქტიკებდა, მაშინ ჩვენმა ირაკლიმ პატარა რკინის ხრახნილი შეაბა და საათი კვლავ გულიანად აქანქარდა.

— ნახე, რომელი საათია? — მესმის ესმას ხმა — მატარებლის დრო არ გამოგვეპაროს.

საათს ავხედე. აღმართისაკენ წავედი. მე და ესმამ მოსვლისთანავე ავირჩიეთ ეს ადგილი... აქედან მთელი ხეობა ხელისგულივით მოჩანს. გავცქერით, გორის იქედან როდის გამოჩნდება მატარებლის ბოლი და, სანამ ხეობაში მატარებელი შემოვა, აღმართს ჩავიბრუნე, რკინიგზის პირას დავდგები, მწვანე ალამს ვუჩვენებ და მგზავრებს მშვიდობით მგზავრობას ვუსურვებ. ესმა ზემოდან ხელს მიქნევს და ჩემს დაბრუნებას ელის.

ესმას საფლავთან ჯორჯოზე ჩამოვყევი. ესმა ამ ჯორჯოზე ავადმყოფობის დროს ჯდებოდა. დილით აქ ამოვიყვანიდი და საღამომდე იჯდა.

ესმას საფლავის ბუჩქზე შაშივი ჭახუბებს.

ზამთარში აქ კუნელზე მოსულ შაშვებს ვუსაფრდებოდი. ესმას გარდაცვალების შემდეგ შაშივი აღარ მომიკლავს, ისინი ახლა ესმას საფლავზე დიან და ჭახუბებენ. შაშვის ჭახუბი უყვარდა ესმას.

ჯორჯოზე ვზივარ, მატარებლის გამოჩენას ველი. ახლა გორებს იქედან მატარებლის ბოლი აღარ ჩანს, მატარებელი ელექტრონით დადის.

აყვავებულ წაბლებს შორის ჩვენი სახლი მოსჩანს. როცა პირველად აქ მოვედი, სახლს გარშემო ვეებერთელა ტყე ერტყა. სახლი არ ჩანდა. ხალხმა ტყე გაანადგურა. სადღა ვეებერთელა მუხები, წაბლები, ცაცხვები და კვიცხა!

სახლის გარშემო წაბლების განადგურების უფლება არავის მიეცეოდა და აპიტომაა ახლა აყვავებული წაბლების სურნელი რომ დგას. ქარი წაბლის ტოტებს არხევს. ტოტი ფანჯარას ეხე-

თქება და მოღალეული მგზავრებით ავიკუნებს. ქარი თითქოს აცოცხლებს აქაურობას და ისმის ტყის ჩურჩულს გათენდა.

დილის მატარებლის დასახვედრად მივედივარ. ირაკლი წინ მირბის. ესმას ხელჩაკიდებული მოჰყავს ზურაბი და პაატა.

მოწმენდილ ცაზე მზე ბრწყინავს. მაგრამ ჯერ ისევ დილის სიგრილე დგას, ბიჭებს როგორ უხარიათ ცვრიან ბალახში სიარული.

ასეა ყოველ ცისმარე დღეს. ყველანი გორაკზე მივედივართ. აქედან უნდა დავინახოთ, როდის გამოჩნდება მატარებლის ბოლი გორაკს იქედან.

აი, მატარებელი გამოჩნდა. ჩემი ირაკლი მატარებლის შესახვედრად გარბის. უკან მე მივედევ. გორიდან ესმა ზურაბი და პაატა ხელს გვიქნევენ.

ბიჭები წამოიხარდნენ. ახალა ისინი გარბიან მატარებლის დასახვედრად. მე გორიდან ხელს ვუქნევ.

მატარებლის გუგუნმა გამომარკვია. მატარებელი ხილზე გამოდის. წამოვხტე დაღმართზე დავეშვი. მატარებელი ხეობაში შემოვიდა. ეჩქარობ. რა მომივიდა? მატარებელმა ჩემ წინ ხმაურით გაიარა. ფანჯრიდან მგზავრები მილიმიან. წყაროსთან, სულის მოსათქმელად ჩავიბუხლე. ქვის ლოდზე პატარა მთის წყარო მოხტის, სადღაც ჩარაკრავებს და მხიარული ჩუხჩუხით განაგრძობს გზას. ახლაც გუშინდელ დღესავით მახსოვს, წყაროს პატარა ხის ღარი რომ გავუკეთე. მაშინ ესმა მაყვალს აგროვებდა ისრიმმაყვალისათვის.

სახლისაკენ წელმოწყვეტილი წავედი.

ლოგინზე გავიშოტე.

მე და ესმა სოფლის უპატრონოები ვიყავით. მეზობლები სამადლოდ გვზრდიდნენ. საქონელს ერთად ვმწყემსავდით, წისქვილში ერთად დავდიოდით.

ესმა სუსტი გოგო გაიზარდა. საუკვავს წამოიკიდებდა თუ ფიჩხის კო-

ნას, წელში ტყდებოდა, მეცოდებოდა, ვეხმარებოდი.

ერთხელ საქონელი დაკარგა. ჩემთან ატირებული მოვარდა.

— შენი ჭირიმე, მიშველე, საქონელი გამეფანტა. კოლექტივის ყანები აბიზინებულა, რომ გადაჰამონ, ამ ქვეყანაზე აღარ დამედგომება.

თოხი მივაგდე. ესმას გავყვევი. იმ დღეს გადავწყვიტე გაჭირვებისაგან დამეთარა ეს ვოგო. მის ბრიალა, ცისფერ თვალეში ცრემლი აღარ მენახა.

ჩემი გამზრდელის ოჯახის შვილმა რკინიგზაზე შეისრის ადგილი მიშოვა. მე და ესმა ხელიხელჩაკიდებულნი მოვედით ამ ქოხში. არაფრის მქონენი, ცარიელ-ტარიელნი. ჩვენი ჭონება ჩვენით ახალგაზრდობა იყო, გული, იმედებით საესე. რამდენი სიხარული და ოცნებები მოგვექონდა თან!

ჩვენი ქოხი სოფლის განაპირას იდგა, გარშემო ვეებერთელა წაბლები ჰყვარდა და ჰაერიც ისეთივე გამჟვირვალე იყო, როგორც ახლა.

მერე, მერე სოფლელები ბარში გადასახლდნენ, ჩვენ მარტონი დავრჩით პატარა ქოხში.

მერე, მერე! — ჩურჩულებს ვილაც და მეც იმ ვილაცას ვესაუბრები.

მერე მე აღარ მინახავს ესმას ცისფერ თვალეში ცრემლი.

არა, როგორ არა, მინახავს.

მატარებელი მიდის. ესმა მუხლებამდე ბალახებში დგას. ხელში პაატა უჭირავს. ირაკლი და ზურაბი კაბის კალთაში ჩასაჭიდებია. მე მატარებელს მწვანე ალმით არ ვაცილებ. მატარებელში ფანჯარასთან ვდგევარ, ესმასა და ბავშვებს ვუყურებ.

მე ომში მივდივარ.

წლების მანძილზე, ყოველ დღე, ყოველ წუთში ვხედავდი ესმას — ცალ ხელში პაატა უჭირავს, მეორე ხელში მწვანე ალამი. ბიჭები კაბის კალთაზე ებლაუჭებიან და მატარებელს აცილებენ.

უცნებელი დავბრუნდი.

ესმას ცისფერ თვალეში კვლავ სიხარულმა ჩაისადგურა.

პატარა მამუკა შეგვეძინა.

მთელი ჩემი ცხოვრება ვოცნებობდი, ჩემი ირაკლი მემანქანე გამოსულიყო. ვოცნებობდი: — როგორ ჩამოვიღოდა მატარებელი, მე მწვანე ალმით შეგვცდებოდი, ის ორთქლმავლიდან ხელს დამიჭნევდა. ორთქლმავალი მზიარულად შეჰკივლებდა და მე ბედნიერი ვიქნებოდი.

ესმა სხვანაირად ფიქრობდა. ესმას უნდოდა ჩვენს შვილებს ესწავლათ, ღიდი კაცები გამოსულიყვნენ. პატარა, სუსტმა, კაფანდარა ესმამ თავისი გაიტანა. ჩემი ირაკლი მემანქანე არ გამოვიდა.

ესმას ოცნება აუსრულდა.

ჩვენი შვილები ქალაქში ცხოვრობენ. ესმამ ბინა გორაკზე დაიდო, მე და ჩემი ქოხი მარტოდმარტო დავრჩით.

ჩემი ხმის გამცემი არავინაა. ზოგჯერ ბოსლიდან მერცხალა შემომხმუნის, ზოგჯერ ქათამი აკრიახლებდა.

ჩემი და ესმას ბიჭები, ესმას გააკაფული გზით წაეიდნენ. ხანდახან ამოდიან, მარტოდდატოვებული მამის სანახავად. აქ ცხოვრება არც ერთს არ უნდა. ან რა უნდა გააკეთონ?

— აქ როგორ ვიაროთ?

— ამ ოთახში როგორ დავეტყვიო?

— როგორი მოწყენილობაა!

— რა უნდა ექამოთ? — მესმის ბიჭების ცოლების უკმაყოფილო ხმა. ისინი დიდიდან საღამომდე ძლივს ჩერდებიან ჩემთან.

მახსოვს, ირაკლი სტუდენტი იყო, საცოლე ამოგვიყვანა. გამხდარი, კნაჭა გოგო. მთელი დღე ესმას გაშენებულ ყვავილნარში დარბოდა, გორახეც წამოვიდა. აქაურობით აღტაცებული იყო.

მე და ესმამ გავაცილეთ. ესმა დიდხანს გაჰყურებდა მათ გზას. მერე მომიბრუნდა. დარცხენილმა შემომხედა და ძლივს ჩურჩულთ მითხრა:

— ეყვარება აქაურობა?! — არ ვი-

ცი, კითხვა იყო ეს თუ გარკვეული აზრი.

მერე, მერე ირაკლის ცოლს სიყვარული გაუქრა. ახლა ვედარც ოთახში ეტევა. აღმართიც აწუხებს და, ვინ იცის, კიდევ რა!

— მამა, პენსიაში უნდა გამოხვიდე! — მესმის ირაკლის ხმა. — აი, ამ ოთახს მოგიცილით, მოგიწყობთ, იცხოვრე შენთვის.

გარს შვილიშვილები მეხვევიან.

— ბაბუ, ბაბუ, ჩვენთან იცხოვრებ?!

— ბატონო, იქ რა გაგაჩერებს! ჩვენ იქ ვერ ამოვდივართ. ქვეყანა რას იტყვის! — მესმის რძლის უკმაყოფილო ხმა.

მე ჩუმად ვარ.

— ასე უნდა ქნა, მამი, მეტი გზა არ გვაქვს! — ადასტურებს ზურაბი.

— რომელთანაც ისურვებ, იმასთან იცხოვრე. ყველას გვაქვს მაგის საშუალება. — თავს იწონებს პაატა. — სიბრცხელია მარტომმარტო, მთის კორტოხზე ცხოვრება, ახლა მაგის დრო აღარ არის.

— ჩემი საქმეც ხომ უნდა გააკეთოს ვინმემ?

— სხვამ გააკეთოს, ბატონო, — პაატა უკმაყოფილოა. წინ და უკან დადის.

— რომ რამე მოგივიდეს, ვინაა შენი პატრონი? შე შენ გეტყვი, მეზობელი გყავს.

— ხან ერთთან იყავი და ხან მეორესთან, შენისთანა ბედნიერი ქვეყანაზე კაცი არ არის.

ჩემისთანა ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ არის! აგორებული ქვაც არ ვარგა, კაცი რომ აგორდება, ის კაცია ვითომ? შვილები ჩემს ბედს წყვეტენ. ჩემი ცხოვრების დარჩენილ დღეებს ანაწილებენ.

მამუკა საქმეში არ ერევა. ის ჯერ უცოლშვილოა და ჩუმად უსმენს ძმებისა და რძლების მსჯელობას.

სალამოზე მამუკა მთხოვს ღამის გასათევად მასთან წაიღედ.

— რა წაგიყვანს იმ სიშორეს? — ამბობს ირაკლი.

— ხვალ იქედან ვინ წამოგვიყვანს? — უთხრის რძალი.

მამუკას მივყვები.

— გადაწყვიტე, მამა, გადაწყვიტე. სოფელში მე ავალ, რაც საჭიროა, ყველაფერს წამოგიღებ! — მესმის კიბეზე ჩამავალს პაატას ხმა.

რა სწრაფად გადაწყვიტეს ყველაფერი!

როგორ გამოიხურეს ჩემი ამოდენი ხნის ნაამეგარი ქოხის კარები!

ტაქსში ვზივართ. ქალაქის გარეუბანში მივდივართ. მამუკას იქ ოთახი მისცეს.

მთელი გზა ჩუმად ვართ. მამუკა არაფერს მეუბნება. არც მე ვიღებ ხმას.

ოთახი პატარაა. სუფთადაა მილაგებული. ესმამ ბიჭებს პატარაობიდანვე ასწავლა სისუფთავე და თავის მოვლა.

— პატარა ოთახია, მამა, არა? — ილიმება მამუკა. ვეებერთელა ხელებს იქნევს. მამუკა ჩემსავით მაღალია, მოსული და ძვალმსხვილი. ძლივს ეტევა პატარა ოთახში.

— მართლაც პატარა ოთახია! — ვილიმები მე.

— პატარაა, მაგრამ აქ მეორე ადამიანიც შეიძლება დაეტოს. — ამბობს მამუკა და დარცხვენილი შემომცქერის.

— ქალი უნდა ითხოვო, ბიჭო, ცხოვრების დასაწყისისათვის მშვენიერი ოთახია. შენი ძმები შენოდენები ცოლშვილიანები იყვნენ.

მეორე დღეს მამუკას საწერ მაგიდაზე პატარა ბარათი დავტოვე.

ჩემს ქოხში ისევ მარტო ვარ.

კატა ლოჯინზე ამოხტა, კული სახეზე მიმის-მომისვა და ფეხებთან მოიკალათა.

პენსიაში ვადიო.

რა მჭირს საპენსიო?

ჩვენ არ შეგვეფერის! — მესმის პაატას სიტყვები.

რა არ შეგვეფერის, ბიჭო? — ვყავ-



რობ — ამ მწევანე ალმით დაგზარდეთ ვაჟკაცები.

როდესმე ხომ უნდა გავიღე პენსიაში?

ყველაფერს აქვს დასასრულს.

ეს ჭობი უნდა დავტოვო.

აქ ისევ ახალგაზრდები მოვლენ.

ეკლავ ახალი ცხოვრება დაიწყება.

მე იმ ახალმოსულებს ყველაფერს დავუტოვებ. საათსაც, ჩემს მერცხალსაც, ფისოსაც, ბებერ კუწკუწელსაც, მთელი დღე მზის გულზე რომ წევს, ბებერ ძვლებს უფიცებებს მზეს და ხანდახან ძილში ჩემად ტირის.

ესმას ვის დავუტოვებ, ესმას?

შემცივდა. ერყოლამ ამიტანა. წამოვდექი. საბანი წაეიხურე. ისევ მცივა. მეორე საბანიც ავიღე. მაინც ვერ გავთბი. თავი ბურანს მივეცი. შუბლზე ოფლმა დამასხა. თვალები დაეხუჭე.

ესმას ხმამ გამომარკვია. ესმა მეძახდა. ესმა კარებში იდგა და მეძახდა. თვალები გავაზიღე

კარებში მამუკა დგას.

— რა იყო, მამა, რამ დაგაწვინა ამ შუადღისას?

იქით-აქეთ ვიყურები. მართლაც, რამ დამაწვინა ამ შუადღისას?

შემრცხვა, წამოვხტი.

— მამა, ხომ არ დამიბერდი?! — იღივება მამუკა. მამუკას ესმას ღიმილი აქვს. ესმასაც ასეთი კეთილი ღიმილი ჰქონდა.

დავტრიალდი. ვარია შევწვი. ფოთლიანი მჭადები დავაცხე. ქყინტი ყვე-

ლი მოვიტანე. წყაროში დოქით ღვინო ჩავაცხე. სუფრას ვაწყობე მამუკა მხარზე ხელს მადებს.

— დედასთან წავიდეთ, მამა, იქ ვისადილოთ!

გრძელ კალათაში ყველაფერს ვაწყობ, ისე როგორც ესმამ იცოდა, როცა ვენახში ჩემთვის სადილი მოჭქონდა. ესმასთან ავედი.

სუფრა მინდორზე გავაწყეთ. პატარა ტიქებით ღვინოსა ვსვამთ და ძუნწად ვსაუბრობთ.

— მამა, ჩემი წიგნი მალე გამოვა. ფულს ავიღებ. აქ პატარა ოთახს დავიდგამ! — მეუბნება მამუკა და თვლებში მომჩერებია. ხელი მიკანკალებს, ხელი, რომელშიც ღვინის ტიქა მიჭირავს.

— მამა, ხომ გეყოფა ერთი ოთახი? — მეკითხება მამუკა და მხარზე ხელს მხევეს.

ღვინის ტიქას სუფრაზე ვდებ. ხელებს სახეზე ვიფარებ. ექვითინებ, ხმამალლა ექვითინებ, ჩემი ქვითინი მესმის. მამუკა დაიბნა. ვეებერთელა ხელებს მხევეს.

— ასე სჯობია, მამა, აქედან სად უხდა წახვიდე!

მართალია. აქედან სად უნდა წავიდე. რა კარგად გადაწყვიტა მამუკამ, ისევე კარგად, როგორც ესმამ იცოდა.

ჩვენს შვილებს შორის მამუკა ყველაზე მეტად გავს დედას.



## პ ა რ ი კ ა

### მომხრობა

ერთ სოფელში ერთ დილით მორიგი ავარია მოხდა. ორი კაცი შემთხვევით დაესწრო ამ უბედურ შემთხვევას, მაგრამ ვერ გაარკვიეს, რომელი იყო დამნაშავე, შოფერი თუ თავგაქაწრული, მთერალი მოქალაქე, რომელიც მართოდმერთმა უწყის, ვინ ბრძანდებოდა და საიდან გაჩნდა ავტობუსის გაჩერებაზე. ეს ამბავი უცებ მოედო მთელ სოფელს და მალაზიის წინ მოხროვილ ლაზღანდარებს საკმაოდ ახალი, გამამართლებელი მიზეზი მიეცათ, რათა უარი ეთქვათ სამუშაოდ წასვლაზე. ცნობისმოყვარეობას კი არ მიაწერეს, არამედ კაცისმოყვარეობის, თანდაყოლილი ჰუმანიზმის პრინციპით მიუდგნენ, ვითუ უჩვენოდ მართალი კაცი გაიჭყლიტოსო. ეს დამაფიქრებელი შემთხვევა ისეთ სოფელში მოხდა, იმ სოფელლები არამც და არამც საკუთარ თავს არ აპატიებენ უსამართლობის მცირედდამოხლობსაც კი — ქვეყნის დასაცონი ვერ გავხდებითო.

ორივე მოწმე, ვისაც შეეძლო ჭეშმარიტება დაედგინა, ავარიის მოხდენისთანავე აუყირავდა ერთმანეთს, არა ასე იყო, არა — ასეო: ერთი შოფერს ადანაშაულებდა მეორე — მთერალ მოქალაქეს. ამის შემხედვარე სოფელიც ორად გაიყო. ორად გაიყო და მაგრადღად დიარივნენ: ჩუმჩუმად ყველას

ერთმანეთის ჯავრი სჭირდა, აი, დადგაკიდევ შურისძიების ეამი.

ამ კინკლაობაში მოშუადღევდა. ზაფხული იყო და მაშინ გაახსენდათ, მზეზე რომ იდგნენ, როცა ოფლმა თვალები აუწვათ, თუმცა ეს იმდენად ძნელი პატანი არ გახლდათ, რამდენადაც ერთი შეხედვით მოეჩვენებოდა უცხოისისინი თავარებაში დგომას მიჩვეულები იყვნენ — მთელი წიფლის ტყე ამოძირკვეს, უსარგებლო მცენარეაო და წველადობის გადიდების მიზნით იონჯა დაუთესეს ძროხებს, ერთა სიტყვით, თავის შესაფარებელი ჩრდილიც აღარ დაიტოვეს.

ერთმანეთს არ უსმენდნენ და ვერ გაარკვიეს, ვინ მტყუანი იყო, ვინ — მართალი. ბოლოს თქვეს, ვიდრე მილიცაა შოვა, ავდგეთ და ჩვენ მივიდეთო. ამით ორი კურდღლის დაჭერას აპირებდნენ: სათანადო სიფხიზლეშიც ჩაგვითვლიან და თავმდაბლობაშიცო, წავიდეთ და წავიდეთო!

დაალირეს თავი და მიდიან. პატარა გზა გაიარეს და მერე გაახსენდათ, შოფერი და თავგაქაწრული მოქალაქე რა იქნაო. მართლაც და, რა იქნაო?! გამობრუნდნენ ყაყანიო, ხედავენ: ავტობუსი კი ისევ ისე დგას, მაგრამ იმ ახლომახლო არც შოფერი ჩანს და აღარც — თავგაქაწრული კაცი. მიდგნენ-მოდგ-

ნენ და აკი არ იპოვეს?! — იქვე ღობე გადაუშეპყიათ, გადასულან ვილაცის ბაღში, წამოწოლილან კაკლის ჩრდილში, მწვანეზე, აბოლებენ პაპიროსსა და ძმაკაცებივით საუბრობენ:

— დიდებუში საითა ცხოვრობ? — ეკითხება შოფერი.

— სტადიონის უკან. შენა?

— ვარაზის ხევში.

— დიდი სახლები რომ ააშენეს, იმაში?

— არა, კაცო, იმის ზეით, ფერდობზე მიდგას ერთოთახიანი სასახლე; სხვა მხრიდან მოვუვლი ხოლმე. ქუელიკას ხომ არ იცნობ?

— მეტყუთე კლასამდე ერთად ვსწავლობდით. პაპიროსი არ გინდა? — კოლოფს აწვდის თავგაკაწრული.

— ეხლა მოვწიე. ასპროცენტიანი ლომია.

— ასპროცენტიანი ბაჭალოც არ არის, ოთხმოცდათექვსმეტიათაია. ცოტას ვერ დაუკლებ?

— შენ როგორც იტყვი. სად მუშაობ?

— ტელესტუდიაში.

— რას აკეთებ?

— რეჟისორის ასისტენტი ვარ, მაგრამ რა გინდა, რა, რეჟისორის საქმეც ჩემი სახათაბალოა, სურათის დირექტორისაც. ვინ ვიფასებს, ძმაო!.. სცენარის დაწერა არ ვიცლია? შენ მარტო სცენარი დამიწერე, გადალება ჩემზე იყოს, კაცი არა ვყოფილვარ, კანის ფესტივალზე ბანკი თუ არ მოვხსნა! სცენარის დაწერას ბევრი არაფერი უნდა, მთავარია, ჭკუა გქონდეს, ცოდნა, გამოცდილება... სულ ეს არის. კაი ბიძაც თუ გეყოლება, მაგას რაღა სჯობია!

შოფერი ბაღსა ათვლიერებს, მერე მგერდს იღელავს, გვერდს იცვლის და სინანულით ამბობს:

— ეს ბაღი რომ მომცა და შიგ ერთი ქოხმახი ჩამადგმევინა, ვინ ოხერი, ქალაქისაჲან პირს ვიზამდი! მართლა რა გქვია?

— დათო... კაცო, ასეთი ღვინო, წუხელ, მთელი ღამე რომ ვსვამდი, ამ-

დენი ხნისა ვარ და, ჯერ არ დამიღვევია, ვის ელოდები, აღარ მიხვალ ქალაქში?

— ალბათ ჯერ არა. ჩემი ბაზენის სიდერაი უნდა წავიყვანო, პამიდორი მოაქვს დახურულ ბაზარში. როდის დაკრეფენ და ჩააწყობენ ყუთებში, თვითონაც არ იციან. რა უყვარს სიდერაი!

— აურიე?!

— ეგრეა და რა ვქნა!

— ყოჩაღ, სიძვე, ვილაცა ხარ!..

გზაზე ხალხი აღარ ყავანებს, ჩურჩულზე არიან გადასულები, მგონი შინაურულად რიგდებიანო. ასე ეგონათ მანამდე, ვიდრე დათომ სიმღერა არ შემოსძახა, თეთრი ლობიო დაეთესეო.

— ისემც რა ვუთხრა, რაც მაგას მთესველისა ეტყობოდეს, რამე! — გაბრაზდა ერთი, ჩაჭკვილ ღობეს გადააბოტა და თავზე დაადგა კაკალქვეშ მონებიერე ბიჭებს. — ადე, მილიციაში წავიდეთ!

— ვითომ რათათ?! — შეიცხადა დათომ.

— გზადაგზა გეტყვი.

— აქ ვერ გვეტყვი? — მშვიდად ჰკითხა შოფერმა.

— შენ რასაც გეუბნებხან, დაიჭერე!

— მაინც ეინა ხარ? — დაინტერესდა დათო.

— ვინა და რაზეელი.

— წვერი ხშირად გაიპარსე, თორემ ინტორიაში ჩაუხედავ კაცს შავრაზმელი ეგონები, — სიცილით უთხრა დათომ.

— სალაპარაკოდ არ მცალია! — იწყინა რაზელმა, — ადე, ვიდრე ხალხს დავეძახე!

— წავიდეთ, შოფერო! — წამოდგა რეჟისორის ასისტენტი, — ამ ცივ მიწაზე წოლით მქვალი არ დაგვეტაკოს. მივალთ, გაარკვევენ, რა ინტერესებთ და მერე ნახვ შენ, უურებს რომ ავახევე ამ ვიგინდარას!.. ქვეყანა მიცნობს და იმისი მერიდება. ასე არ იყოს, სამბოს იღეთებს ჩავეტარებდი...

მიდიან ადუღებულ ასფალტზე: წინ

რაზმელი, უკან — რეჟისორის ასისტენტი და შოფერი, ოდნავ უკან — ორი სხვადასხვა შეხედულების მოწმე, კიდევ უკან — საზოგადო სიმშვიდისათვის თავდადებული ხალხი.

— ისეთი რა დალიე ჭერაც რო არ გამოგფხიზლებია? — ჰკითხა შოფერმა დათოს.

— ჭერ არაყი, მერე ღვინო, გათენებისას კი ვალიდოლი დავაყოლე... გული მღალატობს ამ ბოლო დროს; ყოველდღე თუ არ დავლიე, ასე მგონია, ფეხებს გამაფშეკინებს. თანაც, ხელოვანი კაცის ბედი სხვაა, შოფერო, ხელოვანმა აუცილებლად უნდა დალიოს. მე, მაგალითად, თვალსაჩინო რაც გამიკეთებია, თითქმის ყველაფერი სიმთვრალეში მაქვს მოხაზული. რომ არ მეზარებოდეს, გეტყოდი ნაპოლეონმა სად და რა მდგომარეობაში მოიფიქრა რუსეთზე ვალაშქრების გეგმა... რა გაციინებს?! აი, — რეჟისორის ასისტენტი გაჩერდა და უკან მიიხედა, — ეს ხალხი შორი პლანით რომ ვადამალებინა, ვადასარევი დემონსტრაცია გამოვიდოდა. ...ამ დოყლაბიებს რას ვააგები-ნებ!..

— მშვენიერი ბაღჩა იყო!.. რა დაგრჩენია იმ ქალაქში! — ჯაერობს შოფერი, — ჰაერს იქ არა აქვს გემო, პურსა და წყალსა!

— შენ სცენარი დამიწერე და ნახავ, როგორ ვაგიტყებება რუსთაველზე სიარული, ოღონდ აქაური ღვინო უნდა გქონდეს გამოუღვევლად. მე უთბილისოდ ვერ გავძლებ შოფერო, აუჰ, ოფლად გავიღვარე!.. ეს ხალხი სად მიდის, თუ ჰმა ხარ, ამხანაგო რაზმელო?

— მაგათა ჰკითხე.  
— შენ რა, პასუხისმგებლობას თავს არიდებ?

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, მოქალაქე!  
— ოქროპირში ამოგაყოფინებ მაგ გამოთაყვანებულ გოგარას! უნდა იცოდე, ვის უბედავ ამდგნს!.. მილიციაში მივათრეე! — დათომ ჭიბეში ხელი ჩაიყო და პირადობის მოწმობა ამოიღო.  
— ამ საბუთს პროტექციით არ იძლე-

ვიან, რომ იცოდეს!.. მე მსოფლიო მიცუნობს, განათლებული მსოფლიო! შენ ვინა ხარ, რომ ჩემს ავტორიტეტსა და სახელს აბუჩად იგდებ!

რაზმელმა ორსართულიანი შენობის ეზოში შეუხვია. კიბეს რომ მიუახლოვდა, გაჩერდა და ღია ფანჯარას შესძახა:

— გიგო!  
ფანჯარაში თავი გამოჰყო მილიციის ინსპექტორმა და ამდენი ხალხი რომ დაინახა, ჭერ გაოცებისაგან ვეება მხრები აიწურა, მერე იკითხა:  
— რა ამბავია?  
— ავარიაა.  
— რა მოხდაო?! — შოფერი დათოს მიაჩერდა.  
— რა ვიცი, ავარიათო?!  
— გიყები არიან, ვინ არიან?!  
— ალბათ ჭერ სხვა ანგარიშს აბარებს...

ინსპექტორმა ამოდიოთ და, რაზმელმა კიბის საფეხურზე ფეხი რომ შედგა, მაშინვე მიჰყენენ: რეჟისორის ასისტენტი, შოფერი, ორი მოწმე, შემდეგ ცნობისმოყვარე ხალხი.

მილიციის ორმეტრიანი ინსპექტორი კარის ზღურბლზე შეეგება რაზმელს და ღონივრად ჩამოართვა ხელი:

— გაუმარჯოს! როდინდელი ამბავია, მახარე?

— დილას მოხდა, ექვს საათსა და თერთმეტ წუთზე. შენი მიკვირს, რომ ვერ გაიგე?!

— ექვს საათზე ნალამებში ვიყავი, ვაზის ტრაქტორს ვეძებდი.

— რას ამბობ, კაცო, ტრაქტორებსაც იპარავენ?!

— ვითომ ფული არა ღირს?! — გაიოცა ქერა მოწმემ, რომელიც, სხვათაშორის, თავგამოდებით უტევედა რეჟისორის ასისტენტს.

— ლევანას შეილისშვილს, ბუდუს, წრუწუნას შეილიშვილი შეყვარებია. არ გახსოვს, შარშან რთველში რომ ჩამოვიდა და ჩამოანათა? ლენა, კაცო?!

— ვერ უყურებ, მაგ წვივტილიანს, რა გემოვნება ჰქონია?!

— შენ ეგ თქვი, ერთი წელიც და ექიმო იქნება ის გოგო... ამდგარა ბუღუკენახში მიუტოვებია ტრაქტორი, დაუღვია თავი და გაგრაში გაჟარდნილა. თურმე იქ ისვენებს ლენა. შინაც არ დაუტოვებია ამბავი, დედამისი კი შიშით ხმას ვერ იღებდა, ვაითუ სამამაძალლოდ არის სადმე წასულიო. დოქლაპიას ბრიგადა კიდევ ზომ იკი, რა საქონლითაც არის გატენილი. ეგონათ, თურმე, ეზოში ყეყეება ტრაქტორიო და არც მიუცოთხავთ. ამასობაში აშამბდა ვენახი და იმ გაღეული ტრაქტორის ბალახში ჩაყურყუმელაგვებას კიდევ რა უნდა! დამწყდა მუხლები — შეიღდი ჭექტარი გადავჩხრიკე. კი არავინ დამავალა, მე თვითონ დავინტერესდი ტრაქტორითაც და ამოვარდნილი ვენახითაც. ბრიგადირი ულაპარაკოდ უნდა მიეცე სამართალში: ეგ ოხერი, შრომადღეებს ფლანგავს. საქმე კი არაფერია გაკეთებული.

— ბუღუს რაღას უზამ?

— ყურს ავეწყე, ბაღლია, ეპატიება. მავას ამდენი რომ ესმოდეს, იმ მზეთუნახავს არ დაედევნებოდა... მაშა! ბედად ლოსაბერიძის ბიჭმა მომაწვდინა ზმა, ნაბინავართან ეტებუო.

— მფრინავზე ამბობ?

— მფრინავზე. ვენახებს გოგირდს აყრიდა თვითმფრინავით და ზევიდან დაენახა. იქაო, თელებს ქვემოთ, ალახნის მხარეს არის მიყურებულო. ასე ვიპოვე, დაგიჭერებია?!.. შემოდით.

ინსპექტორის კაბინეტი ხალხით გაიქედა. გიგომ მიიხედ-მოიხედა და იკითხა:

— ბრალდებული და ბრალმდებელი რომელია?

— აეს ორია. — უთხრა მხარემ და ხელით ანიშნა რეჟისორის ასისტენტსა და შოფერზე.

— მოწმეები?

— მოწმეებიც აქ არიან.

— დანარჩენებმა დაგტოვეთ, — თქვა ინსპექტორმა და წამოდგა, — დიდა ვერაფერი სახეირო იქნება და, დავეტოვეთ.

ხალხი ბუზღუნით გაიკრიფა. კარი რომ დაკეტეს, მერე ატყდა გარეთ... ყაყანი. რეჟისორის ასისტენტმა ფანჯრიდან გადაიხედა და სიცილითა თქვა:

— ნახავ შენ თუ რომი თერთმეტ საათზე არ დატრიალდეს!

გიგომაც გადაიხედა ფანჯრიდან და კიბეზე მიჭყლეტილი ხალხი რომ დაინახა, ვაწყრა:

— გიორგობაა?! აბა, მიბრძანდით! ეზოშიც არა გნახოთ! იცოდეთ, მეორედ აღარ გამომახედოთ ფანჯრიდან!.. მიხავ, ხშირად თუ არ დამენახევ, ისე დამავიწყდება, საქათვეში რომ უნდა დაგიჭირო! შენთვისაც მოვიცილი!.. შიოს ბიჭო, რა ფეხს ითრევე?

— აკი მივიღივარ!

— მე ვიცი, საითაც ხარ წასასვლელი! ფეტვიანთ ნინოს ვენახი როგორც გამარგლე, იგრევე მოუტანე სარი და შეუდგი!

— ახლა ეგ დამაბრალეს?! — დაბალი, გაქუცული ბიჭი გაციებული თვლებით იყურება.

— თუ არ გინდა, ნუ მიუტანო. მე კი ვირჩევ, უჩუმრად მიუტანო და შეუდგა. არადა, ტიტველა ზურგით ჩაგაზინებ! კარგად დაფიქრდი, გიგო ვინქეში არ შეგეშალოს! იცოდე, შენს წვრილშვილსაც აღარ დავეძებ, შეგადგმევიანებ კიდევცა და სამ წელსაც აგოდებ! ჩუმბერა დაიხმარე, გამარგელის გარდა შედგამაც ეხერხება!.. შენ გეუბნები, როსტომაც, ბიძაშენს დაუბრუნე ვალი? ღობე-ღობე რომ მიიძურწები. ბიძაშენს დაუბრუნე ვალი?

კოჭლი ბიჭი შეშინებული მოტრიალდა:

— მე მეძახი, გიგოვე?

— არა, როსტომ ბრძენს გაეძახე! შარშანწინდელი ვალი დაუბრუნე ბიძაშენს?

— გუშინვე.

— დაგიჯერო?

— როცა აღარ მიჩივლებს, მაშინაც არ დაიჯერებ?

— ენახოთ, შენს ძმას უთხარი, კეირას სიღნაღელი არტაშადან ჯავას დანა



რომ იყიდე, ზიბეში არ გინახო, თორემ, სულათათა გაქ წელიწადნახევარი-თქო.

— ვიტყვი.

— არაფერი წაუმატო.

— სუ გეშინიან.

— მე რა შუაში ვარ, დედაშენს ეშინოდეს! — ღიმილით შემობრუნდა გიგო და მახარეს დააკვირდა. ცოტა ხნის შემდეგ კი უთხრა, — დაიწყე, მაგრამ გაღმიდან არ მოუარო შენებურად, დამაფასე და, რაც შეიძლება, მოკლედ მოსტკერი.

— კარგი. ეს მაღალი ამხანაგი, — რეჟისორის ასისტენტზე თქვა, — დილას ექვს საათსა და თერთმეტ წუთზე...

— შენ იქ იყავი? — შეაწყვეტირა გიგომ.

— არა.

— აბა, რა გილაპარაკებს! ვინც იქ იყო იმან დაიწყო.

— ჩვენ ვიყავით იქ, — თქვა ქერა მოწმემ და ცერად მიხედა რეჟისორის ასისტენტს, — ორნი ვიყავით და ჩვენი თვალთ დავინახეთ, ნამდვილად რაც მოხდა.

— იქ რაკი იყავით, სიმართლედ გეცოდინებათ, — ჩაილაპარაკა ინსპექტორმა.

— მაგისათვის მოვედით. სიმართლე ყველაფერს სჯობია. ერთი ნათესავი მყავს ქალაქში, ეს მეტყვის ხოლმე, სიმართლე ყველგან არ გადისო. სულ ამზე ვჩხუბობთ. მე ვეუბნები ნაღდი ტყუილია-მეთქი. ის მეუბნება, შენ რა იცი, შეილოჯან, ლაწირაკი ხარო. მე ვეუბნები, რამ გამალაწირაკა-მეთქი. ის მეუბნება, ეგრაეო. მე ვეუბნები...

— რაყდენას ბიჭი არა ხარ, ლექსო? — გაელიმა გიგოს.

— კო.

— დიახ-თქო!

— დიახ... იმას ვამბობდი, სიმართლე ყველგან არ გადისო. მე ვეუბნები...

— მოიცა, მოიცა, რა დროს ეგ არის! გამაგებინე, რა მოხდა?

— ავარია. დიდი ქაბაქუხი და წივილ-კივილი არა ყოფილა, მაგრამა კა-

ნონის ფარგლებში მაინც ავარია მოხდა.

ეზოდან ყუყანი და ღრმანცელის ასპის კიბეც ისევ ხმაურობს.

რეჟისორის ასისტენტი აქამდე სკაპზე თვლემდა, ხელში გრძელი სიგარეტი უბოლავდა. ზერინვა რომ ამოუშვა, შოფერმა იდაყვი წაპკრა, გაიღვიძო, დათმ თვალები დააქყიტა მაშინვე, და დაბნეული მიაჩერდა იქ მყოფთ, ვერ გარკვეულიყო, სად იყო და რა ხათაბა-ლა ტრიალებდა მის თავს. გიგოს დააკვირდა, მერე შუბლი მოისრისა, წამოდგა, კარი გამოაღო და ზღურბლზე გადააბიჯა.

— სად მიხვალ! — უყვირა მახარემ, — აღარავის ეკითხები!

რეჟისორის ასისტენტი გაბრაზებულნი მოტრიალდა:

— ვის უყვირი, რომ უყვირი! გარეთ გამოდი, ძვალ-რბილი უნდა გაგიერთიანო! ვინ არის ეს გადმონაშთი, რას გადამეკიდა! მე, შეილო, ხელისგულზე სატარებელი კაცი ვარ და შენს უვიცობას როგორ აძლევ გასაქანს, როგორ დამჩხავი მოშეებული ყვავივით! ჩემთან უნებართვოდ ვერ შემოდის ხალხი, ეს შეკვდარძალი კიდევ არ დამყვირის?!

შოფერი ინსპექტორისკენ გადაიხარა და უჩურჩულა:

— რეჟისორია. რაც კინოები გვინახავს, სულ მავსი გადაღებულია. დათო მქვიანო.

— დაწყნარდით, ამხანაგო დათო, — დაუყვავა ინსპექტორმა, — მე თქვენ გიცნობთ, როგორც ნიჭიერ კაცს და საკვევროდ ცნობილ პიროვნებას. ჩვენ აქ უდანაშაულო ხალხს არასოდეს ვჩაგრავთ — ინსპექტორი ფეხზე წამოდგა, ქმარი გაისწორა, — ოღონდ, აი ჭეშმარიტება მაინც უნდა დავადგინოთ. ყველაფერზე ხელი რომ ჩავიქნით, სამსახურებრივ მოვალეობას მაინც ვერსად გავექცევით, სინდისი არ მოგვეცმს ამის უფლებას!.. რომ არ გიცნობდეთ, სხვა ამბავია. მესმის, რა თქმა უნდა, მესმის თქვენი აღშფოთების მიზეზი. დაბრძან-

დით, დაწყნარდით... ძალიან კარგია „ღარიკო“... ეინო, აგაშენა ღმერთმა! რეჟისორის ასისტენტს ლიმილმა გადაუარა სახეზე, გრძელი, ვაჭიმული ნაბიჯით მივიდა ინსპექტორთან და ხელი გაუწოდა:

— დავით ილიჩი.

ინსპექტორმა გამოწვდილ ხელს ხელი შეაგება:

— უმცროსი ლეიტენანტი გიგო ბუაძე. დაბრძანდით, ბარემ გავარკვიოთ რა ავარია მოხდა.

— კი ბატონო, — დათო სკამზე დაეშვა და ფეხი ფეხზე შემოიღო, — რა მოხდაო?!

— უყურე, უყურე! — გაიოცა ლექსომ და ინსპექტორს მიაჩერდა — შოფრის დაღუპვა უნდოდა, ავტობუსს უგარდებოდა ქვეშ და თან როგორ ზის, ე?!

ინსპექტორმა მხარზე ხელი მოუთათუნა შოფრის ქომაგს.

— მოიხედე: რაღა მინცადამინც შენ გადააწყდები ხოლმე ყველა უბედურებას?!

— ვაჰ! — გაიოცა ლექსომ, — კოლექტივში მივდიოდი, გზა იქით მედო და ამათი გულითვინ მამებრუნებინა?!

— ბოდიში, — ხმა დაიბოხა ინსპექტორმა, — დიდი ბოდიში, დამავიწყდა, საერთოდ რომ არ გიყვარს ატა-ბატა სიარული. უეცარად, ბატონო ლექსო!

— რა ვქნა, უფროსო, ავარია მოხდა და მაშ არა ვთქვა?!

— რა უნდა თქვა! — უყვირა რეჟისორის ასისტენტის ქომაგმა. — რა ნახე, რა უნდა თქვა!

— ეს ხალხი გამაგიყებს! სად მოხდა? რა მოხდა? რომელი ავარია? — ხელები გაშალა შოფერმა.

— ვითომ არ იცი! — პირში ეცა რეჟისორის ასისტენტის ქომაგი, — იმ ცნობილ ადამიანს ავტობუსი დააჯახე და რომელი ავარიაო?! კაცი კინოებს იღებს და შენი ავარიადა აკლია?!

— ასეთი რამე რომ არ მახსოვს, ამხანაგო გიგო? — რეჟისორის ასისტენტმა დამკინავად გადახედა იქ მყოფთ.

— ძალიანაც კარგად გახსოვს, — წაბოუხტა ლექსო.

— დაჯე, თორემ! — განბრაზდა ინსპექტორი, — ძალიან ბევრს ხომ არ ლაპარაკობ, ლექსო? შენ კი შიო, ხერხები მაგრა დაიჭი.

— კაცი არა ხარ! — ლექსოს თვლები დაუბრიალა შიომ, — ავტობუსი დაეჯახა და კიდევ ამას აწურინებ ტირის ოფლს?! ტყუილს რო ტიკტიკებ, ეგეც ფული ღირს?!

— ტყუილს შენ ლაპარაკობ და მე შედავებო?!

— ვინ რას ლაპარაკობს, აქ რა ადგილია და სხვაგან გავარკვევ..

— შერე აღარ გადათქვა!..

ინსპექტორი მშვიდად ისმენდა მოწმეების ჩვენებას. ფანქარი კი ეჭირა ხელში, ჭუფთა ფურცელიც წინ ედო, მაგრამ ერთი სიტყვაც არ ჩაუწერია. ხანდახან იმ ფანქარს მაგიდაზე დააკავენებდა ხოლმე, ხმას დაუწიეთო. ამასობაში რეჟისორის ასისტენტი და შოფერი დაბნეულები მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

ინსპექტორი: — ვერაფერი გავიგე?!

შიო: — ამაზე ადვილი რაღაა: ორლობიდან ეს ცნობილი ამხანაგი გამოვიდა, გზა უნდა გადაეტრა, მაგრამ ვერ მოასწრო, გაჩერებული ავტობუსი დაიძრა და თავში დაეჯახა. აბა, ჰკითხე თუ არა სტკივა თავი!

ინსპექტორი: (რეჟისორის ასისტენტს)

— მართლა გტკივა თავი?

რეჟისორის ასისტენტი: — კი მტკივა, მთელი დამე ვსვამდი.

ინსპექტორი: გასაგებია, ლექსო რას იტყვის?

ლექსო: — მეც შოფერი ვიყავი და ამასთანა გაფუჭებულმა მოწმეებმა დამამშვიდობეს! ის რო მახსენდება, სიმართლე როგორ არა ვთქვა: ეს მძალი ჩველი გამობარბაცდა ორლობიდან, გაექანა და თავი დაარტყა გაჩერებულ ავტობუსს, ეგრევე ჩაუმტვრია შავ ბაზარზე ნაყიდი ფარი. სხვაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ ფარის მაზანდა ჩემზე კარგად ორს არ ეცოდინება: თუ ვაიგვა

რო გიქირს, ცეცხლს წაუცილებენ!.. ეგ-რეა!

ინსპექტორი მახარეს ეჭურჩულედა. მახარე თავს უქნევს და მიდის.

ინსპექტორი: (შიოსა და ლექსოს) — სხვა არაფერი გაქვთ სათქმელი?

შიო: — სხვას დაჯახებოდა? ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამა ცნობილ კაცს თავი რომ გაუტყდება ხოლმე, მთელი ღამე დარდით არ მეძინება.

ლექსო: — კიდევ იმისი ბოლმა არ მაძინებს, ტყუის თუ არ ტყუის, მაინც შოფერიცა დამანაშავე და ჭიბიდან გავარ-ღნილი.

ეზოში არ წყდება ყაყანი.

ინსპექტორი: (შოფერს) — მომეცი შენი საბუთები.

შოფერი საბუთს იღებს ჭიბიდან, აწ-ვდის. ინსპექტორი დაკვირვებით ათვა-ლიერებს კარგა ხანს, მერე უკან უბ-რუნებს.

ინსპექტორი: — ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მეორედ თუ ჩამივარდი ხელში, თავზე გადაგახვე ამ სახინკლეში შევ-სებულ საგზურს! გაიგე რას გეუბნები? ასე გადაეცი შენს უფროსს.

შოფერი: — გავიგე.

ინსპექტორი: — საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს?

შოფერი: — არა.

რეჟისორის ასისტენტი: (გაოცებუ-ლი. შოფერს) — შე თუ მთვრალი ვი-ყავი, შენ რაღა ღმერთი გაგიწყრა! როდის დაგეჯახე ან როდის დამეჯახე?

შოფერი: — რა ვიცი!.. არა, კაცო, არა!

რეჟისორის ასისტენტი: — შენ რომ გააჩერე ავტობუსი, მე ღობის იქით არ ვიდექი?

შოფერი: — ეგრე იყო.

რეჟისორის ასისტენტი: მერე, შენ მითხარი, პაპიროსი მომაწევენიეო.

შოფერი: — ჰო.

რეჟისორის ასისტენტი: — გადმოხ-ვედი ავტობუსიდან და გამარჯობა მი-თხარი.

შოფერი: — ვითხარი. გაგიმარჯოსო.

რეჟისორის ასისტენტი: — ეგ არ მი-

თქვამს. მე ის ვითხარი, ფოტოგენური სიფათი გაქვს-მეთქი.

შოფერი: — მართალია.

რეჟისორის ასისტენტი: — მერე შე მწვანეზე წამოვწევი. შენ მითხარი, არ შეგცივდესო.

შოფერი: — ისაცა თქვი, მასპინძელს გამოვეპარეო.

რეჟისორის ასისტენტი: — ეს ხალ-ხი როდის მოვიდა, არც მახსოვს.

ინსპექტორი: — ამისთანა სოფელი: ვაი! (თავს აქნევს, მხრებს იწურავს) ამ-ათი მორჩულება, ძმო!.. (ლექსოსა და შიოს) გადი, დაიკარგენით აქედან! კი-დედ აურიეს კაცო! მუშაობა არ უნდათ და ათას ოხრობას იგონებენ! და-იკარგენით, მე თქვენ!

შიო და ლექსო გადიან. ინსპექტორი ბოლთას სცემს. შემოდის მახარე:

მახარე: — ავტობუსს ორივე ფარი აღვიღზე აქვს. არც გაბზარულია და არც გაკაწრული.

ინსპექტორი: (გაბრაზებული) — გა-დი, რო გეუბნები! გადი გარეთ! კიდე გამაბრიყვეს, კაცო?!.. ხალხს დამიხედე! ვაპ!

— მახარე გაიბურწა.

დათო და შოფერი ერთმანეთს გაო-ცებული მისჩერებიან. მილიციის ინ-სპექტორი მოწყვეტით ეშვება სკამზე.

დათო: (ინსპექტორს) — ვინ იყ-ვენ?

ინსპექტორი: — აქაურები ყრიან: უსაქმურები! ოხრები!.. ვაი, მე მაგა-თი!.. მერე მეტყვიან, რატო იგნებოი?! მაშ არ ამოვუტრიალო სუ ყველაფერი, კაცო, მა მაგათი, ჰა?!

შოფერი: — ეგრეა.

დათო: (შოფერს) — წამო, დავლი-ოთ.

შოფერი: — რო არა ვსვამ?

დათო: — ახლა დალიე.

შოფერი: — არ მინდა, რათ მინდა! დათო: — რომ იცოდე, როცა მთვრა-ლი ხარ, რა საყვარლად ჩანან შენის-თანა ბრიყვები, ყოველდღე მთვრალი იქნებოდდი.

შოფერი: — არა, მართლა?!.. ისა,

კიდევ: იგრე ლაპარაკობ, თითქო წუხელ არ ჩაღუბულხარ ღვინოში.

ინსპექტორი ყურადღებით ისმენს საუბარს.

დათო: — საწყალ კაცს ციხით გემუქრებიან და გამოფხიზლდება მა რა იქნება!.. ეს რა გეყუევს, ამ იდიოტებმა?! წამო დავლიოთ.

შოფერი: — აკი ვითხარია, არა ვსევამ.

დათო: — დალიე და მერე მაგინე. (დგება) წამო.

შოფერი: — არც დალევასი ეყრება რამე.

დათო: — სულ დაგავიწყდება ჭიბე-გაფხეკილი რომ ხარ. კოჭლი გაივლის და გეგონება, ასე ლამაზად ჯერ არავის გაუვლიათ. მექრთამეებიც დაგავიწყდება. გამფლანგველებიც და ისინიც, ასი მანეთი ხელფასი რომ აქვთ და „ვოლ-

გით“ კი დაბრძანდებიან — ქურდობენ და ეამაყებათ კიდევ, სალამს არ გეტყვიან... აბა?! წამო, შეიღო, არჩოდე! საათიო მაინც იქცევი კაცად!

შოფერი: — მართალს ამბობ?

დათო: — მე მოგიკვდე!

შოფერი: — წავიდეთ.

ინსპექტორი: — ვისთან მიხვალთ?

დათო: — საბჭოს წინ რომ ცხოვრობს, იმასთან.

ინსპექტორი: — მწერალთან?

დათო: — კი.

ინსპექტორი მწვანე საქალაღდეს იღებს, რაღაცას ფიქრობს, ყოყმანობს. მერე იმ საქალაღდეს ისევ მაგიდაზე დებს აჩქარებით და ამოთხვრით ამბობს:

— მეც მოვდივარ, ბიჭებო.



## მონუმი ბას სიკვდილი

### მ მ თ ხ რ ბ ა

მანქანა ბრეზენტგადახურული იყო. ჩვენ მორწმუნეებით ფეხმორთხმულნი და მხრებჩამოყრილნი ვისხედით მარილით გამოტენილ დარძლა ტომრებზე. ძარაში სულისშემხუთველი სიცხე იდგა, ოდნავ ბნელოდა კიდეც — ამოსასვლელ მხარეს დეტოვებულ ფანჯარას ნაწილობრივ მოხუცი ბას ახმახი სხეული ეფარებოდა. ასეთი პაპანება არც ერთ ჩვენგანს არ ახსოვდა. ეტყობა, უაღველი მოხუცი ბაც შეეწუხებინა დღევანდელ ამინდს. იგი მთელი გზა ჭიუტად დუმდა და თავს აკანტურებდა.

ბა ჩვენკენ ზურგშექცევით იჯდა. არაფრით წინ არ გადმოვიდა. რამდენი ვთხოვეთ ყველამ, მოხერხებული ადგილიც შევთავაზეთ, მაგრამ თითქოს მურყვამის საისრედან მტერს უთვალთვალეხსო, ძარას დატანებულ ერთადერთ ფანჯარას ვერაფრით ვერ შევიღა. გრძელ, გაფარჩხულ ბებრულ ულვაშებში რაღაცა გაუგებრად ჩაიბურღლუნ-ჩაიჩიფჩიფა და გზის გაღმა-გამოღმით გადაშლილ, უკიდევანო მინდვრებს გადადევნა თვალი.

მინდორში აქა-იქ სოკოებივით დაყუჩულულიყო ერთი-ორიოლა დაბალქერიანი სახლი. ირგვლივ სულიერი არ ჭკაჭანებდა. თითქოს ამ გამთანგველმა

ბუღმა ვააკცია ადამიანები და ფრინველსაქონელი, უხილავი ბიოციებით გალალა უცხო მხარეში. ოფლითა და ზინზლით მორწყული სიმწვანე მართოდშეთენილიყო, ფესვდათუთქული ებრძოდა მზის მოძალებას...

ხანდახან მანქანის საბარგულს მრუმე ფარდად ამოეფარებოდა საბურავებს ადევენებული მტვრის ღრუბელი. ამ დროს ბა თვალებს ივიწროვებდა და დამშვიდებული ელოდა, როდის გავიდოდა მანქანა წყლიანზე, რომ ნაკლები მტვერი ყოფილიყო და მწვანე ერთფეროვნების თვალჩერება გაეგრძელებინა.

მაგრამ სად იყო აქ წყალი. ადამიანებივით წყლის ნასახიც აღარსად ჩანდა ახლო-მახლო. მდინარის შორეული მხეილის ექოც კი არ მოისმოდა საიდანმე და მოხუცი ბა შეუგნებელი, ვინმე თავხედი უფროსის მიერ მოტყუებული ბავშვივით ჩარგავდა თავს დაკოვრებულ ხელისგულში — თითქოს უნდა იტიროსო...

ხანდახან თავისთვის ჩუმად ჩაიციუნებდა ხოლმე. ამ დროს ყურის ბიბილო შეუღაჟაჟდებოდა. სხვებსაც ვერაფერი გაეგოთ ბასი, ამ ერთი შეხედვით კეთილი და წყნარი მოხუცის უცნაური საქციელისა.



„თქვი რამე ბა... რა გაციუნებს, რაზე ჩაფიქრებულხარ“, — ფიქრობდი გულში. დარწმუნებული ვარ ამასვე ფიქრობდნენ ჩემი უფროსი ძმა გუა და მოპირდაპირე მხარეს, მარილიან ტომარებზე უხერხულად ჩამომსხდარი გაბიწკინებული გოგონები. ამ შორეულ გზაზე საინტერესო მოსაუბრე სათითლოთ საძებარი იყო, რვა-ცხრა საათის გულისგამაწვრილებელი ფიქრი ათასგვარ სისულელეზე თავს გამოულაყებდა ვინც არ უნდა ყოფილიყო.

მაღე პირველი ოფლის წვეთები ფორეჯებივით დააჩნდა ბას ნათელ შუბლს, წვერით დაფარულ ლაწვებს, პირველად დაახველებინა მოხუცს... გოგონებმა კი როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, ცხვირსახოცები დააძვრეს და პირზე აიფარეს. მხოლოდ თვალები და ქერა, დამტვერილი თმაღა მოუჩანდათ. სამთავეს ცისფერი ცოცხალი თვალები ჰქონდათ. მე და გუას შემოგვეცქეროდნენ და დუმდნენ.

გოგონები ქუთაისის აეროპორტში გავიცანით. თითქმის მთელი კვირა ველოდით იმ გაგანიაში გამოდარებას, მაგრამ თითქოს, ჩვენს ჯიბრზე კავკასიონმა არაფრით არ მოიხსნა ღრუბლის საბლარდნელი. ჩვენც იძულებული შევიქმენით რისკზე წაესულიყავით და მანქანით გავდგომოდით გზას მშობლიური მთებისაკენ.

თავიდან მანქანით მგზავრობაზე ფიქრიც კი გონებას გვიშხამავედა, მით უმეტეს გოგონებს, მანქანის ხსენებაზე ტანში ბურძგლავდათ, მაგრამ მოლოდინის წუთები უფრო მწვალებლური და აუტანელი აღმოჩნდა, რაც დღეები გადიოდა, ჩვენი წრიალიც თანდათან მატულობდა, ბოლოს მოუსვენრობამ და სიგიჟემდე მისულმა სასოწარკვეთილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა.

ახლა ცნებებისადმი დამოკიდებულება საპირისპიროდ შეიცვალა. არაფერ ახსენებდა თვითმფრინავს, ერთ დროს ოქროს ჩიტვივით რომ ვეცლებოდით თავს, ვუფროხილდებოდით და ველოლიავე-

ბოდით ვიდეც. ახლა იმას ენატრობდით, შემთხვევით მთებისკენ მიმავალ მანქანას წავწყდომოდით სადმე. აღარაფერ ფიქრობდა მოსალოდნელ ხიფათზე, არც იმ სავალალო ამბებს ვიხსენებდით, ჩვენს გზებთან რომ იყო დაკავშირებული. და აი, ბედნიერი შემთხვევა. უცრად უფროსმა ძმამ თვალი მოჰკრა მეზობელი სოფლელი სავარიონის სატვირთო მანქანას.

— გამარჯობა შენი, სავარიონ... — მიესალმა გუა.

— ო... გაუმარჯოს, პატივცემულ გუას... — ორთავე ხელი აღმართა სავარიონმა.

— მთაში მოვდივართ...

— მთაში?... — სახეზე შეეყინა ღმილი სავარიონს.

— ჰო... ხუთნი ვართ სულ...

— დატვირთულია მანქანა... მარილი მიმაქვს...

— მერე რა მოხდა... იქნებ მოვთავსდეთ როგორმე...

— ბრეზენტგადახურულია... უცბად რომ გააედრდეს... ხომ იცი მარილია...

— იყოს გადახურული...

— გაწვალდებით...

— ერთი კვირაა ქუთაისის აეროდრომში ვყურყუტებთ... ოღონდ შინ ჩავალწით როგორმე და რას დავეძებთ...

— თქვენ კი მაგრამ... — მხრები აიჩეჩა სავარიონმა. იქით, ტროტუარზე გამდგარ გოგოებს გადახედა. — ესენი? ესენი მეცოდება...

— შინ ხომ უნდა ჩავიდეთ, რაც არ უნდა იყოს... — თქვეს გოგოებმა.

—მე იმისი თქმა მინდოდა, კაბინა უკვე დაკავებულია... უხერხულად არ გამომივიდეს...

— შენ მაგი ნუ გელარდება... — უთხრა სავარიონს გუამ.

— ზევითაც კარგად დავსხდებით, — თქვეს გოგოებმა.

— აბა მანქანა კი არ მენანება, მოდით და დასხედით... — გაიღიმა სავარიონმა.

დავსხედით. მანქანაზე მარილით სა-

ესე ტომრებთან ქალელი მოხუცი ბა დაგვხვდა.

— ესენი ჩვენებურებია, მეზობელი სოფლიდან არიან... — გააცნო ჩვენი თავი მას სავარიონმა. ბა არც მოგვსა-  
ლმებია და არაფერი, ერთი ამრეზილად შეგვათვალევრა და გვერდზე მი-  
ბრუნდა. ჩვეი ვიგარძენით, მძლოლი გა-  
ნსაკუთრებული პატივისცემით ეხუ-  
რობოდა მოხუცს, ალბათ ნათესავი თუ  
იყო, და მით უფრო გვივირდა მისი  
უცნაურობა.

„თქვი რამე, ბა... მოგვიყვივი რაიმე  
ძველებური...“ — ისევ მოხუცს შევც-  
ქეროდით ყველანი.

მაგრამ ბას ტუჩები მოეკუმა. თით-  
ქოს ჯიბრზეო, თავი იქეთ მიედრიცა  
და ხმას არ იღებდა.

\* \* \*

ერთგან სავარიონმა გვერდზე გადა-  
აყენა მანქანა და კაბინიდან გადმოვი-  
და.

— ცხელა ეს თხერი... — შეიკურ-  
თხა და ირგვლივ მიმოიხედა, — წყა-  
ლი გაუშრა მაგ შეჩვენებულს...

ახლო-მახლო წყალი არსად იყო.  
ეტყობა, დიდხანს მოგვიწევდა აქ  
დგომა.

სავარიონმა შემოგვთავაზა დაბლა გა-  
დავსულიყავით და სადმე ჩეროში შე-  
გვეფარებინა თავი. თვითონ ვედროს  
დაავლო ხელი და ჩაის ბუჩქებით მო-  
ფენილ ფერდობს დაუყვა დაბლა.

ძარიდან პირველი მოხუცი ბა გადა-  
ხტა. როგორც კი მიწაზე იგარძნო თავი  
მხრები ჩამოიფერთხა, სახეზე ჩოხის  
კალთა ვადაისვა, ერთი ღრმად ამოი-  
სუნთქა, ზიზლით გადააპურჭყა და პირ-  
ჯვარის წერით აღმოსავლეთისაკენ იბ-  
რუნა პირი. ნელა-ნელა, ბანცალ-ბან-  
ცალით გაუყვა მტერიან გზას. მოახლო-  
ებულ მთათა შორის რომ იკარგებოდა  
იმ მხრით მდინარის ხმაურიც აღწევდა  
ჩვენს ყურთასმენამდე. შორეული, სი-  
ზმარეული შხუილი...

— სად წავიდა მოხუცი?.. — იკი-  
თხეს ვოგონებმა.

— მაგისას რას გაიგებ, — უნასუხა  
მათ გუამ — გზად დავეწვივანა სადმე...

— ვო, თუმცა სად წავივი...  
ქუჩის გაღმა-გამოღმა აშშორებული,

ბალახმოდებული თხრილები ვადიოდა.  
წყალი დაშშრალიყო, მაგრამ ბალახებ-  
ზე გარჩენილი ქაღი მაინც ყარდა. არც  
ჩერო იყო სადმე. ჩაის დაგვაჭულ ბუჩ-  
ქებქვეშ თუ შეძერებოდა კაცი, მაგ-  
რამ იმასაც გვარიანი მოხერხება უნ-  
დოდა. ისევ საბარგულის ჩრდილში  
დავდექით. დასიცხული საქონელივით  
ვეშურებოდით სიგრილეს... ახლა უკვე  
ალარ გვიკვირდა, ასე შიტოვებული და  
უქაცრიელი რომ გამოიყურებოდა ეს  
მწევანედ მოხასხასე გარემო.

— ისე, კაცმა რომ თქვას, დღეს ფრე-  
ნაკი უნდა ყოფილიყო... თქვა გუამ და  
გადაკრულ ცას ახედა.

— გაჩუმდი, თუ ძმა ხარ... ახლა რომ  
თვითმფრინავი დავინახოთ, ბოღმისა-  
გან გული გაგვისკდება... — შეეპასუხ-  
ნენ ვოგონები.

— სარეისო ავტობუსი მაინც დადი-  
ოდეს... — ეთქვი მე.

— ჯერ გზები მოიკითხე და მერე  
ავტობუსი... — შემაწყვეტინა გუამ. —  
მაგათ არაფერი ეშველებათ...

ამ დროს სავარიონის ცალ გვერდზე  
გადახნექილი ახმახი ფიგურა გამოჩნ-  
და მინდორში. წყალი ეშოვა, ლამის  
სირბილით მოაქანავებდა ვედროს.

— წყალი კი არა, ცარიელი შლამია,  
ეგ თხერი... — თქვა მან რომ მოგვი-  
ხლოვდა. — თუ მოინელა ამ ჭაბახანამ,  
ღმერთს მადლობას შეეწირავთ... —  
მანქანის კაბინას სახურავი ახადა და  
ქანგისფერი სითხე რადიატორში ჩა-  
ჩხუნჩუნა.

— აბა, „პო კონიამ!..“ — დაიძახა  
მერე სავარიონმა — ცხენებით უფრო  
კარგად ვივლიდით ამ გზებზე, რომ იცო-  
დეთ... არც შეგვემინდება არაფრის —  
ავიხსნა მერე ჩვენი.

— სადაა თორემ, იცოცხლე... —  
ეთქვი მე.

მერე სავარიონმა ბა მოიკითხა, რომ  
გაიგო — წინ წასულიყო, ხელი ჩაიჭ-

ნია და თავის კაბინისაკენ გაემართა. მოტორი ათუხთუხდა. მანქანა ნელ-ნელა დაიძრა ადგილიდან, თავის საველ მხარეს დაადგა და მთებისაკენ გაუყვა.

წინ ველარაფერს ვხედავდით. მხოლოდ უკან, მანქანის თვლებს ადევნებულ მტვერს მიღმით მოჩვენებასავით გაივლებდა ხოლმე სწორი, ვაკიმპული შარა და მაცოუნებელი სიმწვანე დასიხული ველებსა. ჩვენ ყველანი იმ ერთადერთ ფანჯარას მივმტვრებოდით. თვითვეული ჩვენგანის მალული ფიქრები ამ ბრეზენტის ნაჩვრეტიდან განიბნეოდა სივრცეში, ჩაბნელებულ და დახუთულ საბარგულის იქით ნაცნობ ქალაქებსა და საფლებში, ახლობელ თუ უცხო ადამიანებთან სჯა-ბაასობდა ჩვენი გონება.

აღბათ იმიტომ რომ ამ დღეების განმავლობაში საკმაოდ ვიოხუნჯეთ და ვიცინეთ, მოვიგონეთ სხვადასხვა ამბები, დღეს არც ერთი არ ვიყავით ზემრობის გუნებაზე, თითქოს სამკალიდან ვბრუნდებოდით დაღლილ-დაქანცულნი, ოფლად გაღერჩილნი, რაღაცნაირად მოღუენებულნი და უილაჯონი ვეყარეთ მარლიან ღარძლებზე. ან იქნებ მტვრისა და სიციხის ვამო ვლუმდით? ან იქნებ შიშით ვიყავით აგრერიგად დაძაბუნებულნი?

მალე მანქანის თუხთუხმა იმძლავრა.

— მთები დაიწყო... — ხმა ამოიღო როგორც იქნა გუმამ.

გოგოებმა გადახედეს. სახეზე შეუმჩნეველი ღიმი გაუკრთა სამთავეს.

„მთა დაიწყო...“ — ზარივით გაიმეორა სხეულმა უფროსი ძმის ნათქვამი. თითქოს ახალი, ჩემთვის უცხო რამე ეთქვას, სხეულმა რაღაცნაირად შეიციხადა მისი სიტყვები.

სავარიონი გაბმულ სიგნალს აძლევდა ვიდაცამ. მერე მანქანამ სელას უკლო და ჩვენ ვავიგონეთ, როგორ გაიღო კაბინის კარი. მე წამოვიწიე და ფანჯრისაკენ წავედი, ხელები რკინის მავთულს ჩავკიდე, ძარაზე გადაკიმულ ბრეზენტს რომ აკავებდა და გარეთ გადავეყუდე. მხარმარცხნივ, გზისპირაზე გადმოწვერილ კლდეზე წყარო გადმო-

კიდებულოყო. ბა მონაზონივით ჩაჩოქილიყო გუბეში და თითქოს ღმერთს შეწევნას ეაჯებო, ხელები შეეკიმართა, ვერცხლისფრად გაბნეული წყლის შეხებისათვის მიეშვირა. სახე, წვერი და გულისპირი ერთიან დასველებოდა, მაგრამ არას დაგიდევდათ ბა — შუბლსა და დაწვებზე განუზომელი ღიმილი დასთამაშებდა, მთელი სხეული ბედნიერებით აღვსოდა, თავისთვის გულში იცინოდა.

— გეყოფა მეტი, ბა... ვაცივდები... — უთხრა სახეგაციისკროვნებულ მოხუცს სავარიონმა.

მაგრამ ბას არ ეთმობოდა თავისი გუბე, თავისი ჩანჩქერი და ეძნელებოდა მათთან დაშორება. მომლოდინე ხალხის თუ შეეხათრა, უხალისოდ წამოიზლანა, წამოითრია ზორბა სხეული. ერთი უმადურად ვადახედა სავარიონს. შუა გზაზე რომ გახევებულოყო და მანქანაზე ამობლოტდა.

კვლავ თავისი ძველი ადგილი დაიკავა. წუთითაც არ ეთმობოდა ბორცვაკები და წარფები, ხელისგულის ღარებევით რომ მოემწყვდიათ გზა...

მალე მანქანამ მარცხნივ გადაუხვია, საძირკველებშებლალული, ეულად აყუდებულო კოშკი უკან მოიტიოვა და ხმაურთან ხეობაში ჩაეშვა. მდინარე, აქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე მობლალა, მონაგრევედა ყველაფერს. მდინარის ღრიალმა შთანთქა ძრავის თუხთუხი. ახლა ჩვენს სხეულშიც ეს უცნაური ჩოჩქოლ-შხულილი გამდგარიყო.

ყველაზე მეტად მოხუცმა ბამ განიცადა ხმაურთან ხეობაში ვაღმობარგება. ერთთავად იცინოდა და ჩიფჩიფებდა. შუბლს იკმუხენიდა, უღვაშის წვეროკნები დარხეული ალიბუხარის ტოტივით უცახცახებდა... თვალს წამითაც არ ამორებდა ღრიალით მიმსროლავ მდინარის ვაღმა-ვაძოღმით დაკიდულ თომიან წარაფებს. ხანდახან, როცა მტვერი ამოისვეტებოდა. ჰაერში, ბა პატარა ბაეშვივით იქნევედა თავისუფალ ხელს და თვალსაწიერიდან დევნიდა. მერე ისევ დააჩნდა ოფლის ფორეკები

სახეზე, შუბლი კი მტვერ-ზინზლისაგან ღამის სათევეი ქვაბის კედელივით მოემურა. მერე და მერე ხველებაც დაწყებინა... რალაცნაირი მოგუდული ზმით ახველებდა ბა, — ხელს პირზე იფარებდა, თითქოს ჩვენი ერიდებოდაო.

მანქანა დამთხვეულივით მიჯაყყაყებდა, ხტოდა და ბარბაცებდა. საბურავები ხანდახან აებედითად ღრქიალებდნენ და წუოდნენ. მანქანის ძარა სადღვებელივით მოირჩეროდა. რაც მალა და შორს მივიწვედით მთებში, გზა ვიწროვლებოდა და საშიში ხდებოდა. ყველაზე დიდ საცოდაობაში გოგონები ჩაკარდნილიყვნენ. საბარგულის კიღისათვის ჩაევლოთ ხელი, მაგრამ თავს ვედარ იკვებდნენ. ხანდახან წამოიკივლებდნენ ხოლმე. ჩვენც ჰაერში დავფრინავდით, ბრუნდნენ და ძარის კედლებს ვენარცხებოდით. ახლავა ხდებოდა საუარაოონის ყოყმანი გასაგები — გოგონების წამოყვანა რომ დაეხარა.

ხანდახან გზა სწორზე გადიოდა, მაშინ წუთიერი სიმშვიდე გვეუფლებოდა და ჩვენი ფიქრები კვლავ ამ ბრუნდნენ მიღმა იწყებდნენ ფარფატს. მშობლიური სახლის შემოგარენი რიპლებდა თვალწინ, მთელი წლის უნახავი ახლობლები, ნათესავები გვეხეოდნენ. გვკოცნიდნენ, ფეხით თავამდე გვათვალავდნენ. გულში უჩვეულო სითბო იბუღებდა, მყუდროება და ოჯახური სიჩუმი ისადგურებდა. ნაცნობი მთები, ბილიკები და შუკები გვეძახდნენ, მათაც ეწადათ, შევეთვალავდით, მურყვამები და გამოქვაბულები, ჩანჩქერები და მწვერვალები მოგვიხმობდნენ. ბავშვობის დროინდელი, არც თუ შორეული მოგონებები ცოცხლებოდა ჩვენს თვალწინ, ხორცს ისხამდა და შეორდებოდა... ყველანი მღუმარედ, ღრმად ვიყავით ჩაძირულნი საკუთარ სულში.

მოხუცი ბა ორივე ხელით მავთულს ჩასქიდებოდა. კისერი წაეგრძელებინა და ფერდობებს გასცქეროდა. მშობლიური იალღები მონატრებოდა და ახ-

ლა მათთან შემოგარენის ცქერით იბებდა ვულს. მოხუცი თითქოს ამ ქარაფზე გადაფრენის ცდილობდა. შემოვიღვივით გამამდგარიყო ძარაზე და ავალმოქუტული აქეთ-იქით ატრიალებდა სველ, მტვერში ამოგანგლულ სახეს.

— შემოიწით, ბა... არ გადაგიყოლოთ შარავამ... — დაუძახა მოხუცს გუამ, მაგრამ ბას არც გაუგონია იმისი ნათქვამი, ყურიც კი არ გაუბარტყუნებია.

გოგონების წივილ-კივილიც არ ესმოდა ბას. მათ ცხვირსახოცები შეინახეს და მოცეკვავებოვით ერთმანეთს გადაატდეს ხელები. არცერთი არ იყო კომპიოობის გუნებაზე. კოპიოობას ვინ დაგიდევდა, გვერდები დაღწროდათ, წივილები და მუნღისთავები დარძლა ტოპრებზე ხახუნისაგან გადატყავებოდათ. როგორც შეეძლოთ მალავდნენ თავიანთ გაჭირვებასა და შიშს. ჩუმად, თავისთვის კრუსუნებდნენ.

— აი, დათვის კლდეებიც — ამწვიდებდა გოგონებს გუა, — უალამდე რალა დარჩა... ათიოდე კილომეტრი თუ იქნება...

მართლაც რა იყო ათი კილომეტრი? ტროლეიბუსის ოციოდე გაჩერება. მაგრამ აქაური გზა თითქოს სხვა არშინით დაზომესო, უსასრულოდ გრძელდებოდა, ჩვენს მოლოდინს აღსრულება არ ეწადა. მშობლიური უალი თითქოს გავვირობოდა, ჩვენთან შეხვედრას ერიდებოდა... მოლოდინის მწვალბლური წუთები ნემსებად გვეყარა ტანზე...

მოხუცი ბა კიდეც მეტად აწრიალდა. ეტყობა ხელები დაედალა, თავს ვედარ იმაგრებდა, სარკმლის მოცილება კი ეზარებოდა. ერთხანს თავის ადგილზე ჩამოიმუხლა, მაგრამ თითქოს ბზიკმა უკბინაო, უცხად წამოიჭრა, გვერდზე ჩამოკონწიალებული ვერჩხიდან<sup>1</sup> უშველებელი, სვანური დანა იძრო,

<sup>1</sup> სვანური — ქარქაში.

თვალის შევლევაც კი ძლივს მოვასწავრით, ისე მოიქნია და ძარაზე გადაქიმულ ბრეზენტს ატაკა. ბრეზენტი გაიხა, ფხრაწიანი გაიღო, ბამ ისევე ჩაიღო ქარქაშში დანა და ნახვრეტში ასჩარა თავი. ახლა ბა წელგამართული იდგა, თავი გარეთ გაეყო და ხმამალა ხარხარებდა. ბამ თავი დააღწია საბარგულის სულისშემხუთველ ტყვეობას და ზეიმობდა. „ჰეჰე... ჰეჰეი...“ გასძახოდა იგი თომიან წარაფებს, შორიდან, ათას ბორცვს მიღმიდან გადმოშორალ მშობლიურ საბალახოებს... გასძახოდა ბა შორეულ წავარნებსა და იღუმელ ბილიკებს... თავის დაბრუნებას აღუწყებდა ბებერ მურყვამებს, ხეობის სალოცავებს, ხატ-საყდრებს...

— ჰე... ჰეეეი...

ჩვენ ვამჩნევდით, როგორ ებერებოდა მოხუცს კისრის ძარღვები ყვირილისას. მისი სხეული ერთიან ცახცახებდა, თრთოდა რაღაც სიხარულისა თუ ბედისწერისაგან. შეშლილივით ბუქნავდა მოხუცი ბა, ბუქნავდა და გასძახოდა მთებსა და ველებს.

ვოგონები გაოცებულნი და შიშვამდგარნი მისჩერებოდნენ მოხუცს. გუდაც დაეკეცებულნი შეჰყურებდა. ეს უეცარი აღტყინება გაუგებარი და მიუწვდომელი იყო ჩვენი გონებისათვის. ავყოლოდით ჩვენც ბას ფეხისხმას თუ ვცემოდით და თვალისუსწრაფესად თუნდაც ძალისძალიად ჩამოგვეხსნა ბრეზენტის სახურავიდან? მხოლოდ მერე გახდა ყველაფერი ნათელი.

მანქანა კლდიან თავდაღმართზე გავიდა, შეხტა და შექანავდა, ბზიკნაკბენი ულაყვივით ყარა ტლინკები. საბურავებმა ავბედითად გაიხრქიალეს. უქანასკნელ წამსლა დაიმორჩილა საჭე სავარიონმა, როგორღაც გზაზე შემობარუნა განწირული საბარგო. ოფლში გახვითქულმა ერთი ბრაზიანად ვადააწრინტა და რაღაც ჩუმად ჩაიბურღლუნა.

მანქანის ჭაყყაყზე ბრეზენტში თავაწრილმა ბამ ტანი ვეღარ შეიმაგრა, ტიკინასავით მიენარცხ-მოენარცხა სა-

ბარგულის კედლებს, ბადეს მოყოლილი თევზივით აფართხალდა, ერთი, ძალუმად ამოიხრიალა, ხელგებით ბრეზენტის გაწვევა სცადა, მაგრამ თავი ვეღარ დაიძვრინა. ბრეზენტი დაიწველა, სხვადასხვა მხრივ დაიქიმა, მახრჩობელასავით შემოესალტა მოხუცის ნაოქებიან ყელ-კისერს. სუნთქვა შეეკრა ბას, სული შეეგუბა, საფეთქლებზე სისხლი მოაწვა, ყურებმა ბაგაბუგი დაუწყო, თიფქოს უროვეერს ურტყამდნენო. ხროტინებდა, ყელგამოჭრილი ხარივით ხროტინებდა და ქშინავდა... მერე როგორღაც ქარქაშს მოეჯაჯგურა, ეტყობა დანის ამოღებას ლამობდა, ალბათ ნაჩვრეტის გაგანიერება თუ ეწადა, მაგრამ აღარ დასცალდა, გაბერილი კისრის ძარღვები დაეჩუტა და ბებრული, მოუსვენარი ტანი მჩვარივით ჩამოეკიდა სახურავზე.

გუა მსწრაფლ მის გვერდით გაჩნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო ყველაფერი. მოხუცი ბას მშფოთვარე, ზეაღმდგარი სულის მღელვარება ერთხელ და სამუდამოდ დაწკადა, დაიშრიტა. მტვერსიცხეს ვარიღებულმა ჰაგეებმა შეწყვიტეს ჩიფჩიფი. დაძაბუნებულ საცქერელთ თალხი და ბინდი ჩამოაწვათ. თომიან წარაფებსა და მწვანედ მოხასხასე საბალახოებს ერთი პატრონი და გულშემამტკივარი დააკლდათ.

და ახლა მთა გლოვობდა თავის ერთგულ მეგობარს.

მდინარის ხმაურმა იძალა. მდინარე ჰირისუფალივით ახლოს მოვიდა ჩვენთან, თითქოს ვერ დაეჭვებინა — ნუთუ მართლა აღდსრულოა მოხუცი ბა. თმაგაწვეწილი სახე-პირს იხოკავდა, ავბედითად ღმუოდა, ღრიალბდა. შორეული კლდეები ექოს გადმოსცემდნენ, სამგლოვიარო ღაღადისი ბურთივით ხტოდა და დაგორავდა მთიდან მთაზე, ბორცვიდან ბორცვზე...

ვოგონები ხატივით გაკვროდნენ საბარგულის კედელს. შეშინებულნი და შემცბარნი ცახცახებდნენ, მუდარის თვალთ შემოგვეკეროდნენ მე და გუას. ჩვენ ხელი შემოგვეხვია ბას სხეუ-



ლისათვის და ჩამოხსნას ვცდილობდით. თვეზივით მოვედო მოხუცი ბა ძარაზე გადაჰიმულ ბრეზენტს.

— მიდი, სავარიონს დაუბრაზუნე... — მითხრა გუამ, რომ ვერ ჩამოვხსენით მოხუცი.

სავარიონმა გააჩერა მანქანა, უკან ვადმოვიდა და საბარგულის ამოსასვლელიდან ამოგვხედა.

— ჰა... როგორაა მანდ... — ბოლო სიტყვები ტურებზე შეეყინა. ეს ახმახი უცხად დაჩივდა, დაპატარავდა. მოხუცი ბას მოყანყალე და ბრეზენტში გაქედნილ სხეულს რომ ჰკიდა თვალი. სახეზე თაღისფერი დედო.

— რა... რა მოხდა? — იკითხა შეცბუნებულმა სავარიონმა და მოხუცის მომჩივარებულ სხეულს გადახედა, იმიწათვის გუას შემოეხვია ხელი და მალლა ეწვოდა რომ ჩვენ ბრეზენტთან ვამოხსნა გაგვადვილებოდა.

პასუხი არაეინ დაუბრუნა.

ისედაც ყველაფერი ნათელი იყო სავარიონისათვის.

— საწყალი ბა... — ამოღერდა მერე მან სასოწარკვეთილი ხმით.

კაბინიდან ბავშვიანი ქალიც ვადმოვიდა. მას თვალებიდან ცრემლი წასკდა, მერე ხმამალა ატირდა. გუამ და სავარიონმა დიდის წვალეებით ჩამოხსნეს მოხუცი. ტომრებზე დაასვენეს და ხელ-ფეხი გაუსწორეს, თვალები დაუჭუჭკეს, ღიად დარჩენილი ბავენი მოუკუმეს. მტვერი ჩამოუფერთხეს მხრებიდან, სველი ტილოთი სახე დაუბანეს.

— მთელი გზა მექავებოდა ცხვირა, ეგ ოხერი... — თქვა სავარიონმა — ვგრძნობდი, ხიფათი ამდევენებოდა...

— ძან მოუსვენარი მოხუცი იყო... ერთი წუთით არ გაჩერებულა, სულ წირიალებდა... თქვა გუამ.

— შეილებმა წაიყვანეს ქუბურხინჭში... მთელი თვე იქ იგუდებოდა... ნათქვამია „ხიდი ნახიდარზეო...“ მთას შებერებულ კაცს ბარში რა გააძლებინებდა...

გოგონები ტიროდნენ. ხმაშეწყობი-

ლნი ქვეთინებდნენ. ჩვენს წინაშე კანდაკებადქცეული ბას სხეულს ვხედავთ.

— იმაზე იყო ასე უხასიათოდ... ახალგაზრდობაზე ზომ სულ გული აეყარა, — მთიდან ვარბიან, მამა-პაპათა ძვალთსალაგები მიატოვესო.

„თქვი რამე ბა... მოგვიყვივი რაიმე ძველებური, ვაჟკაცური...“ ვებეწეზობდით ისევე ყველანი...

— მთაში ეჩქარებოდა... შუა გზაზე უწია ამ ოხერმა... — თქვა თავჩაქინდრულმა სავარიონმა, — ერთ სულზე იყო, საწყალი...

მანქანის კაბინიდან ქვეთინის ხმა მოდიოდა. ეს ბავშვიანი ქალი მოსთქვამდა თავისთვის. მერე ბავშვი აჭუჭუუნდა — თითქოს მოხუცის სიკვდილი შეიცხადაო. ქალმა შეწყვიტა მოთქმა, ალბათ ძუძუ მისცა ატირებულს — მალე ბავშვის ხმაც მიწყდა.

— ახლა წავიდეთ... — თქვა სავარიონმა და ძარიდან გადახტა. — ჯერ ასე მარცხიანად არ მიმგზავრია ამ გზებზე... — ამოგვძახა ძირს ჩასულმა.

ჩვენ მღუმარენი, ვაოგნებულნი შემოვხევეოდით ბას ცხედარს, ვაოგონები ისევე ქვეთინებდნენ.

მანქანა ნელა დაიძრა. ზანტად, მძიმედ გაუყვა ვიწროებს. სამგლოვიარო ხმაზე თუხთუხებდა იგი. სამგლოვიარო ღრიალით მოგვაცილებდა ადიდებული მდინარე.

ბოლოს, შავ ლელემდე მივალწიეთ როგორც იქნა. ეს იყო ყველაზე უბედური ადგილი ამ გზაზე. ერთი საათის წვიმაც კი საეპარისი იყო რომ ლელეს წყალი ვასჯდომოდა ტანში და მოხედილ ცოშს დამსგავსებოდა. მოძრული მიწა ერთხანს თუხთუხ-ბუყბუყებდა, ბუშტებად ინთხეოდა, მერე ელვასავით დაიქუხებდა, ვასკდებოდა და ქარაფეზე ვალაშვავდებოდა. ლავასავით მიიწელებოდა ერთმანეთში არეული ქვალორდის ნაშალი ხეობაში ვადაკიდულ ქიმებზე.

ამ ადგილს მშვიდობიანად თუ ვასკდებოდა მანქანა, მის მძღოლს შეეძ-

ლო თავი ქულში ჰგულვებოდა, თავ-  
მომწონედ გადაეგრისა ულვაში. მაგ-  
რამ... სავარიონს მართლაც არ სწყა-  
ლობდა დღეს ბელი. ეტყობა, ჩვენც მა-  
რცხენა ფეხზე ვიყავით ამდგარნი. შა-  
ვი ღელე აბობოქრებული დაგვხვდა. —  
გზა უშველებელ ფლაქესთან გასწრე-  
ბულიყო, გაღმა-გამოღმა კი სულიერი  
არ ქაქანებდა.

— ხომ ვთქვი დათარსული ვარ-მეთ-  
ქი... — თქვა კაბინიდან გადმოსულმა  
სავარიონმა და ერთი მაგრად შეიკუ-  
რთხა. — გამიგონია — „უძალო ქვე-  
ყანაში კატები აყუფდნენო“... აქ რომ  
არც კატები ჩანან, ეს ოხერი... — გა-  
დააფურთხა სავარიონმა.

ახმაზი, ღონიერი ბიჭი იყო და ეს  
წუწუნნი სულ არ უხდებოდა. თვითო-  
ნაც გრძნობდა ამას და ენის ბორძიკით  
ლაპარაკობდა. იგი ცამდე რომ მართა-  
ლი იყო ამოში ეჭვი არავის გვეპარებო-  
და. გოგონები აღტაცებულნი შესტკე-  
როდნენ მას. სჯეროდათ სავარიონის.

მე და გუასაც გვჯეროდა. გვებრა-  
ლებოდა კიდევ, მისი ცხოვრება დღე-  
ნიადავ საბედისწერო ხიდზე სიარული  
იყო. მდინარის ღრიალთან ერთად გზად  
თან მოაცილებდა სიკვდილის როკვა.  
ირგვლივ მანქანის საბურავების ადევ-  
ნებული საბედისწერო აჩრდილები და-  
რიალებდნენ.

— ამის მიხედვას, ეტყობა, არავინ  
არ ფიქრობს... ახლა თავს თუ არ ვუშ-  
ველეთ, მთელი კვირა მოგვიწევს აქ  
ყურყუტი...

— რა უნდა გქნათ? — შემფოთებით  
იკითხა ბავშვიანმა ქალმა.

— ფეხით უნდა ვცადოთ... რამდე-  
ნიმე კილომეტრი დარჩა...

— ფეხით? — მკერდში მიხუტებულ  
პირმშოს გადახედა ქალმა.

— კი მაგრამ... — მოხუცის ცხელ-  
რისკენ გააპარეს მხერა გოგოებმა.

— სათრი უნდა გავაკეთოთ... — მა-  
ღალ თხილნარს შეერია სავარიონი,  
გათოფრილ ქუჩებს ერთი ლაწალუწი  
დაუყენა — თქვენ ევერები შემოას-  
ხიპეთ — ჩამოგვძახა მერე დაბლა. თან

გზაზე მსხვილ-მსხვილი ტოტები ჩამო-  
ყარა. სათრი მალე გავაკეთეთ დაბლა.  
მიწაზე დადვით, ბას ცხელდარი ფრთხი-  
ლად ჩამოვიღეთ საბარგულიდან, ზედ  
გააწვინეთ და გზას გაქუდექით. წინ  
სავარიონი მიდიოდა, უკან მე და გუა  
ამოვდგომოდით საკაცეს. ბიჭ-ბიჭ,  
ფრთხილად დავიარეთ წყლიანი ფლა-  
ტი, იქითა ნაპირზე მივასვენეთ მიც-  
ვალელები და ახლა ძალების გადასა-  
ყვანად გამოვბრუნდით უკან. სავარი-  
ონმა ბავშვი აიყვანა ხელში, თან დე-  
დამისს მიეხმარა. მე და გუამ გოგო-  
ნები გადმოვიყვანეთ.

მერე ისევ გზა...

ჩემად მივეუყვებოდით უკაცრიელ ოდ-  
რო-ჩოღროებს. მწარე სევდა შემოგვ-  
წოლოდა ყველას და ვდუმდით. მძიმე  
ტირთი, მხრებზე რომ გვაწვა, შავშავ  
ფიქრებს გვიშლიდა... ჩვენ ვფიქრობ-  
დით განვიღო დღეებზე, მოხუცი ბას  
უეცარ სიკვდილზე. რა თქმა უნდა,  
განვიცდიდით. მაგრამ მერე და მერე  
ცოტა შევეჩვიეთ კიდევ ამ ამბავს, სი-  
კვდილი ისე ახლოს მოვიდა ჩვენთან,  
ისეთი ხელშესახები გახდა რაღაც თა-  
ლხისფერი, ჟანგისანი საგანივით აღვი-  
ქვამდით, სიკვდილი მხრებზე გვაწვა.  
ჩვენი ფიქრები კიდევ უფრო შორს მი-  
დიოდა — ამ მთელის, ამ კუთხის შვი-  
ლები ვიყავით ყველანი და შესაძლოა,  
დღეს თუ ზვალ ბას ხვედრი გვეწვეოდა  
ჩვენც; ამ გზებზე ყველაფერი მოსა-  
ლოდნელი იყო. ჩვენ ამ წუთში ისრა  
დაგვიჩენოდა მადლობა ალგვევლინა  
ცად, დმერთებისათვის რომ ასე თუ  
ისე მშვიდობით ვბრუნდებოდით სახ-  
ლში. ზღაპრული გველემები ამ გზო-  
ბაზე ლმობიერი გამოდგა... ჩვენთვის.

გზა და გზა წარწერებიან ნიშნებსა  
და კლდეზე გაკრულ მარმარილოს  
ფილებს ჩაეუვლიდით. ნიშნებთან ხში-  
რად ბოთლები და ჭიქები ელაგა,  
მგზავრებს დაღუპულთა შესანდობარი  
დაელიათ.

მარმარილოს დაფებზე გარკვევით  
მოჩანდა უბედურის გვარი-სახელი,

წასვლა-მოსვლის თარიღები. ერთგან აკანკალებული ხელით ამოტვიფრათ — „აქ ახალწლის საბედისწერო ღამეს ენგურში გადაიჩეხა ტურაანების ოჯახი. ზღვას შეეწირა მათი სული...“

საბოლოოდ დაერწმუნდით ყველანი: ჩვენც ამ სიკვდილის შვილები ვიყავით... აღრე თუ გვიან, შესაძლოა ეს ეპიტაფიები ჩვენს ხარჯზეც გაზრდილიყო. გოგონებს მხრები ჩამოეყარათ, თმა ჩამოსწეწოდათ, ტალახსა და მტვერში ამოსვრილიყვნენ. ისინი დაბრტყნებულიყვნენ, გამოცკლილიყვნენ. ბუნებრივი, მართალი იერი ჰქონდათ. ახლა ნათლად ეხატა სახეზე, რომ მთიბეულთა, ტყის მჭრელთა და მონადირეთა შთამომავალნი, მათი გვარისანი იყვნენ. ჯანმრთელნი, სერიოზულნი და პირქუშნი. უკმაყოფილონი...

ხანდახან, როცა ჩვენ დავიღლებოდით, ისინი მოდიოდნენ და დახმარებას გვთავაზობდნენ. ჩაჰკიდებდნენ ცალ მხარეზე სათრს და ტოლს არ გვიდებდნენ.

ერთგან, შესვენებისას სავარიონმა თქვა:

ბას შვილები ბარში გაიქცნენ... სახლ-კარი გაყიდეს და სამუდამოდ დააღწიეს თავი ამ გაჭირვებას...

ჩვენ არ ვიცოდით, ვინ გაგვემტყუნებინა, ბა თუ მისი შვილები. ან იქნებ თავისებურად ყველა მართალი იყო?

— ბა რას წავიდოდა... ერთი ქოხი ჰქონდა მთაში და იმას შეაფარა თავი თავის საქმეს არ უღალატა, სოფლის საქონელს უვლიდა... ახალგაზრდებზე იმიტომ იყო გულადრძინილი... არაფერი სწამდა მათი...

მერე ისევ დაიძრა ჩვენი ქარავანი. ერთხანს კვლავ ავუქუყუნდა მკერდს ჩახუტებული ბავშვი. მერე მიშვერილ ძუძუს ჩააფრინდა და მიუჩრდა. ისევ მღუმარებამ დაისადგურა. ოღნავ ჩამობნელდა კიდევ. გზა ცაცხეების ტერვრში გადაიოდა და ჩვეულებრივზე მეტად ბნელოდა.

რა შორს იყო ახლა ჩვენგან ქალქის გაჩახჩახებული ლამპიონებენ... ხალხმრავალ გამზირზე სტორისობანი და უღარდელი სიცილ-ხორხოცი.

ახალგაზრდული ვენებათღელვანი და გრძობებმა და საყვარულზე ჩურჩული.

რა შორს იყო, ყოველივე მხიარული და ღამაზი.

იმიტომ, რომ ჩვენს წინაშე დიდი კითხვისნიშნები დაისვა. ჩვენ ვალდებულნი ვიყავით ჩაფიქრებოდიოთ და ისე გაეპასუხებოდიოთ ამ კითხვის ნიშნებს. იმიტომ, რომ ჩვენ თუ არა სხვა ვერავინ ვასცემდა მათზე პასუხს.

\*\*\*

ქალში რომ ჩავალწიეთ, უკვე საკმაროდ ბნელოდა. სოფელში სინათლეები არ ენთო და უკუნ სიბნელეში გახვეული სახლები ტალახიანი მორენებივით მოჩანდა. ძაღლების ყუფილა ახშიანებდა არემარეს. ხანდახან, აქა-იქ, ეზოებში ანთებული კვარით გამოვიდოდა ვიღაცა, ალბათ დიასახლისი თუ იყო და ძროხების მოსაწველად ეშურებოდა.

ჩვენს ოცნებაში კი ეს სოფელი ათჯერ ღამაზი იყო. შორიდან იგი შეუღარებელი გვესახებოდა.

მთხუცი ბა პატარა მოედანზე დავისვენეთ. ჩვენ ირგვლივ დაეუღკეპით და სიბრაღულით დავცქეროდით. ბა უსახლკარო იყო. ქოხი, საღააც მთაში რომ ედგა მიცვალებულის დასასვენებლად არ გამოდგებოდა. და ყველაზე მოხერხებულ ადგილას, სოფლის მოედანზე იწვა მოუსვენარი ბა. იწვა და ღუმდა. მშობლიური მთებივით ღუმდა, მუქად გარინდულ ცისკიდურიდან რომ დაჰყურებდნენ.

ჩვენ კი თავს ვადეკით და მღუმარედ დავცქეროდით. ეს იყო ჩვენი მოთქმა და ზარი.

მეტე სხვა რა შეგვეძლო...



## ტოლი სივალის მხრები

სხვა არაფერი არ მინდა ქვეყნად  
სუფთად გარეცხილ ხალხის გარდა.  
ვ. შაიკოვსკი

ყოველივე ეს მოგითხროთ ნავში  
მდგარმა კაცმა. ზღვა თბილი იყო. მზე  
სუსტად აცხუნებდა. თქვენ ნაპირზე  
იდექით, ხოლო ნავი სულ ახლოს იყო  
ნაპირთან.

ოთხი თეთრხალათიანი ზის მატარე-  
ბლის კუბეში. მიჰქრის მატარებელი.  
ირყევა, მაგრამ მაინც ერთიანი, მთლია-  
ნი და შეკრულია. გზას მისდევს იგი.  
გზა მისდევს მას. მერე კი თითქოს  
ერთად მიჰქრიან ორთავენი.

აქეთ სტეპია, იქითაც — სტეპი. ოთხი  
თეთრი ხალათი ზის მატარებლის კუ-  
ბეში. ეს ჩვენა ვართ. მეხუთე დგას.  
სხვა ვაგონებსა და კუბეებში მგზავრო-  
ბენ ჩვენი ნაცნობები. უცნობები კი  
იქნება ბევრი.

მაგრამ ახლა, ეს ხალხი ერთნაირია  
სუყველა, რადგან მატარებლის ქვევით,  
იქ სადაც შავი რკინები გადახარბებულა —  
ჩვენი საფუძველია, ჩვენი ძირე-  
ბი და ვიდრე ერთმანეთს ბოროტად შე-  
ვხედავდეთ, ვაგვილაგდეთ, ვაგეთვალა-  
ვდეთ და ვესროდეთ მძიმე, გამოუსწო-  
რებულ ქვას: მოდიოთ, მანამდე ქვევით  
ჩაეიხედოთ.

ქვევით კი სქელი იატაკია მატარე-

ბლისა და არ სჩანს ჩვენი საფუძველი.  
მაგრამ აიხდება ეს იატაკი.

და როცა საფუძველი გამოჩნდება  
დაბლა, მატარებლის ძირას გადახა-  
რიხებულ რკინებში მყოფთ, მაშინ გა-  
მოჩნდება, კიდევ რომ ჩვენ ყველა ერ-  
თნაირი და ერთიანი ვართ. ჩვენ ვზი-  
ვართ ოთხნი. მაგიდაზე დგას ღვინო.  
მიჰქრის მატარებელი. ოთხი თეთრი  
ხალათი ზის. მეხუთე დგას.

და ჩვენ ვუსმენთ მის სადღეგრძე-  
ლოს.

საღამო ჟამს უნივერსიტეტიდან გა-  
მოიშალენ პირველკურსელი სტუდენ-  
ტები. ხეები იდგნენ მზრუნველად. უნი-  
ვერსიტეტის კარიდან დაწყებულ ას-  
ფალტირებულ დაღმართს შერჩენოდა  
დილის მზის სითბო, მაგრამ ეს სითბო  
თითქოს მისი საკუთარი იყო. სტუდენ-  
ტები მიდიოდნენ და მოჰქონდათ პატა-  
რა ჩემოდნები. ისინი დღეს პირველად  
იყვნენ ტანვარჯიშის დარბაზში. დარბა-  
ზის ქარმაგმა უფროსმა, ძველმა  
ტანმოვარჯიშემ მიიღო ისინი, შეა-  
მოწმა, ჩასწერა სიაში. მწვრთნე-  
ლებს დაუნაწილა. მუსიკის თანხლებით  
მათ შემოიარეს, მერე შემოიარინეს



დარბაზი და ივარჯიშეს. ზოგმა კარგად შეასრულა პირველდაწყებითი ვარჯიშები, ზოგმა ძლიერ მოასწრო, ზოგმა სულ ვერ შესძლო. მაგრამ ეს იყო პირველი ვარჯიში. ვარჯიში კი ხანგრძლივია. ვარჯიში ესაა მიღწევა მომავალში. მწვრთნელები ამბობდნენ არა უშავს, მერე ისე შეასრულებთ ილუტებს, თავად გავეყვირდებით. ძველი მოხუცი მოვარჯიშე, დარბაზის უფროსი თვალყურს ადევნებდა მათ და შენიშვნებს აძლევდა ისეთი კილოთი, რომელიც ანიშნებდა — ყველა შესძლებს ივარჯიშოსო.

პირველი იყო ეს ვარჯიში, მუსიკა, ხოლო საღამოთი ოდნავ დაქანებულ დაღმართს დილის მზის სითბო შერჩენოდა და ეს სითბო თითქოს მისი საკუთარი იყო.

დიდი, ფოთლოვანი ხეები მზრუნველად იდგნენ და ახალგაზრდებს არ შურდათ ერთმანეთის. არც ერთი არ თვლიდა თავს სხვაზე ღონიერი ვარო, ან მოხერხებული, ან სხვაზე სუსტიორადგან პირველი იყო ეს ვარჯიში და მუსიკა.

მოდითდნენ მადლებიცა და დაბლებიც, მაგრამ სუყველას თითქოს ტოლი სიმალლის მხრები ჰქონდა.

ყოველივე ეს მოგიტხროთ კაცმა, ნაეში რომ იდგა. ზღვა თბილი იყო. უნდა შეცტრებულყავი და დაწოლილიყავი ზურგზე. ნახევრად ჩაძირული. ზღვაში. ცის კიდურზე იდგა მზე. თქვენ კი ნაპირთან იდექით, ხოლო ნავი სულ ახლოს იყო ნაპირთან.

ოთხი თეთრი ხალათი ზის მატარებლის კუბეში. მაგიდაზე დგას ღვინო. მეხუთე ფეხზეა. ამბობს იგი — ჩვენ ისევ მიეჭრითარო უსასრულო სტეპში. ჩვენ და გზა ერთად. არაფერს არ ვტოვებთ გზაში, ძმებო. არც გზას. და მატარებლის ბოლი, თან რომ მოგვეყვება, გზა იგივე. ერთად შეკრულნი, ერთიანი აზრით სავსენი, მიეჭრითარო წინ. მაშ, გაუმარჯოს იმ მხრებს, რომლებ-

ზედაც თეთრი ხალათები გვისხია, ტოლი სიმალლის მხრებს!

ჩემს ბავშვობაში, სოფელში ბევრი ქადრები იყო, ახალწელიწადს თოფის სროლა აივნიდან, ხილის პარვა მეზობლებისათვის, იგონებს შუა ხნის კაცი. მახსოვს, შევიყრებოდით ხოლმე ბიჭები სკოლის ეზოში. ერთი იტყოდა, მე ესლა ფოკუსს გავაკეთებ. აი, შენ ჯაყვა დამალე სადაც ვინდა. მე გვერდზე გავალ, თვალეებს დავტუკვ. მერე მოვალ და ვიპოვი. ის დამალავდა. თვალდახუქული გაახელდა თვალეებს მიუახლოვდებოდა და იტყოდა: გააღე პირი. პირში გექნება დამალულიო. ის პირს გაალებდა. ერთ-ერთ ჩვენითან ნაციარი ჰქონდა მომზადებული და შეაყრიდა დაღებულ პირში. იყო ერთი მხიარული ვაი-დედას ძახილი.

ანდა მივემდით ვინმეს ლაყვ კვერცხს, ვეტყვოდით: დამალე, აი, ეს მოსტებნის. ბიჭი გვერდზე გადგებოდა. მსხვერპლს ქუდის ქვეშ დავამაღინებდით კვერცხს. მტებნელი მოვიდოდა და იტყოდა: ქუდის ქვეშ ექნება დამალულიო. დაარტყადა, თავზე ხელს და მსხვერპლს სახეზე ჩამოეთხლაპნებოდა ლაყვ კვერცხი.

არც ერთს არ სწყინდა არაფერი. ყველა იცინოდა. ყველაზე მეტად კი იცინოდა ის ვისაც კვერცხის ცილა და გული ჩამოსდიოდასახეზე გათხაპნილი. ყახიდად ჯავრობდა და ვაი დედას იძახდა. უნდოდა, უფრო მეტად გაეცინა ყველას და ყველასთან ერთად.

ვხარობდით რადგან ყველას ტოლი სიმალლის მხრები გექნოდა.

თქვენ ეს ამბავი მოგიტხროთ კაცმა, ნაეში რომ იდგა. იღიმებოდა ნავი. თქვენ ნაპირზე იდექით მოცინარე. თბილოდა. ხოლო ნავი სულ ახლოს იყო ნაპირთან.

ერთ დროს, ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა პატარა შაპი. შაპს ომობანას თამაში უყვარდა. დაამწკრივებდა პატარა ბავ-



შეებს და თვითონ იყო ხოლმე სარდალი. ბავშვები მიმოდრიოდნენ ერთად. ხოლო შაჰი კი იღვა ერთ ადგილას.

მოსწყინდა პატარა შაჰს ასე დგომა. ჯარისკაცებით ბავშვების რიგში ჩადგა. სარდლობა სხვას დააწავა. მალე მასაც მოსწყინდა სარდლობა და მერე ბავშვებს აღარ ჰყავდათ უკვე სარდალი. სუყველა ერთად მიმოდრიოდა.

გარბის მატარებელი. ორთქლმავალი და ბოლო ვაგონი ერთია უკვე. ერთხანად ეწვევიან ისინი წინ მთელ მატარებელს. ვაგონი ვაგონს. ორთქლმავალი ვაგონებს და ვაგონები ორთქლმავალს.

ჩვენ — ოთხი თეთრი ხალათი კვლავ გზივართ ვაგონის კუბეში. მეხუთე დგას. ჩვენ გაგვიმარჯოს, ამბობს იგი. ერთმანეთის სარდლები არ ვყოფილვართ. ყველა მათგანი თავის თავის სარდალი იყო და, ამჟვე დროს, ყველანი ერთად.

ჩვენ გაგვიმარჯოს, როგორც ამ გავარდნილ მატარებელს, როცა გარჩევა აღარა აქვს ორთქლმავალსა და ბოლო ვაგონს.

და გაუმარჯოს კიდევ ისეთ მგზავრობას. როცა სუყველა ტოლი სიმაღლის მხრებისა არიან.

მალა, მთის სანატორიუმში ერთად ისვენებდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი და ერთი მუშა. ერთად ჰამდნენ, სვამდნენ. ერთ ოთახში ეძინათ. მეცნიერს სულაც არ ეგონა თავისი თავი ცნობილი და იყო ყუჩად. მუშას კი ეგონა, რომ მას ყველა იცნობდა. ყველას ელაპარაკებოდა. ყველასთან კარგად იყო მეცნიერმა აც იყოდა მუშის საქმიანობის არსი, მაგრამ წარმოდგენილი ჰქონდა. მარტენის ლუმელი, არაა? — გააგრძელებდა იგი და წარმოისახავდა მის ძნელ სამუშაოს. არც მუშამ იცოდა არაფერი მეცნიერის საქმიანობისა, არც ეკითხებოდა არაფერს, მაგრამ მასაც წარმოდგენილი ჰქონდა საქმის სირთულე. ერთი ბუმბერაზი იყო, გოლიათური აღნაგობის,

მეორე კაფანდარა, მაგრამ როცა ერთად მიდიოდნენ და საუბრობდნენ, მათ თითქოსდა ტოლი სიმაღლის მხრები ჰქონდათ.

თქვენ ეს ამბავი კაცმა მოგითხროთ, რომელიც ნაეში იღვა. დადამლდა მზე. ძირს ჩამოვიდა. იგი თქვენთვისაა. თქვენ — მზისთვის. კაცი დგას ნაეში. თქვენ სდუმხართ, მაგრამ თითქოს თქვენც ესაუბრებით მას ნაპირზე მდგომნი, ხოლო ნაეი კი მთლად ახლასა ნაპირთან.

პატარაობისას ყველანი ბშირად დავყვდით ცირკში და ყველას გასაოვით აღმათ მანეეზე გამოსული ციკქნა ელოენი (ჯამბაზი). ის დაბლა იყო, ქვევით, მანეეზე ჩვენ — მაღლა, ამფითეატრში.

ოხუნჯობდა ჯამბაზი და ყველა იცინოდა.

ქრებოდა მაშინ ამაღლებული ამფითეატრი. თითქოს მანეეზე იყრიდა ყველა თავს. იცინოდა ყველა ჯამბაზის ოხუნჯობაზე, უცინოდა ყველა ერთმანეთს და ყველას ტოლი სიმაღლის მხრები ჰქონდა.

ჩვენ გზივართ მატარებლის კუბეში. ოთხი თეთრი ხალათი. მაგიდაზე თეთრი საუფენი აფენია. დგას ღვინო. ოთხი თეთრი ხალათი ზის. მეხუთე დგას და სვამს სადღეგრძელოს:

სიცილს გაუმარჯოს და ერთ ციკქნა ჯამბაზს. ჩვენს ნამდვილ სიცილს, როცა ტოლი სიმაღლის მხრები გვაქვს.

ჩინგი. ბაწრები. ქვევით ხალხი. დიდი ყვირილი და შეძახილები ჩინგს რომ სცდებოდა და სწედებოდა ჰერს. ჩინგზე მოხდენილად დადიოდა მელანქოლიური ქაბუკი. იგი ებრძოდა მეტად ძლიერ, კუნთებდაგრაგნილ მოწინააღმდეგეს. ებრძოდა ფაქიხად. ძლიერი მოწინააღმდეგე კი იბრძოდა მძლავრად. დარტყმა მოსდევდა დარტყმას. იბრძოდა ძალა და სილაპაზე. ზოლოს ერთი მხრიდან უფრო იძალა დარტყმებმა. ძალა გ გაიმარჯვა. ფაქიხ ყმაწვილს

სისხლი მოსდიოდა ფერმკრთალი სახი-  
ლან. კარგად იცოდა, ის არ იყო დამარ-  
ცხებული, რადგან სილამაზე ქეშმარი-  
ტი არასდროს მარცხდება. ხალხიც ორ-  
თავეს უკრავდა ტაშს. მძლავრმა მეტო-  
ქემაც მშვენიერად იგრძნო ყოველივე.  
ხელი გადაჰხვიეს ერთმანეთს ტოლი  
სიმალის მხრებზე და დარყეული ნა-  
ბიჯებით გადააბიჯეს რინგის ბაწრებს.

კვლავ გითხრობთ ამბავს ნაეზე  
მდგომი კაცი, თქვენ ნაპირზე დგახართ.  
ცა, მზე, ნავი და კაცი გამჭვირვალე  
ხდება. თქვენც კარგად თმძიმის შეგ-  
რძანებას, პაეროვნება გეუფლებათ.

დგას ნაეში კაცი. გითხრობთ ამბავს,  
ხოლო ნავი კი მთლად ახლოსაა ნაპი-  
რთან, — თითქოსდა უნაზეს ძაფისაგან  
ნაქსოვი ნავი.

თეთრი ხალათებით შემოსილნი აღი-  
ოდით რედაქციის მზით განათებულ  
კიბეებზე, თქვენ, ახალგაზრდა პოეტე-  
ბო. ზემოდან თეთრთმიანი უფროსი  
პოეტები ჩამოდიოდნენ. ისინი გამარ-  
ცხებდნენ თეთრი თმებით. თქვენ ამა-  
რცხებდით თეთრი ხალათებით. გამო-  
ცდილებით სავსე თვალებით შემოგყუ-  
რებდნენ თეთრი თმები.

თქვენ კი თეთრი ხალათები, სიხა-  
ლისით შესჩერებოდით.

და თქვენი შეხვედრა იყო ღიმილი.  
მაშ გაუმარჯოს ამ შეხვედრას. იმ კი-  
ბეებს მზით განათებულს სადაც ისინი  
იღვნენ მაღალ საფეხურებზე, თქვენ  
დაბლა იყავით და შეხვედრა თქვენი  
იყო ღიმილი. კიბეებს, სადაც ტოლი  
სიმალის მხრები გქონდათ.

ჩვენ ისევ ვზივართ. ოთხი თეთრი  
ხალათი. მეხუთე დგას. იღებს თეთრ-  
საფარიან მაგიდაზე დადგმულ სსსს-  
სმისს და ამბობს ამ სადღეგრძელოს.

კვლავ მიქრის მატარებელი. ვზას  
მისდევს იგი. ვზა მისდევს მას და მერე  
ერთიანდება ყველაფერი. მთა, ბარი,  
ვზა, მატარებელი, ხალხი, ორთქლმავა-  
ლი და ბოლო ვაგონი.

თეთრსაფარ გადაფარებულ მაგიდა-  
ზე დგას ღვინო. ოთხი თეთრი ხალათი  
ზის მატარებლის კუბეში. ერთი დგას.  
მეხუთე. იგი იღებს სსსსმისს და სეამს  
სადღეგრძელოს:

ჩვენს თეთრ და სუფთა ხალათებს  
გაუმარჯოს, ძმებო! მისი ხმა უერთდებ-  
და მატარებლის ხმაურს, ერთდება მასში  
და კიდევ ვერთიანდებით ყველა. მთე-  
ბი, ბარი, ვზა, მატარებელი, ხალხი,  
ორთქლმავალი, ბოლო ვაგონი და ჩვენ,  
თეთრხალათიანნი.

ყოველივე ეს, ყველა ამბავი და ამ-  
ბავი თეთრხალათიანების შესახებ, მა-  
ტარებელში რომ ისხდნენ, ტოლი სი-  
მალის მხრების შესახებ საუბრობ-  
დნენ და რომელითაც თავად ჰქონდათ  
ტოლი სიმალის მხრები, მოგიო-  
ხროთ კაცმა, რომელიც ნაეში იდგა.

ზღვა თბილი იყო. თქვენ იდექით  
ზღვასთან. თითქოსდა ზღვაში შეცუ-  
რებულნი. ზურგზე გაწოლილნი. და  
ნახევრად ჩაძირულნი შიგ. ცის ბოლოს  
იდგა მზე. თქვენ იდექით ნაპირზე ფეხ-  
შიშველნი, ხოლო ნავი მთლად ახლოს  
იყო ნაპირთან.





# ბულგარული პოეზია

პირა კარანგოვი

## პოეზი

ხმები დაირსა,  
 ამა და ამ ქალაქის ცენტრში  
 ცხოვრობსო ერთი, —  
 სვაშიადით მდიდარი კაცი.  
 მხრებზე მნათობნი ღამისანი უსხედან ცხრანი.  
 მისი ბრძანებით უბერავსო ნიაფი მწვანე.  
 მყის თენდებო, — ინებებსო უკეთუ იგი.  
 ჰყავსო ფრინველი მგალობელი ძალიან ბევრი...  
 და,  
 იშვიათად,  
 რთს ეზოდან გამოდის გარეთ,  
 ერთი კვარტლიდან  
 მეორისკენ როდესაც მიდის, —  
 გზადაგზა აღმებს აფრიალებს საკუთარს უხვი.

ურიცხვმა ხალხმა მიაშურა ყაყანით ქალაქს: —  
 ის ვილაყაა, —  
 რა კაცია, —  
 ვნახოთო, ერთი!

ვიდოდენ ნელა.  
 პირდაპირით ვიდოდენ მწერით.  
 ორჯერ თუ სამჯერ გადაჰკვეთეს რკინიგზის კვანძი.  
 წინ მამაკაცი ვიდოდენ ბრგენი,  
 კეთილნი, ლაღნი, მამაცნი, მშვიდნი.  
 ცოტათი უკან —  
 მეძუძურნი ვიდოდენ ქაღნი, —  
 წადლოს ცნობისას ვერ მალავდნენ მერდინის ფოჩით...

ფეხთ გამჭვირვალე სანდლები ეცვათ,  
 ძუძუთა ყრმანი ეკავათ ხელში;  
 მეორე ხელში, —



ზოგს გოგოსი ეჭირა პალტო,  
 ზოგს, — აჭიმებით გაწყობილი შარვალი ბიჭის,  
 ხოლო ზოგიერთს, —  
 ერთიცა და მეორეც ერთად.

შესდგა ქალაქის ერთ ქუჩაზე ერთბაშად ხალხი, —  
 იქ, სადაც სახლი გამოჩანდა მწვანიდან თეთრი...  
 ღია კარებში შუატანის გამოჩნდა კაცი, —  
 მიმოატარა აივნიდან ეზოში მზერა..  
 ნოაჯირიან აივანზე ხის იდგა ტახტი,  
 ტახტის წინ მუხის ოვალური მაგიდა იდგა,  
 იქვე, კუთხეში, ზურგიანი მიედგათ სკამი  
 და ზედ ჯემპრი თუ პულოვერი ეკიდა მისი.

ხის მაგიდაზე პურის იდო გამხმარი ყუა,  
 ჩნდა სამეღნიდან მელნის ნაცვლად ხიჩატლის წვენი,  
 წვენს ხიჩატლისას პელიკანის ხვრეპდა ღებეპი...  
 და მათ,  
 უწყოდენ სისადავის რომელთაც ყადრი,  
 კმაყოფილებით გადაისვენს უღვაშზე ხელი  
 და სათითაოდ შინისაკენ  
 იბრუნეს პირი.

სკანაკი პინკია

## პ ი ქ ნ ე ბ ი

გაცვეთიე ბევრი კაბა და ხამლი,  
 აურაცხელი გავწყვიტე შიბი,  
 მაგრამ ჯერ კიდევ —  
 კარგად ვარ ჯანზე, —  
 ცაში ვარსკვლავებს ვეთამაშები.

ვიცი,  
 სიბერე მომელის მეცა,  
 გაუბდები მსგავსი ნახმარი კაბის,  
 ძველი წაერთვა რომელსაც პეწი,  
 და ვერ ვლევა ტარონი მაინც.

დამიმძიმდება სხეული მჩატე,  
 სამკაულები შეწყვეტენ წკრიალს,  
 დამეტაკება უეცრად სადმე  
 პირდაბრენილი ყომრალი ჭია.

ვაი, შენ ჩემო საბრალო ტანო,  
 შენგან ნაცარი დარჩება მხოლოდ?  
 სიცოცხლის ჩემის დაშრება წყარო?  
 გაეჭრები, როგორც თამბაქოს ბოლი?

არა!

მე ტყეში ვიქნები ხოლმე,  
 როს შემოდგომის იეღვებს ცელი,  
 და ყვითლად გაშლილ ფოთოლთა ნოსზე  
 იჩურჩულებუნ ტერფები ჩემი.

ვიქროლებ მინდვრად ქარივით ლაღად.  
 ამაწუმარებს მთვარის ამოსვლა...  
 და სამარეში დაღებება რაღა?  
 — მართოდენ ჩემი ტანისამოსი!

## პიკან სეჟანოვი



## შ ე კ ი თ ხ ვ ე ბ ი

— რატომ არიან ბედურები ფეხშიშველანი?

— ხეები რატომ არხევენ ქარებს?

სად გაგონილა

ამდენი „რატომ?“

შემეშვი, შვილო,

იწამე ღმერთი;

შენ ხონ უზნეო არა ხარ ბავშვი!

ო, ღმერთო,

როდის გახდება დიდი,

რომ ამ შეკითხვებს

მოეღოს ბოლო?

ეს რა წაანოცდა?! —

ასული ჩემი

ვით გაემიჯნე უღმერთოდ ასე?!

ნუ მიწყენ, შვილო!

მოწმეა ღმერთი! —

მე ეს არ მითქვამს ბორთტი გულით.

ახლა კითხვებით რომ სტანჯავ სხვათა,

ხვალ — შეკითხვათა საკუთარ ჯვარზე —  
კირთება გულის შენ უფრო მძიმე.

და ჩვენც ვიქჩართო, —

შენ გიხსნას რათა.

ჩვენ ეს გვასწავლეს მამათა ჩვენთა,

ისინი მაგრად გვიწყედნენ ყურებს, —

სურდათ რომ სიბრძნე მიგველო მათი;

და მოკიშალეთ კითხვები როცა, —

ამოისუნთქეს მაშინლა შევებით, —

სრულწლოვანებად ჩაგვთვალეს უკვე.

შენც დაგემართოს არ მინდა ასე! —

არ დანებო შეკითხვებს თავი! —

დაე უზნეო გიწოდონ ბავშვი! —

არ შეისმინო სწავლანი დიდთა! —

არ შეუწყვიტო კითხვები ჩიტებს,

არ მოუშალო კითხვები ხეთა,

კითხვის გარეშე არ დაგრჩეს მღილიც —

შეგაცოცდებო რომელიც ფეხზე.

დე, შეკითხვათა კუთხენი მარად

აეღვარებდეს ბაგეთა შენთა.

## იპან პიჩავი

## ბ ა უ ბ ე ბ რ ო ბ ა

ლექსის დაწერა მინდოდა შენზე,  
ვფიქრობდი, როგორ დამეწყოს ლექსი...

მაგრამ უცხრად უკუდგა თქორი, —

უკუიყარა ქორხორი ურჩი;

და ცამ მადლარის კვადრატთა შორის

თავისი კაბა გაჰკიდა ლურჯი.

და მეყვებულად გაჩაღდა დავა,

და აღარ მქონდა მე ლექსის თავი...

უფლის მარჯვენა შეგნო ებანს,

ჰაერში ხმები გაისმა ლაღი,

და ღვთაებრივი წკრილა ხმებით  
გაიკვსო ჩემი პატარა ბაღი.

უცებ სინემემ იძალა ისევ, —

გალურჯდა ბაღი,

გამუქდა სივრცე.

თუ არ დამცინებ, — იქნები კაცი!

რაც მომივიდა, — მე თვითონ ვიცი;

ერთობ მონთმენი სამეღლის ნაცვლად,

კალამი ვტუნტრე სალამოს ბინდში.



## უღაბრო ბაბაქანი

მე მხოლოდ წამით შევაფლე თვალი  
იმ მკვეწარ სიჩხიეს, რომლითაც ასე  
გამოირჩევა სხვებისგან იგი.

სახე —

უძიროს დაუნანავს სევდას,

ღიმილს —

მაგნიტს აკლია სხივი,

თვალეში —

ცეცხლი არ ბეუტავს მცირეც.

მას არ ეგონა, რომ იგი ჩემში, —

ალერსის მაგვარს კბოვებდა რასმე, —

თვალს ნარიდებდა ამიტომ შიშით.

უეშხი იყო იმდენად იგი,

არ გავისვარე მე ხელი მასზე,

დავგმე უცლოდ მოკრეფა ვარდის.

მაგრამ უეცრად სიჩხიემ მისმა

უკუშოიხვნა უფლება თვისი;

სიიერიშოდ აღმართა ხელი;

გამოაჩინა პერანგი სუფთა,

გასწორდა წელში,

მოიცა გული

და გაცვეთილი სიტყვების რაზმი

ცხენოსან ჯარად

აქცია უცებ.

შევნიშნე მისი მაღალი შუბლი,  
წამწამთა მისთა ვიზილე ტვერი,  
ლადი აზრების აჩქეფდნენ რუნი,  
სხივნი გამოსცეს თვალეშმა მისმა...  
რა ლამაზია! —

აქამდე ნეტა

ვით ვერ შევნიშნე თითები მისი?!

თიოები შხვართა,

რომლებიც ირგვლივ

სიმტკიცის სურნელს

აფრქვევენ უხვად.

ლამანი გახდა ქვეყანა მთელი,

და ისე წმინდად,

როგორც საყდარნი,

მე შემძრა მისმა ხმამ მშვენიერმა.

—

მო,

ულამაზო სილამაზეც,

წამიყვა შენთან.

## ძ ე

ო, ძეო ჩემო, ჩრდილო ჩემო, შენ, — ჩემო ყველაე!  
არა! მე შენი გამტყუნების არა მაჭეს ნება! —

ვარ ვინაიდან უმთავრესი სათავე შენი  
და სრბოლაც შენი — ძირითადში იწყება ჩემგან.

ო, ძეო ჩემო, სისხლო ჩემო, ჩემს მიღმა მჩქეფო,  
რისხვათ ჩემო, — ჩემი რომ ვერ გიურვებს ძალა!  
მოკრძალებულო უცხო სულო, — და მაინც ჩემო, —  
ვის მაგიურადაც მე უნდა ვულო ყველგან და მარად.

მე ვგავარ ხეხილს, დაძანძვია რომელსაც რტონი,  
და საკუთარმა ძირს განართხოს ნაყოფმა ლამის...  
ხე ვარ, რომელსაც (არ სწვევია ჯერ თუმცა თოვლი)  
არ წეარჩინა ზრუნვის ქარმა ფოთოლი წამლად.

ო, ძეო ჩემო, ქვათ ჩემო, რომელიც ბრწყინავ, —  
ცრემლებს გაბეკურებ, რომ გაგხადო უფრო ბრწყინვალე...  
ქვაო პატარავ, — ხელისგულზე რომ გიღებ ფრთხილად  
და გათბობ სუნთქვით, გარეთ როცა ყინვა მძვინვარებს.

ო, ძეო ჩემო, დაკარგულო უღეჟსოდ დროო! —  
მე შენზე ფიქრმა ჯერ კინაღამ მომიღო ბოლო...  
შენი წყალობით იმ პოემად ვიქეცი მერე,  
რომლის ბოლოში: „გაგრძელება იქნებას“ სწერენ.

## ნიკოლა ჯანაჯიანი

### მ ღ ვ ი ძ ა რ ე ბ ა

ისევ უძილო ღამე — ქათქათა,  
თვალწინ სტრიქონი — სისხლის მწოველი;  
უაბიოდ, როგორც აქამდე,  
შენ გამოჭედო უნდა რომელიც.

ზუსტად ისეთი თუ ვინდა შანთი,  
წარმოდგენაში, როგორიც გსურდა,  
როგორც თხუნელა ქვესკნელში ჩადის,  
საკუთარ გონში ჩაეშვა უნდა;

იქ, სადაც შენი ელვარებს დილა,  
იქ, სადაც შენი კრიალებს ზეცა,  
იქ, სადაც ხშირად, ძალიან ხშირად,  
ვჭვით უმზერენ სიმღერას შენსას.

ო, ეს კირთება, — უსომოდ ძნელი,  
შენ შენი ნებით რომ გაწევს ტვირთად,

ვით დროის მანკი, ვით ბედისწერა,  
როგორც მიზანი — წმინდათა წმინდა.

ო, ეს წავარნა, — განცხრომის მტერი,  
შენი ძაგებით რომ ველარ გაძლა,  
რომელმაც შენდა მოულოდნელად,  
შენ არა ერთხელ გაგემა ლანძღვა.

არ გაეგარო, იცოდე, სხვა გზას,  
მარად და მხოლოდ შენ ამ გზას ენდე;  
ქვეყნიერებას უამგზოდ რადგან  
აზრი სრულიად არა აქვს შენდა.

სულ პირდაპირი გეჭიროს გეში,  
სტრიქონს ფერხორცი უბოძე ლურჯი,  
რომ სხვისი სადაც მძვინვარებს ლექსი,  
მუნ შენი ლექსიც აელერდეს ურჩი.

## ივან ჩაქოვი

### ანაქსიანი მოხუცი იზაიელი და ფინია

ჭანჭრობის ახლოს, აქეთობას,  
ყოველთვის თითქმის,  
ზის ზოლმე ვხედავ ტუმბოსთან იგი.  
ღრმად ჩაურჭვია ნაპირზე ჯობი,

ძველად მიიჩნევ, ისე მშვიდია,  
ოხრით იქარვებს ხანდახან ბოლმას  
და სასოებით უმზერს ტივტივას.  
მე დამინახავს თუ არა, მყისვე, —

პირველი სიტყვა ესაა მისი: —  
 ქარიცლაპია აქ იყო ბევრი,  
 მაშინ ქარებიც არ მაწუხებდა...  
 ახლა კი... ერთიც არაა ღერი...  
 ყვებებიც მტკივა... აგერ, მუხლებთან.

მედივიართ ერთად, პატარა ძალი —  
 ჯაჭვის ქლარუნით ფებდაფებ მოგვდევს,  
 და მზე (ემჩნევა რომელსაც დაღლა)  
 ოქროს თევზივით შორდება კბოდეც.  
 მიძიმე ნაბიჯით მივეყვებით ბილიკს,  
 რადგანაც იმას ფეხები ტკივა...  
 ახლა მიწასთან საუბრობს იგი,  
 ნე უკვე აღარ ვახსოვარ იმას.  
 მას, უპატრონოდ დარჩენილს ქვეყნად,  
 მოვახლება წარსული ზოგჯერ, —  
 და, მოწადინებს სიყრმესთან შეყრის, —  
 თვალი გაურბის სან მარინოსკენ.  
 მოკლებულია ყოველგვარ მიზანს,  
 რა ემართება, — არ იცის თვითონ,  
 რაც კიდევ შერჩა გონებას მისას, —  
 ესაა მხოლოდ ერთი ზმნა — „იყო“, —  
 ქღერს უადგილოდ რომელიც ფრიად,  
 იმ გზაზე, სადაც ორმწკრივად დგანან

აყვავებული ბლები და ბლიან  
 გზას აქეთ-იქით მიჰყვება ყანა.  
 აქ ბერიკაცის გრძნობს უცებ სისხლი,  
 რომ „ბრიშავერა“ თრთის ახლა იქაც,  
 სადაც ბაღლობა რბოდა მისი  
 და ამინებდა პატარას ტინკა.

ლაასმევიწინებს ფუნდუკში არაყს  
 და სტოტინოკი აკლდება მუდამ...  
 შეუტოკდება უღვაში ქლალი  
 და თვალს დიმილით ჩაუკრავს ცუგას.  
 და ჩვენ ისევე მივივიართ ნელა,  
 რადგანაც იმას ფეხები ტკივა...  
 და მე ახლა კი აშკარად ვხედავ:  
 აზრს მისას როგორ აკლდება სხივი.  
 როგორ ბნელდება გონება მისი,  
 წარმოსახვანი როგორ უჭრება,  
 ვით უმდიდრდება ძარღვებში სისხლი,  
 უცახცახებენ როგორ მუხლები.  
 და მტკივა გული, ძალიან მტკივა,  
 მიწასაც ფერი ედება თალხი...  
 მვარდება ბინდი. ბუკნაჭო კივის...  
 სტარა პლანინა ჩანს, როგორც ტალღა.

ნიკოლაი ზორააროვი

• • •

პირდაპირ, ქრისტესს პერანგი გახდა,  
 ეს, უგამჩნებო ზაფხულის სიცხე!  
 გრამაფონს ჩავრთავ,  
 ხელახლა რათა,  
 ვიგრძნო,  
 რომელიც მიყვარდა,  
 ის ღღერ.

შავი და ცივი,  
 ვით ზურგი სარკის. —  
 ბრუნავს ფირფიტა და ისვრის ელვას;  
 ყოველი ისე იშლება ჰანგი, —  
 თითქოს ყვაული იღვიძებს ველად.

გულშიც, ხმიერი ყვავილის მსგავსად,  
 არ იფურჩქნება რატომ თავიდან, —

მოგონებანი ეწოდა რასაც,  
 რაც სამუდამოდ ჩემგან წავიდა?  
 რატომ არ უნდა ძალმიძღეს ნეტა, —  
 ხელახლა ვიგრძნო,  
 თუნდ ერთი წამით,  
 უნმო ვახული  
 წამწამთა შენთა  
 და ქღერა შენი ექვანა კაბის?

გოდებს ფირფიტა.  
 ზაფხულის დილით  
 მე და ოთახი ვივსებით ერთად.  
 რაც იყო წინათ,  
 რაც იყო ტკბილი, —  
 თუნდ ერთხელ კიდევ,  
 თუ ვიგრძნობ ნეტავ?!



## საზვიითო პეგონები

არ შემოსულან არასოდეს  
მთავარი ბაქნით,  
ჯერ არ გამხდარან  
ყვავილებით შეხვედრის ღირსი.  
მათ დანახვაზე  
ტუჩს იბზუებს  
ნაწილი ხალხის,  
იმუიათად თუ ჩანან ხოლმე ისინი დღისით.

რომ გაწერეს ღმერთი, —  
და ზემით კიდევ რომ შეხედნენ, —  
უკაცრული პასუხია, —  
ჰკიდიათ ფეხზე;  
დამწვეულები არ არიან რადგანაც პატივს, —  
აღმერთებია  
ვინაიდან ამპლუა მათი.

მათი საქმეა  
ქარიშხლიან ღამით ძუნძული,  
ტოტებს და სიზმრებს  
წყალი გასდის როცა წურწურით.  
ცეცხლფარეშია  
კველაფერი ამ ქვეყნად მათთვის  
(არის რომელიც,  
უნდა ითქვას,  
საკმაოდ მარდი),  
ღია კარიდან  
ღამის წკვარამს რომ უმზერს ახლა  
და სიგარეტი —  
ღიმღიმითურთ  
უნათებს სახეს.  
გამოუგდია ქოფაკივით ორთქლმავალს ენა,  
გამურულა ვაკონები ნახშირის მტვერით.  
მაგრამ ისინი  
მე ასეთნი მიყვარან სწორედ,  
რადგანაც ერცახეც არ ექნება ორთქლმავალს ღონე  
(თავს გამოჰყოფდა მაშინ იგი როგორ და სადღა), —  
რომ წამდაუწუმ არ იღებდეს ნაკვერჩხალს მათგან.

რა დიდი ჰქონდა მნიშვნელობა, —  
ახლაღა ვხვდები,  
ერთხელ შენიშნულს,



გზის გუშაგის საქციელს ჩემგნით:  
 მატარებელმა გაიარა სამგზავრომ როცა, —  
 მან წესისამებრ აჩვენა დროსა;  
 ხოლო სატვირთომ გაიარა როდესაც მძიმემ, —  
 ჯარისკაცებით  
 გამოუჯგომა.

ჯიმრია ალბათ,  
 მე რომელიც დამჩემდა იმ დღეს, —  
 ხმას ომ გავიგებ რელსებისას, —  
 შევკრთები მყისვე.  
 თან ვხარობ,  
 რადგან, —  
 ვხედავ:  
 ჩემი სატვირთო მიდის  
 და კვანლით,  
 როგორც ცხვირსახოცით  
 შუბლს იწმენდს იგი.

ვხარობ მაშინაც, —  
 მიჭქრის როცა ვაგონთა მწკრივი, —  
 სადაც ტილჭირი ან წალიკა  
 აყვარდა წინათ;  
 ისინი მაშინ  
 შავ მუშებს ჰგვანდნენ, —  
 მტერიან მორებზე  
 რომ სხედან წუნარად;  
 ბურს სტებენ ძმურად, —  
 იყუდებენ ტუჩებზე სურას.

ემლემა ზღვარი ყოველგვარი  
 ჩემს ალტაცებას, —  
 კაცი, —  
 ვაგონზე მიხატული, —  
 თუ უნახე ცარცით;  
 რადგან ეს ნიშნავს, —  
 რომ ვაგონებს ჰყავს ხმის გამცემი,  
 სხვისი რომ შეჭირს, —  
 არსებობს კაცი.





## ს ა მ ბ რ ი

ისტორიულ-ეპოქოგრაფიული ნარკვევი

### ქ. ბელისა და გავის კრომეტიები და მათი მნიშვნელობა ირიბაქიის განვითარებისათვის ამიერკავკასიაში

სამგორის დიდი ველი, რომელიც თბილისს აღმოსავლეთით აკრავს, უკანასკნელ ხანებამდე არ ირწყვებოდა. ნალექის სიმცირე, გაზაფხულ-ზაფხულის მაღალი ტემპერატურა და ძლიერი ქარები გამოიწვია, რომელიც ამ 48 ათას ჰექტარის მასივის უდიდესი ნაწილის სასოფლო-სამეურნეო ათვისებას. მისი მხოლოდ დაახლოებით ერთი მეექვსედი მუშავდებოდა, მაგრამ, ტენის ნაკლებობის გამო, ისიც არამყარ და დაბალ მოსავალს იძლეოდა. სამგორის ტერიტორიის დანარჩენი ზუსტი მეექვსედი წარმოადგენდა ნახევარად უდაბნოს, რომელიც ზაფხულზე სულ ერთიანად გადაიხრუტებოდა. მას მხოლოდ ზამთრისა და გაზაფხულის საძოვრებად იყენებდნენ.

დიდი ქალაქის სიახლოვისა და საკმაოდ განვითარებული სავაჭრო ქსელის მიუხედავად, სამგორი ძლიერ თბილად იყო დასახლებული. მცირერიცხოვანი სოფლები აქ ზოლად მიუყვებოდა ჩრდილოეთით განლაგებული მთების ძირს, სადაც მერე ნალექი მოდის და წყაროები და ხეობებიც გვხვდება. შედაკებით უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული მდინარე იორის ნაპირები, რომელიც სამგორს აღმოსავლეთით ჩადის. რაც შეეხება მასივის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, იქ მეურნეობის წარმოების მთავარი პირობის — სარწყავი წყლის უქონლობის გამო მოსახლეობა სრულებითაც არ იყო.

თბილისის ახლო უსარგებლოდ მდებარე ერცელი მიწების მოარწყვება და სამეურნეო ათვისების ამოცანა უსოსავალი და რთილად იმყარობდა მოსახლეობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ყურადღებას. უფრო შორეულ წარსულზე რომ არაფერი ვთქვათ, საქმარისია ილენიშნით, რომ XVIII საუკუნის ბოლოს მეფე ერეკლე II შეეცადა მოერწყო სამგორის მიწების ნაწილი იორიდან გამოყვანილი წყლით. მაგრამ გარეშე მტრების მუდმივი თავდასხმებით შეეწრაობებოდა მშენებლობისათვის ხელშემწყობი ვითარე-

ბა. სამგორში ერცელს ბრძანებით დაწყებულ სამუშაოებსაც დამთავრება არ ეწერათ. წყალამღები სათავედან, რომელიც სოფელ უჯარმასთან მდებარეობდა, არხი მხოლოდ 11 კილომეტრზე გაიხარა.

1818 წელს სოფელ სართიქალის ახლოს დასახლეს გერმანელი კოლონისტების 58 ოჯახი, რომლებიც საქართველოში კავკასიის ჯარების მთავარსარდალ ერმოლოვის მოწვევით ჩამოვიდნენ. კოლონიის მიწების მოხარწყავად რამდენჯერმე სცადეს იორის წყალი წვრალი არხებით გამოეყვანათ, მაგრამ უშედეგოდ. ამ მარცხის გამო ყოფილმა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა გადაწყვიტა ილენიშნის და გაეგრძელებინა მეფე ერცელს მიერ დაწყებული არხი იმ ანგარიშით, რომ მოერწყოთ არა მარტო გერმანელთა კოლონიების — მართებულდისა და პეტერსბურგის, აგრეთვე სოფლების — სართიქალის, მულანლოს, ბაღბაიანის მიწები, არამედ შემდგომში ყარაიის ველიც.

არხის მშენებლობა დაიწყო 1847 წლის აგვისტოში. ერთი წლის შემდეგ არხის ექვს-კილომეტრიანი მონაკვეთი მზად იყო და მასში წყალიც გაუშვეს. წლის ბოლომდე არხი კიდევ შვიდ კილომეტრზე გაიხარეს, მაგრამ შემდეგ აღარ გაუგრძელებიათ.

იმავე წელს არხის ბოლოს დაიდგა ქვის მონუმენტი, რომელიც დღემდე შემორჩენა და კახეთის გზატკეცილიდან კარგად ჩანს. მონუმენტზე ამოკვეთილია შემთხვევისათვის აშკარად შეუფერებელი მკვირალი წარწერა რუსულ და ქართულ ენებზე: „დადგენილ არს სახსოვრად იორის არხის დასრულებისა ჩუმი (1849) წელსა მეფობასა იმპერატორისა ნიკოლოზის პირველისა ქაშასა ნამესტნიკობისა ვარანცოვისა. არხი ესე დაწყებულ არს მეფისა ირაკლის შეროისა მიერ. განაგებდა ინჟინერი (დაზიანებულია) ბაგრატიონ-მუხრანსკი“.

სულ მალე გამოირკვა, რომ ის პირები, რომელთაც მედისნაცულმა არხის მშენებლობა მიანიჭო, ახერხებულან და მონუმენტი ნაადრევად დაუდგამთ. მცირე ხნის შემდეგ ცუდი გეოლოგიური პირობების გამო, რაც მშენებლობას დროს მხედველობაში არ მიუღიათ, არხის საწყისი უბანი მთლიანად დაინგრა. სინჯეს რამდენიმე საინჟინრო გადაწყვეტილება, რომელთა გაბორცვებამ დაიდი დრო და შრომატევადი სამუშაოების შესრულება მოითხოვა. მაგრამ ამოღ: არხი კვლავ და კვლავ ინგრეოდა. მხოლოდ 1863 წელს, ხანგრძლივ ძიებთა შედეგად, შესაძლებელი გახდა არხის საწყისი უბნის სტაბილიზება.

ამრიგად, მეფის მთავრობის მიერ წამოწყებული სამკობრის პირველი არხის მშენებლობა 16 წელიწადს გრძელდებოდა და დამთავრდა არა „შეფლასა ნიკოლოზ პირველისა და ეკსისა ნამესტნიკობისა ვარკანოვისა“, როგორც მოხსენიებული მონუმენტის წარწერა ირწმუნება, არამედ ორივე მათგანის სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

ახლა ვეცოხთ, რას წარმოადგენდა ეს არხი თავისი სიმძლავრით? იორის არხის ვამტარუნარიანობა უმნიშვნელო იყო — სულ 0,425 კმ (425 ლიტრა) წამში. 1871 წლისათვის არხი რწყავდა 188 ჰექტარ მარცვლოვანი კულტურების ნათესებს, ზოსტნებსა და ეენახებს. როგორც მაშინ უკვე თვლიდნენ, ერთი ჰექტარი დამუშავებული მიწის მოსარწყავად საჭირო იყო არხში დაახლოებით 1 ლიტრი წამობრივი ხარჯი. აქედან ადვილი გასაგებია, რომ წვრილი საირიგაციო ქსელის სრული განვითარების შემთხვევაში იორის არხს შეეძლო მოერწყო დიდდღი 500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული მიწა.

იორის არხის შემდგომი ბედი სახარბიელო არ გამოდგა. 1882 წელს იგი უკვე თითქმის მთლად დანგრეული ყოფილა. ამ დროისათვის არხის ბოლო უბანი მინდორს გასწორებდა, მისი კვალი ისე წაშლია, რომ ვარკანოვისეული მონუმენტის წამოტანა თურმე მაშინვე — 80-იანი წლების დასაწყისში — კახეთის ტრაქტზე გამვლელ დიდ საგონებელში აგდებდა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ცნობები იორის არხის მშენებლობის შესახებ აღებულია შემდეგი წყაროებიდან: М. Н. Герсванов. Обзор работ, произведенных по ирригации в Кавказском и Закавказском крае до 1871 года, и будущность этого дела («Сборник сведений о Кавказе», т. II, Тб., 1872, стр. 21—25); М. П. Псарев. Очерк работ по устройству иорской водопроводной канавы («Техническая беседа от 17 февраля 1882 г. в Кавказском отделении Русского технического общества»).

„იორის წყალსადენი თბილისს“ (ასე იხსენიებენ იორის არხს მაშინდელი წყაროები) აგებით დასრულდა მეფის ბელისუფალთა პრაქტიკული საქმიანობა სამკობრის მიწების მოსარწყავად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რევოლუციამდე არ შემუშავებულა თბილისზე მოკრული გადამწყვარი ველების იორის წყლით გამოყოფლების უფრო საინტერესო და მსაბჭაბური პროექტები. ამ პროექტთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოიშვა ვასული საუენის 60-იან წლებში. მაგრამ რევოლუციამდე უძრავად იღო არქივის თაროზე. ეს პროექტი არა მარტო სტრატეგიულ ინტერესს იწვევს. ის პირველყოფისა მნიშვნელოვანია იმით, რომ ერთგვარად სამკობრის საირიგაციო სისტემის ჩვენს დროში განხორციელებული პროექტის საფუძველი გახდა.

ვასული საუენის 50-იანი წლების ბოლოს მეფის მთავრობის წინაშე მტკიცედ დაისვა ამიერკავკასიის რკინიგზის აშენების საკითხი. ეს ნაკარხნევი იყო არა მარტო სტრატეგიული მოსახრებებით, არამედ ეკონომიური ინტერესებითაც. იმპერიაში ახლად აღმოცენებული კაპიტალისტური წარმოების წესი უკვე მოითხოვდა სამარწყველო განვითარების გზაზე შემდგარი ცენტრალური გუმბრნიების სატრანსპორტო კომუნიკაციების ძირფულ ვაუჭოზბესებას კოლონიებთან, რომლებიც მათთვის ვასლების ბაზარი და ნედლეულის წყარო უნდა გამხდარიყვნენ. ამას გარდა, ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხის გადაჭრისას მცირე როლს არ თამაშობდნენ ამიერკავკასიის შემეოებით ვეროპული საქონლით სატრანზიტო ვაჭრობის ინტერესებიც.

ფოთიდან ბაქომდე ასაგებად განზრახული რკინიგზის საძიებო სამუშაოთა ჩისატარებლად და პროექტის შესადაგებად კავკასიის მედისნაცულმა ბარიატინსკიმ 1858 წელს მოიწვია უცხოელ ინჟინერთა ჯგუფი ინგლისელი პრიტჩარდ ბელის მეთაურობით. ბელისთან ერთად ამ ჯგუფში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეთრე ინგლისელი ინჟინერი გაბა<sup>1</sup>. ბელი და მის-

<sup>1</sup> საბჭოთა პერიოდის ეკონომიორ და ტექნიკურ ლიტერატურაში, აგრეთვე ტექნიკურ დოკუმენტაციაში, ამ ინჟინრის გვარი იწერება არასწორად — გაბა. უზუსტობა, რამდენადაც შეკვიძლია თვლი გაგადგენთ, მომდინარეობს ინჟინერ ი. მელიტ-ჟამევის ბარათიდან იორის არხის შესახებ, რომელიც 1918 წლის ნოემბერშია დაწერილი. როგორც ჩანს, ბარათის ავტორს ამ გვარის რუსული ნათესაობითი ბრუნების ფორმა შეეცდომით სახელობათად მიუღია. თვითონ გაბი დოკუმენტებს გარკვევით აწერს ხელს Gabb (იხ., მკალოთაჟ, სესა, ფონდი 279, ს. 2, ფ. 12). ასევე იწერება ეს გვარი XIX საუკუნის ყველა სათანადო ბეჭდურ და ხელნაწერ დოკუმენტში.

მა თანამშრომლებმა ორ წელიწადზე მეტი მოანდომეს ძიებასა და გამოკვლევებს რკინიგზის ტრასაზე და ეს სამუშაოები 1861 წლის აგვისტოსთვის დასრულდა.

ამიერკავკასიის რკინიგზის აღრიხედელ, უფრო სწორად, წინაზე ისტორიაში ეს პატარა გესურსი იმის გამო დაგვირდა, რომ გზის პროექტის შემდგენლები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შორწყვიის პირველი სქემის და მასთან ერთად სამგორის საირგავციო სისტემის პირველი პროექტის ავტორები გახდნენ. რომ რკინიგზის მშენებლობის საკითხი არა, ბელი და ვაზი ამიერკავკასიაში, ალბათ, არ მოხვდებოდნენ. მას შემდეგ კი, რად მათ აქ რამდენიმე წელი გაატარეს და ქვეყანას გაეცნენ, ახალი სამუშაოც იკისრეს: დათანხმდნენ შეესწავლათ და გამოეცვლათ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შორწყვიის პრობლემა. ეს დავალება ბელიმ და ვაზმა ბაიბატინსკისაგან 1860 წელს მიიღეს. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს ესმოდა რომ უპირიველიოდ შეუძლებელი იქნებოდა პროგრესის მიღწევა მზარის სოფლის მეურნეობაში, რომელსაც მეულის ხელისუფლება მეტროპოლისის მრეწველობისათვის ბაშის და სხვა ნედლეულის მიწოდებლს როლს უშავებდა.

ბელიმ და ვაზმა უნივერსალურ საინჟინრო ცოდნასთან ერთად დიდი შრომის უნარიც გამოიჩინეს. მათ სამი წელიც არ მოანდომეს ფოთთან ბაქოზე რკინიგზის ტრასის ძიებასა და გენერალური პროექტის შედგენას. შემდგომ ორნახევარ წელიწადში კი შეიმუშავეს აღმოსავლეთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ირგავციის სქემა. შორეუ დავალების შესასრულებლად ბელიმ და ვაზმა თავის თანამშრომლებთან ერთად მოკლე დროში შემოიარაკით მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასია და განსაზღვრეს მაგისტრალური საარწყვეთი არხების ტრასები 4 800 კილომეტრის საერთო სიგრძით. არხების ამ საერთო სიგრძიდან 2 950 კილომეტრი მათ დაანიველარეს, დასაბუღ არხებს სულ უნდა მოეზრუნოთ 2 150 ათას ჰექტარზე. ანუ შუა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დასამუშავებლად ვარგისი მიწების 60%.

ყოველი არხის სქემის შედგენას წინ უძღოდა ადგილზე ფართო ძიება და გამოკვლევა რასაც თვით ბელი და ვაზი ხელმძღვანელობდნენ. განსაკუთრებით დიდწინაშეწინააღიანი მუშაობა ჩატარეს მათ მხარის წყლის რესურსების შესწავლის სფეროში. თავისი დროისათვის კარგად დაყენებული პილრომეტრიული სამუშაოების შედეგად ბელიმ და ვაზმა განსაზღვრეს სხვადასხვა კვებებში მტკერისა და არაქსის და მათა

შენაქადების წამობრივი ხარჯი „დიდი და მკორე წყლიანობის“ შემთხვევებისათვის. თუ ჩამდნად ზედმიწევნითი იყო ბელის და ვაზის პილროლოგიური დავიერებები, ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ ისინი ზომავდნენ მდინარეთა უკლებლივ ყველა შენაქადის ხარჯს, — თვით უსახელო ხეების ხარჯსაც და ამ უკანასკნელთ დოკუმენტაციაში ნომრებით აღნიშნავდნენ.

აქ საჭიროა ითქვას, რომ, თუ რკინიგზის დაპროექტების სამუშაოთა ხელმძღვანელი ბელი იყო, საირგავციო ქსელის სქემის შედგენაში მთავარ როლს ვაზი ასრულებდა. ბელი ამიერკავკასიიდან 1863 წელს წავიდა, ვაზი კი დარჩა აქ კიდევ რამდენიმე წელს და განაგრძობდა დაწვებულ საქმეს.

ბელისა და ვაზის მიერ ჩატარებული ძიებებისა და გამოკვლევების შედეგად შორეუ მთავანის უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა საარწყვეთი არხების სამი სრული და 12 წინასწარი პროექტი და დაიწერა ვრცელი მოხსენება — ე. წ. „ვაზის მეშუაში“, რომელშიც მოცემულია ამიერკავკასიის ირგავციის ზოგადი საფუძვლები. სრული პროექტზე შედგა თბილისის რაიონში ასაგებ არხებზე. ესენი იყვნენ იორის (მარჯვენა ნაპირი), ქვემო ყარაიასა და ზემო ყარაიას არხები. წინასწარი დაპროექტების სტადიაზე კი დარჩნენ შემდეგი არხები: იორისა (მარცხენა ნაპირი), ელისავეტპოლისა, სიღნაღისა, ყარაიღაჩისა, ნუნისა, აქსუსა, ყარაბაღისა, მულანისა და არაქსის ხეობისა (4 არხი).

ჩამოთვლილი ობიექტებიდან ყველაზე დიდი იყო აქსუს არხი, რომელიც სათავეს იღებდა მტკერის მარჯვენა ნაპირზე ალაზნის შესართავის ცოტა ქვემოთ. მისი სიგრძე 375 კილომეტრს უდრიდა, დაშმარე არხებთან ერთად კი — 800 კილომეტრს. არხს უნდა მოეზრუნო ყარაიასპირა დაბლობის 470 ათას ჰექტარზე მეტი მიწა. აქსუს არხს ზომით და სიმძლავრით ბევრად არ ჩამოუვარდებოდნენ ელისავეტპოლის, ყარაბაღისა და მულანის არხები.

პროექტით ძალიან დიდი ნაგებობა იყო ევრთ წოდებული ქვემო ყარაიას არხი. ის სათავეს იღებდა მტკერიდან მცხეთაში მდინარის მარცხენა ნაპირზე, ერთი კილომეტრით ძველხიდს ზევით, არაგვს აქვედუკით გადადიოდა და თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უვლიდა. შემდეგ არხი მიდიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მტკერის პარალელურად მისგან 3-7 კილომეტრის დაშორებით. 180-ე კილომეტრზე იგი მარჯვნივ უხვევდა. კრილა იორის, რწყვედა იორისა და ალაზნის შორის მდებარე ეულს და მთავრდებოდა ალაზნის მარჯვენა ნაპირზე 17 კილომეტრით ამ მდინარეების შესართავს ზევით. არხის სიგრძე 283 კილომეტრს უდრიდა. პროექტის მიხედვით ის 139 ათას ჰექტარ მიწას მორწყავდა და ამასთან ნაოსნობისათვისაც იყო განკუთვნილი —

1 А. Аргутинский-Долгоруков. История сооружения и эксплуатации Закавказской железной дороги за 25 лет ее существования, Тб., 1896, стр. 13, 19.

ქონდა სათანადო დაქანებები და განზომილებები.

საქართველოს ტერიტორიაზე დაპროექტებული არხებიდან სიდიდით მეორე ადგილი სილნალის არხს ეკავა. მისი სათავე ნავებომა შენდებოდა ალაზანზე, პატირონს ზეით. არხი თუთავს ქვემოლან ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე გაუვლიდა და შემდეგ ცივგომბორის მთის ძირს მიუყვებოდა. წინასწარი პროექტით არხის სიგრძე 137 კილომეტრი იქნებოდა. აქედან ჩანს, რომ სილნალის არხს შეეძლო ალაზნის ველის მთელი მარჯვენა მხრის ტერიტორიის მოარწყვა მილაპის ტრამალის ჩათვლით.

როდეს ნავებომაში და ქალაქისათვის შეტად დიდი მნიშვნელობით გამოირჩეოდა იორის მარჯვენა ნაპირის არხი, რომლის პროექტს ქვემოთ დაწვრილებით გავეყნობით. თბილისის ზონაში საეპრო მიწათმოქმედების განვითარებას ხელს შეუწყობდა, აგრეთვე, ორი საკმაოდ მძლავრი არხი: იორის მარჯვენა ნაპირისა, რომელსაც არხი კახეთში 20 ათასი ჰექტარი მიწა უნდა მოერწყო და ქვემო ყარაიისი, რომელიც 4 კილომეტრზე ნავთლუღის ქვემოთ იწყებოდა და გარდაბნის ველზე 43 ათასი ჰექტარი ფართობის მოსარწყავად იყო ნაგარაუდელი<sup>1</sup>.

ეს მოკლე მიმოხილვა, ვიჭირობთ, საკმაოდ ნათლად ვგვიჩვენებს, თუ რა გრანდიოზულ პროექტებს შეიკავდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მოარწყვის თავის დროისათვის შესანიშნავი სქემა, რომელიც ჩამოაყალიბებს და ტექნიკურად დასაბუთებს ინჟინერებმა ბელიმ და გაბამა.

ბელის და გაბის ნამუშევრებს დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდათ მოარწყვის საქმის განვითარებისათვის არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მეფის მთელ იმპერიაშიც. ამ ნამუშევრებით საბოლოოდ ნადავი ეტლებოდა სარ-

<sup>1</sup> ბელის და გაბის სქემაში შესული ქვემო ყარაიის და ზემო ყარაიის არხებს საერთო არაფერი ჰქონდათ გარდაბნის დღემდე მოქმედ სარწყავ სისტემასთან, რომელიც იმავე ადგილებში სულ სხვა პროექტით აიკო 1864-1867 წლებში.

<sup>2</sup> ცნობები ბელისა და გაბის მიერ შემუშავებული საირიგაციო სქემისა და მასში შესული ცალკე ობიექტების შესახებ აღებულია შემდეგი წყაროებიდან:

**С. А. Вейсгопф.** Извлечение из проектов и предположений инженеров Велли и Габба по орошению восточной части Закавказского края (см. книгу: Записки Кавказского отделения Русского технического общества, т. II, Т., 1870, стр. 1—65); **М. Н. Герсванов.** Обзор работ, произведенных по ирригации в Кавказском и Закавказском крае до 1871 года и будущность этого дела (см. книгу: Сборник сведений о Кавказе, т. II, Тб., 1872, стр. 1—29).

წყავი არხების მშენებლობისადმი წმინდა ემპირიულ მიდგომას, რომელიც ამიერკავკასიაში (ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთში) რძითვე განუყოფლად ბატონობდა და მის მავთვინობა ინერგებოდა საინჟინრო ანგარიში. ბელის და გაბის პროექტებით პრიმიტიული წყალამღებების, წვილილი არხებისა და ხის ღარების ადგილს საირიგაციო მშენებლობაში იჭრდნენ მძლავრი საინჟინრო ნაგებობები — დიდი მოცულობისა და სიმაღლის კაშხალები, კაპიტალური იკვდუკები და სიფონები, უზარმაზარი სიგრძისა და გამტარუნარიანობის არხები. ტრადიციული ქვის, აგურის, ხის გვერდით ჰიდრატქნიკურ ნაგებობებში ბელი და გაბი ფართოდ იყენებდნენ თუხს და რკინას. ერთი სიტყვით, ბელისა და გაბის პროექტები განსახიერებდნენ ყველა ამ მიღწევას, რაც იმდროინდელ ევროპულ ჰიდროტექნიკას გააჩნდა. ევროპის საინჟინრო ხელოვნებას კი იმ დროს უკვე აჭრებოდა ქონდა XIX საუკუნის უდიდესი ჰიდრატქნიკური ნაგებობის — სუეცის არხის პროექტი, რომელიც 1859 წლიდან პრაქტიკულად ხორციელდებოდა.

ბელის და გაბის მიერ დაპროექტებული საინჟინრო ნაგებობები უზრუნველყოფდნენ სარწყავი წყლის უშუალოდ გამოყენების ამიერკავკასიის უდიდესი მდინარეებიდან — მტკვრიდან და არაქსიდან. წყალამღები სათავეების ადგილობრივი ტიპები კი ამ მოთხოვნის სრულდებად არ შეეფერებოდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ წინათ მტკვრისა და არაქსის წყალი ირიგაციისათვის თითქმის არ გამოიყენებოდა და სარწყავი არხები ძირითადად შენაგებდნენ იკვებებოდნენ.

მხარის უმძლავრესი სამდიანო არტერიებიდან სარწყავი წყლის დიდი რაოდენობით გამოსაყვანად ბელის და გაბის პროექტები ითვალისწინებდნენ მათი კალპოტების გადაბიდვას კაპიტალური კაშხალებით. მტკვარზე თბილისის რაიონში დაპროექტდა ორი ასეთი კაშხალი: ქვემო ყარაიის არხისა მცხეთაში და ზემო ყარაიის არხისა ნავთლუღის რაიონში. მცხეთის კაშხალის სიმაღლე უდრიდა 13,2 მეტრს, სიგრძე — 40,5 მეტრს, სიგანე: ფუძისა — 17,9 მეტრს, თხემისა — 3,2 მეტრს. კაშხალის ტანი წარმოადგენდა თუხის ფილმით შემოსილ რკინის არკასს, რომელიც ბეტონით, ამ ყოველგვარ წყობით ამოიყვებოდა. კაშხალი უზარუნველყოფდა მაღალი ჰორიზონტების დროს წაშში 74 კუბ. მეტრი წყლის აღებას. ასეთივე ტიპის იყო ზემო ყარაიის არხის კაშხალიც, მხოლოდ მას სიგრძე მეტი ჰქონდა — 74,8 მეტრი. ინტენსიური რწყვის სუბონში ამ კაშხალს შეეძლო არხში გაეშვა წაშში 22,7 კუბ. მეტრი წყალი.

ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ჩანამძლეობისა და სიმძლავრისათვის ერთად ბელის და გაბის პროექტები უზრუნველყოფდნენ მინდვრებისათვის სარწყავი წყლის შეუფერებელ მიწოდებას დასაბუთებული ნორმებით. ვასაგებია, რომ

რწყვის მხოლოდ ასეთი სისტემა შეიძლება და მალაბროლიტული მიწათმოქმედების საფუძველი გამბლარყო. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნეში ზელისა და გაბის პროექტების გამოჩენამდე წარმოდგენა არ ჰქონდა ნათესობისათვის სარწყავი არხებით წყლით გარანტირებულ მიწოდებაზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიისათვის ეს იყო პერიოდი, როდესაც საირიგაციო მშენებლობის წინანდელი ზელოვნება აქ სავსებით დაეცა, ახალი, ევროპული, კი ვერ დაიწერა. ასეთ ვითარებაში გასაკვირი არ არის, რომ იმ დროს ცარიზმის მიერ ამ მიმართულებით წამოწყებული ყველა ღონისძიებაც აუცილებლად მარცხით მთავრდებოდა. ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ ორ დამახასიათებელ მაგალითს.

ქერ ლეიპზინდეთ სამგორში იორის არხის მშენებლობის ისტორიას. აქ მას იმით შევავსებთ, რომ, მ. ნ. გერსევანოვის ავტორიტეტული მოწმობით, პროექტის თანახმად იორის არხს უნდა მოერწყო არამარტო სამგორის მინდვრების ნაწილი, არამედ მთელი ყარაის ველიც. ე. ი. სულ 44 ათასი ჰექტარი მიწა. პროექტის ავტორები თურმე გულუბრყვილად ფიქრობდნენ, რომ არხი, რომელიც მდინარიდან წამში სულ 0,425 კუბ. მეტრ წყალს იღებდა, ასეთ ამოცანას გადაწყვეტდა<sup>1</sup>.

მეორე ასეთსავე მაგალითად გამოდგება სომხეთში ზანგას არხის მშენებლობის პროექტი. არხის აგებას 1859 წელს შეუდგნენ. იგი იწყებოდა იმ ადგილიდან 4 კილომეტრით ქვევით, სადაც ზანგა (ჩახლანი) სევანის ტბიდან გამოდის. არხს პროექტით 45 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უნდა მოერწყო. მშენებლობის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ არხის პროექტის მიმართ ეჭვი დაიბადა და შეფისნაცვლის სამმართველომ ადგილზე კომისია გაგზავნა. კომისიის წევრმა ინჟინერმა გაბმა გამოაკეთა, რომ 45 ათასი ჰექტარი მიწის მოსარწყავად საჭიროა არხში წყლის წამობრივი ხარჯი 40,2 კუბ. მეტრს უდროდეს, პროექტი კი 4,4 კუბ. მეტრს ითვალისწინებდა. უარესი ის იყო, რომ მდინარიდან წამში 4,4 კუბ. მეტრი წყლის მიღებაც არ შეიძლებოდა. რწყვის სეზონში მისი საანგარიშო ხარჯი არხის სათავესთან წამში 1,1 კუბ. მეტრს არ აღემატებოდა. უდავოა, რომ მოტანილი ციფრები ზანგას არხის პროექტის ავტორთა სრულ არაკომპეტენტრობას ამტკიცებენ.

არხის მშენებლობა შეაჩერეს და შეადგინეს ახალი პროექტი, რომლის მიხედვით მას უკვე მხოლოდ 980 ჰექტარი მიწა უნდა მოერწყო. საბოლოოდ ეს პროექტიც არ განხორციელდებულა.

ესე გამოიყურებოდნენ სპეციალისტის შეფასებით, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისში მიკეთებდა, მეფის აღმინისტრაციის მიერ წამოწყებული „უბნარტუი და თითქმის-სასაკილო ცვლები...“ ჩვენში მორწყვის ტექნიკური გაუმჯობესებისათვის 1840-1860 წწ. პერიოდში, ე. ი. ზელისა და გაბის ჩამოსვლამდე<sup>2</sup>. ეს რწყვის საქმისადმი კაზონურ-ბნორტორიული ხელშეწყობისადმი და ამავე დროს ბატონმებრ რუსეთის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის შედეგი იყო. ქვეყანას არც მსხვილი საირიგაციო მშენებლობის გამოცდილება ჰქონდა, არც სპეციალისტთა სათანადო კადრები ჰყავდა.

შეფის რუსეთისათვის ბელისა და გაბის გრამდობილული პროექტები ნაადრევად გამოდგა. გაბდა იმისა, რომ მათი განხორციელება ჩამორჩენილი ქვეყნის ეკონომიურ შესაძლებლობათა ფარგლებს სცილდებოდა, თეთი რუსული კაპიტალიზმის განვითარებაც არ აყენებდა აუცილებლობით ასეთ ამოცანას. ბელისა და გაბის პროექტებისადმი გულის ვაგრილებას იმანაც შეუწყობ ხელი, რომ 1867-1881 წლებში ცარიზმმა დაიპყრო შუა აზია, სადაც რუსულმა მრეწველობამ ნახა ვაცილებით უფრო ფართო სანდლეულო ბაზა, ვიდრე ამიერკავკასიაში. ამით ნაწილობრივ აიხსნა საერთოდ ის ფაქტი, რომ „მოუხედავად უდიდესი შესაძლებლობებისა, რომელიც რწყვის განვითარების შემთხვევაში აზერბაიჯანის ველებზე შეუძლებლობისათვის იქმნებოდა, ამ უკანასკნელმა ვერ მოიპოვა რამდენადმე დიდი მნიშვნელობა როგორც რუსული კაპიტალიზმისათვის ბამის მიმწოდებელმა მეორე ბაზამ<sup>3</sup>.

თეთონ ბელის და გაბის ძალიან კარგად ესმოდათ, რომ მასინდელ რუსეთში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მორწყვის მათ მიერ შემუშავებული სქემა ვერ განხორციელდებოდა. ასეთივე აზრის იყვნენ მათი ადგილობრივი მიმდებრები და კომპეტენტორებიც „ნახავთ თუ არა, რა უზარმაზარია ეს ქსელი (ე. ი. ბელის და გაბის სქემა), — წერდა 1869 წელს ზემოთ მოტანილ „ამონაყრფის“ ავტორი ნ. ვეისენჰოლი, — არ შეიძლება არ დაეთვისოთ მის დაპროექტებებს, რომ ძალიან შორეულ მომავალში თუ მოდებდა მისი სრული განხორციელება. საქმარისა ყურადღება მიაქცეთ იმას, რომ არხების ასაგებად პროექტების შემდგენელნი საჭიროდ მიიჩნევენ საშუალოდ 100 მანეთს ვერცხლით

<sup>1</sup> В. А. Дингельштет. Краткий обзор технических улучшений ирригации в Закавказье (в книге «Техническая беседа Кавказского отделения Русского технического общества от 18 ноября 1881 года», Тб., 1881, стр. 75—78).

<sup>2</sup> П. И. Лященко. История народного хозяйства СССР, т. II, М., 1952, стр. 555.

<sup>1</sup> იხ. М. Герсеванов. Очерк положения ирригации в Закавказье в 1882 году, Тб., 1882, стр. 37.

<sup>2</sup> Сборник сведений о Кавказе, т. II, 1872, стр. 23—24.



თითოეულ მორწყულ დესტინანზე, რათა დაასკენათ: 200 ან 300 მილიონი მანეთის კაპიტალი მალე არ მოინახება ამიერკავკასიის მიწათმოქმედების ხელშეწყობად.

თი ის უმთავრესი მიზეზები, რომელთა გამო შედის აღმინისტრაციამ ზურგი შეაქცია მისივე თაოსნობით შემუშავებულ პროექტებს. „ბელის და გაბის პროექტები, — წერდა კავკასიაში სა-

მოქალაქო ნაგებობათა სამმართველოს მთავარი ინჟინერი მ. გერსტენოვი, — ირ ყრულია დამტკიცებული არც როგორც საერთო სასტიკი მთელი მხარისათვის, არც ცალ-ცალკე... არც ერთი ამ პროექტთაგანი არა თუ განხორციელებულა, მხედველობაშიაც არ ყოფილა მიღებული ადგილებში, სადაც შემდგომ საირიგაციო სამუშაოები ჩატარდა\*.

## 2. სამგორის სარწყავი სისტემის სისტემის კირველი პროექტი

სამგორის სარწყავი სისტემის პირველი პროექტი, როგორც ითქვა, შეიმუშავეს ინჟინრებმა ბელიმ და გაბამ ვასელი სატუნის 60-იანი წლების დამდეგს. მათვე ეკუთვნით, როგორც ჩანს, სამგორის მთელი მიწების იორის წყლით მორწყვისა და თბილისთან მლამე ტბების ქვაბულში ხელოვნური წყალსაცავის შექმნის იდეაც. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბელი და გაბი არსად არ იხსენიებენ სამგორის და მათ მიერ შედგენილ საპროექტო დოკუმენტაციას სათაურად აქვს: „იორის არხის პროექტი (მარჯვენა ნაპირი)\*2.

ს. ვაისენშოფის აღწერილობითა და არქივში შემონახული ზოგადი აუტენტური მასალის მიხედვით იორის მარჯვენა ნაპირის არხის ძირითადი მიხედვები შედგენილია წარმოგვიდგება.

მთავარი არხი იწყებოდა იორის მარჯვენა ნაპირიდან ორ კილომეტრზე სოფელ უჯარმას ზევით, იგი სოფელ მუხაროვანს ქვემოდას უვლიდა, რწყავდა სოფელ სართიქალასთან მდებარე ვაკეს და მოდიოდა კახეთისა და თელავის გზატკეცილების შესაყარამდე. აქ იგი სამ ტოტად იყოფოდა. მათგან ორი თბილისსაკენ მოემართებოდა, ერთი კი ყარაიას ველისაკენ.

თბილისისაკენ მომავალი ზემო ტოტი ვაიგლიდა სოფლებს მარტყოფსა და დიდ ლილოს და თავდებოდა კასკადით სოფელ გლდანთან. ქვემო ტოტი კასკადით ჩამოდიოდა ვაზიანთან მდებარე ვაკეზე, ვადაჭირდა გზატკეცილს ზევით მდინარე ლოქინოს, მოდიოდა ავღალბას ტბასთან, შემდეგ მიემართებოდა მახათის მთის დასავლეთი ფერდობით, და მთავრდებოდა დღევანდელი ლენინის რაიონის ტერიტორიაზე.

<sup>1</sup> Записки Кавказского отделения Русского технического общества, т. II, Тб., 1870 г., стр. 34.

<sup>2</sup> იხ. სესა, ლონდი 365, ს. 501 (ნახაზები).

<sup>3</sup> იხ. ს. ვაისენშოფის ზემოთ ცხარებული „ამონაყრები“ და ამავე „ამონაყრების“ ტექსტი, რომელიც ზოგიერთი შემწობებით დამუშავებულია წიგნში:

«Сборник Кавказского общества сельского хозяйства», вып. III, Тб., 1880.

რიაზე, რომელიც მაშინ შეშველ მინდორს წარმოადგენდა.

იორის არხის ყარაიას ტოტი რწყავდა გერმანელების ყოფილ კოლონია მარბინფელდთან მდებარე მიწების ნაწილს და სპეციალური განსტობებით — სოფელ ბალბიანის მიწებს. შემდეგ ის რვა კასკადით ყარაიას ველზე ეშვებოდა და რწყავდა ზემო ყარაიას არხს ზევით განლაგებულ სივარგულებს.

იორის მარჯვენა ნაპირის არხებს პროექტით შემდეგი პარამეტრები ჰქონდათ: მთავარი არხის სიგრძე 26,6 კილომეტრი იყო, გამტარუნარიანობა სათავესთან — 18,5 კუბ. მეტრი წამში, თბილისის ზემო არხისა — შესაბამისად — 71,5 და 6,5, თბილისის ქვემო არხისა — 39,8 და 4,4, ყარაიას (ბალბიანის ვანსტობით) — 42,3 და 5. არხები სულ მორწყავდნენ 30 ათას ღრსეტიან მიწას.

წყლის ასაღებად იორის კალაპატში იგებოდა ქვაყრილის კაშხალი, რომლის სიმაღლე მდინარის ფსკერიდან 20,3 მეტრს უდრიდა, სიგრძე — 274,7 მეტრს, ფუძის სიგანე — 115,2 მეტრს, თბემის სიგანე — 4,3 მეტრს. კაშხალი მარჯვენა და მარცხენა ნაპირების არხებისათვის საერთო იყო.

მთავარი არხი საწყის უბანზე აღმართულ მალელობებს ჰქრიდა ორი გვირაბით, რომელთა საერთო სიგრძე 1671 მეტრს უდრიდა. თბილისისაკენ მომავალი არხების ტრასებში მეტად დასერულ ადგილებზე გადიოდა, რაც მრავალრიცხოვანი საინჟინრო წყალსატარი ნაგებობების აშენებას მოითხოვდა. ასეთ ნაგებობათა მთავარ ტიპად პროექტის ავტორებმა რჩინისა და თუჯასაგან შესრულებული და ამავე მასალების სვეტებზე მდგომი აკვედუკი აირჩიეს. სულ სხენებულ ორ არხზე დამროგებულ იყო 7 ასეთი აკვედუკი 1284 მეტრის საერთო სიგრძით. პროექტი ითვალისწინებდა სითანალო უბნებზე ავტორისაგან ნაგები სიფონების გამოყენებას. ნავარაუდელი იყო, მაგალითად, სოფელ მარტყოფთან 85 მეტრის სიგრძის ასეთი სიფონის აშენება.

<sup>1</sup> Сборник сведений о Кавказе, т. II, стр. 25.

წყლის ენერჯის ჩასაქრობად ვარდნილებზე, რომელია სიმაღლე 5,6-სა და 33,5 მეტრის შორის მერყეობდა, ბელი და ვაბი ითვალისწინებდნენ კასკადების მოწყობას. კასკადების ტექნიკური დოკუმენტაცია პროექტის ავტორებს არ შეუძლებიათ.

ბელისა და ვაბის ერთ-ერთ დამსახურებად ის უნდა ჩითვალოს, რომ მათ მიაგნეს უშუალოდ თბილისის ახლო დიდი ხელოვნური მტკნარი ტბის შექმნის შესაძლებლობას და ამ იდეის განხორციელება იორის არხის პროექტით გაითვალისწინეს. როგორც ვიკით, იორის მთავარ არხის თბილისისაკენ მომავალი ორივე ტოტი სხვადასხვა მზრიდან მიდიოდა ქალაქის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე სამი მლაშე ტბის — ალაბაბის, ილაგუნიაბისა და კუკის ტბების ქებაზელიან. წყალშეკრები ფართობის უმნიშვნელობის გამო სამივე ეს ტბა ზაფხულობით თითქმის მთლიანად შრებოდა. ბელში და ვაბაში წინააღმდეგე წინააღმდეგ ამ ტბების საერთო აუზი არბებით მოყვანილი იორის წყლით ავსვოთ. პროექტის თანახმად ასეთი გზით შექმნილი ტბის სიგრძე 8,56 კილომეტრი იქნებოდა, სიგანე უველაზე ფართო ადგილას — 1,87 კილომეტრი, მაქსიმალური სიღრმე — 42,7 მეტრი, წყლის სრული ტევადობა — 214 მლნ კუბ. მეტრი.

ესე გამოყვარებოდა „თბილისის ზღვა“, რამელიც ახლა გაცილებით მეტ წყალს იტევს, სამგორის პირველი პროექტის მიხედვით.

თანამედროვე ტექნიკურ ლიტერატურაში არ არის იმის სწორი გაგება, თუ რა მიზნებისათვის უნდა შექმნილიყო, ბელისა და ვაბის არხით, თბილისის ახლო ეს დიდი ხელოვნური ტბა, რომელსაც მათ ერთ-ერთი მლაშე ტბის სახელწოდების მიხედვით ილაგუნიაბი დაარქვეს. მაგალითად, სამგორის სარწყავი სისტემის პროექტების განმარტებით ბარათებში აღნიშნება, რომ ბელისა და ვაბის პროექტით „მლაშე ტბების ქებაული წყალსაცავად იქცეოდა არა იმ მიზნით, რომ აკუმულირებულ წყალი სარწყავად გამოყენებინათ, არამედ ქალაქ თბილისის კლიმატური პირობების გასაუმჯობესებლად“. აქ სწორია ის, რომ ახალი ილაგუნიაბი რწყვის მიზნით მართლაც არ იქნებოდა გამოყენებული. მაგრამ ხელოვნური ტბის დანიშნულება, მისი შექმნის პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით, მაინც გაცილებით უფრო სასიოცნესი მნიშვნელობისა იყო ქალაქისათვის, ვიდრე ვაურკვეველი „კლიმატური პირობების გაუმჯობესება“. ამას ჩვენ ბელისა და ვაბის შემდეგი სიტყვებიდან ვტყობობოთ:

„ორი... ტოტი, — ეკითხვობოთ იორის არხის პროექტის რეზუმეში, — ერთად ან ცალ-ცალკე წყალს მიაწოდებენ დიდ ტბას, რომელიც პროექტდება თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ვარკეთილის მთის ვადალმა. ამგვარად ამ ადგილას სამი პატარა ტბა. ეს სამი ტბა ქმნის

ერთ დიდ აუზს, რომელიც პროექტით უნდა ითვლოს იორის წყლით იმ ანგარიშით, რომ შეიქმნას ერთიანი რეზერვუარი ქალაქ თბილისის — სანაშელის წყლით მარსა-მარაგებლად. იგი ქალაქს მოამარაგებს აგრეთვე ახალი თევზით ყველა სეზონში. ხოლო როცა ტბის შემოგარენი გამწვანდება და კეთილმოიწყობა, ის გადაიქცევა თბილისის ბულონის ტყედ, სადაც ქალაქელები ისიერებენ და გაერთობიან“.

ამრიგად, ირკვევა, რომ ილაგუნიაბის ხელოვნური ტბა დამარტებელი იყო თბილისის საამელი წყლით უზრუნველსაყოფად. ეს კი მეტად მწვავე პრობლემას წარმოადგენდა ქალაქისათვის, რომლის მოსახლეობა მაშინ სასამად პირდაპირ მტკვრიდან აღებულ წყალს ხმარებოდა. თავის გრძელ გზაზე და, განსაკუთრებით, თბილისზე გავლისას, მტკვრის წყალი დიდად ბინძურდებოდა და, ცხადია, სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებებს ოდნავადაც ვერ დაეყოფილებოდა. მართალია, ქალაქში 1861 წლიდან უკვე მოქმედებდა წყალსადენი, მაგრამ ის, ვერ ერთი, წყალს მტკვრიდანვე იღებდა, მეორეც იმდენად მცირე სიმძლავრისა და პრიმიტიული იყო, რომ მოსახლეობის წყალმომარაგებაში შესაძენე როლს ვერ შეასრულებდა.

აქ ლამარკია ეგრეთ მოდებულ ყორღანოვის წყალსადენზე. 1861 წელს ხაზინიდან მიღებული სესხით მიწათმფლობელმა ყორღანოვმა ახლანდელ ვერის ხიდს ქვევით მდინარის მარჯვენა ნაპირზე დადგა ორთქლის მანქანა და წყალსაქანი ტუმბო, მანქანა კოლომნის ქარხანაში დამზადდა და დიდი გაშირვებით ჩამოიტანეს თბილისში საქართველოს სახმდრო ვითრ წყალსადენის მილები ჩაათხის თუქსადნობ ქარხანაში ჩამოსახეს, მაგრამ ისე უხეშად, რომ მათი კედლის სისქე 1 დუიმამდე აღწევდა. მდინარიდან ტუმბომდე წყალი დაბურული არხით მოედინებოდა და ზემო ტერასაზე აქანვის მიღებდა ხის რეზერვუარში გროვდებოდა. შემდგომ მას მილებით აწოდებდნენ სახაზინო დაწესებულებებსა და მლიდართა სახლებს დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის რაიონში. დამახასიათებელია, რომ, როგორც 80-იან წლებში ჩატრებულმა სპეციალურმა ანალიზებმა უჩვენა, დამინტერესობთა და ქიმიური შედგენილობით ყორღანოვის წყალსადენის წყალი მტკვრისაზე ბევრად უარესი იყო.

ასეთ ვითარებაში ილაგუნიაბის წყალსაცავში დაწმენილი იორის სუფთა წყლის მიღება ქალაქისათვის დიდი სიყუთე იქნებოდა. და ეს მიი

1 სესსა, ფონდი 365, ს. 501, ფ. 2. ორიგინალი ფრანგულ ენაზე (დაყოფა ჩვენი).

2 იხ. Г. З. Курдяни. Исторический очерк водоснабжения г. Тифлиса, Тб., 1909, стр. 6—7.

უფრო, რომ ხელოვნური ტბიდან მისი მიწოდება შეიძლებოდა ქალაქის ყველა უბნისათვის ძირითადად თვითმდენი წყალსადენებით და არც ისე დიდი მანძილიდან.

ის, რომ ხელოვნური ტბა თბილისის წყალმომარაგებისათვის იყო განუთქმელი, გამომართლებას პოულობს იორიდან არხების მიერ მიღებული წყლის განაწილებაში. ამ განაწილებით 1 კუბ. მეტრამდე წამობრივ ხარჯს რწყვის სეზონშიაც მუდმივად უნდა ედინა ილგუნიანის ტბაში, რათა უზრუნველყო აქ დაგროვილი წყლის განახლების პროცესის უწყვეტი მსვლელობა. ვისაგებია, რომ რწყვისათვის გამოუყენებელი ზედმეტი წყალიც არხებიდან წყალსაცავში მოხვდებოდა. ამგვარად, პროექტი იმის გაჩინების შეიცავდა, რომ ხელოვნურ ტბაში მთელი წლის განმავლობაში ახალი წყლის მარაგი იქნებოდა.

ზემოთ ითქვა, რომ ბელისა და ვაბის მიერ დაპროექტებული სარწყავი არხები წამოადგენდნენ მრავალი თმულულის განმავლობაში სამსახურისათვის განაგარიშებულ კაპიტალურ საინჟინერო ნაგებობებს. პირველყოფლისა ამით განსხვავდებოდნენ ისინი იმ შედარებით იაფ, მაგრამ წყრილ და ნაკლებად საიმედო სარწყავი არხებისაგან, რომლებიც მანამდე და, ნაწილობრივ, შემოღობაში ამიერკავკასიაში პრიმიტიული მეთოდებითა და საშუალებებით შენდებოდა. სამაგვიროდ ბელისა და ვაბის თვითმდენი პროექტის განხორციელება მეტად დიდ დანახარჯებს მოითხოვდა. ნუსხის თანახმად იორის მარჯვენა

ნაპირის არხის აგება ვერცხლით 3 561 727 მანეთი უნდა დაეფარათ. აქ არ შედის სუბსიდიური ნაგებობათა ღირებულება, ვინაიდან მათი დაწვრილებით პროექტი არ დამუშავებულა. მისთანად, უნდა დავაცვათ, რომ იორის მარჯვენა ნაპირის არხის მშენებლობის სრული სუნუსო ღირებულება ვერცხლით 3 562 ათას მანეთზე მეტი იქნებოდა. თუ რამდენად დიდი იყო მამინდელი დროისათვის ეს თანხა, ამაზე ერთგვარად წარმოდგენას მოგვცემს მისი შედარება ბელისა და ვაბის პროექტითვე ამენებული გარდაბნის (ყოფილი ფარაბის) საირიგაციო სისტემასთან, რომელიც მაშინ 13 ათას ჰექტარზე მეტ მიწას რწყავდა. წინასწარი ძიების ღირებულებისა და იმ ხარჯების გამოკლებით, რომელთაც სამშენებლო სამუშაოთა წარმოებასთან პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდათ (ანალოგიური ხარჯები არც იორის მარჯვენა ნაპირის არხის ნუსხაშია შეტანილი), ვარდენის სარწყავი სისტემის მშენებლობა ფაქტიურად 314 ათასი მანეთი დაქალა.

იორის მარჯვენა ნაპირის არხი იმდენად ძვირი ობიექტი იყო, რომ მეფის შთავრება მას განხორციელებას ხელს არ მოჰკიდებდა. მით უმეტეს ცარიზში ასეთ „საიუტარს“ კოლონიურ მხარეს არ მიაჩნებოდა. აი რატომ მოხდა, რომ იორის არხის პროექტი — სამგორის საირიგაციო სისტემის პირველი პროექტი — ისე ჩაბარდა არქივს, რომ მეფის კავკასიურ აღმინსტრაციას არა თუ არ დაუმტკიცებია, — არც კი განუხილავა.

### 3. საზოგადოებრივი საირიგაციო-მანერგებელი საქმე

ბელის და ვაბის პროექტები, რომლებიც თავის დროზე სპეციალისტთა წრეებში ვაცხოველებულ ინტერესსა და კომენტარებს იწვევდა, მაგრამ პრაქტიკულად გამოყენებული არ ყოფილა, ახალი სატყუნის დამდგენისათვის დავიწყებამს მიეცა. ამიერკავკასიაში კი რწყვის მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. მეფის შთავრება ახლაც არ იხენდა მხარეში მსხვილი საირიგაციო მშენებლობის საკითხების დაყენებისა და გადაწყვეტის უნარს. კერძო კაპიტალიც ამ საქმეში არაივითარ როლს არ თამაშობდა.

არქივის მტკიცება დაფარა სამგორის ველის მორწყვის პროექტაც. მარტო თბილისის თვითმმართველობა დრო და დრო უბრუნდებოდა სამგორის ზონაში მდებარე 4 000 ჰექტარამდე საქალაქო მიწების მორწყვის საკითხს, მაგრამ ჩვეულებისამებრ მას ვიწროდ და გაუზედვად აუყენებდა და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიუვანას ვერ ახერხებდა.

სარწყავი წყლის ძებნისას ქალაქის გამგეობის სპეციალისტებმა უფრადლება მიაპყრეს მლაშე ტბების ქვაბულს. 1908 წლის ოქტომბერში

ქალაქის აგარაგების (ე. ი. მიწების) ყოფილმა გამგემ აგრონომმა ზორიანმა გამგეობას შემდეგი შენახარის პატაი წარუდგინა. ავლაბრის მლაშე ტბაში, რომელსაც დიდი სივრცე უჭირავს, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. გლუბერის მარლის მოპოვებამ აქ შედეგი არ გამოიღო. ამ ტბიდან შემოსავლის ერაადერიო მუხლია მის ნაპირზე მოდებული ღელი, რომლის გაყიდვა წელიწადში სულ 10-20 მანეთს იძლევა. ამავე დროს ამ ტბის დარჩობა ძნელი არ არის ქიარის მოწყობით. რაკი წვიმის წყალს ქიარისის საშუალებით თავისუფალი ვისავალი მიეცემა, ის მალე გამოაქვს მარლის ყოფილი ტბის ნაპირებსა და ფსკერს. ამის შემდეგ ქიარისის შესავალთან შეიძლება მოეწყოს რაბი და ქვაბული გადაიტეს უკან მტკნარი წვიმას

1 И. Хатисов. Описание хозяйства и ирригационных сооружений в Караязском имени Общества восстановления христианства на Кавказе, Тб., 1871, стр. 68—69.

წყლის დასაგროვებელ რეზერვუარად, საიდანაც ეს წყალი ქალაქის მიწების მოსარწყავად წვა. ზორიანის პატაკი დასვენისათვის გადაეცა ქალაქის მიწისმფლობელის თანამეწყვეს ტერ-ვართანთან. ამ უკანასკნელის განგარიშებით, ავღაბრის ტბაში ვასაყვანი ქიაროზის სიგრძე 4-5 კილომეტრი იქნებოდა. ამასთან ავღაბრის ავარაკის მიწებს ის 40 მეტრზე მეტ სიღრმეზე გადაეყოფოდა და, რასაკვირველია, მთ ვერ მორწყავდა. მხოლოდ საღვერ ნავთლულის რაიონში, სადაც ქიაროზი უნდა დამთავრებულიყო, მისგან სარწყავ წყალს მიიღებდა მიწის უმნიშვნელო ფართობი. მარტო ამისთვის კი, ბუნებრივია, მიზანშეწონილ არ იყო 5-კილომეტრიანი ძვირადღირებული ქიაროზის აგება.

ამვე დროს, თეთონ ტერ-ვართანთან ახრით, არა ერთი, არამედ სამივე მლაშე ტბის დაშრობას ამოცანა შეიძლება სულ სხვა გზით გადაწყვეტილიყო. მას წინადადება შემოქმედდა ავღაბრის ტბიდან წყალი ღია არხით მთლიანად ილუვინანის ტბაში გადაეშვათ, შემდეგ ორივე ტბის წყალი ერთად ასეთვე წესით — მესამე, ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე კუჩის ტბაში. აქედან აუზის გაერთიანებული ჩამონადენი 210-მეტრიანი ქიაროზით, რომელიც წყალგამყოფს ქვეშ გავიდოდა, ერთ-ერთი ხევის საშუალებით მტკვარში გადაეგდოთ. ტბების დაშრობით, ტერ-ვართანთან ანგარიშით, ქალაქი 87 ჰექტარ სათიბს მიიღებდა.

ქალაქის საადგილმამულო კომისიამ, რომლის თავმჯდომარედ იყო ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადოებრივი მოღვაწე სტ. ჭრელაშვილი, უარყო ზორიანისა და ტერ-ვართანთან წვირლმან-საქმოსნური წინადადებები. კომისიას და მის თავმჯდომარეს, როგორც ჩანს, ვერ ეძლეოდა არ ჰქონდათ დაკარგული იმის იმედი, რომ მლაშე ტბების ქვაბული ბოლოს და ბოლოს ავსებოდა მდინარის წყლით და გადაიტევოდა დიდ მტკნარ ტბად. ეს ამოცანა (მიწების მოსარწყავად), — წერდა სტ. ჭრელაშვილი 1910 წლის ვახაფხულზე ზორიანისა და ტერ-ვართანთან წინადადებების გამო, — ქალაქისათვის ადვილდება კიდევ იმ გარემოებით, რომ მას გვერდით უძევს უდალესი ზომის ბუნებრივი წყალსატევი — სიგრძით 10 ვერსამდე, სიგანით საშუალოდ 2 ვერსამდე და სიღრმით არაუმეტეს 10 სავინისა, — რომლის ფსკერზედაც მდებარეობენ 2-3 ტერ-ვართანთან გვეგზე აღნიშნული მლაშე ტბები. ამ წყალსატევის მშვენიერი გამდინარე არაგვის წყლით ავსებით ქალაქიდან სამი ვერსის მანძილზე შეიქმნება საკმარის დიდი ტბა, რომლის გარშემო დაიწყება სულ ახალი ცხოვრება,

ხოლო ტბის ახლო მდებარე მინდვრების მოსარწყავად გადაიტევს თბილისის შემოგარენით ერთ მთლიან ბაღად, თეთონ თბილისს ქალაქის მოსარწყავი ერთ-ერთ უღამაზეს და განსაკუთრებულ ქალაქად.

სტ. ჭრელაშვილის მიერ „თბილისის ზღვის“ შექმნის იდეის გზებით დაცვა შემთხვევითი არ იყო. მლაშე ტბების ქვაბულის გამოყენებაზე ამგვარ შეხედულებას იგი თავისი შტრიქოპულერი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ავითარებდა. მეტიც, სტ. ჭრელაშვილმა პირველმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ წყალსატევი, რომელიც მლაშე ტბების აუზში მოეწყობოდა, გამოყენებული უოფილიყო არა მარტო სარწყავად, არამედ ენერგეტიკული მიზნითაც. 1903 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში სტ. ჭრელაშვილს მოჰყავდა მომავალი ტბის განზომილებათა მონაცემები, აღნიშნავდა მისი მშენებლობის შედარებით სიადგილეს და დასკვნად: „ქალაქს ექნება ირცელი ტბა, რომელშიც შეიძლება მოსწყოს ავჭაოს, ღიღისი და ნავთლულის იქით ყარაამდე განლაგებული მიწები და პოლოსი, ამ წყლით შეიძლება ვისარგებლოთ რამდენიმე ათასი ცხენის ძალის ელექტროენერჯის მისაღებად რომ არადერი ვთქვათ იმაზე, რომ ტბის მიდამოები საუცხოო იქნება ავარაკებისათვის“.

შეთხვეული შეამჩნევდა, რომ ბელის და გაბის პროექტისაგან განსხვავებით სტ. ჭრელაშვილის მოსხენიბიდან მოტანულ ციტატაში ლაპარაკია მლაშე ტბების ქვაბულის არაგვის და არა იორის გამდინარე წყლით ავსებაზე. მომავალი ტბის შექმნაზე წყაროს ამ შეუცლად თვისის ისტორია აქვს. საქმე ისაა, რომ ამ დროისათვის წარმოიშვა აზრი, ქალაქის საგარეუბნო მიწები მოსარწყავი არაგვიდან გამოყვანილი არხით, რომელიც გაიკლებით უფრო მცირე და იაფი საირიგაციო ნაგებობა იქნებოდა, ვიდრე ინგლისელი ინჟინრების მიერ დამოკიდებულ იორის მარჯვენა ნაპირის არხი. ეს წინადადება ქალაქის თვითმმართველობას საადგილმამულო კომისიამ წარუდგინა. დიდი მსჯელობის შემდეგ თბილისის ქალაქის სათავაბრის 1913 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით ქალაქის მიწების მოსარწყავი ტექნიკური და ფინანსური პროექტის შედგენა დავალა ქალაქის წყალსატევის გამაგეს ინჟინრ გ. ზ. ქუბრაძის, რომელიც ამასთან დაკავშირებით განათავისუფლებულ იქნა სამსახურის მიმდინარე საქმეებისაგან.

პროექტზე შემოშობის დაწყებისას გ. ქუბრაძე

<sup>1</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>2</sup> ახ. კრებული «Весь Кавказ» № 1, 1903 стр. 62.

<sup>3</sup> Н. Е. Аргутинский-Долгоруков. Выгонные земли гор. Тифлиса... стр. 30.

ანზე აშკარად ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია იმ სარწყავი არხის ნაგებობათა ნანგრევებს, რომელიც ოდესღაც თბილისის აღმოსავლეთით გადიოდა არაგვიდან ვარდამისს ველზემდე მამართბოდა. „ნაშთები ძველი სარწყავი არხისა, რომელთაც თამარ მეფის დროს მიაწერენ, — წერს გ. ქურდიანი, — ახლაც გვანციკიფრებენ თავისი გრანდიოზულობით და ჩინაფიქრის ვაზიდულობით... არხს, რომლის კვალი დღემდე გაჩვენებული ჩანს მდ. არაგვის მთელ სიგრძეზე, თავისი მღებარეობით შექმლი მთარწყეთ საგურამოს ვაკე და გაივლიდა რა აქვალის და გლდანის მიწებს და თბილისის სანაპიერს, თვით უარაამდე მიღწია. აკვედუცისა და რეზერვუარის ნაშთები სოფ. წიწხაშტთან ნათლად მოწმობდა... რომ არხში წყალი ნამდვილად მოდიოდა და უნდა ვიფიქროთ, მხოლოდ მრავალრიცხოვან ხეებზე გამართული ხელოვნური ნაგებობები მოითხოვდნენ მუდმივ განახლებას. ალბათ ამ გარემოებამ მუდმივი ომების პირობებში დაშორება მოსახლეობის ენერჯია და გრანდიოზული არხი დააღწია, მაგრამ მისი კვალი ახლაც საუველურით უცქერს ჩამოშავებულს, რომელმაც დღემდე ვერ განახორციელა მეტი თონსობით დაჭიდდობულ წინაპართა ანდერძი“.

1914 წლის დამლევისათვის გ. ქურდიანმა დაამთავრა არხის სქემის შედგენა. სქემის თანახმად არხი იწყებოდა არაგვიდან სამ კილომეტრზე სოფელ ბუღაიაურის ზევით და ჟერ ამ მდინარის, ხოლო შემდგომ მტკვრის მარჯვენა ნაპირით მოემართებოდა არაგვის ხეობიდან მტკვრის ხეობაში არხი ვადმოდიოდა ორი გვირაბით, რომელთა საერთო სიგრძე 1643 მეტრს უდრიდა. თბილისის რაიონში არხი მლაშე ტბების აუზის აღმოსავლეთ ფერდობებზე გაივლიდა და მდინარე ოსტეთთან ბოლოვდებოდა. არხის სიგრძე 72 კილომეტრი იქნებოდა, გამტარუნარიანობა საწყის უბანზე — წამში 4 კუბ. მეტრი. იგი მორწყავდა 5,5 ათას ჰექტარ მიწას.

ღრმადღესთან არხის ტრასაზე 85-მეტრიანი გაჭრილი იყო, სქემა ითვალისწინებდა აქ 2512 კილოეტრის სიმაღლერის პილაროვლქტროსადგურის აგებას, რასაც ქალაქისათვის რწყვაზე ნაყლები მნიშვნელობა არ ექნებოდა. საქართველოში ეს იყო, ალბათ. პირველი წინადადება საირიგაციო ნაგებობათა იმავდროულად ენერგეტიკული გამოყენების შესახებ.

როგორც საპროექტო მასალებიდან ჩანს, მლაშე ტბების არაგვის წყლით ავსებას გ. ქურდიანის სქემა არ ითვალისწინებდა, მაგრამ ვი-

ნიდან არხი ქვაბულის შიდა ფერდობზე გადიოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომში ის აუცილებლად იქნებოდა გამოყენებული აქ დიდი ხელოვნური მტკვარი ტბის შესაქმნელად.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო ქალაქის თვითმართვლობას არაერთი დადგენილება აღარ მოუღია არაგვის არხის ტექნიკური პროექტის შედგენისა და მშენებლობის შესახებ.

როგორც ენახეთ, არაგვის არხი გ. ქურდიანის სქემით სამგორის მიწების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მორწყავდა. რაც შეეხება მთელი სამგორის მორწყვას, ეს საკითხი ხელახლად დაისვა რევოლუციის შემდეგ — ბელისა და გაბის მიერ შედგენილი პროექტის გამოხატვიდან 55 წლის დაგვიანებით. იგი ჯერ დროებითი მთავრობის დაკავისის წყალთა სამმართველოში მუშავდებოდა, ხოლო შემდეგ საქართველოს მენეჯერული მთავრობის ამავე სახელწოდების ორგანოში. საკითხს ამუშავებდა ინჟინერი ი. გულიქ-ფაშაიანი, რომელმაც 1918 წლის ნოემბრისათვის უკვე დასნა მორწყვის სქემა და წარდგინა საირიგაციო სისტემის საბოლოო პროექტის შესადგენად დეტალურ ძიებათა ჩატარების წინადადებაზე. ი. გულიქ-ფაშაიანის 1918 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული ბარათის მიხედვით სამგორის საირიგაციო სისტემის მის მიერ შედგენილი სქემა და ის მოსახრებები, რაც ამ სქემას საფუძვლად დაედო, შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

პირველყოელისა უნდა აღინიშნოს, რომ მედიქ-ფაშაიანი განსაკუთრებით ხაზს უსვამს თავისი სქემის დამოკიდებულებას ბელისა და გაბის სქემისაგან. „ეს სქემა, — წერს იგი, — საერთო ხაზებით ემთხვევა ბელის და გაბის მიერ 1863 წელს მიღებულ სქემას“.

ბელის და გაბის პროექტთან საერთო მსგავსების მიუხედავად, მედიქ-ფაშაიანის სქემა მისგან არსებითად განსხვავდებოდა. მთავარი ის არის, რომ მედიქ-ფაშაიანი ითვალისწინებდა მაგისტრალური არხის სათავესთან საქმიოდ დიდი ტევადობის წყალსაცავის აგებას, რაც ბელისა და გაბის პროექტში არ ჰქონდათ, ეს გამოწვეული იყო ზაფხულობით იორში წყლის ნაკლებობით.

მდინარის ორივე ნაპირზე განლაგებული ფართობების გარანტირებული რწყვისათვის, მედიქ-ფაშაიანის ანგარიშით, საჭირო იყო შექმნილიყო 64 მლნ კუბ. მეტრის სასარგებლო ტევადობის წყალსაცავი, ხოლო მარტო მარჯვენა ნაპირისათვის — 39 მლნ კუბ. მეტრისა. სქემის ავტორმა ეს საკითხი წინასწარ მხოლოდ მარჯვენა ნაპირისათვის გადაწყვიტა. მისი ვანგარაშებით, 7 კილომეტრზე სოფელ უჯარმას ზევით გორგასალის ციხის ნანგრევებთან იორის კალაპოტში 47 მეტრის სიმაღლესი კაშხლის აღმარ-

1 Г. З. Курдиани. Объяснительная записка к предварительному проекту оросительного из р. Арагвы канала для земель гор. Тифлиса (в книге Н. Е. Аргутинского-Долгорукова «Выгонные земли гор. Тифлиса...», стр. 87—108).



თვით შეიქმნებოდა წყალსაცავი 40 მლნ კუბ. მეტრის სასარგებლო ტევადობით.

იორის მარჯვენა ნაპირის მაგისტრალური არხი უკარმას ზევით 5,4 კილომეტრზე იწყებოდა, მაგრამ ეს ერთ-ერთი ვარიანტი იყო. საბოლოო პროექტის შედგენისას ი. მელიძე-ფაშაევს აზრად ჰქონდა არხის საწყისი ნაწილი კაშხალთან დავავეშორებია, ე. ი. ორი კილომეტრით ზევით გადაეტანა. არხის სიგრძე 32 კილომეტრი იყო. ვხადავს იგი რწყავდა 11 ათას ღესეტინა მიწას. ჩუნივინის სადგურ ვიზიანთან არხი ორ ტოტად — ქვემო და ზემო არხებად იყოფოდა.

ზემო არხი, რომელიც მაგისტრალური არხის გაგრძელებას წარმოადგენდა, ჯერ ჩრდილო-აღმოსავლეთით — სოფელ მარტოფისა და სოფელ ნორიოსაკენ, ხოლო შემდეგ სამხრეთით — სოფლებების დიდი და პატარა ლილოსაკენ მიემართებოდა. უკანსენელი ორი სოფლის გველის შემდეგ არხი ჩრდილოეთისაკენ უხვევდა, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ იღებდა გეზს და რწყავდა დიდი ხევისა და ხეცმარის მიდამოებში განლაგებულ მიწებს. ზემო არხის სიგრძე 53 კილომეტრს აღემატებოდა, მას უნდა მოეწყო 11,6 ათასი ჰექტარი მიწა.

ქვემო არხი 207 მეტრის სიმაღლის ვარდნილით იწყებოდა. სქემის ავტორი ითვალისწინებდა აქ პლდროლექტროსადგურის აგებას. სადგურის ქვემო ბიფილდან არხი ორ ტოტად იყოფოდა. მარცხენა ტოტი, რომლის სიგრძე სულ 4 კილომეტრს უდრიდა, მიდიოდა აღმოსავლეთისაკენ, ხოლო მარჯვენა 52-კილომეტრისა ტოტი — დასავლეთით, თბილისისაკენ მიემართებოდა. ქალაქის რაიონში ის გაივლიდა მლაშე ტბების ქვაბულის შიდა ფერდობს, რწყავდა შემდეგ ღრბაღლის მიწებს და ერთ-ერთ ხეში გადაადგებით ბოლოვდებოდა. ქვემო არხი 21, 5 ათას ჰექტარ ფართობს მოარწყავდა.

როგორც აღენიშნეთ, საქართველოში სარწყავი წყლის იმედად უღებოდა ელექტროენერჯის მისაღებად გამოყენების პირველი წინადადება შეიკვლიდა არავის საირიგაციო არხის სქემა, რომელიც დაამუშავა გ. ქერდიანმა 1913-1914 წლებში. საირიგაციო ნაკებობათა კომპლექსური გამოყენების მეტ შესაძლებლობას იძლეოდა სამგორის სარწყავი სისტემის სქემა და ი. მელიძე-ფაშაევსაც, რომელიც მოწოდებით შილდროლექტროსადგურის იყო, ეს გაგრძობა მხედველობიდან არ გაუშვია. მის მეტრ ქვემო არხის უზიარის ვარდნილზე დაპროექტებული პლდროლექტროსადგურის სიმაღლე 10,3 ათას კილოვოტს უდრიდა. სქემის ავტორის განცხადებით, სდგური უზრუნველყოფდა მოსარწყავად ვანეთონიო რაიონის მეურნეობის ყველა დარგის ელექტრომომარაგებას და, გარდა ამისა, მისი ენერჯია საკმარისი იქნებოდა ქალაქ თბილისის საჭიროებათა მთლიანად დასაკმაყოფილებლად.

მაშინდელი დროისათვის ასეთი მაღალი პლდროლექტროსადგურის შექმნის შესაძლებლობა ი. მელიძე-ფაშაევს სქემის დიდ უპირატესობას შეადგენდა. „პლდროლექტროსადგურის დაგეგმვა, — მართებულად აღნიშნავდა სქემის ავტორი, — უნდა აამაღლოს წამოწყების საერთო რენტაბელობა და შეამციროს ის ხარჯები, რომელიც მოარწყვის წილად მოვა“.

ახლა ენახოთ, თუ როგორ წვედტა სქემა მლაშე ტბების ქვაბულის გამოყენების საკითხს. მელიძე-ფაშაევი ავტორიეებს ქალაქის თვითმმართველობის მუშაეთა წინადადებას მლაშე ტბების დაშრობის შესახებ და ხაზს უსვამს, რომ ამ გზით რამდენიმე ღესეტინა მიწის მიღება დიდ სარგებლობას ვერ მოიტანს, მაშინ როდესაც აქ შექმნილი მნიშვნელოვანი ზომის ტბა ქალაქის სანახების ნამდვილი მშენება იქნება. ეს ტბა გამოაციხლებს ლანდშაფტს და უშეკვლად გამოაწმინდებლად იმოქმედებს ქალაქის პარკებზე, რადგან შეანელებს ზაფხულობით სიცხეს და პარკის სიმშრალეს. ამ მოსაზრებით მელიძე-ფაშაევი, ისევე როგორც ბელი და ვაბი, ითვალისწინებდა მლაშე ტბების ქვაბულში 214 მლნ კუბ. მეტრი წყლის ტევადობის ხელოვნური ტბის შექმნას. ამასთან ქვაბულის ასახებად, ქვემო არხის დასავლეთი ტოტი მომდინარე იორის წყალს, გარდა, მელიძე-ფაშაევის აზრით, ლივინოსა და ორხევის საგზაფხულო ჩაშინადენიც უნდა ეოფილიყო გამოყენებული.

არ არის სულ სწორი ჩვენს ტექნიკურ ლიტერატურაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მელიძე-ფაშაევის სქემითაც მლაშე ტბების აღწევი წყალსაცავის მოწყობა გათვალისწინებული იყო „ქალაქის კლიმატური პირობების გასაუმჯობესებლად და არა რწყვის მიზნებისათვის“. ამ ადგილი მელიძე-ფაშაევის 1918 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული ბარათიდან: „გარდა აღნიშნული არაპირდაპირი სარგებლობისა, რაც ასეთი ტბის შექმნას მოყვება, დიდ საკომანდო სიმაღლეზე ტევადი წყალსაცავის არსებობას შეიძლება აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ექნეს და დიდად სასარგებლო გამოდგეს, თუ დავროვილ წყალს რწყვისათვის დამხმარე მარაგად ან ელექტროენერჯის მისაღებად გამოვიყენებთ“. აქედან ნათელია, რომ მელიძე-ფაშაევი კარგად ხედავდა ხელოვნური ტბის პირდაპირ სამეურნეო მნიშვნელობასაც, მაგრამ მასში ავტომეორიგებელი წყლის გამოყენების საკითხის კონკრეტულად გადაჭრას, ალბათ საირიგაციო სისტემის საბოლოო პროექტის შედგენისას შეეცდებოდა.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ი. მელიძე-ფაშაევის სქემა მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა სამგორის სარწყავი სისტემის დაპროექტების საქმეში. მასში პირველად დასაბუთდა წყალსაცავის შექმნით იორის ჩაშინ-

ნადენის რეგულირების აუცილებლობა და სარწყავი წყლისა და საირიგაციო ნაგებობათა

იმედროულად ელექტროენერჯის მისაღებად გამოყენების ეფექტიანობა.

საქართველო  
სსრკ-ისთვის

#### 4. ინჟინერ კ. მამრავლის შინაგარე პროექტი

ამრიგად სამგორის ველის შორწყვის თბილისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა, რომელიც 60 წლის წინათ დაიწყო, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას კვლავ საპროექტო ვარაუდის სტადიაზე იყო. საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში ქვეყნის ეკონომიური შესაძლებლობანი დიდ სამშენებლო სამუშაოთა დაწყების საშუალებას არ იძლეოდა. მიუხედავად ამისა, ახალ პირობებში ძირფესვიანად შეიკვალა სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულება სამგორის პრობლემისადმი. იგი შეცნობილ-თეორიული სფეროდან პრაქტიკის სფეროში გადავიდა და ეს ეპოქის დამახასიათებელ ნიშანთვისებას შეადგენდა. იმ ხანებში იშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც ენთუზიაზმით მოცული საბჭოთა ადამიანები ისე ჰკიდებდნენ ხელს დიდ სამშენებლო სამუშაოებს, რომ ანჯარიშს არ უწყევდნენ არც საბჭოთა ფინანსური და ნივთიერი საშუალებების დეფიციტს, არც სათანადო პროექტების არსებობას. ამგვარ წამოწყებებში შედიანდებოდა არა იმდენად პირველად მომჩინეთა გულები-ვილობა, რამდენადაც განთავისუფლებულ შრომელთა რწმენა საერთო ძალებისადმი, მათი მხურვალე სურვილი მალე ექციათ რეალობად ის, რაც წინათ ხალხისათვის მხოლოდ ოცნება იყო.

1922 წლის 10 სექტემბერს, როგორც ცნობილია ზახვისის სადერეფაციო არხის ტრასაზე მოწყობილი თბილისის შრომელთა გრანდიოზული შაბათობა, რომლითაც სადგურის მშენებლობის დაწყება აღნიშნა. ორი თვის შემდეგ იმავე წლის 12 ნოემბერს დიდი შაბათობა ჩატარდა უკვე სამგორში. აქ იორის ნაპირზე, იმ ადგილას, სადაც ვარაუდით მომავალი საირიგაციო სისტემის მაგისტრალური არხის საწყისი მონაკვეთის უნდა გაეკვლი, მახლობელი სოფლებიდან შეიკრიბა სამი ათასამდე გლეხი. სახეობი მინტინის შემდეგ შაბათობის მონაწილეები შეუდგნენ მოწის სამუშაოს და, როგორც გაზეთის კორესპონდენტი იტყობინებოდა, „არხის კონტური ამ დღეს სამი ვერსის სიგრძეზე გამოიტანა“.

მაგრამ მაშინ საქმე ამით დამთავრდა. რთული საინჟინრო ნაგებობის შემცველი მძლავრი საირიგაციო სისტემის ასაშენებლად მარტო მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა საკმარისი არ იყო, საშუალოდ ომიდან ახლად გამოსულ საბჭოთა სახელმწიფოს კი არ ჰქონდა საშუ-

აღება ამ მიზნისათვის საჭირო დიდი სახსრები-გაეღო. მშენებლობის დაწყება იმდრომაც არ შეიძლებოდა, რომ სამგორის სარწყავი სისტემის საბოლოო პროექტი არ არსებობდა, ხოლო არხის პირვანდელი სქემით გაყვანა, როგორც ამას შაბათობის ორგანიზატორები ფიქრობდნენ, ტექნიკურად დაუშვებელი იყო.

ამ წარუმატებელი ცდის შემდეგ ორ წელიწადს სამგორის მშენებლობის საკითხი აღარ დასმულა. 1925 წელს კი საქართველოს სსრ-წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა საირიგაციო სისტემის ასაგებად ახალი პირობებისათვის შესაფერისი პროექტის შედგენას. ამასთან, თუ ბელისა და გაბის დროიდან საბრ-ექტო მისაღებაში ორიდან საარწყავი წყლის გამოყენება ნაგებობათა სისტემები მისი მარჯვენა და მარცხენა ნაპირის არხების სახელწოდებით ვადიოვდნენ, ახლა მათ ოფიციალურად მიეცათ სამგორის სარწყავი სისტემის ტიტული.

პროექტის შედგენის სამუშაოთა ხელმძღვანელობა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ დააკისრა ინჟინერ ს. ფირალი-შვილს, რომელმაც 1926 წლის სექტემბერში უკვე წარადგინა სამგორის მარწყვის მის მიერ დამუშავებული სქემა. ახალი სქემა ბელისა და გაბის და მეოქ-ფაშაევის სქემებიდან პირველყოფილს იმით განსხვავდებოდა, რომ ითვალისწინებდა მლაშე ტბების აუზში მოწყობილ წყალსაცავში დაგროვებული წყლის გამოყენებას სარწყავად და ელექტროენერჯის მისაღებად. ამ გაჩემობამ შეცვალა არხების მასშაბის ათეულები და მიმართულება. ნაცვლად იორი-დან გამოყვანილი ერთი მაგისტრალური არხისა, რომელიც შემდეგ სამ ძირითად ტოტად იყოფოდა, ფირალიშვილის წინადადებით მდინარის მარჯვენა ნაპირზე იგებოდა ორი მაგისტრალური არხი: ზემო — იორიდან თბილისის წყალსაცავამდე და ქვემო — წყალსაცავიდან გარდაბნის ველებისაკენ. ახალი სქემა, ისევე როგორც მეოქ-ფაშაევის საპროექტო მონახაზი, ითვალისწინებდა იორზე წყალსაცავის მოწყობას. მაგრამ ვინაიდან გორჯასალის ციხესთან გეოლოგიური პირობები კამხალის ასაგებად ზღვსაყრელი არ აღმოჩნდა, ს. ფირალიშვილმა წყალსაცავი ზევით — სოფელ კოჭაბაისის მიდამოებში გადაიტანა.

კოჭაბაისის წყალსაცავი მეორე სასარგებლო მოცულობის გამო (იგი სულ 60 მლნ კუბ. მეტრს უდრდა) მდინარის წლიური ჩამონადენის რეგულირებას ვერ უზრუნველყოფდა. ამასთან დაკავშირებით ზემო მაგისტრალური არხი-პროექტდებოდა წაშლი 30 კუბ მეტრი წყლის-

1. გაზეთი „კომუნისტი“ №272, 1922.

გამტარუნარიანობით, რაც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ თბილისის წყალსაცავი იორზე წყალდიდობის დროს აესებელიყო. კვეტარ არხის გამტარუნარიანობა წამში 15 კუბ. მეტრით განისაზღვრებოდა. იფარავლებოდა, რომ თუ სისტემაში ზედმეტი წყალი აღმოჩნდებოდა, ეს არხი ვაგრძელებოდა, ვარდამან ვასცდებოდა და სარწყავ წყალს საბჭოთა აზერბაიჯანის უახლოეს რაიონსაც მიჰყოლებოდა.

მლაშე ტბის აუზი ს. ფირალიშვილის სქემით იქცეოდა წყალსაცავად, რომლის სასარგებლო მოცულობა 250 მლნ კუბ. მეტრი იქნებოდა. ამის გამო მის საერთო მოცულობას, ბელისა და ვაბის და შელოქ-ვაშაყვის პროექტებით გათვალისწინებული 214 მლნ კუბ. მეტრის ნაცვლად, დაახლოებით 459 მლნ კუბ. მეტრი უნდა შეედგინა. ასეთი მოცულობის მისაღებად ამ მდლობების შედარებით დაბალ უბნებზე, რომლებიც მლაშე ტბების ქვაბულს ქმნიან, ს. ფირალიშვილი ითვალისწინებდა ორი კაშხლის აგებას. ერთი მათგანი — მიწყვილისა 14 მეტრის სიმაღლით — აიგებოდა ივლიანის ტბასთან, მეორე — ქვისა 836 მეტრის სიგრძითა და 13,5 მეტრის სიმაღლით — კუციის ტბასთან.

სქემის თანახმად იორის მარჯვენა ნაპირზე სისტემა მორწყავად საქართველოში 50 ათას ჰექტარ მიწას, აქედან 18 ათას ჰექტარს — ზემო არხიდან, ხოლო 32 ათას — ქვემო არხიდან. ივლისსებოდა, რომ კიდევ 20 ათას ჰექტარ ფართობს მორწყავდა მარცხენა ნაპირის არხი.

ს. ფირალიშვილის სქემა ითვალისწინებდა თბილისის წყალსაცავის ნაზიზე ჰიდროელექტროსადგურის აგებას. სადგური გამოყენებდა 130 მეტრ დაწევას, რომელიც წყალსაცავისა და მტკვრის დონეთა განსხვავებით იქმნებოდა დერეფავი 1,2 კილომეტრის სიგრძის დაწვევითი გვირაბისა და 2,5-კილომეტრიანი საწინო მილსადენით განხორციელებოდა. სადგური მტკვრის ნაპირს აშენდებოდა. მისი სიმძლავრე 17,6 ათასი კილოვატი უნდა ყოფილიყო. სქემის თანახმად დანადგარის ტურბინები წელიწადში 60 მლნ კუბ. მეტრ წყალს გაატარებდნენ.

1926 წლის სექტემბერში ს. ფირალიშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი სქემა განიხილა სსრკ საგეგმო კომისიის წყალთა მეურნეობის სექციამ, რომელმაც საჭიროდ სენო ჩატარებული უფრო დამუშავებითი ძიება და სქემა რამდენიმე ვარიანტად დამუშავებულიყო. თავისი გადაწყვეტილების საბუთად სექცია ადგილის ტოპოგრაფიული პირიბებისა და თვით საირიგაციო სისტემის სირთულეს ასახელებდა.

1926 წლის დამლევადან სამგორის დაპროექტების საქმეს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ინჟინერი და საზოგადოებრივი მოღვაწე პეტრე

მამრაცე, რომლის ხელმძღვანელობითაც არჩეულ 5—8 თვეშივე დიდი მოცულობის საველე და კამერალური სამუშაოები ჩატარდა. ამ სამუშაოებში პირველ ყოვლისა დადგინდა, რომ კოჭბაანის წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა 60 მლნ კუბ. მეტრი კი არა, სულ 45 მლნ კუბ. მეტრი იქნებოდა. ასეთი ტევადობის წყალსაცავი იორის ჩამონადენის რეგულირებაში შესაძლებელი როლს ვერ ითამაშებდა. ამის გამო 3. მამრაცემ უფრო ტევად წყალსაცავის შესაქმნელად ვარჯისი ადგილის შერჩევას მიზნით დამატებით გამოიკვლია მდინარის ხეობა კოჭბაანიდან ქალაქ თინეთამდე გამოკვლევა წარმატებით დაგვირგვინდა. წყალსაცავის მოსაწყობად საუესებთ შესაფერი აღმოჩნდა ფართო ველა სოფელ სოინთან ამ უკანასკნელის დასახლებული ტერიტორიის ჩათვლით. ქვემოდან სოინის ჭალა კაშხლის ასაგებად მეტად მოზრბებული უწყო ყალით ბოლოვდებოდა. სოინის წყალსაცავი, წინასწარი ანგარიშით, იორის სამუშაოებში ჩამონადენის 80% უნდა დაიტევდა. ამ ბედნიერმა აღმოჩენამ განსაზღვრა სამგორის სარწყავი სისტემის როგორც ირიგაციისა და ენერგეტიკის კომპლექსის ხასიათი.

კომპლექსის სქემას 3. მამრაცემ საფუძვლად დაუდო პრინციპი ორი საკმობად დიდი ტევადობის წყალსაცავის ერთობლივი შენობისა, რაც უზრუნველყოფდა სოფელ პალდოსთან იორის ჩამონადენის მრავალწლიან რეგულირებას. განაგარიშებამ უჩვენა, რომ ამ პირობებში 'ისტემას შეეძლო მოერწყო 70 ათას ჰექტარ მიწა — 42 ათასი მარჯვენა და 28 ათასი მარცხენა ნაპირზე. არსებითად იცვლებოდა სისტემის ენერგეტიკაც. ჰიდროსადგურის აგება თბილისის წყალსაცავიდან მტკვარში წყლის ვადმოვლებით, რაც სისტემას წელიწადში 60 მლნ კუბ. მეტრ სარწყავ წყალს დააყვებდა, მიზანშეუწონლად ჩაითვალა. 3. მამრაცის სქემით ჰიდროსადგურები განლაგდნენ ზემო მაგისტრალურ არხზე, რომელიც ამის გამო, რომ ორ ურთიერთ დაკავშირებულ წყალსაცავს აერთებდა, შემოდგომა — ზამთრის თვეებში სრული გამტარუნარიანობით იმუშავებდა. ამის შედეგად სადგურები მარგველიშვილ ხასიათს ინარჩუნებდნენ და სახალხო მეურნეობისათვის მტად ძვირფას ენერჯიას გამოიშვებდნენ.

3. მამრაცის სქემა 7 ვარიანტად შედგა. 1927 წლის მაისში, იგი უკვე შზად იყო და მალე სსრკ საგეგმო კომისიის წყალსამეურნეო ტექნიკურმა საბჭომაც განიხილა. საბჭომ მოიწონა ვარიანტი, რომელიც ზემო მაგისტრალური არხის სათავეს სოფელ პალდოსთან 850 მეტრ ნიშნულზე განლაგებას ითვალისწინებდა და საჭიროდ სენო სარწყავი სისტემის წინასწარი პროექტის შედგენა. სქემის არსებით მომენტებად, რომლებიც

წინასწარ პროექტის საფუძველად უნდა დადგებოდა, სამუშაო ჩატვალა:

ა) ორი ერთობლივად მოქმედი დიდი წყალსაცავის აგების გათვალისწინება;

ბ) დასაპროექტებელი სისტემის კომბინირებულად გამოყენება ირიგაციისა და ჰიდროენერგეტიკისათვის;

ვ) პროექტის ზუსტადადგობა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის განხორციელდება მთლიანად ორივე წყალსაცავით და ჰიდროაქსელური სადგურებით ცალკეულ სამუშაოებს და მშენებლობის რაგებად დაუყოფლად.

მას შემდეგ, რაც საკავშირო საეკგმო კომისიაში სქემა მოიწონეს, სამგორის პროექტის სამუშაოთა სამმართველო შეუდგა დამატებით ძიებასა და აგებმას მოსარწყავ ტერიტორიაზე ორის ორივე ნაპირზე. განსაკუთრებული ყურადღება მომავალი წყალსაცავების რაიონებისა და გვირაბების განლაგების ადგილთა გეოლოგიურ კვლევას ეძლეოდა. ორი წლის მანძილზე სამმართველომ საკმაო მასალა დააგროვა წინასწარი პროექტის შესამუშავებლად და 1930 წლის ბოლოს კიდევაც დაასრულა მისი შედგენა.

სამგორის საირიგაციო სისტემის წინასწარი პროექტი, ისევე როგორც სქემა, რომელიც მას საფუძველად დაედო, ითვალისწინებდა მდინარე იორის ჩამონადენის რეგულირებას ორი ერთობლივად მოქმედი წყალსაცავით — სიონისა და თბილისის წყალსაცავებით. სისტემას უნდა მოერწყო 80,9 ათასი ჰექტარი მიწა, აქედან მასივის დასავლეთ ნაწილში, რომელიც უშუალოდ თბილისს ეკვრის, — 43 760 ჰექტარი და აღმოსავლეთ ნაწილში — იორის მარცხენა ნაპირზე — 37 140 ჰექტარი. საირიგაციო სისტემის ძირითადი ობიექტები შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდნენ.

სიონის წყალსაცავის შესაქმნელად სოფელ სიონთან 22 კილომეტრით ქალაქ თიანეთს ქვევით იორის კალაპოტში იგებოდა მიწის კაშხალი, რომლის სიმაღლე 70 მეტრით იყო განსაზღვრული, ხოლო სიგრძე თხემის გასწვრივ — 787 მეტრით. წყალსაცავს 330 მლნ კუბ. მეტრი საერთო და 300 მლნ კუბ. მეტრი სასარგებლო ტევადობა ეწინებოდა.

თბილისის წყალსაცავი 330 მლნ კუბ. მეტრი საერთო და 160 მლნ კუბ. მეტრი სასარგებლო ტევადობით პროექტდებოდა. ამ მოცულობის შესაქმნელად სამხრეთით ავღაბარის ტბასთან იგებოდა მიწის კაშხალი 6,5 მეტრი მაქსიმალური სიმაღლითა და 607 მეტრი სიგრძით, ხოლო ჩრდილოეთით ეყვიის ტბასთან — ბეტონის კაშხალი 8 მეტრი მაქსიმალური სიმაღლითა და 250 მეტრი სიგრძით.

სისტემის სხვა ობიექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს ყველაზე რთული ზემო მაგისტრალური არხი იყო. პროექტის თანახმად ვეგეტაციის პერიოდში არხი უშუა-

ლოდ რწყავდა 19 275 ჰექტარ მიწას, ხოლო შემოდგომა — ზამთრის თვეებში უზრუნველყოფდა წინა სეზონში დაზარალებულ სარწყავი წყლის მარჯვის აღდგენას თბილისის წყალსაცავში. ამას ვარდა, არხის ვარდნილებზე შენდებოდა სამი ჰიდროელექტროსადგური. ზემო მაგისტრალური არხის სათავე ნაგებობა თავსდებოდა სოფელ პალდასთან 28 კილომეტრით სიონის წყალსაცავის კაშხალს ქვევით. არხი მთავრობან, ხევიებით დასერკილ ადვილებში გადიოდა. ეს ადვილებები ხდოდა მის ტრასაზე რთული ხელოვნური ნაგებობების აშენებას. საკმარისია ითქვას, რომ იქ უნდა გაეყვანათ 7 გვირაბი 7753 მეტრი საერთო სიგრძით. 4 კილომეტრზე მეტი არხს დაზარალებული გვირაბებით, დღევანდებოდა და აყვედურებოდა უნდა ვეგელო. არხის ფსკერი და ფერდობები ღია უბნებზე ბეტონით იმოსებოდა. მისი სიგრძე 39 კილომეტრს უდრიდა, გამტარუნარიანობა შეიქმნა ტრასაზე — 12 კუბ. მეტრის წამში

ქვემო მაგისტრალური არხი, რომელიც წყალს თბილისის წყალსაცავიდან მიიღებდა ტრასის დასაწყისს 525 მეტრიანი გვირაბით გადიოდა. შემდეგ იმ არხის მთელ სგრძელზე ყველაზე რთული ხელოვნური საინჟინრო ნაგებობა იყო მდინარე ლოქინოზე გადასასვლელი 1 125-მეტრიანი დიუკერი. ქვემო არხის საერთო სიგრძე 54 კილომეტრს უდრიდა, გამტარუნარიანობა ეკ საწყის უბანზე — 10 კუბ. მეტრს, ხოლო ბოლოში — 2,5 კუბ. მეტრს. იგი ჯერ აღმოსავლეთით მიემართებოდა, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით და მთავრდებოდა ვარდაბნის ტრამალზე ჩანდარის ტბაში ჩამავალ ზემო გადაადგობით. ქვემო მაგისტრალური არხი პროექტით 22 080 ჰექტარ მიწის რწყავდა.

მარცხენა ნაპირის არხის სათავე პალდას კაშხალს ქვემოთ დაახლოებით 20 კილომეტრზე აშენდებოდა. არხის სიგრძე 65 კილომეტრი იქნებოდა, გამტარუნარიანობა — საწყის ნაწილში 13, და ბოლო უბანზე 7 კუბ. მეტრი წამში. არხთან უშუალოდ იწყებებოდა 18 935 ჰექტარი მიწა. არხი საერთო მიმართულებით აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა. მგერამ მდინარე ლაბეზე გადასვლის შემდეგ მკვეთრად უხევდა სამხრეთისაკენ. არხის ბოლოში იდგებოდა სატუმბავი სადგური, რომელსაც წამში 4 კუბ. მეტრი წყალი უნდა აეწია 65 მეტრის სიმაღლეზე ატანდელ სილნდის რაიონში ე. წ. ვაყენაობრის მასივის 8 735 ჰექტარი ფართობის მოსარწყავად.

მარცხენა ნაპირის არხის სათავე ნაგებობიდან იღებდა წყალს საღალო-მელანოს არხიც, რომელიც განეთენილი იყო იორის მუაწყელში, მის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული 9 500 ჰექტარი მიწის მოსარწყავად.

როგორც ითქვა, სამგორის საირიგაციო სისტემის განსაკუთრებული ნიშანთვისება იყო

მისი კომპლექსურობა, ე. ი. სარწყავი წყლის გამოყენება იმავდროულად ელექტროენერჯიის მისაღებად. წინასწარი პროექტით ზემო მაგისტრალური არხის სამ მნიშვნელოვან ეარდნილზე შენდებოდა ჰიდროელექტროსადგურები: საცხენისისა—12 660 კილოვატის, მარკოპოლისა—3 470, და თეთრბეისისა—11 330 კილოვატის სიმძლავრით, ამრიგად, პროექტის თანახმად, სამგორის ჰიდროელექტროსადგურების შექმნებელი სიმძლავრე 27 500 კილოვატს უდრია.

სადგურების წლიური გამომშვავება 120—125 მლნ კილოვატ-საათის დონეზე ივარაუდებოდა, აქედან მარგველირეთის ენერჯიას 100-105 მლნ კილოვატ-საათი უნდა შეეღებინა.

წინასწარი პროექტი ითვალისწინებდა იორის ქვემო წელში განლაგებული 27 100 ჰექტარი დამამუშავებელი მიწის მორწყვის ინტერესებსაც. პ. მახარაძის გაანგარიშებით, სამგორის პროექტის განხორციელება ამ მიწებსაც უზრუნველყოფდა სარწყავი წყლით. საბჭოთა იქნებოდა მხოლოდ, რომ მათთვის წყლის გარანტირებული მიწოდებისათვის მდინარეზე ევრეთ წოდებულ მგლის კართან აგებულიყო კიდევ ერთი, სისტემაში, მესამე, წყალსაცავი, სულ დაახლოებით. 15 მლნ ენბერი მეტრი სასარგებლო მოცულობით.

მთლიანად წინასწარ პროექტში ნახევნებია, რომ მდინარე იორის მისი ჩამონადენის ზემოთ აღწერილი სამი წყალსაცავით დარეგულირების შემთხვევაში შეეძლო მიერჭყობა 107 ათასი ჰექტარი ფართობი, რომელიც ძირითადად ისეთი ტენისმოყვარე კულტურებით იქმნებოდა დაკავებული, როგორცაა ბოსტნეული, ბაბა, იონჯა, ზეხილი, მეორე მხრით, ბუნებრივ პირობებში ეს მდინარე 25 ათას ჰექტარს მიწაზე მეტს ვერ მორწყავდა. ენერჯეტიკას რომ თავი დაეკანებოთ, ამ იორი ციფრის დაპირისპირებითაც ნათელი ხდებოდა სამგორის საირიგაციო სისტემის უპირატესად დიდი სახალხო-სამეურნეო ეფექტანობა.

წინასწარ პროექტში გაანგარიშებებით საბუთდებოდა თუზისი იმის შესახებ, რომ 80,9 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვა „თბილისიდან შიგნით კახეთამდე“ განლაგებულ ტერატორიაზე, რომლის საერთო ფართობი 197,5 ათას ჰექტარს უდრის, შეეძინდა პირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეკონსტრუქციისათვის მთელ ამ რაიონში. საირიგაციო სისტემის აგების უმნიშვნელოვანესი შედეგი იქნებოდა 70 ათასზე მეტი ჰექტარი მანამდე დაუშვამებელი მიწის სასოფლო-სამეურნეო ათვისება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეკონსტრუქცია მომავალი საირიგაციო სისტემის ზონაში პროექტით ნათლად გამოხატულ საგარეუბნო ხასიათს ატარებდა. ზონას ეკისრებოდა თბილისის ბოსტნეულით, ხი-

ლით, ყურძნით და, განსაკუთრებით, მეცხრეულობის პროდუქტებით მომარაგების გვეერთად გაუმჯობესების ამოცანა **სისტემის**

სამგორის მთელი საირიგაციო სისტემის ღირებულება წინასწარი ნუსხით მაშინ მოქმედი ფასებით განაზღვრული იყო 52 მილიონი მანეთით, საიდანაც 12 მლნ მანეთი ჰიდროელექტროსადგურების ძალური კვანძების ღირებულებაზე მოდიოდა. მაგრამ პროექტის ავტორი შესაძლებლად თვლიდა ჰიდროსადგურებზე დამატებით ვადაეტანა 10 მილიონი მანეთი ზემო მაგისტრალური არხისა, და სიონის წყალსაცავის ღირებულებიდან. ამ შემთხვევაში სამგორის საირიგაციო სისტემის საერთო ღირებულების 42% წინასწარი ნუსხით ენერჯეტიკას ეკისრებოდა, რაც თვით სარწყავი ობიექტებს მნიშვნელოვნად აიავებდა.

წინასწარი პროექტის იმ ნაწილში, რომელიც სამშენობო ორგანიზაციის გვეგას შეეხებოდა, ნაჩვენებია იყო, რომ სიონის კახალის პოლემის წესით აგებას მოსაშაადებელ პერიოდთან ერთად 7 წელიწადი დასჭირდებოდა. ამით განისაზღვრა სამგორის მთელი საირიგაციო სისტემის მშენებლობის ვადებიც: დაწყება — 1930—1931 წელს, დამთავრება — 1936-1937 წელს.

სისტემის ძირითადი ობიექტებიდან პირველ რიგში უნდა აგებულიყო ზემო მაგისტრალური არხი სათავით და თბილისის წყალსაცავი, რომლებიც ექსპლოატაციაში შედიოდნენ 1933 წლის რწყვის სეზონისათვის. 1934 წლის გაზაფხულისთვის მთავრდებოდა ქვემო მაგისტრალური არხი, 1936 წლის გაზაფხულისათვის — საღალა-მულანლოს არხი. 1937 წელს მწყობრში დგებოდა მარცხენა ნაპირის არხი ვაკე-ნაომირის შექანიკური სარწყავი დანადგართა და სათანადო ქსელით. სიონის წყალსაცავი ნაწილობრივ შედიოდა ექსპლოატაციაში 1936 წლის გაზაფხულისათვის, ხოლო 1937 წელს მთლიანად წყლით უნდა აცხებულყო მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული ფართობების გასარწყავება იწყებოდა 1933 წელს და 1937 წელს მთავრდებოდა.

უნდა ვთქვათ, რომ ზემო მაგისტრალური არხის დამთავრების მომენტისათვის ივარაუდებოდა ჰიდროელექტროსადგურებს სექსპლოატაციოდ ვადაცემა.

ასეთია ზოგადად სამგორის საირიგაციო სისტემის პეტრე მარხაშვილის მიერ 1928-1930

1 მონაცემები სამგორის სარწყავი სისტემის სქემებისა და წინასწარი პროექტის შესახებ, რომლებიც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოში 1925-1930 წლებში შემუშავდა, ამოღებულია სამგორის პროექტის მასალათა 1 ტომიდან (ინახება „საქწყალ-პროექტის“ ტექნიკურ არქივში)



წლებში შემუშავებული წინასწარი პროექტი, რომელიც მისი ავტორის დიდ საინჟინრო შე-

მოქმედებით ნიჭზე და იმეფით მუშაობისუნარიანობაზე მეტყველებს.

გრიგინაშვილი  
გინგორიძე

### 5. ზემო სამგორის კომპლექსისა და სიონის მუშაობის კვლევა

სამგორის საინჟინრო სისტემის მშენებლობა შევიდა სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლეულში, რომლის მიხედვითაც ის 1936 წელს იწყებოდა და შემდეგ ხუთწლეულში მთავრდებოდა. 1937 წლის სისტემის მოქმედების ზონაში 17 ათასი ჰექტარი მიწა უნდა გასარწყავებელიყო. სამგორის მიდროვულტროსადგურებზე ხუთწლიან გეგმაში არაფერია ნათქვამი. როგორც ვერცხვა, მათი აგებაც მეორე ხუთწლეულის მომდევნო პერიოდისათვის გადაიდო.

1933 წლის 26 სექტემბერს სამგორის სარწყავი სისტემის მამარაძისეული წინასწარი პროექტი ზემო სამგორის ფარგლებში დაზუსტებული სახით დამტკიცდა სსრკ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოში, ამრიგად მშენებლობა პროექტით უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ მეორე ხუთწლეულში მისა დაწყება არ მოხერხდა რესურსებში კვეყანას ამის შესაძლებლობა არ მისცა.

მესამე ხუთწლეულისათვის სსრკ XVIII ყრილობამ დააყენა საგნებით კონკრეტული ამოცანა „ინჟინერისა და მელორაციის სახით დამთავრებულ იქნას მსხვილი საინჟინრო და ამოსასრობი მშენებლობის სამუშაოები: ვახში, კოლხეთი, ნევინიამისკის არხი, მურღაბის ოაზისი. დაწყებულ იქნას სარწყავი სისტემის მშენებლობა ვოლგისკეთა მხარეში“<sup>1</sup> მასხასადამე, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა მესამე ხუთწლიან გეგმამის სრულებითაც არ მოხვდა. მიუხედავად ამისა, იგი დაიწყებული არ ყოფილა. 1940 წლის შემოდგომაზე საკავშირო მთავრობის დაავლებით დაიწყო სამგორის ირგვლივ არსებული საპროექტო-საპრობო მასალების შესწავლა. 1941 წლის იანვარში სსრკ ელექტროსადგურების საინჟინტროს მთავარი ინჟინერ-გამგებმა ამასთან დაკავშირებით საქართველოში მოაგვინა ორი ცნობილი საბჭოთა ჰიდროტექნიკის პროფესორები მ. მ. გრიშინი და ვ. ა. მიხაილოვი, საპროექტო მასალებს გაეცნობისა და სისტემის ძირითადი ობიექტების განლაგების ადგილის

დათვალერების შემდეგ მ. გრიშინმა და ა. მიხაილოვმა მშენებლობის საკითხზე საერთოდ დადებითი დასკვნა გამოიტანეს. ამასთან მათ საჭიროდ სცნეს ჩატარებულყო წყალსამუშაოთა განგაროშებები თბილისისა და სიონის წყალსაცავების ერთობლივი მუშაობის ოპტიმალური რეჟიმის გასარკვევად, ხოლო შემდეგ ამ განგაროშებათა ბაზზე მშენებებელიყო ზემო მაგისტრალური არხის ტექნიკური პროექტი და ჰიდროსადგურების საპროექტო მოცემულობები. მთელი ეს მუშაობა, ექსპერტების აზრით, შეიძლებოდა რამდენიმე თვეში დამთავრებელიყო, რათა 1941 წლის მეორე ამ მესამე კვარტალში დაწყებულიყო თვითონ მშენებლობა.

ექსპერტები თავიანთ დასკვნაში წინადადებას იძლეოდნენ ჩატარებელიყო აგრეთვე დამატებითი საძიებო და აგეგმვითი სამუშაოები იმ ანგარიშით, რომ 1942 წლის 1 აპრილისათვის დამთავრებელიყო საინჟინრო სისტემის დანარჩენი ობიექტებისა და არხზე ისაგებებ ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური პროექტების შედგენა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მ. გრიშინმა და ვ. ა. მიხაილოვმა პირველებმა მოთითეს სიონის წყალსაცავის მოღვეის წესით აგების მიზანშეუწონლობაზე, რაც მ. მამარაძის პროექტით იყო გათვალისწინებული. მონაღვეი კამხალის აგება ისეთი გრუნტის ბირთვით, რომლის შემადგენლობაში 65-70% მსხვილი (10-20-მილიმეტრისანი) კენჭია, შეუძლებელია, — ნათქვამია დასკვნაში. — საეჭვოა უბრალოდ კამხალიც: საეჭვოა, საერთოდ, მიღებში წყლით ისეთი გრუნტის ტრანსპორტირება, რომელიც თბილისის მთლიანად მსხვილი კენჭისაგან შედგება.<sup>2</sup> სიონის წყალსაცავის საბოლოო პროექტის შედგენისას კამხალის მოღვეის წესით აგება საპროექტო ორგანიზაციამ მართლაც უარყო.

1941 წლის 10 იანვარს საქართველოს სსრ ხელმძღვანელებმა ორგანიზებმა განიხილეს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის საკითხი და სთხოვეს საკავშირო მთავრობას დაეავებინა სათანადო სახალხო კომისარიატებისათვის შედგომოდნენ სამგორის კომპლექსის მშენებლობას 1941 წელს იმ ანგარიშით, რომ იგი 1946 წელს დამთავრებულიყო. სსრკ მთავრობამ

<sup>1</sup> Второй пятилетний план развития народного хозяйства СССР, М., 1934, т. I, стр. 644, т. II, стр. 549.

<sup>2</sup> სესია, ფონდი 591, ს. 161, ფ. 40.

<sup>3</sup> КПСС в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК, ч. III, стр. 366.

<sup>1</sup> იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, ს. 11651, ფ. 1-10.

შეამდგომლობა დააკმაყოფილა, მაგრამ მან მისწავლეს იმის დასაბუთება, რომ სენო მშენებლობა მიწათმოქმედების და ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატების შორის განეწილებინა და იგი მილიანად ერთ ორგანიზაციას დაეკისრა.

ამრიგად, სამგორის მორწყვის გრძელი ისტორიის მქონე პროექტი განხორციელების რეალურ გზაზე დადგა, მაგრამ ჩვენს სამშობლოზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის გამო სისტემის მშენებლობის პრაქტიკულად დაწყება მაშინაც არ მოხერხდა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ ხელმძღვანელმა ორგანიზებმა ზემო სამგორის კომპლექსის მშენებლობა რუსულბელკაში ერთ-ერთ მთავარ სამეურნეო ამოცანად მიიჩნიეს და მიადრინეს იმას, რომ საკავშირო ორგანიზებმა იგი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიან გეგმაში შეიტანეს.

პრაქტიკულად განხორციელებისათვის სამგორის სარწყვით სისტემა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო სამგორად გაიყო. პირველ რიგში შენდებოდა ზემო სამგორი. ამ ტიტულით გადიოდნენ სიონისა და თბილისის წყალსაცავები, ზემო მაგისტრალური არხი სათავით და სამი პილაროელექტროსადგურით, ქვემო მაგისტრალური არხი, რომელიც თბილისის „ზღვიდან“ იწყებოდა. ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის მშენებლობის საკითხი სსრკ ხელმძღვანელ ორგანიზებში 1946 წლის მარტში გადაწყდა. ზემო მაგისტრალური არხის 20-კილომეტრიანი ნაწილის, მისი სათავე ნაგებობის და არხის ვარდნილებზე პილაროელექტროსადგურების მშენებლობა სსრკ ელექტროსადგურების სამინისტროს დავებულა. ყველა დანარჩენი ობიექტებსა, სიონის წყალსაცავის გამოკლებით, — სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სამინისტრო ააშენებდა სიონის წყალსაცავს, მისი პროექტის შედგენის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო.

ზემო სამგორის აგება 30-იანი წლების დამდგენისათვის შედგენილი და დამტკიცებული პროექტით უკვე აღარ შეიძლებოდა. უნდა შემუშავებულიყო ახალი პროექტი, რომელიც პილაროელექტროსადგურებისა და მშენებლობის პრაქტიკის უკანასკნელ მიღწევებს უკავსებდა. ამის გამო სამგორის საირიგაციო სისტემისა და მის ზემო მაგისტრალურ არხზე ასევე პილაროელექტროსადგურების ირგვლივ 1946 წლის ივლისისათვის არსებული საპროექტო-საძიებო მასალები დამტკიცდა, როგორც საპროექტო მოცემულობა. 1946 წლის შემოდგომიდან კი დაიწყო მათი ტექნიკური პროექტის შედგენა. სამუშაოს ორი საპროექტო ორგანიზაცია ასრულებდა: ზემო მაგისტრალური არხის და მისი

სათავე ნაგებობის, თბილისის წყალსაცავისა და ელექტროსადგურების პროექტებს ამუშავებდა პილაროელექტროსადგურების თბილისის ვაჟკაოფილბა, ყველა დანარჩენი ობიექტების პროექტებს — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუტი საქსახწყალპროექტა.

პილაროელექტროსადგურების, ზემო მაგისტრალური არხის, მისი სათავეს და თბილისის წყალსაცავის ტექნიკური პროექტები სათანადო სამინისტროებმა განიხილეს და დამტკიცეს 1947 წლის ივნის-აგვისტოში, ქვემო მაგისტრალური არხისა და მთელი დანარჩენი ქსელისა — 1950 წლის აპრილში, სიონის წყალსაცავისა — 1952 წლის აპრილში.

რამდენიმე სიტყვა სიონის წყალსაცავის პროექტის შესახებ.

სამგორის საირიგაციო სისტემის ტექნიკური პროექტის ყველა ნაწილი რელიეფის, ადგილის, გეოლოგიური პირობებისა და ნაგებობათა დანაშნულების თავისებურებათა გამო ძნელი შემუშავებელი იყო და შემდგენელთაგან ფართო ცოდნისა და შემოქმედებითი გაჭიანჭვის მოთხოვნა. მაგარა სისტემის ობიექტებში საპროექტო გადაწყვეტათა სირთულეთა და უჩვეულო ხასიათით გამოირჩეოდა სიონის წყალსაცავი. იმ დროს საბჭოთა პილაროელექტროსადგურებს არ გააჩნდა მიწის შალაი კაშხალების პროექტირებისა და მშენებლობის საქმეების გამოკიდობა. სსრ კავშირში პირველი ასეთი კაშხალი — მინგეჩაურისა, რომელიც, მართალია, თავისი განზომილებებით სიონისა აღემატებოდა, მაშინ მხოლოდ დამპროექტების სტადიაში იმყოფებოდა. ამასთან ბარში განლაგებული მინგეჩაურის საშენებლო პირობები მეტწილად განსხვავებულდნენ მაღალმთიანი სიონის პირობებისაგან.

ჩვენი ქვეყნისათვის ჯერ კიდევ ახალი დიდი ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებული ყველა სიძნელის მიუხედავად, ინსტიტუტ საქსახწყალპროექტის კოლექტივმა წარმატებით დასძლია სიონის წყალსაცავის დამპროექტების ამოცანა. აქ პირველყოფილი და დამსაბურვება მიუძღვით პროექტის მოვარ ინჟინერს შ. ახალკაცს და მოვარ გეოლოგს ს. ელერდაშვილს, რომლებმაც უზრუნველყვეს სიონის კაშხალის განლაგების ადგილის ზედმიწევნით გამოკვლევა და შესწავლა და მისი აგებისათვის სპიკორ გურტყების გამოხატვა. ინჟინერ შ. ახალკაცის ხელმძღვანელობით შემუშავდა კაშხალის კონსტრუქცია, განისაზღვრა მისი პროფილი და განზომილებები იმ ანგარიშით, რომ მომავალ წყალსაცავს ჰქონოდა 325 მილიონი კუბ. მეტრი წყლის ტევადობა, აქედან სასარგებლო — 300 მილიონი კუბ. მეტრი. დამპროექტებულთა კოლექტივის დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-

დემიის გეოფიზიკისა და სამშენებლო საქმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, სსრკ ელექტროსადგურების სამინისტროს თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის ინსტიტუტმა და სხვა ორგანიზაციებმა, რომლებმაც შესარჩულეს სიონის კაშხალის დამროექტებისათვის აუცილებელი ზოგადრთი სპეციალური სამუშაო.

მოსკოვში ფრიალ ავტორიტეტულმა და მომთხოვნმა ექსპერტიზამ აღნიშნა სიონის წყალსაცავის „საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუტის საქ. სასწავლაროექტის მიერ წარდგენილი საპროექტო-საინჟინერო მასალების მთლიანი ხარისხით, ამ შეფასებამ გამოხატულება ჰპოვა, აგრეთვე, სსრკ სოფლის მეურნეობისა და ელექტროსადგურების სამინისტროების საერთო დადგენილებაში პროექტის დამტკიცების შესახებ. სიონის კაშხალის ასე მალე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე დამროექტებით ინსტიტუტ საქსაწყალბროექტის კოლექტივმა ნამდვილად გამოამყვანა თავისი მომწიფებულობა და დიდი შემოქმედებით პროექტისა.

სათანადო მომზადების შემდეგ 1947 წელს სამშენებლო ორგანიზაციები შეუდგნენ კომპლექსის ძირითადი ობიექტების აგებას. პირველ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები გაიშალა ზემო მაგისტრალური არხზე, წყალმღებ კაშხალზე სოფელ პალდოსთან და თბილისის წყალსაცავზე. ამ ობიექტებზე ყველაზე რთულ სამუშაოებს ტრესტი ზრამქსმშენი ასრულებდა. ზემო მაგისტრალური არხის იმ უბანზე, რომელიც ამ ტრესტს უნდა აეგო, მოდიოდა გვირაბები 7 874 მეტრი საერთო სიგრძით, 1 დახურული არხი, 1 დიდი დოქერი, 1 აკვედუცი, 2 სწრაფდენი და ბეჭაი სხვა ხელოვნური ნაგებობა. ასაშენებლად მეტად რთული ობიექტი იყო კაშხალი სოფელ პალდოსთან. ყველა ამას უნდა დაემტროს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რაც ეკოლოგიის სერიოზული ტექნიკური სიძნელეების დაძლევის მოითხოვს.

ზრამქსმშენის ჰიდროტექნიკური მშენებლობის დიდი გამოცდილება ჰქონდა და ეჭვი არ იყო, საქმეს თავს გაართმევდა. მის ზრამის ნაპირებიდან თანდათან ვადმოწყვდა სამგორში ვიკ მუშენებისა და ინჟინრების ცალკეული ჩვენებები. შემდეგ კი მთელი სამშენებლო უბნები თავისი კადრებითა და აღჭურვილობით. მაგრამ პირველ წლებში მშენებლობა მაინც მეტად ნელი ტემპით მიდიოდა წინ. საქმეს ის არის, რომ იმ ხანებში სსრ კავშირის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში მიმდინარეობდა არნახული მასშ-

ტაბის სამუშაოები გერმანული ოკუპანტების მიერ დაზარებული მეურნეობის აღსადგენად, რაც ქვეყნის ძალბობა და რესურსების სწრაფად დაიბრუნებას მოითხოვდა. ამის გამო სამშენობის მშენებლობას, ისევე როგორც ბევრ სხვა ახალ სამშენებლო ობიექტს საბჭოთა კავშირში, შემოკლებული გეგმები უწესდებოდა და სწორედ ამიტომ 1947-1948 წლებში სისტემის ზემო მაგისტრალური არხის, სათავეს ნაგებობათა კანძისა და ელექტროსადგურების მშენებლობამ სათანადო გეგმება ვერ მიიღო.

მაგრამ ობიექტის მშენებელ კრილობებს ქვეყანა სწრაფად იმუშებდა. მეოთხე ხუთწლეულის მესამე წლის დამლევისათვის მისმა სახალხო მეურნეობამ ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ უკვე შეიძლებოდა ახალმშენებლობებსაც საჭირო ყურადღება მიექცოდა. ეს ვითარებას წინასწარ ხელშეწყობდა ორგანიზებმა და 1948 წლის 22 დეკემბერს საკავშირო მთავრობამ შემდეგი წერილით მიმართეს.

„ზრამისა და სოხელის ჰიდროელექტროსადგურების მოედნებზე ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ სსრკ ელექტროსადგურების სამინისტროს საქართველოში დარჩა ერთადერთი მსხვილი მშენებლობა — სამგორის ჰიდროსადგურების ჩვენება, რომელთა აგება დაკავშირებულია უშუალოდ თბილისთან მდებარე სამგორის ტრამალების მორწყვასთან. მაგრამ მოუხედავად იმისა, რომ სამინისტროს რესპუბლიკაში აქვს მძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია — ზრამქსმშენი, მუშაობა სამგორის ჰიდროსადგურების ასაშენებლად არაღამაკმაყოფილებლად მიდის. 1948 წელს მშენებლობას გამოეყო მხოლოდ 10 მილიონი მანეთი, მათგან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის — 6 530 ათასი მანეთი.

მშენებლობა ცუდად მარადდება ფონდირებული მასალებით, მექანიზმებით და სატრანსპორტო საშუალებებით. საქმარისთა ითქვას, რომ საჭირო 10 ათასი კუბური მეტრის ნაცვლად სამგორის ჰიდროსადგურების მშენებლობამ მიმდინარე წელს მიიღო 582 კუბური მეტრი ხეტეტი, კემენტის, 1500 ტონის ნაცვლად — 453 ტონა... მშენებლობას სულ აქვს 13 ავტომანქანა, აქედან მთავრის ნახევარი უმოქმედოდ დგას რუზინის უქონლობის გამო.

გასაგებია, რომ ასეთი სრულიად არასაკმაო დაფინანსებისა და მომარაგების პირობებში შეუძლებელია სამუშაოთა გაშლა და არამდინარე შესამჩნევი შედეგების მიღწევა მშენებლობაზე, რომლის საფუძვლი ღირებულება 213 მილიონ მანეთის უდრის.

სსრკ მთავრობის გადაწყვეტილებით, სამგორის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მიმდინარე ხუთწლეულში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ახლა მდგომარეობა ისეთია, რომ

1 მონაცემები სიონის წყალსაცავის პროექტის შემუშავებისა და დამტკიცების ირგვლივ აღებულია ოფიციალური მასალებიდან (იხ. საქ. სასწავლაროექტის ტექნიკური არქივი, ს. 59).

ამ ვადის დაკვა უკვე აღარ შეიძლება. აუცილებელია სამშაობო პროგრამის გადართვა და მშენებლობის მომზადების გაუმჯობესება, რათა 1951 წელს მიიწვი ვაიშვას წყალზე შემო მავისტრალური არხით თბილისის წყალსაცავისა და საექსპლუატაციოდ გადაეცეს არხზე დაპროექტებული ჰიდროსადგურების პირველი აგრეგატები.

გთხოვთ დაავალოთ სსრკ საგეგმო კომისიას, მომზადების კომიტეტს და ელექტროსადგურების სამინისტროს:

ა) დააწესონ 1949 წლისათვის კაპიტალური დამანდებები სამგორის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე 60 მილიონი მანეთის თანხით 1945 წლის სანდსხო ფასებით;

ბ) გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომზადების გეგმაში 1949 წლისათვის სამგორის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის სრული უზრუნველყოფა მექანიზმებით, სატრანსპორტო საშუალებებით და ფონდირებული საშენი მასალებით სამშაობო პროგრამის შესაბამისად.

ამასთან გაეცნობებოდ, რომ ჩვენი უყვალა ზომის მიყოლებით სამგორის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის უზრუნველსაყოფად მუშაბულით და იდგელობრბიე საშენი მასალებით<sup>1</sup>.

წერილთან დაკავშირებით სსრკ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით გადაწყდა სამგორის ჰიდროსადგურების ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხი. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ კაპიტალურ სამშაობოთა გეგმა 1949 წლისათვის მშენებლობას დაეწესდა 45 მლნ მანეთის მოცულობით წინა წლის 10 მლნ მანეთის ნაცვლად. ამით იწუებოდა გარდატეხა სამგორის ჰიდროსადგურების ასაგებ სამშაობოთა დაფინანსებაში. ამავ დროს მშენებლობას დიდი რაოდენობით გამოეყო საშენი მასალები, სატრანსპორტო საშუალებები, მექანიზმები, საწვავი, გადაწყდა აგრეთვე სადგურების ძირითადი მოწყობილობის დაცვეთის საკითხი.

სსრკ მთავრობის მიერ გაწეული დახმარების შედეგად 1949 წელს ხრამქსმშენმა შესძლო სამშენებლო სამშაობოთა გაშლა სამგორის ჰიდროსადგურების დერეიციის თითქმის მთელ ტრასაზე და სათავის კანძზე სოფელ პალდოსთან. ამ წელს მშენებლობაზე კაპიტალდამანდებათა თვისებამ შეადგინა 45 მილიონი მანეთი 1945 წლის სანდსხო ფასებით.

სამშენებლო სამშაობები კიდევ უფრო მალე ტეპებით წარმოებდა 1950 და 1951 წლებში. სულ 1949-1951 წლებში მშენებლობაზე შესრულდა (ათას კუბ. მეტრებით): მიწის საშუ-

შაობები — 1 123, კლდის სამშაობები — 146, გვირაბის გამოტეხა — 133, ბეტონისა და რკინაბეტონის სამშაობები — 196.

1949 წლის დამდგენად მშენებლობის ტექნიკის ამალელებით ტრესტმა საქპროექტინგოპშენმა (შეიქმნა ხრამქსმშენის ბაზაზე 1951 წელს) შესძლო 1951 წლის ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის მთლიანად დაემთავრებინა სათავის კანძის და ზემო მავისტრალური არხის საწყისი 20-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა გვირაბებითა და სხვა რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობებით და მოეშაბდებინა ისინი თბილისის წყალსაცავისა და წყლის გასამშენებლად.

ამ დროისათვის მონტაჟის დასაწყებლად მზად იყვნენ აგრეთვე საცხენისის და თეთრიხევის ჰიდროსადგურების ძალური კვანძები. მაგრამ მოწოდებულმა ქარხნებმა ვერ დაიცვეს მთავრობის მიერ ჰიდროსადგური მოწყობილობის დაზადებისათვის დაწესებული ვადები. ამის გამო ჰიდროსადგურები საექსპლუატაციოდ გადაეცა დღევანდებით — 1952 წელს.

მალაკალიციური ზღამდგანელობისა და ზუსტ ორგანიზაციის მოთხოვნდნენ, აგრეთვე, სამშენებლო სამშაობები ზემო მავისტრალური არხის მეორე ნახევრის ტრასაზე — მდინარე მარტყოფიდან თბილისის წყალსაცავამდე და თვით წყალსაცავზე. ამ ობიექტებს აგებდა საქართველოს სსრ წყალთამეურნეობის სამინისტროს ახალგაზრდა სამშენებლო ტრესტი — სამგორწყალმშენი.

საორგანიზაციო პერიოდისათვის დამზახი-ათებელ სიმძლეოთა დაძლევის შემდეგ სამგორწყალმშენმა ფართო ფრონტით გაშალა სამშენებლო სამშაობები. მაგრამ ტრესტი განიცდიდა მუშახელისა და მექანიზმების ნაკლებობას და ამიტომ მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კოლმეურნეობების მიერ გაწეულ დახმარებას. პარტიული ორგანიზაციების მოწოდებით კოლმეურნეობები ასეულობით გზავნიდნენ თავიანთ წევრებს სამგორწყალმშენის ობიექტებზე ხანგრძლივი დროით სამშაობად. გარდა ამისა, რესპუბლიკის 25 წამყვანი რაიონიდან ეწყობოდა კოლმეურნეთა ერთდროული მასობრივი გასელები სამშაობოთა განსაზღვრული მოცულობის შესასრულებლად სამგორწყალმშენის სამშენებლო უბნებზე. 1949-1951 წლებში ასეთ გასელებში მონაწილეობა მიიღო 50 ათასზე მეტმა კაცმა, რომლებმაც 600 ათასამდე კუბური მეტრი მიწის სამშაობ შეასრულეს<sup>1</sup>.

სამგორწყალმშენს სამშაობოთა შესრულებაში დიდ დახმარებას უწევდნენ თბილისის მშრომელები — მეშენი, მოსამსახურეები, უმაღლესი სისწავლელებისა და სამეცნიერო-კვლევითი

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტ-არქივი, ფონდი 14, ს. 488, ფ. 13-14.

დამწესებულებების კოლექტივები. ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით სიონის სისტემატურად აწყობილენ შაბათობებს სამგორის მშენებლობაზე.

1951 წლის ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის დაამთავრდა ზემო მაგისტრალური არხის მეორე უბნის და თბილისის წყალსაცავის აგება. იმავე წლის 3 ნოემბერს დღის 3 საათზე დაიწყო პალდოს კაშხლის ფარები და იორმა პირველად შეიკვალა თავისი მდინარეა. ის ჯერ სამხრეთისაკენ წავიდა, შემდეგ კი აღმოსავლეთისაკენ — თბილისის მიმართულებით. 4 ნოემბერს შეადგინეს იორის წყალმა თბილისის წყალსაცავს მოაღწია. აქ მას უჩვეულო შეხვედრა მოუვლიდა. 150 ათასზე მეტი თბილისელი და სოფლის რაიონების წარმომადგენელი მონაწილეობდა მლაშე ტბების ზრიოყ აუზში „თბილისის ზღვის“ დაბადების აღსანიშნავ ზეიმში. „ამ დღეს მომავალი „თბილისის ზღვა“, — წერდა 1951 წლის 6 ნოემბერს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, — წარმადგენდა ზღვას, აღმართა ევებრათელა ზღვას, რომელიც ფართოდ გაშლილიყო ქაბულის ფსკერზე“.

საქართველოს კ(მ) ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პიტაკში, რომელიც 1951 წლის 5 ნოემბერს საკავშირო კ(მ) ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მთავრობას გაუგზავნა, ვითხოვლობთ:

„...ეიროს, 4 ნოემბერს შედგა სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის საზეიმო გახსნა და დაიწყო თბილისის წყალსაცავის აგება. 42-კილომეტრიანი არხის ტრასაზე, რომელიც ღრმა ხეობებით დასერილ მთავარიან ადგილებში გადის, აგებულია რთული სიონური ნაგებობები: გვირაბები — 8,7 კილომეტრი, დიქერები და აკვედუკები — 2,3 კილომეტრი, სწრაფდენები — 1,8 კილომეტრი. არხის სათავე-ნაგებობა — საშალი რკინაბეტონის კამარით მდინარე იორზე ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. რთული ნაგებობაა თბილისის წყალსაცავი ორი მიწის და ორი ბეტონის დიდი კამხალით.“

მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის სამგორის მშენებლების მიერ შესრულებულია 4 800 ათასი კუბ. მეტრი მიწის სამუშაოები, 125 ათასი კუბ. მეტრი გვირაბის გამოტეხა და დაწყობილია 285 ათასი კუბ. მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი.

სამგორის მშენებლობაში შრომითი მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონების უმრავლესობამ...

სამგორის სარწყავი სისტემის — ჩვენს ქვეყანაში აქ ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაგებობის — პროექტი შედგენილია რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციაში ადგილობრივი მპეციალისტების ძალებით...

წარმატებით დაამთავრეს რა სამუშაოთა პირველი ეტაპი, სამგორის მშენებლები მთელ თავის ძალებს მოუყრიან თავს ქვემოქმედებაზე რთული ნაგებობის — სიონის წყალსაცავის მშენებლობაზე“.

სამგორის სისტემის ზემო მაგისტრალური არხში წყლის გასაშვებად საჭირო შეიქმნა კომპლექსის პროექტით გათვალისწინებული მიწისა და კლდის სამუშაოების მთელი მოცულობის დაახლოებით 21%-ის და ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოების 37%-ის შესრულება.

ამრიგად, თბილისის წყალსაცავის აგება დაიწყო 1951 წლის 4 ნოემბერს. მაგრამ ის დიდხანს გრძელდებოდა. მხოლოდ 1954 წლის პალდოს მიაღწია წყალსაცავში წყლის დონემ 547 მეტრის ნიშნულს, რაც ნორმალური შეტბორვის პორიზონტზე 1 მეტრით კიდევ დაბალი იყო. ზემო მაგისტრალური არხის საანგარიშო ხარჯი — წამში 13 კუბური მეტრი — უზრუნველყოფდა წყალსაცავის ავსებას 1 წელიწადზე ნაკლებ დროში. მაგრამ მდინარე იორის დაურეგულირებელი ჩამონადენი სრულდებათაუ არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ არხს წლის განმავლობაში მთელი გამტარუნარიანობით ემუშავა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებდა სიონის წყალსაცავის უმოკლეს ვადაში აგების აუცილებლობაზე. უამისოდ სამგორის კომპლექსის მუშაობა ეფექტური არ იქნებოდა.

მაგრამ სიონის ჰიდროკვანძის პროექტის შედგენის 5 წელზე მეტი დრო მოუწია. ამის გამო კვანძის მშენებლობა დიდი დაგვიანებით — 1951 წლის მეორე კვარტალში დაიწყო. საკავშირო მთავრობამ სიონის წყალსაცავის აგებაზე სსრკ ენერჯეტოსადგურების სამინისტროს დაავალა და მისი დამთავრების ვადად 1953 წელი დაუნიშნა. სამინისტრომ თავის მხრით ეს სამუშაო დაკისრა ტრესტ საქმიდროენერგომშენს, რომელიც სათანადო მომზადების შემდეგ 1952 წლის მეორე კვარტალში შეუდგა წყალსაცავის ძირითადი ობიექტების მშენებლობას. 1953 წლის 1-ლ იანვრისათვის სიონის მშენებლობამ ათწილსა 59 მლნ მანეთი 1950 წლის ფსებით, რაც ჰიდროკვანძის მთელი სანუხსო ღირებულების 13%-ს შეადგენდა.

ტრესტი თანდათან ამოღებდა მშენებლობის ტემპებს. მან ყველაფერი მოამზადა მიწის კამხალის აგების დასაწყებად, მაგრამ 1953 წლის მარტში უეცრად მიიღო განკარგულება მშენებ-

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 14, ს. 331, ფ. 77-78.

2 საქმიდროენერგომშენის არქივი, სიონის წყალსაცავის კონსერვაციის მსახულის, საქმე, ფ. 97.



ლობის კონსერვაციის შესახებ. ამ დროისათვის წყალსაცავის მშენებლობზე გაწეული დანახარჯების თანხა უკვე 80 მლნ მანეთს აღემატებოდა და იგი ჰიდროკვანძის მთელი სანტსმო ღირებულების თითქმის 17%-ს უდრიდა. უკვე აშენებული იყო მშენებლებისათვის საცხოვრებელი სახლები 18 233 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, საავადმყოფო, სკოლა, სახავ-შეო ზალი, კლუბი, სასადილოები, აბანო-სამრეცხო და სხვ. საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობათაგან 1953 წლის 1 აპრილისათვის დამთავრებული იყო: 35-კილოვოლტაჟიანი ელექტროგადამცემის ხაზი საქუნენის — სოონი 41 კილომეტრის სიგრძით, 2 ბეტონის ქარხანა, 2 ავტობუსი 200 ავტომანქანისათვის, ავტობრო-ფილაქტორი, ცენტრალური სარემონტო, სა-აპარტერო და შეფიცრულის სახელოსნოები, 26 კილომეტრის სიგრძის მისასვლელი გზები, თათების ყველა შიგა გზები სამშენებლო მოედანზე, სხვადასხვა სასაწყობო სათავსოები. ყველაფერი ეს დამთავრების სტადიაში მყოფი შენობა-ნაგებობებთან ერთად უზრუნველყოფდა ჰიდროკვანძის ასაკებ სამუშაოთა სრული ფრონტით გამოს.

მედნივი ნაგებობებიდან ამ დროისათვის მთავრდებოდა წყალსარინი გვირაბის მშენებლობა: მისი მთელი სიგრძე 690 მეტრის უდრიდა, აქედან მზად იყო 559 მეტრი, ანუ 81%. წარმოებდა ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები წყალმიღებზე და მიწისა და კლდის სამუშაოები წყლის ენერგიაშემკრებზე. დასასრულს უახლოვდებოდა კაშხლის მარჯვენა ნაწილის ფუნის გაწმენდა.

წყალსაცავის აუზიდან უკვე გადასახლებული იყო ყველა 9 სოფელი 337 კომლით. შენობებისა და მრავალწლიანი ნარგავების ღირებულების ასანაზღაურებლად ამ კოლმეურნოებებსა და კოლმეურნებს ჰიდროკვანძის ნუსხიდან ფასების ძველი მასშტაბით 10 მლნ მანეთზე მეტი თანხა მიეცათ.

ეს არის ამ ძეგლის არა ავთოგრაფიული მოდელი და მისი მაღალი მხატვრული ღირსება. მართალია, „შეშინაიის მარტივობა“ ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ძეგლია, მაგრამ მასში ნიშანწვლი არაა იმისა, რომ ამ ძეგლით იღვამდეს ფეხს ჩვენი მწერლობა. ეს არის არა საწყისი, არამედ განვითარების მაღალი საფეხური და ეს უღინდება ნაწარმოების როგორც არტიკულარიაში, ისე თხრობის მიმზღველობასა და ბუნებრიობაში, როგორც სახეების გამოძერწვაში, ისე მაღალ პოეტურ ეკლტურაში, როგორც ავტორის ფართო ზედვაში, ისე სიტუაციებისა და სურათების რელიეფურად გამოყვეთაში. საშეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ეს ოსტატობაა გამოვლენილი. ამის შემდეგ გავვატიკიცა რწმენა იმისა, რომ ეურტაველი აღზრდილი იყო მდიდარი ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებზე.

ჩვენ აღვინშნით, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილი ქართული ანბანის წარმოშობას მიაკუთვნებდა მეშვიდე საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

რა მონაცემები ჰქონდა, საიდან გამოიტანა ეს დასკვნა?

როგორც ცნობილია, ეს დასკვნა ჩვენმა მკვლევარმა ვაკეთა ბოლნისის სიონის წარწერების გაანალიზებით. კერძოდ ამ წარწერების მაღალი პალეოგრაფიული დონე მაუწყებელია იმისა, რომ ანბანის განვითარების ასეთი საფეხურის მიღწევას დასწორდებოდა მრავალი საუკუნე. „შეშინაიის მარტივობის“ მაღალმხატვ-

რული დონეც მაუწყებელია იმისა, რომ მწერლობის განვითარების ასეთი საფეხურის მიღწევას დასწორდებოდა მრავალსაუკუნეანალიტიკატურული ტრადიცია.

ასე რომ, არსებული უდავო ფაქტის ანალიზი იძლევა საშუალებას სავაჩაუდლო ფაქტის დაშვებისა.

საერთოდ, როგორც ცნობილია, მეცნიერულმა შეშეცნებამ იცის არა მარტო ხილული, დადასტურებული ფაქტები, არამედ ე. წ. ფარული ფაქტები, რომელთა არსებობა ივარაუდება სხვა ცნობილი ფაქტების საფუძველზე.

ახლა საზეგმოდანალოებშიც აღვინშნულია, რომ ინვალისულ ფიზიკოსმა დირეკტორმა პოზიტრონების არსებობა მანამდე დადასტურა, სანამ ის ექსპერიმენტულად იქნებოდა მიღებული.

ლევტარემ უდავოდ არსებული ფაქტების ანალიზის საფუძველზე ივარაუდა, რომ საყარას გარკვეულ წერტილში უნდა არსებობდეს ჩვენთვის უცნობი პლანეტა: მან, როგორც იტყვიან, კალმის წყერზე აღმოაჩინა პლანეტა. შემდეგ ეს პლანეტა — ნეპტუნი სწორედ იმ წერტილში გაეჭობეგებული ტელესკოპითაც იქნა აღმოჩენილი.

გავიხსენოთ, აგრეთვე, დიდი რუსი მეცნიერის შენდლეევის ვენიალური გამოკვლევა. მან ზოგად კანონზომიერებათა დადგენის საფუძველზე განსაზღვრა იმ ელემენტების ადგილი მის ცხრილში, რომლებიც იმ დროისათვის აღმოჩენილი არ იყვნენ და შემდგომში აღმოჩენამ სავსებით გაამართლა დიდი მეცნიერის ვარაუდი.

მეცნიერება ასეთი ვარაუდების დაშვების გარეშე არ ეთარდება.

ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე მწერლობის ისტორიაში. ნ. მარმა, როგორც ცნობილია, ძველი ქართული საერო მწერლობის წარმოშობაში მიაჩნია პრეპარატიული, წარმართული პოეზიის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა აღორძინებად.

ჩვენც, სხვა ფაქტებთან ერთად, „შეშინაიის მარტივობის“ ანალიზი გვაეარაუდებინებს წინაქრისტიანული ლიტერატურის არსებობას. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე დავიკრებამ. ქართულ ისტორიოგრაფიაში „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის საკითხი ერთ-ერთი რთული და დღემდე საილოზებელი პრობლემაა.

ჯერ კიდევ პროფ. სარგის კაკაბაძე ფიქრობდა, ლეონტი მროველი უნდა იყოს არა ავტორი, არამედ ის პირი, რომელსაც ვარკვეული სარედაქციო სამუშაო უნდა ჩატარებინა. ამ მოსაზრების მიხედვით ლეონტი მროველი წამოვედგება როგორც მხოლოდ რედაქტორი და

აბა ავტორი რომელიმე მონაცემთა მანც.

„ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის პრობლემა მართებულად აქვს გახარებული აკად. ს. ყაუხჩიშვილი: „ამ კრებულის („ქართლის ცხოვრება“, რ. ბ.) წარმოშობა ჩვენ ასე წარმოგვიდგება: როდესაც დაიბადა იმის საკითრება, რომ ჰქონოდათ ერის თავგადასავლის შემცველი წიგნი სკოლაში სახმარ სახელმწიფოებრივად, დაქვემდებარებული ეპოქისათვის დაწერილი მიმოხილვები და საისტორიო ნაშრომები, შეაერთეს ეს უკანასკნელი ისე, რომ მოთხრობა თანმიმდევრული უყოფილოყო და გაუყოფეს საერთო რედაქციით“<sup>1</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ ის მონაცემთა, რომელიც ლეონტი მროველს ეკუთვნის, ერთსახეა ანაა. ვარკვეულ შემთხვევაში ლეონტი მროველი იყენებდა აღრეულ ნაშრომებს, ამუშავებდა მათ და ისტორიის მთლიან სურათს ეძინდა ისე, რომ საერთო თხზულებებთან ერთად იყენებდა აღრეულ ძეგლებსაც. „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს წარმოდგენილი მკვლევარს შ. ბაბიძეს: „არქაული ნაწილი ანონიმურ ნაწარმოებთა კრებულად იქნებოდა წარმოდგენილი და შემთხვევებიდან ჩვენ მხოლოდ ჟანშერის სახელს გვეცოდინებოდა“<sup>2</sup>.

აღრეული საუბრებების ისტორიის წარმოდგენისათვის ლეონტი მროველი, რასაკვირველია, იყენებდა არა ერთ ძველ წყაროს, რომელთა ფრაგმენტებიც შემოგვინახა ჩვენმა სახელთაგანმა მემატიანეშ. პ. ინგოროყვას დაკვირვებით „ჩვენ დრომდე გადარჩენილია“ თითო ფრაგმენტებიც წარმართული ხანის ძველი ქართული მწერლობისა“<sup>3</sup>. და იქვე დასძინს „ლეონტი მროველის თხზულებას ცხადად ეტყობა ვაჟულენა საგმირთ რომანების ეპიქოსისა, რომგორც ირვევა საერო მწერლობას აღრიდაწვე შეუთავსებია ტრადიციები ძველი ფალაური საგმირო ეპოსისა“<sup>4</sup>. ეს მოსაზრება სიესებით დამარწმუნებულად დადასტურა მკვლევარმა გ. მამულაიამ: „ქართლის ცხოვრების წყაროდ „ფალაურის ეპოსის“ ის ვერსია გვევლინება; რომელიც შედარებით ახლოს იდგა ფირდოუსის მიერ ლექსად. ვაწყობდა „ფალაურ ეპოსთან“<sup>4</sup>.

ამრიგად, ექვს არ იწვევს მოსაზრება, რომ

1 „ქართლის ცხოვრება“, 1955 წ., გვ. 07.  
 2 შ. ბაბიძე, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის, „მნათობი“, 1962, № 7, გვ. 178.  
 3 პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 2.  
 4 გ. მამულაია, „ქართლის ცხოვრების“ წყაროს დადგენისათვის, სპ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1969 წ., № 1, გვ. 254.

ლეონტი მროველის თხზულებებში ფრაგმენტების სახით შემორჩენილია აღრეული ძეგლების ექვსკრებულები.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე საგანგებოდ დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ იქ არა მარტო მცირე ფრაგმენტებია შემონახული ამა თუ იმ ძეგლისა, არამედ მასში გვხვდება აღრეულ საუბრებებში შექმნილი მთლიანი ნაწარმოებები, საესებრით დასრულებული სახით. იქნება შთაბეჭდილება, რომ ლეონტი მროველმა საქართველოს ისტორიის მთლიანი სურათის წარმოსახვისას, წყაროების გამოყენებასთან ერთად, მთლიანად შეიტანა ესა თუ ის დამოუკიდებელი თხზულება, რომელშიაც აღწერილი იყო ჩვენი ისტორიის ვარკვეული მონაცემთა.

ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია, რომელშიც სხვებზე უფრო შეინახუნა თავისი პირველი და დამოუკიდებელი სახე, ესაა „ცხოვრება ფარნავაზისა“.

ეს, შეიძლება, ჰიპოთეზური ხასიათის დებულება, უზარეულეს ყოვლისა, გამოგვიმუშავდა თითო ნაწარმოების მხატვრული დონის გათვალისწინების შედეგად.

რადგანაც გამოკვლევას ბოლოში ერთათე „ცხოვრება ფარნავაზისის“ ტექსტს, ამტომ ამ ძეგლის მოკლე შინაარსს აქ აღარ გაღმოცემთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს არის კომპოზიციურად შეკრული, ერთი მთლიანი, დამოუკიდებელი მოთხრობა.

პირველივე ფრაზა ხალხური თხრობის სტილით გვეცნობს ამის დასაწყისს: „მის ემასა იყო ჰაბუკი ერთი მცხეთას ჰალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ“<sup>1</sup>.

ავტორს თავიდანვე შემოჰყავს თხრობაში ფარნავაზი, დაწერილობით გვეცნობს მის გენეალოგიას, ხასიათს, თვისებებს და შიოთხველი გრძნობს, რომ ამ საერთო, ექსპოზიციური შესავლის შემდეგ უფრო ღრმად და ვრცლად გვეცნობით ამ საინტერესო ჰაბუკის ცხოვრების გზას. მიზნდევლად არის დახატული ფარნავაზის ბავშვობის წლები. ფსიქოლოგიური ნიუანსების ღრმა გამოვლენით აღწერს ავტორი ფარნავაზის დედის განცდებს, ფიქრებს შეილის მომავალზე; დედა-შვილის ინტიმური საუბარი გვიხილავს დიალოგების უშუალობითა და დამაყრებლობით.

ამაღლებულადაა გაღმოცემული საშობლოს დატოვების აუცილებლობით გამოწვეული მწვავე სულიერი ტკივილები ფარნავაზისა და მისი შინაგანი მღელვარება. ავტორი დიდი ხელოვნებითა და ბელეტრისტული გამოცდილებით ახერხებს ყოველი ფაქტისა და მოვლენის ფსიქოლოგიურ მოტივირებას. ავტორის ამკარა მწიგნობრულ სტილს ორგანულად ერწყმის

1 „ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, 1955 წ., გვ. 20.

ფოლკლორული ნაკადი, რომელიც მეტად აძლიერებს და ახალისებს თხრობას. საერთოდ, თხრობის ბუნებრიობა და სიუჟეტის განვითარების ნაოცარი დინამიკურება მკითხველის ყურადღების სრულ მობილიზაციას ქმნის. მეტად შთაბეჭდილია საქმიანი, უშუალო ხასიათის დიალოგები, რომლებიც თავიანთი სისხარტითა და ლაიონერობით ერთგვარ სცენიურობას ანიჭებს ნაწარმოებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები კი არ გვეცნობს გარკვეულ ისტორიულ ფაქტს, კი არ გვეწვდის მხოლოდ ისტორიულ ცნობას, არამედ, საერთოდ, აცოცხლებს ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს, ხატავს სურათებად, მოვლენათა თუ საგნათა კონკრეტულ დეტალებზე უტრადლებს გამახვილებით, რელიეფურად გამოჰყვითის მათ. ყოველივე ამის გამოც ჩვენ გვაქვს არა შპრალი, ისტორიული ქრონიკა, არამედ დასრულებული, ხორცშესხმული მხატვრული ნაწარმოები, რომლის პერსონაჟები მთლიან, ძლიერ სახეებად წარმოგვიდგებიან. მკითხველი უშუალოდ აღიქვამს მათ ბუნებას, შინაგან სამყაროს. ჩვენს თვალწინ იშლება, როგორც მათი ცხოვრების პირადა, ინტიმური მხარე, ისე ფართო მასშტაბის სახელმწიფო, ეროვნული მოღვაწეობა. ამ მხრივ დაუფიქრებელი შთაბეჭდილებას ახდენს ერთი მხრივ, ფარნავაზის თბილა, უაღრესად ადამიანური ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივ საკითხებზე მსჯელობა ქუჩისათა.

თანდათან იკეთებება ფარნავაზის მონუმენტური სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწის ნიშანდობლივი თვისებები. ის წარმოგვიდგება, როგორც შესანიშნავი რაინდი, დიდი სტრატეგი და პოლიტიკოსი, უებრი მებრძოლი და მონადირე, საოცარი ენერჯის მოღვაწე და განმანათლებელი.

ავტორი ახერხებს მთელი სისრულით გაგვიცნოს ფარნავაზის მდიდარი ბიოგრაფია, ამასთანვე დამაჯერებლად წარმოგვიდგენს შორეული წარსულის სურათებს ბუნების აღწერა იქნება ეს თუ ნადირობის სცენები, შეთქმულო სათბირი თუ ბრძოლის ეპიზოდები. ავტორი ახერხებს მკითხველის შეგვიანას პერსონაჟთა შინაგან სამყაროში, მათი ფიქრების, განცდებისა და ოცნების თანაზიარს გვხვდის. არანაკლებ დამაჩქმუნებლად განგვიცდივენებს თანამემამულეთა განწყობილებას, მათ ეროვნულ მიზნებას და მისწრაფებებს. შემგატიან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფარნავაზის გამოფებამ თანამემამულეთა შორის ისეთი საერთო, სახალხო სახარტული გამოიწვია, რომ „იტოვდეს ამას ყოველნი: „ამადლობთ სუესე ჭუნსა, რამეთუ მოგვეჩვენე მეფე ნათესავთაგან მამათა ზუნთასა და

აღგვიცადა ზარკი და კირი უცხოთა ნათესავთაგან“<sup>1</sup>

ეს დიდი ეროვნული ბუნდურება რომ ქვეყანამ დამოუკიდებლობას მიიღწია და უცხოელთა ნაცულად, თანამემამულეთა გამაფხებელი — საყოველთაო ზეიმად ქცეულა და ავტორი გვეცნობს არა მარტო ფაქტს, არამედ უშუალოდ განგვიცდივენებს ისტორიულ ატმოსფეროს და ამას ისეთი დიდი ოსტატობით აღწევს, რომ თანამედროვე მკითხველი თითქმის ხედვითად აღიქვამს ყოველივეს.

„ცხოვრება ფარნავაზისი“ კომპოზიციური შერტლობით, თხრობის თანმიმდევრობითა და ერთიანობით, აშკარად გამოირჩევა ლეონტი მროველის სახელთი ცნობილ სხვა თხზულებათაგან. ეს არის ერთი დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელშიაც მთავარი პერსონაჟის, ფარნავაზის ცხოვრება ბავშვობიდან სკვედომოდ მოლიანადა წარმოდგენილი; აქ საქმე გვაქვს მრავალპლანიან, გამბულ ეპიურ, თხრობასთან, რომელშიაც მხატვრულ, მეტად მიმზიდველ ფერებში გაცოცხლებულია ჩვენი ისტორიის გარკვეული მონაკვეთი; მაშინ როდესაც სხვა შემთხვევაში ლეონტი მროველი საქმიანად, შპრალად გადმოგვიცემს ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს, და ამ ფაქტთან მეფის კონკრეტულ დამოკიდებულებას, მასში აღარაა არც ის გამბული თხრობა, არც მოვლენათა აღწერა ან დეტალებზე უტრადლებს გამახვილებად და ის ფსიქოლოგიური მოტივირება, რთაც გამსჯელოდ „ცხოვრება ფარნავაზისის“ ყოველი პასაჟი ამიტომ აშკარა ხდება, რომ „ცხოვრება ფარნავაზისი“ არის დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელიც ლეონტი მროველის მტკიანეში ჩართულია როგორც ერთი შემადგენელი ნაწილი. ეს მთო თხრობა კომპოზიციურად იმდენად აშკარად გამოირჩევა ლეონტი მროველის თხრობის საერთო სტილისაგან, რომ იქმნება შთაბეჭდილება — არსებობდა დამოუკიდებელი ნაწარმოები „ცხოვრება ფარნავაზისი“ და ლეონტი მროველმა ის პირდაპირ, გარკვეული რედაქციული ცვლილებების შემდეგ ჩართო თავისი მატრიანის შედგენილობაში.

ამ დასკვნამდე მივყავართ არა მარტო იმ ზოგად, ლიტერატურულ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს ეს შესანიშნავი მოთხრობა და რომელიც ასე გამოკვეთილად გამოირჩევა მატრიანის მთელი თხრობისაგან, არამედ მრავალსხვა კონკრეტულ ფაქტსაც.

1. არსებობთა თვით სათაურის პრობლემა, თუ ჩავუვირებებით „ქართლის ცხოვრების“

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 26.

იმ მონაცემის, რომელიც ლეონტი მროველს მიეკუთვნება, უდავოდ შევნიშნავთ დასათაურებასთან დაკავშირებულ გარკვეულ კანონზომიერებას.

ლეონტი მროველს არც ერთი მეფის ამბავი არა აქვს ცალკე გამოყოფილი და არ იძლევა მათ დასათაურებას.

ამა თუ იმ მეფის შესახებ ლეონტი მროველი მოგვითხრობს როგორც ისტორიული ფაქტის, როგორც ისტორიის ერთი საფეხურის, მონაცემის შესახებ; ამიტომაც ამბავს იწყებს ასე — „მეთოხე მეფე ფარნავაზი“ და ა. შ. ასევე იწყება წინა თავები, მაგ. „შემოსვლა ილქსანდრესი“ და ა. შ. ასეთი ტიპის სათაურები ერთი მთლიანი თხრობის ქვესათაურებს გამოხატავენ, აქ იგრძნობა ამბის განვითარების საფეხურები, ისტორიული ეტაპები, რომლებიც შეესაბამება გარკვეულ პერიოდსა და მეფის მოღვაწეობას. ხოლო როდესაც ამბავი ეხება ფარნავაზის ეპოქას, ეს ცალკეა გამოყოფილი და მთელ მონაცემს აქვს გარკვეული სათაური „ცხოვრება ფარნავაზისი“, რაც მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს დამოუკიდებელ, ერთ მთლიან, დასრულებულ ამბავთან — მოთხრობასთან.

ავტორი კი არ ამბობს — „პირველი მეფე ფარნავაზი“, როგორც ცალკე სათაურებს სხვა თავებს და ამ სახით ქმნის ერთი გაბმული მართლაც შთაბეჭდილებას, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, თხრობის ეს საერთო სტილი დარღვეულია და ამჟამად გამოყოფილია „ცხოვრება ფარნავაზისი“.

ელა ისმება კითხვა: „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაცემთა, რომელსაც ლეონტის მიეკუთვნებენ, ცნება „ცხოვრება“ რა შემთხვევაში იხმარება და რა მნიშვნელობით?

ლეონტის მიერ შედგენილ საისტორიო კრებულში გვხვდება „ცხოვრებები“ ვახტანგ გორგასალისა, არჩილისა თუ ნინოსი. თვითელი ამბავიან წარმოადგენს ერთ დასრულებულ თხრობას, რომელშიაც გადმოცემულია გარკვეული პიროვნების ცხოვრების მთლიანი გზა, ასე რომ, ტერმინით „ცხოვრება“ აღინიშნება დასრულებული, დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელშიც ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებასთან დაკავშირებული აღწერილია ის ისტორიული მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მოცემულ ეპოქაში და, რაც შთავარია, აღწერილია თვით ამ ისტორიული პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობა.

თუ ერთ დროს „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ ლეონტი მროველის ნაწარმოებად მიანდათ, დღეს ჩვენ ისტორიკოსთა კვლევადიების შედეგად ნათელი გახდა, რომ ეს სრულიად დამოუკიდებელი, ერთი მთლიანი თხრობაა ჟუანშერის კუთვნილება და ის ლეონტი

მროველმა სათანადო ადგილას შეიტანა თავის მატიაწეში.

ასევე გამოკვლეულია, რომ ~~„ცხოვრება“~~ ვახტანგ გორგასალისა „ცხოვრება“ გარკვეულ კრებულში ცალკეა გამოყოფილი და სათანადო ადგილას შეიტანა თავის მატიაწეში.

დღესდღეობით ცილობას არ იწვევს ის ფაქტი, რომ, როდესაც ლეონტი მროველი წერდა ქართლის ცხოვრების მატიაწეს, სათანადო ისტორიული წყაროების გამოყენებასთან ერთად, თავის თხრობებში მთლიანად ჩართავდა ისეთ ძეგლს, რომელშიაც სრულიად იყო აღწერილი სათანადო ისტორიული პირის მოღვაწეობა და, საერთოდ, ეპოქის სურათი, რასაც იკრძევილია, თუ ასეთი ძეგლი არსებობდა.

ახეა შეტანილი მატიაწეში ლეონტის მიერ „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, „ცხოვრება ნინოსი“.

აქედან გამომდინარე, საფუძველს მოკლებული არ იქნება ვარაუდი, რომ ფარნავაზის მოღვაწეობის გადმოცემები ძეგლი, რომელიც დამოუკიდებელი, მთლიან, შეკრულ მოთხრობას წარმოადგენს და აქვს ამჟამად გამოყოფილი სათაური „ცხოვრება ფარნავაზისი“ — იმავე სახით შევიდა ლეონტის თხრობებში, როგორც ვახტანგ გორგასალისა და ნინოს ცხოვრება.

მართალია „ფარნავაზისის“ თავდამირველი რედაქცია ჩვენამდე გერჯერობით მოღწეული არ არის, ჩვენს ხელთა მხოლოდ ლეონტისეული გადამშუშებულ რედაქცია, მაგრამ, რადგანაც ზოგადად მაინც ვიცით ლეონტის მუშაობის მეთოდი — თუ როგორ იყენებს ის ადრეულ ძეგლებს (ამის საჩვენებელი ნიმუშია „ნინოს ცხოვრება“), მაინც გვეძლევა შესაძლებლობა წარმოვიდგინოთ „ფარნავაზისის“ ადრეული რედაქცია, რომელსაც, როგორც ვნახავთ, ლეონტის ხელში არსებითი ცვლილება არ უნდა განეცადა.

II. „ცხოვრება ფარნავაზისი“, რომ დამოუკიდებელი, ადრეული საუკუნეების ძეგლია, ამაზე მიკვირებებს არა მარტო ამ ძეგლის მხატვრული ანალიზი და ის ფაქტი, რომ მატიაწეში ის ცალკე სათაურითაა შეტანილი, არამედ ამ დასკვნამდე მივყავართ სხვა ცალკეულ ფაქტებსაც.

ქართულ წერილობით ძეგლებში წინაქრისტიანული, წარმართული საწმენოება მუდამ უარყოფით ფერებშია წარმოდგენილი, რაც სრულიად ბუნებრივია. ქრისტიანი ავტორი ავლენს თავის საწმენოებრივ პოზიციას და წარმართულ რწმენას, კერძოთაყვანისცემას ან აშკარად ებრძვის და ძიხავს, ან კმაყოფილდება მხოლოდ უარყოფითი ეპითეტების მომარ-

1 კ. კეცელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960 წ., გვ. 239.

ჭეხით. ამ საწარმოებრივ პოზიციებიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ ქართულ წერილობით ძეგლებში არმაზის კულტის ხაზში (რასაც ირველია, თვით არმაზის კერპის ჩათვლით) მტრული, პოლემიკური დამოკიდებულება გამოვლენებული.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ „ცხოვრება ფარნავაზისს“, მაშინვე ნათელი გახდება ერთი ფაქტობრივობა. კერძოდ, აქ არმაზის კულტის მიმართ პოლემიკა კი არ წარმოებს, კი არაა შეურაცხყოფილი ეს კერპი (როგორც ამას ვხედავთ საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ შექმნილ ძეგლებში), არამედ არმაზის აღმართვა დიდ დადებით და სასიხარულო მოვლენადაა გააზრებული და ერთგვარი სიმბოლოებიც კია მისდამი გამოვლენილი. ამ ფაქტში ჩანს თუ არა მწერლის პოზიციას რასაც ირველია, ჩანს. არმაზის აღმართვა აღწერილი და გააზრებულია წინაქრისტიანული ეპოქის მწერლის მიერ.

„ფარნავაზიანისს“ აღწერილი რედაქციის ამ დეტალში გადონა ლეონტის მიერ გადამხე შეგებულ რედაქციასში და მატრიანეში შევიდა პირვანდელი სახით. გამოჩენილი არაა ისიც, რომ ლეონტი მხოველმა, როგორც პროგრესულად მოაზროვნე შემთავანე, ეპოქის სულისა და განწყობილების გამოვლენის მიზნით, სრულიად შეგნებულად დატოვა ამ წარმართ მწერლის მიერ აღწერილი არმაზის აღმართვის სურათი, შემოგვიანა მისი განწყობილება, პოზიცია. ლეონტი მხოველს, როგორც ქრისტიან მწერალს, თავისი პოზიცია ამ შემთხვევაში არ გამოუმტლავნებია, შეიძლება ერთგვარად შეარბილა, შეანელა არმაზის როგორც დადებითი მოვლენის გააზრება, მაგრამ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოუმტლავნებია, მაშინ როდესაც ლეონტი მხოველის სხვა თხზულებაში აშკარად ჩანს მისი ქრისტიანული პოზიციები.

შეგალითად, როდესაც ის სხვა შემთხვევაში ლაპარაკობს წარმართული რწმენის შესახებ „პატივს ცემდნენ შვესა და მთავრესა და ვარსკეღათა ხუთთა“, იქვე იძლევა კომენტარს — „რამეთუ მას ემსა არა იყო წინასწარმეტყველი და მოძღვარი სჯულისა ტემშარიტისა“.1 აქ

აშკარად ჩანს ქრისტიანი მოაზროვნის პოზიცია, ნათელია, რომ ლეონტი მხოველს ვერც კიდრ დაწერილ ან შედგენილ თხზულებაში იმდენს თავის მსოფლმხედველობრივ პოზიციას, ხოლო „ფარნავაზიანისს“ ვერ ვხედავთ ქრისტიანი მწერლის თვალსაზრისს: ანალოგიურ სიტუაციაში სხვა სურათთან გვაქვს საქმე, რაც უდავოდ იმაზე უნდა მიგანიშნებდეს, რომ „ფარნავაზიანი“ არაქრისტიანი მოაზროვნის ქმნილებაა, რომელიც ლეონტი მხოველმა შეიტანა თავის მატრიანეში და ამავე დროს მოერიდა მოცემულ ძეგლში არსებითი ხასიათის კორექტივების შეტანას. ე. ი. ერთი და იმავე ფაქტისადმი არის სხვადასხვა პოზიცია, ორი სხვადასხვა ავტორია. ერთი წინაქრისტიანული პერიოდის ძეგლის ავტორი — არმაზის კულტისადმი სიმბოლოთი არის განწყობილი და მეორე ქრისტიანული ეპოქის მწერალი — არმაზის კულტის დამგმობი.

ამრიგად, ექვს არ იწვევს, რომ „ფარნავაზიანისს“ არმაზის კულტის ამსახველ პასაჟებს არაქრისტიანი მწერლის დალი ადევს, რაც აძლიერებს რწმენას, რომ ეს ძეგლი უნდა ეკუთვნოდეს წინაქრისტიანულ ეპოქას. ის უნდა იყოს წარმართული მწერლობის ნიმუში.

III. „ფარნავაზიანისს“ კითხვისას თვალში საცემია ნაწარმოების ეროვნული იდეა, ხაზგასმითაა ლაპარაკი ეროვნულ დირსებებსა და დიდ კულტურაზე. ერთი სიტყვით, ნაწარმოები გამსჭვალულია მამულიშვილური იდეებით, მისი ძირითადი პათოსი პატრიოტულია. აშკარად იგრძნობა, რომ ავტორს გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო, აღტაცებულია მისი კულტურით, ე. ი. ავტორი ღვიძლი შვილია და ახლოს თანამედროვე შათი, ვის შესახებაც საუბრობს.

IV. „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაკვეთში, რომელიც ლეონტი მხოველის თხზულებადაა მიჩნეული, შეიმჩნევა ერთი აშკარა თავისებურება: ფარნავაზის ეპოქა, ე. ი. უძველესი პერიოდი, გაცილებით უფრო ვრცლად, მდიდრულად და დაწერილობითაა აღწერილი, ვიდრე შემდეგი დროის მონაკვეთები. ფარნავაზისა და მისი ეპოქის შესახებ გაცილებით უფრო სრული და ამომწურავი ცნობები გვაქვს, ვიდრე ლეონტის ცხოვრების წლებთან ქრონოლოგიურად უფრო ახლოს მყოფი მეფეების

1 „ქართლის ცხოვრება“ გვ. 18.



შესახებ. ეს ფაქტიც უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ლონტი მროველს ზელთ ჰქონდა ფარნავაზის ცხოვრების ვრცელი, სრული ისტორია, რომელიც უშუალოდ შეიტანა თავის მატარებელში.

V. უნდა გავითვალისწინოთ ლონტი მროველის ნაწარმის სტილიც, მისი, როგორც მეტატიანის, წერის, თხრობის მანერა. ლონტი მროველისათვის დამახასიათებელია შეკრუული, მშრალი, მიუკერძოებელი და ყოველგვარი რიტორიკული კაზმულობის მოკლებული თხრობა. მისთვის უცხოა ამბის განვითარება, გაბმული თხრობა, დეტალებზე ყურადღების გაბმულობა. მეფე საურმაგიდან მოყოლებული, მირიანის ჩათვლით, ყოველი მათგანის შესახებ ვკაცნობს თუ რა დამსახურება აქვთ მათ ქვეყნის წინაშე, რა ისტორიულ მოვლენას ჰქონდა მათი მეფობის დროს ადგილი, ზოგიერთის შესახებ ცნობებს ათ-ოც სტრიქონში ამოწურავს. ამიტომაც, რომ ყოველგვარი შესავლის, ექსპოზიციური ნაწილისა და მოტივირების ვარუშები რდაპირ ფაქტის ფიქსირებას იწყებს, მაგ. „და ამან ადერკი დაიპურა ყოველი ქვეყანა ქართლი და ეგრისი“, ან „ამან მეფემან ბარტამ უმატა ზღუდეთა მცხეთისათა: „ამან ფარნავაზი მეფემან უმატა ყოველთა ციხეთა-ქალაქთა შენება“ და ა. შ. თითქმის არსად არ იძლევა მათ ვრცელ დახასიათებას, ხასიათის განვითარებას, შინაგანი განცდების გადმოცემასა და თუ ისტორიულ ფაქტზე დაყრდნობით ეპოქის სურათების გაოცებლვას, მით უფრო უცხოა მისთვის მთლიანი, კომპოზიციურად შეკრული თხრობა.

გამონაკლისს წარმოადგენენ ნინოსა და ფარნავაზის ცხოვრება. ეს ორი ძეგლი, თვითეულ დარ-ბალკე, ერთ მართან, კომპოზიციურად სასრულბულ და დამოუკიდებელ მოთხრობას წარმოადგენს, ისინი საერთო სტილით, ამბის გაშლითა და განვითარებით, მოკლენათა და სავანათა ასახვით, დეტალებზე ყურადღების გაბმულობითა და ინდივიდუალური ხასიათების გამოკვეთის, თვით სინამდვილის ფართო და ცოცხლად წარმოსახვით და, რაც მთავარია, თხრობის ეპიურობით, აშკარად გამოირჩევიან ლონტი მროველის სახელით ცნობილ თხრობებშიაგან.

დღეს უკვე გამოკვეთულია, რომ ნინოს „ცხოვრება“, მართლაც, დამოუკიდებელ თხრობებად არსებობდა და შემდგე შეიტანა იგი ლონტი მროველმა თავის მატარებელში.

ასევე დამოუკიდებელ ნაწარმოებს შთაბეჭდილებას ახდენს შესანიშნავი მოთხრობა ფარნავაზის შესახებ. იგი გამოირჩევა არქიტექტონიკულად და სტილის თვალსაზრისით. მატარებლის დანარჩენი მონაცემებისაგან.

VI. „ფარნავაზიანთა“ დაცემების შესახებ მნიშვნელოვანი პრობლემა ლიტერატურულ-ფოლკლორულ ურთიერთობა.

შეიძლება დამიხადოს ექვი (მეცნიერებაშიცაა ეს აზრი გამოთქმული), რომ ლონტი მროველმა თავის მატარებლის შედგენისას, მრავალ სხვა წყაროსთან ერთად, ფოლკლორული წყაროც გამოიყენა. სახელდობრ, მის ზელთ ჰქონდა ლეგენდა ფარნავაზის შესახებ, რომელიც შეიტანა თავის თხრობებში და „ცხოვრება ფარნავაზის“ საერთოდ ხალხურ გადმოცემას ხომ არ წარმოადგენს?

ამ ვარაუდს თითქმის მხარს უნდა უჭერდეს „ფარნავაზიანში“ დაცული ფოლკლორული პლასტი, მხედველობაში გვაქვს სიმბრისა და განძის პოეტის ეპიზოდები. ფარნავაზის სიმბარი — აშკარად გამოხატული მითოლოგიური პლასტიკა. ხოლო მითოლოგიური აზროვნება ნიშანდობლივია სწორედ წინაქრისტიანული ეპოქისათვის. ამიტომ აღნიშნული პლასტი კიდევ ერთი სარწმუნო არგუმენტი იმისა, რომ „ფარნავაზიანი“ შექმნილი უნდა იყოს წინაქრისტიანულ ეპოქაში. ეს ეპიზოდები უდავოდ ფოლკლორული ხასიათისაა, მაგრამ ნაწარმოებში შესულია როგორც ერთ-ერთი კომპონენტი, ელემენტი რთული ლიტერატურული ქმნილებისა, აერთობა მახვილგანიერულად გამოიყენა ხალხური გადმოცემა და ფოლკლორული ნაკადით გაამდიდრა, მიმზიდველი გახდა თხრობა. რასაკვირველია, სრულიად ბუნებრივია, რომ ფარნავაზის „ცხოვრების“ წერისას, ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებთან ერთად, აერთობა ხალხურ გადმოცემას იყენებდა და იყენებდა სწორედ შერლის ზომიერებისა და ტაქტის გრძობით. ქმნიდა ამ შესანიშნავ მოთხრობას, რომელიც თავისთავად უდავოდ ლიტერატურული, შვიგნობრული ხასიათისაა.

ეს ელინდება ნაწარმოების ყოველ კომპონენტში, ვერ ერთი, ხალხური სიტყვიერებასათვის ბასოლურბრად უცხოა დეტალების ისე გამოყენება და სიტყვე, როგორც ამ მოთხრობაში ვხვდებით, ასევე თვალში საცემია სავანათა და მრევლნათა რეალისტური სურათები. პერსონაჟთა ინდივიდუალური თვისებების, განცდების ყოველგვარი ნიუანსური გამოვლენა და მსჯელობების, დიალოგების საქმიანობა, დოკუმენტური ხასიათი ნაწარმოების შვიგნობრულ ბუნებაზე მიგვანიშნებს. ხალხური სიტყვიერების ზოგადი, განუწყვეტელი სახეების საცელად „ფარნავაზიანი“ კონკრეტულ, ზელშესახებ ფაქტებთან გვაქვს საქმე. ნაწარმოების მიმზიდველი თხრობა გაამდიდრებულა დაწერილობითი ცნობებით, ხოლო კომპოზიციური სირთულე და მრავალპლანაინობა კიდევ უფრო აცლეს ამ ძეგლს ხალხური

სიტყვებრივიდან. მწერალს კარგად ესმის მნიშვნელობა თითქოს წერილობრივი და, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფაქტებისა და გარემოებისა, რომელნიც გარკვეული მომენტის შემდეგ მსხვილი, ისტორიულად მიმწიფებული მოვლენების უშუალო მიზეზი და ბიძგის მიმცემი ხდება. შესანიშნავია ისიც, რომ ხალხური ძეგლისათვის დამახასიათებელი გულბრყვილი, უშუალო თხრობის ნაცვლად „ფარნავაზიანში“ შეინიშნება რთული სიტუატური ხლართები და უაღრესად ოფიციალური, საქმიანი ინტონაცია, დასასრულ, „ფარნავაზიში“ ისეთი დეტალები და ფაქტები გვხვდება, რომლებიც აბსოლუტურად გამორიცხვლია საერთოდ ზეპირსიტყვიერ ძეგლში, და მხოლოდ მწიგნობრული, ლიტერატურული ნაწარმოებისთვისაა დამახასიათებელი.

მართებულად შენიშნავს, აკად. გ. მელიქიშვილი:

„მრავალ ზღაბრულ მომენტთან ერთად „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ფარნავაზის აშბავი, შეიცავს მრავალ კონკრეტულ მითითებას, მათ რიცხვს ეკუთვნის აღნიშვნა იმ ტერაიტორიებისა, სადაც ზღებოდა ომები. აქვე ზუსტად აღბეჭდილი იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობები:

ეს გვარწმუნებს იმაში, რომ ძველი ქართული ტრადიციული ცნობები ფარნავაზის შესახებ არ შეიძლება მივაკეთოთ. მხოლოდ ლეგენდათა სფეროსა.<sup>1</sup>

მწიგნობრულობის უტყუარი ნიშანი ადევს „ფარნავაზიანში“ დაცულ იმ ცნობებს, რომლებიც საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას ეხება. საქართველოს დამოუკიდებლობისა და გაერთიანების მოღწევის შემდეგ, ფარნავაზმა ერთსა თუ ორსა სპასებტნი დაწინა საქართველოს სტადასხვა კუთხის გამგებლად. ნაწარმოებში ვკითხულობთ:

„ერთი ვაგზავნა მარგვს ერისთავად და მისცა მცირით მითოვან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღურაღმდ(ეგრისისა) ჩიონის ზემოთ, და, ამავე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპნი და დიშნა.

და ვაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაკუთვან, ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუჭეთი.

შესაძებ ვაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუქის მდინართვან. ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს ვარდამანი.

მეოთხე ვაგზავნა სამშვლდის ერისთავად, და მისცა სკვრეთისა მდინართვან ვიდრე შოამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე ვაგზავნა წუნდის ერისთავად და მის-

ცა ფარნავიდეგან ვიდრე თავადმდე — მტკურისა, რომელ არს კახახეთი და კოლა და არტანი.

შევექსე ვაგზავნა ოძრბის ერისთავად და მისცა ტაისსკართვან ვიდრე არსიანთამდის, ნუსტის თავიდეგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

შეშტდე ვაგზავნა კლარჯეთის ერისთავად და მისცა არსიანთვან ზღუამდე და მერვე ქუჩი იყო ერისთავი ეგრისისა.<sup>1</sup>

ყოვლად შეედლებელია, რომ ასეთი აშკარა მეცნიერული სიზუსტით წარმოდგენილ აღწერას ფარნავაზის დროიდან ლეონტი მროველამდე ზეპირი გადმოცემის გზით მიეღწეა.

საერთოდ, როგორც ცნობილია, ფოლკლორულ ძეგლებში გეოგრაფიული პუნქტები, დი ისიც ასეთი სიუსხეთა და სიზუსტით, არასოდეს არაა ფიქსირებული. იქ გეოგრაფიული ცნობები განუსაზღვრელად, ზოგადაა აღნიშნული — „ერთი ქალაქი“, „მთადა მთა“, „დიდი მდინარე ან ტყე“, მით უფრო წარმოდგენილია რომელიმე გეოგრაფიული პუნქტის საზღვრების ისეთი კარტოგრაფიული მოხაზვა, როგორსაც „ფარნავაზიანში“ ვხვდებით.

ჩვენი აზრით, სწორედ „ცხოვრება ფარნავაზისნი“ მოცემულ პასაჟს შეეფერება პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმული მოსაზრება: „გეოგრაფიული ნომენკლატურა ამ ძეგლისა, განსაკუთრებით არქაულობის ბეჭედს ატარებს. ტექსტში მოყვანილი გეოგრაფიული სახელები მთელ რიგ შემთხვევებში უკვე აღარ იხმარება მომდევნო ქრონოლოგულ ხანაში.

აერთობს პირველწიარობის დიდი სიძველის მაჩვენებელია, კერძოდ, ეთნოგრაფიული ცნობები.<sup>2</sup> სწორედ ეს არქაულობის დაცვა არის მაუწყებელი ამ ძეგლის წიგნური და არა ხალხური ხასიათისა, ან როგორც აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს — „მას აზის წიგნური რედაქციის ბეჭედი“. ასე რომ, „ფარნავაზიანის“ სტილისტური ნიშნები, ზოგადი მხატვრული შთაბეჭდილება და მასში დაცული მთელი რიგი კონკრეტული დეტალები, ფაქტები უძველეს ხდება, რომ ეს ძეგლი არის ლიტერატურული, მწიგნობრული ნაწარმოები და არა ხალხური შემოქმედების ნიმუში. უფრო ზუსტად — ეს არის მწიგნობრული ძეგლი, რომელიც შეიცავს ფოლკლორულ ელემენტებს. ქრონოლოგიურად დიდხნით დამორბეული მოვლენების აღწერისას ასეთი დეტალები არ გვხვდება.

VII. ეს უკანასკნელი ფაქტი გარკვეულ ორიენტაციას გვიქმნის „ფარნავაზიანის“ ქრონოლო-

<sup>1</sup> Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959, стр. 283.

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტომი 1, გვ. 24.  
<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მოხილვა, „მნათობი“, 1939, № 1, გვ. 281.

ვიურ საციობებთან დაკავშირებით, კერძოდ, ფარნავაზის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფაქტების, დეტალების სიზუსტე და სიზუსტე მიგვანიშნებს, რომ ავტორი დიდი ქრონოლოგიური მანძილით არ უნდა იყოს დაცილებული თავისი თხზულების მთავარი პერსონაჟის ცხოვრების წლებიდან.

ჭერ თეთ ფარნავაზის მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ.

„ცხოვრება ფარნავაზისა“ შეიცავს საკმაოდ მდიდარ ისტორიულ რეალიებს, რომელთა საფუძვლიანი გამოწვლილისა და შესწავლის შედეგად ავად. გ. მელიქიშვილმა დამაჩერებლად ასყენის, რომ ფარნავაზის მოღვაწეობა განეკუთვნება III საუკუნის პირველ ნახევარს ჩვენს ერამდე.<sup>1</sup>

თუ ადრე ფარნავაზი ლეგენდარულ პიროვნებად იყო გაზარებული და მის ისტორიულად მსგებობაში ეჭვი შეჰქონდათ, ახალი დროის კვლევა-ძიებამ ნათელი ამ მეფის ისტორიულობა, ხაზგასმულია ისიც, რომ ლეონტი მროველის (რომელსაც ავად. სიმონ ყაუხჩიშვილი სამართლიანად უწოდებს ქართულ პერიოდოტიკაში მიერ ფეხსივრებული ისტორიული ფაქტები და მეფეთა სახელები ახალი კვლევებიდან შედგება თანდათან ისტორიულად დასტურდება. როგორც ავად. გ. წერეთელმა ნათელიყო, სახელები, რომლებიც ისტორიაში (მატიანეებში) შემონახული და ბუნდოვანი იყო პალესტინის წარწერებში დადასტურებს მათგან მარტანი, მირიანი, ბაკურ და სხვა. ასევე სანდოა ლეონტი მროველი, როდესაც ის თხზულება ფარნავაზს.

ფარნავაზიანთა დინასტია იმდენად ძლიერი და პოპულარული ყოფილა, რომ მათ შესახებ ცნობებს გვაწვდიან უცხოელი ისტორიკოსები და, რაც მთავარია, ეს ცნობები ბევრად უსწრებს ლეონტი მროველის მოღვაწეობის ეპოქას. როგორც ცნობილია, ლეონტი მროველი XI საუკუნის ისტორიკოსია, ხოლო ფარნავაზიანთა შესახებ ცნობებს ვხვდებით V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მატანეში — კერძოდ, სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდოს შრომაში — „სომეხეთის ისტორია“ — მოხსენებელია იბერიის სამეფოს გამგებელი ფარნავაზიანთა დინასტია: „ივერთა შესახებ. შემდეგ სპარაპეტი მუშევი წარმართა ივერთა მეფის წინააღმდეგ, მკაცრად შეავიწროვა და გაანადგურა იგი, დიპყრო მთელი ივერთა ქვეყანა. სპარაპეტი მუშევმა ვაცა

განჯარგულება, რათა ჭვარზე გავტათ ფარნავაზიანები ივერთა ქვეყანაში“.<sup>1</sup>

კიდევ უფრო ძველ ცნობას გვაწვდიან რომელი წყაროები. II-III საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსის დიონ კასიოსის „რომის ისტორიაში“ მოხსენებულია ფარნავაზიანთა დინასტია: „ზამთრის დასარტულს, გელიუსის და ნერვას კონსულობის დროს, ვალიპშტრა პუბლიუს კანიდიუს კრასოსმა აჭაურ (ე. ი. კავკასიელ, ნ. ლ.) იბერების წინააღმდეგ დაამარცხა მათი მეფე ფარნავაზი, გაიხადა იგი მოკვდივრად და შეიჭრა აღბანიაში“.<sup>2</sup> ეს იგი უცხოური ცნობა მრავალისმეტველია. ისინი ლეონტი მროველზე ადრე აღსატურებენ ფარნავაზიანთა დინასტიის არსებობას, რაც მოწმობს ამ დინასტიის გავლენიანობას, ავტორიტეტს ადრეულ წინაქრისტიანულ ეპოქაში. ამიტომაც სრულიად არ არის მოულოდნელი და გამართლებული, რომ ამ დღი და სახელოვანი დინასტიის ფუძემდებლის, ფარნავაზის ცხოვრება აღწერით ჭერ კიდევ წინაქრისტიანულ ეპოქაში.

VIII. როგორც აღენიშნეთ, ავად. გ. მელიქიშვილის გამოკვლევის შედეგად საქმე მობრუნდება, რომ ფარნავაზი ცხოვრობდა III საუკუნის პირველ ნახევარში. ისევეა კითხვა, როდის უნდა იყოს დაწერილი „ცხოვრება ფარნავაზისა“? სათანადო მსალათა სიმკიცრის გამო მისი ზუსტად დათარიღება ძნელიდება, მაგრამ მთელი რიგი მონაცემების საფუძველზე მაინც შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს ამ მოთხრობის დაწერის თარიღი. ის რომ ფარნავაზის თანამედროვის მიერ ვერ იქნება დაწერილი, ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ამ მოთხრობაში საკმაოდია შეჭრილი ლეგენდარული ელემენტები, რომელთა შექმნას ერთი თუ არა ნახევარი საუკუნე მაინც დასჭირდება. მაგრამ ფარნავაზის სიკვდილიდან ამ ნაწარმოების დაწერამდე დიდ პერიოდსაც არ უნდა გაველო. როგორც ვხედავთ, ავტორს ახასიათებს წარმართული აზროვნების ნიშნები, ამავე დროს უაღრესად რეალისტრად და უხვი დეტალებით არის დახუნძული აღნიშნული ნაწარმოები. უფრადლებას იმყრობს გეოგრაფიული ნომენკლატურისა და ისტორიული ფაქტების სიზუსტე, რაც მოწმობს ავტორის ფარნავაზის ეპოქასთან სიახლოვეს.

ზემოთ მოყვანილი მთელი რიგი რეალიების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ცხოვრება ფარნავაზისა“ დაწერილია დაახლოებით II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მემატიანის ცნობა იწიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა აღიწერებოდა ეპითი-ეპამად ვიდრე

<sup>1</sup> დასახელებული წიგნი, გვ. 49, 59.

<sup>2</sup> ს. ყაუხჩიშვილი. ლია წერილი, „მნათობის“ რედაქციის „მნათობი“, 1962 წ., № 10.

<sup>3</sup> გ. წერეთელი, ფიქციური ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960 წ.

<sup>1</sup> История Армении Фавстоса Бузанды. 1953, Ереван, стр. 162.

<sup>2</sup> დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1966 წ., გვ. 74, 5. ლომოურის გამოცემა.

ეპიტანგისადმი\*, გვაუწყებს სწორედ იმას, რომ ცალ-ცალკე იწერებოდა გარკვეული ეპოქის ამსახველი მონაცემები და შემდეგ მათი გაერთიანებითა და გადამუშავებით მივიღეთ დიდი ეპიური ტილო „ქართლის ცხოვრება“.

საესებოთ მართებულად ასევეს აქად. ს. ყაუხჩიშვილი: „ამგვარად, ცხადია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი თხზულებები ძველი ქართული ისტორიკოსების ჩვენამდე მოღწეულია შეცვლილი სახით; ყოველ შემთხვევაში, ამ შრომების დასასრული და დასაწყისი რედაქტორმა მიერ იკვეთებოდა და იცდებოდა. და რადგან ავტორის სახელი მოხსენებული იქნებოდა თხზულებას თავში ან ბოლოში, ჩვენ არ შეგვრბა „ქართლის ცხოვრებაში“ არც ერთი თხზულება, რომლის ავტორი იქვე იყოს დასახელებული, გარდა სუმატ დავითისძის ქრონიკისა, — დანარჩენ თხზულებებს არ შერჩათ ის ადგილები, სადაც შეიძლება მოხსენებული ყოფილიყო ავტორის სახელი.“

სწორედ ამის შედეგია, რომ „ცხოვრება ფარნავაზისის“ ავტორის სახელმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

„ცხოვრება ფარნავაზისის“

როგორღე იყო პირველი მთავარი კართლისა, კართლოსანი

მას ვაშა იყო კახელი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქვა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლსა, ნათესავი უფლისა, მცხეთისის ძისა, და დიდულად სპარსისა ასპანელი. და იყო იგი ძმისწული სპარსისი, რომელი მოსვლასა მას აღუქანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო.

ესე სპარსი და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო აღუქანდრესგან ზოლო დედასა ფარნავაზისასა წარუყვანა ფარნავაზს საძისა წლისა ყრმასა და შელტოლვილ იყო კავკასიად. და მუნ აღზრდილი იყო და მოსრულ იყო მცხეთას, მაჰულსა თვისასა.

ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მკუდარი შემაბრთებელი და მონადირე ხელოვანი, და იმალედა იგი სიკეთესა თვისა აზონის შიშისაგან, ზოლო მონადირეობითა მისითა იქმნა მცენიერ აზონისა, და შეიყუარა იგი აზონმან მონადირეობისათჳს. ევედრებოდა ფარნავაზს დედა მისი: „შვილო ჩემო, ეტქალე აზონს და ნურაბას იჩინებ თავისა შენისა სიკეთესა, ნუ უაქმ მოგვლან შენ“.

და იყო შიში და ძრწოლა მას ზედა, და ვითარ განზრადელა შიში აზონისი მათ ზედა რქუა ფარნავაზს დედამან მისმან: „შვილო ჩემო, დაუტრევე საყოფელი მამათა შენთა და წამიყვანე გამულსა ჩემსა ასპანს, მამათა ჩემთა თანა, და გიწერე შენ ცოცხალი კელისაგან აზონისა“.

და დაამტკიცეს განზრახვი ესე, წარსვლა ასპანსა.

IX. ამრიგად, საფუძველს მოკლებული უნდა იყოს ჩვენი მოსაზრება, რომ „ცხოვრება ფარნავაზისი“ არის უძველესი, დამუშავებული ქართული ნაწარმოები, შექმნილ დასრულებულ მით II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს ძველი თავისი ეპიკური შეკრულობითა და მაღალმხატვრული ღირსებით დღესაც სამომავალსა უნდა დაგვიტოვოს.

ეს დიდებული მოთხრობა ჩვენმა სახელოვნომა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა გარკვეული რედაქციული ცვლილებით შეიტანა თავის მატიაწმში. „ქართლის ცხოვრებაში“ თითქმის სრული სახით შემოგვინახა უძველესი ქართული ორიგინალური წარმართული ლიტერატურული ძეგლი, რომელიც მთელი შვიდი საუკუნით უნდა ესწრებდეს „შუშანიკის მარტვილობას“. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, ქართული მწერლობის საწყისად მივიჩნიოთ არა „შუშანიკის მარტვილობა“, არამედ „ცხოვრება ფარნავაზისი“.

ნსა. კირ უჩნდა ფარნავაზს დატევა საყოფელსა მამათა მისთასა, არამედ შიშისაგან დიდსა დაამტკიცა წასვლა.

მამინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულმობოდა განსვლა და ვერ განვიდა. მამინ შემოვიდა საარტემელსა მისსა შეჭი მზისა და მოერტვა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუშელსა მისთა, და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე, ქვე-მდებალად, მიჰყო ხელი მისი, მოჰყოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა. განიღვინა ფარნავაზ და განკვრდა, და თქვა: „სიზმარი იგი, ესე არს, მე წარვალ ასპანს, და მუნ კეთილსა მივეციმი“.

ხოლო მას დელსა შინა განვიდა ფარნავაზ დანადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიდობისასა და იელტოდეს ირემნი ღირდალთა შინა ტფილისისათა მისდევდა ფარნავაზს, სტყორცა ისარი და ჰკრა ირემსა და მიერედ წარტოლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა, და დღე იგი, მწუხრი, გარდაჰდა, და დაქდა ირემსა მის თანა, რათამცა დაყო მუნ ღამე და დილუულმცა წარვიდა.

ხოლო კლდისა მის ძირსა ქუბაი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქუთა ძეგლად, და სიძულეთათა შეჰქმნოდა დარღვევა შენებულსა მას. მამინ დაასხა წყმა მათგრი. ხოლო ფარნავაზ ამოიღო ზუგლუგი და გამოარღვა კარი ქუბისა, მის, რათამცა მუნ შიგა დომშრალი წყმისა მისგან, და შევიდა ქუბასა მას და იხი-

1. „ქართლის ცხოვრება“, გვ. 07.

ლა მენ-შინა განძი მოუწოდებელი, ოქრო და ვერცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლის მიუწოდებელი.

მაშინ ფარნავაზ განკურდა და აღივსო სიხარულითა და მოგონა სიხარო იგი, და დაქარბალა კარი ქუბისა ვერცხლზე და მსწრაფლ წარმოიღო და უთხრა დედასა თჳსსა და ორთა დათო მისთა და მასვე ღამესა წარმოვიდეს სამნივე იგი საკიდრებითა და ქუბრებებითა, და იწყეს გამოკრებად განძისა და მის დაფლვად სიმაგრესა თჳსსა. ხოლო ვითარ განთენდებოდეს, კუბლად ვერცხლზე აღმოქმნიან კარი ქუბისა მის და ვსრეთ გამოკრებიან განძი იგი ხუთ ღამე და დავუღვლი სიმაგრესა მათსა.

მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თჳსა ქუჩის თანა და რქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა, და არს ჩემთანა ხუასტაგი დიდძალი. აწ იწებო, რათა მათ ხუასტაგითა მოვიდეთ შენ თანა, და ვიყუნეთ ჩვენ ძმა და ეკეპართო ჩვენ ხუასტაგი იგი ორთავი. გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზონ ერისთავსა და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი“.

მაშინ განიხარა ქუჩი სიხარულითა დიდითა და რქუა: „აღდგე და მოვედ ჩემთანა, და ნუ შურობ ხუასტავსა შენსა და დუსტაგითა შენითა განვიმრავლენ სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტერად აზონსა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა აწყუდედითა მისგან და მიწუდედითა და ვგონებ, რომელ პრომთა მათგანნიცა გამოვდერთენ. რამეთუ ურიცხუნი აწყუდედლი არიან მათგანნიცა აზონისგან“.

მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულითა, და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა, და დედაცა და დანი მისნი მის თანა, და მივიდა ქუჩის თანსა და რქუა მის ქუჩის: „შენ ხარ შეილი თავითა მათ ქართლისათა, და შენ გმართუნ უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხუასტავსა შენსა, რათა განვიმრავლენთ სპანი: და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“.

მაშინ შეიერთნეს და ეხრახნეს ოცსთა და ლეკთა, ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა სთნდა ხარკისა მოცემა აზონსა. და გამოყუცეს ოცსნი და ლეკნი, და განიმრავლნეს სპანი. ეგრისითი შეკრბეს ურიცხუნი სპანი და მომართეს აზონს. ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თჳსთა და შემოკრბნა.

მაშინ თათი მკედარი რჩეული პრომთა მათგანნი, რომელთა ბოროტი წაქციდებოდა აზონისაგან, ვანუღდეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა, მაშინ ყოველნი ქართველნი ვანუღდეს აზონს, ხოლო სპანი, რომელ დარჩეს აზონს, ვერლარა მიენდო მათ, რამეთუ ყოველთა ზედა ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ და მკვიდა კლარქეთს, და გაეზგრა იგი სიმაგრეთა შინა კლარქეთისათა.

ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დიმიტრინა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი. და მასვე წელიწადსა იგნა დაიპყრა ყოველი ქართლი თჳნიერ კლარქეთისა.

ამან ფარნავაზ წარავლინა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძღუენი დადძალი. და აღუთქვა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწუენა ბერძენთა ზედა, ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღუენი მისი, და უწოდა შევილად თჳსად, და გამოსცა ვრცგინი. და უბრძანა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდინ ფარნავაზს.

ხოლო წელსა მეორესა აზონ მოიბრუნა სპანი საბერძენითი, განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს, ხოლო ფარნავაზს ვანეზრავლნეს მკედარნი ქართლისანი. მოუწოდა მათ და უხმო ქუჩის და ოცსთა, და შეკრბეს ესე ყოველნი, და მოვრბინეს ერისთავნი ანტიოქოსისნი სომხითით და ესე ყოველნი შეკრბნა ფარნავაზ და მიეგება ნაქალაქებსა თანა არტანისსა, რომელსა ვრქუა მაშინ ქაქთა ქალაქი, რომელ არს პური. და ეწყუენეს მუნ, და იქმნა ბრძოლა დიდძალი. და მოსწუნეს ორგინთვე ურიცხვ, ხოლო იძლიერნეს ბერძენნი ფარნავაზისგან. ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე ქმნესა.

და წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძენეთისა ანთიპორა, და ეცლეთი შემოიქცა. წარვიდა კლარქეთს და დაიპყრა კლარქეთი, და შირმოვდა მცხეთად სიხარულითა დიდითა. ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაგრთო ხუასტაგი აზონისცა. და იქმნა სიმდიდრე გარდარეული.

ხოლო ეგრის წყალს ქუეშით დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკედართა მის ადგილისათა არა იწებეს ვანდგომა ბერძენთა, მაშინ ფარნავაზ მისცა და თჳსი ოცსთა მეფესა ცოლად, და მეორე და თჳსი მისცა ქუჩის ცოლად. და მისცა ქუჩის ქვეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღუთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჩი აღაშენა ციხე-ვაოცი.

მაშინ ფარნავაზ უწიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგუარასა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მკედარნი ქართლისანი, განაწესნა ერისთავნი ზეინი და მასამტკი.

ერთი გაგზავნა მარგვს ერისთავად, და მისცა მცირითი მითითგან, რომელ არს ლისი, ვიდრე ზღუდრამდე (ვერისისა), რიონს ზემოთ და ამაწვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დინა.

და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაკუთგან ვიდრე პერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მ-



სცა ბერდუქის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და ვახიანთამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე გავზავნა სამშუღლის ერისთავად, და მისცა სკვრეთისა მდინარითგან ვიდრე შთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გავზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა, ფარვანითგან ვიდრე თაყაღმდე, მტკერისა, რომელ არს ჭავჭავეთი და კოლა და არტანი.

მეექვსე გავზავნა ოძრეის ერისთავად, და მისცა ტასისკართგან ვიდრე არს ვიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშვიდე გავზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა.

ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფარვანამდე, რომელ არს შიდაჭარა. და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერთისთავთა ზედა. ხოლო ამთა ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინა სპასალარნი და ათასისთავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთავო.

ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა.

და მოიყვანა ცოლი დურბეკელთა, ნათესავი კავკასისა.

ამან ფარნავაზ მოხლდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოოჭრებულნი აღექსანდრესგან, ამან აღაშენა.

და ვერლარა იძიეს შერი ბერძენთა მის ზედა, რამეთუ უცალო იყვნეს ბერძენნი ბრძოლისაგან პროშთასა.

და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა; ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და

მიერიოთგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის. და ქმნა სატფურება დიდი კერპის მისთვის აღმართებულისა.

ოცდამეოცისა წლისა მეფე **რეშენა** და **სამეცხე** დაბრუნდა წელ მეფობა ნებეირ და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანისასა და ყოველნი დღენი მისნი, რა დაჯდა, მშვიდობით დაყვანა, და აღაშენა და განავსო ქართლი.

ხოლო თუენი განაგებულისა და სთელისა არსიანი დაყენის მცეტოსს, სამეუფოსა ქალაქსა, და თუენი ზამთრისანი დაყენის ვახიანთა, ხოლო თუენი ზაფხულისანი გუნდას. და ეამითი-ეამად მივიდის ეგრისსა და კლარჯეთს, და მოიკითხნის მებრებლნი და ქრალჭნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი.

ხოლო იგი პროშნი ათასნი მჭედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს, რომელი ზემოთ ვაჟსენეთ, იგინი განყვნა კვეთა და ქუეყანათა შინა, იყურნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა და მას აზონისსა მჭედ იყენეს. და უწოდა მათ სახელად აზნურნი.

და რათგან წარვიდა აღექსანდრე, არლარა ქემდეს კაცსა თენიერ რომელ შესწირიან კერპსა მსხვერპლად. იყო განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათჳს ფარნავაზისსა და იტყოდეს ამას ყოველნი: „ვამბდლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა და ადგიკვდა ხარ“ კი და პირი უცხოთა ნათესავთაგან. და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიშხნითა და სიმდიდრეათა.

ესთა ძე და უწოდა სახელი საურმაგ.

და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არლარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თენიერ ქართულსა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.

და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა.

## ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემის გამო

ქართულ ლექსიკონის დიდი ტრადიცია იქცა. პირველი ქართული ლექსიკონი ცნობარები ჩვენში ჯერ კიდევ ადრე, შვიგნობრობისა და მთარგმნელობითი მუშაობის განვითარების პირველსავე საფეხურებზე შექმნილა. ცალკე, ძნელად გასაგებ სიტყვათა, განმარტება-სტოლიოებთან ერთად ჩვენამდის მოღწეულია ეფრემ მცირის მთელი განმარტებითი ლექსიკონი (XI ს.), რომელსაც ფასი არ დაედება. შუა საუკუნეებში საქართველოში თარგმნითი და განმარტებითი, მოგვიანებით ორენოვანი ლექსიკონები შექმნილა. XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში საბა ორბელიანმა ლექსიკონის მთელი სკოლა ჩამოაყალიბა. მისი სწორუმოვარი „სიტყვის კონა“ ქართული კლასიკური ლექსიკონის გვირგვინია, რომელიც მთელ ეპოქას ქმნის. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამას მოჰყვა ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“, ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში — დავით ჩუბინაშვილის „საუნჯე ქართლის ენისა“. საბჭოურ ეპოქაში გამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (პროფ. ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით) კი შექმნა ჩვენი მეცნიერების მრავალსაუკუნოვანი ძიებისა ქართული ლექსიკონის შესწავლის დარგში.

ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენის პირველი ცდები ადრეც ვგვხვდებით, მაგრამ უფრო ფაქტობრივად ეს ცდები ჩვენი საუკუნის ოცნებებში ვახდით, ქართულ ავტორებთან ერთად. ამი დამსახურება უცხოელ მეცნიერებსაც მიუძღვის. პირველი რაგში, აქ უნდა დავასახელოთ გერმანელი მეცნიერი, პროფ. რიხარდ მეკელაინის ქართულ-გერმანული ლექსიკონი (R. Mecklein, Georgisch-Deutsches Wörterbuch, Berlin, „მნათობი“, № 7.

lin und Leipzig, 1928), ერთ-ერთი აღზინდელი მეცნიერი ლექსიკონათმცოდნე ნაშრომი.

ყველაზე დიდი დამსახურება ქართულ-გერმანული ლექსიკონის ახალი პრინციპებით შედგენაში განსვენებულ პროფესორ კ. ჩხენკელს მიუძღვის.

პროფ. კ. ჩხენკელს ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობა მანამდისაც კარგად იცნობდა გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული ქართველოლოგიური შრომებით, რომელთა შორის განსაკუთრებულ ცხოველ მეცნიერულ ინტერესს იწვევდა ორტომიანი „ქართული ენის შესავალი“ (Kita Tschenkéli, Einführung in die Georgische Sprache, Band I, theoretischer teil (გვ. I-LXIV, 1-628); Band II, praktischer teil (გვ. 1-614), Zürich, 1958), ილუსტრირებული უხვი და გემოვნებით შერჩეული მასალით. კ. ჩხენკელის ამ კაპიტალურმა ნაშრომმა გერმანულ და დასავლეთის სამეცნიერო წრეებს დაწვრილებით გააცნო ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი, ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი, რომ „ქართული ენის შესავალი“ გამოსვლისთანავე მიიქცია უზარდლება და დასავლეთის სამეცნიერო წრეებში ფართო გამოძახილი გამოიწვია. მეცნიერობრივ ენაზე დაიბეჭდა საერთაშორისო ლინგვისტურ კონგრესებსა და გამოცემებში. ამ ნაშრომს, სხვათა შორის, განთქმულმა ჩეხოსლოვაკელმა ქართველოლოგმა, აწ განსვენებულმა პროფესორმა ი. ივლიჩკამ უძღვნა ბრწყინვალე წერილი, რომლის ქართული თარგმანი ეფრემ „მნათობი“ დაიბეჭდა.

კ. ჩხენკელმა, როგორც ცნობილია, ციურების უნივერსიტეტში (შვეიცარია) შექმნა ქართველოლოგთა სკოლა, აღზარდა ნიჭიერი მოწაფე-

ები, შესწავლა მათ ქართული ენა და ლიტერატურა, გააცნო ჩვენი ხალხის ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა. განსვენებული შეიცანათის მოწოდება შორის დარწმუნებულნი შევიცანოვლი ნიჭიერი ქალები, იოლანდა მარშევი, ლეა ფლერი და რუთ ნოვიკოვი, რომელთაც შეისწავლეს და დედებთანავე შეიფარეს ქართული ენა. კ. ჩხენკელის თაოსნობით, ქართველოლოგიის პროფესორის მიხნით, ციურისში შეიქმნა მთელი დარწმუნებულება — „ამირან-ფერაჯი“ (ამირანის გამოცემლობა), სადაც გერმანულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ქართული კლასიკური ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

ხსენებული გამოცემლობა 1960 წელს შეუდგა პროფ. კ. ჩხენკელის ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონის ბეჭდვას ცალკე ნაკვეთების სახით. უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა კამბიტალური შრომის ექვსი მონაკვეთი, რომ 1963 წელს მოუღონებდა სარდაცვალ პროფ. კ. ჩხენკელი. ავტორის საკვდილით თითქოს შეწყდა მისი ფართო ვეგმით მოფიქრებელი ლექსიკონის შემდგომი ნაკვეთების გამოცემა.

სამედნიეროდ, დაწყებული გამოცემა ოდნე შეფერხდა მხოლოდ, მაგრამ არ შეჩერებულა. მასწავლებლის საქმე მოწოდებებმა განაგრძეს, მთელი მასალის გადამუშავება და გამოსაცემად მომზადება კ. ჩხენკელის მოწოდებამ, პროფ. იოლანდა მარშევი ითავა; ამ დიდ საქმეში მას ხელი შეუწყო ქართული ენისა და სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ცოდნამ და ქართველოლოგიაში განსწავლულობამ. და აი, 1964 წელს განაგრძა ლექსიკონის ბეჭდვა. გამოვიდა ლექსიკონის მორიგი, მეშვიდე ნაკვეთი, ვადამუშავებული იოლანდა მარშევის მიერ (Kira Tschenkeli, Georgisch-Deutsches Wörterbuch, bearbeitet von Iolanda Marchev). გამოცემის დასავლეთის სამეცნიერო წრეები აღფრთოვანებით შეეგებნენ.

ლექსიკონის მეშვიდე ნაკვეთის გამოცემათან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილებიდან შევითვალთ იმ უნაგარო ამავის შესახებ, რაც შევიცანათის სამეცნიერო საზოგადოებრიობამ დასდო. კ. ჩხენკელის მიერ დაწყებული საქმის წარმატებით დამთავრებას, ამ მონათ შევიცანათის სწავლულთა საზოგადოებრიობის შეუქმნა სპეციალური სამეურვეო კომიტეტი, კურატორი, პროფ. ერნს რიშის (თავმჯდომარე), პროფ. მანუ ლომინისა და პროფ. გეორგ რედარდის შემადგენლობით. კურატორი გახმოქმენდა სახსრები ლექსიკონის გამოცემის დასაფინანსებლად და განსვენებული მეცნიერის მასალების ხელმეორედ გაცხრილვა-გადამუშავება პროფ. იოლანდა მარშევისათვის მიუზღვია.

ლექსიკონის მომდევნო ნაკვეთების ბეჭდვა ახლა შეუფერხებლად გრძელდება. პროფ. იოლი-

ნდა მარშევი და მისი კოლეგები, ჩანს, სწრაფი, ძალ-ღონეს არ იშვრებენ, რომ დაწყებული დიდი საქმე სრული წარმატებით დაგვირგვინდეს. კაცს ხიზლავს მათი რუდუნება. 1966 წელს დაწყო ლექსიკონის გამოცემის ორ-ორი ნაკვეთი, ექვს-ექვსი სასტამბო თაბახის მოცულობით. უკვე გამოსულია 19 ნაკვეთი, რაც 1786 გვერდს შეიცავს. ბოლო, მე-19 ნაკვეთი ყოველ-მესამე-მარალ-მარალს, რომელიც 1970 წლის მეორე ნახევარში გამოიცა, ამას წინათ შეიღო. დანარჩენი მასალა (მ, ჩ, ც, ძ, წ, ჰ, ხ, ჯ, ჰ), რასაც, აღბათ, ათიოდე ნაკვეთი კიდევ დასჭირდება, მზადდება დასაბეჭდად. ლექსიკონი იბეჭდება საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე, ქართული შრიფტი (თეთრი და შავი) შერჩეულია კარგად. პოლიგრაფიულად ასე რთული წიგნის ტექნიკური რედაქცია უნაკლოა.

ქართველი მკითხველი, ბუნებრივია, ღრმა მადლიერებისა და დიდი პატივისცემის გრძნობით მოიხსენებს შევიცანათელ მეცნიერთა ზრუნვის უღროდეს გარდაცვლილი ავტორის ნაშრომის გარდაცვლას. ისტორიამ ცოტა იცის ამის შესავსი მაგალითი.

ქართულ-გერმანული ლექსიკონის ნაკვეთების გამოცემის, როგორც ითქვა, მოწოდებით შეხვდნენ დასავლეთის სამეცნიერო ორგანოები. გამოქვეყნდა ბევრი რეცენზია და ანოტაცია. გამოცემის მაღალი შეფასება მისცეს ცნობილი უცხოელმა ქართველოლოგებმა: პროფ. რენე ლაფონმა (საფრანგეთი), პროფ. დ. ლენგმა (ინგლისი), პროფ. ი. ასფალგმა და პროფ. კ. შმიდტმა (გერმ.), პროფ. კ. ბუდამ (ესპანეთი), პროფ. ე. ვარიომმა (ბელგია), პროფ. უ. ტ. პოლმესმა (აშშ) და სხვ. ქართული ენისა და კულტურის ისტორიის ცნობილი მეცნიერია, მ. მამულაშვილი, სავსებით სწორად აღნიშნავდა: „კ. ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონი მისივე „ქართული ენის შესავალი“ ერთად ჩვენი ერთი, ქართველოლოგიათა და, საერთოდ, ევროპული დამატრესებელი ყველა უცხოელის სამაგიდო წიგნი გახდა. ამ ნაშრომებმა მტკიცედ დამკვიდრეს ადგილი ევროპისა და ამერიკის არაერთ დიდი ბიბლიოთეკის თარგვებზე. საფრთხილია, რომ ამერიკელმა პროფესორმა სოლანომ ქართული ენა სწორედ კ. ჩხენკელის ამ ნაშრომით დასმარებით შეისწავლა“ („თბილისი“, 10. XII. 69).

რითა შესანიშნავი ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონი? რა უმაჯარუსი მეცნიერული ღირსებები აქვს მას?

ქართულ-გერმანული ლექსიკონი მრავალმხრივ საინტერესო ორიგინალური ნაშრომია და მისი საბოლოო შეფასება, ცხადია, შესაძლებელია მხოლოდ გამოცემის დამთავრების შემდეგ. აქ წინასწარ გვინდა აღნიშნოთ ლექსიკონის ზოგიერთი არსებითი ღირსება, რითაც მან სპეციალისტთა ინტერესი და საყოველთაო მო-







ლექსიკონს სხვა უფრო ახლებითი ნაკლებ აქვს, მაგრამ მათზე შეჩერება საჭიროდ არ მიგვაჩნია, მილიანად ჩვენს წინ დევს შესანიშნავი თანამედროვე ლექსიკონი, და განა ასეთი რთული შრომა უნაკლოდ შესრულდებოდა? მოვიგონოთ დიდი საბას აღსაჩება: „ერთისა და ორის კლებსათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოენელიაო“!

ახალი ქართულ-გერმანული ლექსიკონი მეცნიერების წამდვილად მნიშვნელოვანი შენაძენია. მკითხველი მაღლობის გრძნობით ეცნობა მას. ქვეშაირთად, ჩვენი ხალხის მეგობრები, ძვირფასი ციურხეელი კოლეგები, საშვილიშვილო საქშეს აკეთებენ. ქართული საზოგადოებრიობა ღრმად აფასებს მათ ამაგს და თავისი გულითადი პატივისცემა მან გამობატა კიდევ პროფ. იოლანდა მარშევის, ლეა ფლურისა და რუთ ნოვიკოვის მიმართ მათი საქართველოში

ამსწინანდელი სტუმრობის დროს. დიდად სასურველ სტუმრებს ყველგან სიყვარულით ხელეზოდნენ, აღტაცებით უსმენდნენ მათ გამოხატულებს ქართულ ენაზე ტელეფონით, რადიოთა უმადლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, პრესაში. შვეიცარიელ მეგობარ ქალთა სახელები ჩვენში ახლა ასე ფართო პოპულარობით სარგებლობენ. ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ, ასევე წრფელი გულითა და პატივისცემით მივიღოთ ძვირფასი მეგობრები, შესანიშნავი შვეიცარიელი ქართველოლოგი ქალბატონები, რომელთა უანგარო საქმიანობა, ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემაზე გავწეული შრომა და რედაქცია გადაეცემა შთამომავლობას, როგორც უჭეკობა მაგალითი, ორი ხალხის მეცნიერთა გულითადი მეგობრობის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები.



ბონერო პაპედაძე

## მეფე გიორგი XII და საიათნოვა

საუცუნეზე შეტია, რაც საიათნოვას ბიოგრაფია კვლევა-ძიების საგნად არის ქცეული; სამწუხაროდ, მკვლევარები დღემდე ვერ შეთანხმებულან ამ ნიჭიერი აშუღლის დაბადების და გარდაცვალების თარიღზეც კი... მაგრამ ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა კომენტარმა, რომელიც ერთვის ივ. ენიკოლოფოვის წერილს «Грибоедов и семья Ениколоповых (к 175-летию со дня рождения А. С. Грибоедова) წერილი გამოქვეყნებულია ჟურნალ «Литературная Армения»-ს 1970 წლის № 1-ში, გვ. 81-85.

ივ. ენიკოლოფოვი ცნობილი მკვლევარია აღ. გრაბოედოვის მოღვაწეობისა ამიერკავკასიასა და სპარსეთში. ამ წერილშიც ავტორი სათანადო მასალაზე დაყრდნობით განიხილავს აღ. გრაბოედოვისა და ენიკოლოფოვების ოჯახის წარმოშადგენელთა სამსახურებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობის ისტორიას; ფაქტობრივი მონაცემების საშუალებით ცდილობს გვაჩვენოს ირანის შაჰის სამსახურში მყოფი მანუჩარ-ხან ენიკოლოფოვის ზრუნვა აღ. გრაბოედოვის სიცოცხლის გადასარჩენად. მანუჩარ-ხანს აღ. გრაბოედოვის დასახმარებლად გავგზავნია დისწული სოლომონ მელიქოვი, მაგრამ ეს უქანსკენელი ფანატიზმით შეპყრობილ ბრბოს მოუქლავს. მანუჩარ-ხანის დედას, ვოსკი-ხათუნს, შეიღიშვილის ეს ტრაგიკული სიკვდილი ვერ გადაუტანია და გაბრუნდა. ეჩმიაწინში მიცვალბულია გადასასვენებლად მანუჩარ-ხანის უბრუნვია, რის შესახებაც ცნობას გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი გ. შერშიზანოვი: «Когда Манучар-Хан поместил трупы своей матери и Соломона Меликова на одном тахта-равене для отправки в Ечмиадзин в сопровождении верховых, тогда же был отправлен и труп Грибоедова» (стр. 84). აღ. გრაბოედოვის ცხედარი ეჩმიაწინიდან გადა-

ასვენეს თბილისში და დაასაფლავეს მთაწმინდაზე 1829 წელს.

ვოსკი-ხათუნი და მისი შეიღიშვილი სოლომონ მელიქოვი და დაუსაფლავებიათ ეჩმიაწინს, წმინდა გაიანეს ეკლესიის გზოში. ივ. ენიკოლოფოვი თავის სტატიაში მთლიანად მოაჭვს ვოსკი-ხათუნის საფლავის ქვის წარწერა:

«В гробнице сей покоятся тело благочестивой княгини Воском-Хатун Ениколоплицу, супруги нахарара грузинских царей Мирза Гургина, матери персидского владителя Мохтами Довлат Манучар-хана.

Княгиня сия от горя и страданий по внуке своем Сохметском княжиче Соломона Меликянше, убиенном в лето господне 1829-е января 30-го вместе с послом Российским, принявшим смерть в столице персидской Тегеране, разбита была параличем февраля 9-го и скончалась марта 3-го.

Соизволением снйательнейшего царя персидского Фат Али-шаха тела обоих я перевез из оной столицы к сему святому престолу и упокоил тело княгини в сем погребении в лето господне 1829 апреля 26-го.

ეპიტაფიაში ხსენებულ ვოსკი-ხათუნის ქმარს მირზა გურგენ ენიკოლოფიანეს წერილის ავტორი ივ. ენიკოლოფოვი საიათნოვას ლექსში («სოფელსა და სოფელს შუა») მოხსენიებულ გურგენ-ხანად მიიჩნევს — «Муж Воски-Хатун Нахарар Гурген Ениколоплянупомянут в стихотворении Свят-Новы «Между двух селений» (стр. 85). საიათნოვას ამ ლექსის უქანსკენელ ტაგში მართლაც არის ნახსენები «გურგენ-ხანი».

დავკარგე, ნაპირს ვერ გაველ, დამკარ ზღვისა ხილსავეთ,  
ახლა შიშით დოს უბერაე, პირი დამწვი  
შილსავეთ,

ნახევრამდინ ორმოში ვარ, გატეხილი  
ქილასავით,  
საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ,  
მართალია.<sup>1</sup>

მოტიანილი სტროფის უკანასკნელი სტროქონი საშუალებას იძლევა ვაგარკეციით საიათნოვას სოციალური მდგომარეობა, რაც აშუღის ბიოგრაფიის კიდევ ერთ მხარეს სინათლეს მოჰქვენს. საიათნოვას განცხადება: «საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია» პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გაეგვით, რადგან აშუღუდრი პოეტური ზელოვნების თანახმად ის თავისთვის ასახელებს და ამავე დროს მიუთითებს თავის უშუალო მატონზე «გურგენ-ხანზე». ეს გურგენ-ხანი კი, იგი. ენიკოლოფოვის აზრით, მირზა გურგენ ენიკოლოფოვია, რომელიც ერეკლე II-ის კარის სასამართლოში იყო და ხშირად იკვანებოდა სპარსეთსა და თურქეთში დიპლომატიური დავალებებით. მისი დიპლომატიური მიღგაწყოების შესახებ მოთხრობილია ომან ზურგულაძის და იესე ბარათაშვილის ქრონიკებში. გურგენ ენიკოლოფოვი გარდაიცვალა 1786 წელს. იგი. ენიკოლოფოვის მოსაზრებით, სწორედ ამ მირზა გურგენ ენიკოლოფოვის ყმა იყო საიათნოვა. ჩვენს ვეარში თაობიდან თაობაზე გადაციმყოფა ოქმულება ჩვენი ვეარის ერთ-ერთი წარმომადგენლის მირზა გურგენისა (გურგენი) და საიათნოვას შორის დიდ ურთიერთობაზე. ამან დიდი გავლენა იქონია იმაზე, რომ ჩვენმა ერთ-ერთმა ახლო ნათესავმა იური (გიორგი) ახვერდოვა (ახვერდიანმა), რომელიც განიშქვალა საიათნოვას პოეზიის სიდიადით, რამდენიმე წესე მოანდომა მისი და მისთან ერთად სხვა აშუღების, აგრეთვე თბილისელ ამტრების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მისაღების შეგროვებას. საიათნოვას ერთ-ერთ ლექსში, სახელდობრ, «ორ სოფელს შუა», რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ბიოგრაფიის დასადაგნად, არააზარტუნად მითითებულია მისი და მირზა გურგენის ურთიერთობაზე. ეს ჩანს ლექსის ბოლო სტროქონიდან «საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია»<sup>2</sup> მაშასადამე, მკვლევარი მოტიანილი ტაების საფუძველზე თავის მეორე ტაბაში უყოყმანოდ აცხადებს საიათნოვას გურგენ-ხან ენიკოლოფოვის ყმად. ის კიდევ უფრო შორს მიდის და სტრულიად დაუხაბუთებელ ვეარულს გვაწვდის, თითქოს გურგენ-ხან ენიკოლოფოვს ვეარკეცილი ლეწლიც კი მიუძღვის საიათნოვას სწავლა-აღზრდის საქმეში. ასევე, ძნელა მართო ნათესავური ვეარეობებით აგხნათ ვ. ახვერდოვის მეცნიერული ინტერესი

საიათნოვას შემოქმედებისადმი, რამდენადაც ვიცით, ამის შესახებ კინტიც არ არის დარწმუნო ვ. ახვერდოვის მდიდარ ეპისტოლიარულ შემოქმედებებში.

წვე სრულებითაც არ ვფიქრობთ, დავწამოთ იგი. ენიკოლოფოვს საიათნოვას ამ ლექსში სხე-ნებული «გურგენ-ხანის» პიროვნების შესახებ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებათა გულთვალისწინებლობა, რადგან იგი აღნიშნულ წერია-ლში წერს: «საიათნოვას მრავალი მკვლევარი დანიერებულნი იყო გურგენ-ხანის პიროვნე-ბით, მაგრამ მასზე ცნობების სიმცირის გამო ლიტერატურაში მხოლოდ თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამდნენ. პოეტის ერთ-ერთი საუ-კეთესო მკვლევარი პროფესორი ვ. აბოვი იძუ-ლებული იყო ელიარგინა, რომ «გურგენის პი-როვნების დადგენა ვერცერთი მწლია». სა-ქართველოს ბატონიშვილი ვიორგისთან ერთად (შემდგომ ქართლისა და კახეთის მეფე), რომე-ლიც მკვლევართა უმეტესობას «გურგენ-ხანად» მიაჩნდა, მიუთითებდნენ სხებზეც».

პირველ რიგში, უნდა შევნიშნათ, რომ იგი. ენიკოლოფოვი საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ლექსში სხე-ნებული გურგენ-ხანის და ვიორგი XII-ის იდენტურობა მან საფუძველი-ანად დაარღვია და თავისი მოსაზრება ეჭმი-უტანლად დაამტკიცა. იგი. ენიკოლოფოვი კატე-გორიულად აცხადებს ვიორგი ბატონიშვილი (გიორგი XII) «მკვლევართა უმეტე-სობას გურგენ-ხანად მიაჩნდა»-ო. (ხაზვასმა ჩვენია ბ. ა.) გამოდის, რომ თითქოს ამის შემდეგ სადაყო უკვე აღარა ვერჩება რა და მხოლოდ ერთადერთი იგი. ენიკოლოფოვის მო-საზრება უნდა ვალიარით და მივიღოთ. მაგრამ საქმე არც ისეა, როგორც პატივემულ მკვლე-ვარს ჰგონია.

უნდა ითქვას, რომ იგი. ენიკოლოფოვი საყ-ლვეი საკითხის შესახებ არსებულ საშეცნიერო ლიტერატურას ცალმხრივად განიხილავს, რად-გან ის ანგარიშს არ უწევს ავად. იღ. ბარამი-ძის მოსაზრებას პროფ. ვ. აბოვის ზემომოტიანილ განცხადებაზე («Какого Гурген-хана имеет виду Саят-Нова в своем стихотворении о-пределить трудно»)<sup>3</sup> ავად. აღ. ბარამიძემ პროფ. ვ. აბოვის ეს აზრი ვეარკეცილა და საშარ-თლიანად უწოდა მის ვეუებობა, რადგან მას უდგოდ მიაჩნია გურგენ-ხანისა და ვიორგი ბა-ტონიშვილის იგივეობა, კიდევ უფრო შერტ: ქართულმა მეცნიერმა საფუძველიანი ვეარუდო-კი გამოთქვა საიათნოვას. ყმობიდან გამოსნის შესახებაც. «შესაძლებელია ერეკლე მეფემ ვა-მოიხსნა კიდევ საიათნოვა ყმობიდან (იგულისხ-მება ვიორგი ბატონიშვილის ყმობა — ბ. ა.) თუ პირდაპირი მნიშვნელობით ვიორგით ერეკ-ლესადმი მიმართულ მის ცნობილ სიტყვებს:

1 საიათნოვა, თბილისი, 1963, გვ. 27-28.  
2 იგი. ენიკოლოფოვილი, დიდი აშუღი და მირ-ზა გურგენ-ხანი, ვაზ. «თბილისი», 1963, № 273.

<sup>3</sup> Саят-Нова, ერეკლე, 1945, გვ. 123.

„მოდო სისხლსა წუ დამიღვრი თასითა, ნასყიდი ვარ შენი, ძვირი ფასითა...“<sup>1</sup> აჭერად, ზენს მიზანს არ შეადგენს ამ ვარაუდისთვის ახალი საბუთების დაქვნა, მაგრამ საჭირო იყო ივ. ენიკოლოფოვს სათანადო ანგარიში გაეყრა ავად. ბარამიძის მოსაზრებისათვის, როცა ვ. ამოვის აღნიშნულ შეხედულებას ევრდნობოდა.

ქართული წყაროები მოწმობენ, რომ საიათნოვას ლექსის „სოფელსა და სოფელს შუა“ (და არა „ორ სოფელს შუა“, როგორც ივ. ენიკოლოფოვი უწოდებს) უკანასკნელ ტაეპში „საიათნოვას გურგენ-ხანის უმას ამბობენ, მართალია“, უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ და მხოლოდ მეფე გიორგი XII, რადგან საიათნოვა იყო საფელსწელო-სამბატონიშვილი უმა გიორგი XII. ამ ცნობას გეოგრაფიკული სწავლული და ფრიალ განათლებული მეცნიერი თეიმურაზ ბატონიშვილი. თეიმურაზ ბატონიშვილის შრომების მაღალი ავადმიმობი დონე და მის მიერ მოწოდებული ისტორიულ-ლიტერატურული ცნობათა სიზუსტე დღესაც შეიძლება ნიშნულად მივიჩნიოთ. ქართველმა სწავლულმა ბატონიშვილმა იმთავითვე იგონო საიათნოვას პოეზიის შვენიერება და მგონის ბიოგრაფიის და პოეტური შემკვიდრების შესახებ ძვირფასი ცნობები შემოგვინახა თავის ცნობილ კატალოგში: „სტიხნი, ერთი სრული წიგნი, სადნამასნი (რომელსაც ქართველნი საიათნამას უხმობენ), ეს იყო, ეამსა მეფისს ირაკლისა II-სა, მეფის გიორგი XII-ის ბატონიშვილამაში საყუთრად, სამბატონიშვილი უმა იყო მეფის გიორგის და იმას ახლდა, მაგრამ ხშირად მეფე ერეკლე II-სთან იყო, რადგან დაბ, კარგი საზნადარი (ე. ი. მესაქრავე) იყო. სხვადასხვათა ინსტრუმენტთა (ე. ი. საკრავთა) უკრავდა და იმეროდა, ლექსთა თითოეუ სახევიდა. იგი იყო სანიელი, მეფის გიორგი XII-ის სამბატონიშვილის სოფელსა და საქართლოს სომხეთავანი. სომხურსა და თათრულს სიმღერებსა და ლექსებსა სახევედა, სხვათა და სხვათა შემთხვევათა ეამსა. თითოეულის შემთხვევების შესაბამის სტიხები სიმღერად საყურველად უთქოშს აზრიანი და შესაბამიერი, თუმცა ლიტონი სტიხებმა მდაბიურსა გეარზედ, მაგრამ დიდად მოსაწონია“.<sup>2</sup>

ამ სრულიად ვარკვევითა და დაბეჭდვითაა ნათქვამი, რომ საიათნოვა იყო გიორგი XII-ის სამბატონიშვილი უმა. მით უმეტეს, რომ თეიმურაზის ამ ცნობას დამაყურებლობას მატებს ქართველ სწავლულ უფლისწულსა და საიათნოვან შვილის ივანე სეიდოვს შორის ახლო ნაცნობობა და საქმიანი ურთიერთობა. საქმე იმაშია, რომ თეიმურაზის დაუღუბით ივ. სეიდოვმა

1823 წელს შეადგინა თავის მამის საიათნოვას ლექსების კრებული. საიათნოვას ლექსების ამ კრებულს თეიმურაზის ხელით აქვს მიწერილი: „ესე წიგნი საქართველოს მეფესსა სიმედიანოვანის არის; საათნამას შეიღმა იოანემ დამიწერა თავის მამის საათნამას ლექსები იმის სახსოვრად“.<sup>1</sup>

ამრიგად, თეიმურაზის ცნობა საიათნოვას გიორგი XII-ის სამბატონიშვილი უმობის შესახებ ეკვიპიტანელია, რადგან საქართველოს სამეფო კარზე აღზრდილი თეიმურაზი შვენიერად იცნობდა საიათნოვას და მის ლექსებს, რომ არ ცოდნოდა ვერც დაუკვეთავდა ი. სეიდოვს მამის ლექსების დავითის შედგენას. ამასთან ერთად პირველი წყარო ი. სეიდოვი ზომ თეიმურაზის ზელო იყო პეტერბურგში და მისგან შეეძლო მიეღო ზუსტი ცნობები საიათნოვას გიორგი XII-ის უმობის შესახებ. ბუნებრივია, შეიღმა ყველაზე უკეთ უწყის მამის სოციალური და ყოფითი მდგომარეობა, ვიდრე სხვამ.

ჩვენს ზელო არის ავრთვე მეორე წყარო გიორგი ბატონიშვილის და საიათნოვას ურთიერთობის შესახებ. ამ ცნობას ეხედებით ერთ ქართულ ხელნაწერში, რომელშიც ლაპარაკია საიათნოვას მიერ კაბუთა ორბელიანის ქორწილზე ნათქვამ ლექსზე: „კაბუთა დაამბევს, ვაფლანიშვილს, ქორწილი რომ შეუყვს ზღბრან-ბატონის ქალზედ და შეიყვანს მეფე-დედოფალი დასახსნულად, საათნამა იქ იყო: მეფე გიორგი მაშინ ბატონიშვილი იყო და იმას ახლდა საათნამა. შეხედა კაბუთას — ჩაყავილი, სქელი, კუხიანი და ბეჭმუცელი ბრუდე და ქალი დილა მალდი, მაშინვე საათნამამ სოქვა წყობილი სიმღერით“<sup>2</sup> ეს საბუთი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გიორგი ბატონიშვილი თავის უმა ამულს ქორწილმეცლისებში დაატარებდა და თავსაც იწონებდა ალბათ ამ ნიშნით იმპროვიზატორით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი XII — საიათნოვას გარდა შესაზნადრედ და გამართობად ჰყავდა იოანე კვებრელი, შიო მეჭიანთრე და მარტიროზაშვილი, ხოლო ფარნაოზ ბატონიშვილს ემსახურებოდნენ იარალი შამშიაშვილი და ჩამნი-

1 სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, ნომერი 21 (ყოფილი 222)

2 სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდი 23, გვ. 108 ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. შარაძის სარწმუნო მოსაზრებით ეს კომენტარი ეკუთვნის თ. ბაგრატიონს, რომელიც უშუალოდ მამისაგან გიორგი XII-ის ნაამბობის საფუძველზე უნდა გვეცნოდეს ჩაწერილი (თეიმურაზ ბაგრატიონის ფოლკლორული ჩანაწერები „მაყნა“ 1969 № 5, გვ. 200-202).

1 საიათნოვა, თბილისი, 1963, გვ. 99.

2 კატალოგი წიგნსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბილისი, 1948, გვ. 40.

მელქო. ეს უკანასკნელი საიათნოვას მიზანით ამბობდა:

მუხამბაზო, რა ტუბილი რამ ხმა ხარო!  
ჩამჩი-მელქოვ, ფარნაოზის ყმა ხარო!

თუ კი მოტანილი ქართული წყაროები საიათნოვას გიორგი XII-ის ყმად ურთხმად იხსენიებენ, მაშინ, ბუნებრივია, საიათნოვა აღნიშნული ლექსის უკანასკნელ ტაეში („საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია“) თავის უშუალო ბატონს — გიორგი XII-ს მოიხსენიებდა და არა მირზა გურგინ ენიკოლოფოვს, რომელთა შორისაც არსებული რაიმე ურთიერთობა არცერთ წერილობით საბუთით არ დასტურდება (საიათნოვამ თავის ლექსში ქართული სახელი გიორგი სომხური გურგენით შეცვალა).

იგი ენიკოლოფოვს ზემოთმოტანილი ქართული წყაროების გაცნობის შემდეგ (თუ რა საკვირველია, ისინი მისთვის ცნობილი იყო) საეჭვოდ არ უნდა მოსჩვენებოდა საიათნოვას აღნიშნულ ლექსში მოხსენიებული გურგენ-ხანისა და გიორგი XII-ის იდენტურობა. რადგან მკვლევარმა მოსაზრება საეჭვოდ მიიჩნია, ამიტომ თავის დებულების უტყუარობა (გურგენ-ხანის იგივეობა მირზა გურგენ ენიკოლოფოვთან) უნდა დაეპირობებინა დოკუმენტური წყაროებით. იგი ენიკოლოფოვს ამ საკითხზე არსებული ქართული წერილობითი წყაროებისათვის უნდა დაეპირისპირებინა ანალოგიური ხასიათის წერილობითი დოკუმენტი და არა გადმოეცმა, რადგან ზემოთაღნიშნული (ისიც შეუმოწმებელი) დოკუმენტურ წყაროდ ვერ გამოდგება და, აქედან გამომდინარე, ხელაღებით ვერ დაეპირისპირებოდა წერილობით წყაროს.

რაც შეეხება ამ ლექსის შექმნის დროს, ვფიქრობთ, ეს ლექსი („სოფელსა და სოფელს შუა“) შექმნილი უნდა იყოს საიათნოვას ერეკლე-II სასახლიდან გაქვების შემდეგ (ივლისის ხმება ერეკლე II-ის ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ასვლის 1762 წ. შემდგომი პერიოდი) ჩანს საიათნოვას მწვეველ განუცლია სასახლიდან დათხოვნა, რადგან მგოსანი ამ ამბით გამოწვეული სკედის გასაღებს თითქმის ყოველ მიგვიანინებს:

შავარდნო, რათ გარჯილხარ ტყავაგახილი  
მელისათვინ?

თვალუბი აღმასს მიგივაეს, ნისკარტი ვაქვს  
გველისათვინ

წადი, ახალი მოძებნე, ფრთას ნუ ვაშლი  
ძველისათვინ

რა დავჯდე და რა ვიტრო, რომელი ერთ  
ნალველისათვინ!

ჩემსა ვარდა ოცდარხსა სხეას ამბობენ,  
მართალია!

თუ გაეიხსენებთ თეიმურაზ ბატონიშვილის

მიერ მოწოდებულ დოკუმენტებთან ერთად გიორგის „საიათნოვა ლექსებს სთხზავდა, სხვათა და სხვათა შემთხვევათა ეამსა. დეიფელის შემთხვეულობის შესაბამის სტიხები სიმღერა საკვირველად უთქომს აზრიანი და შესაბამიერი“-ო, მაშინ შეიძლება ვთქვათ ამ ლექსს საფუძვლად დაედო ბიოგრაფიული ამბავი, კერძოდ, საიათნოვას სახლიდან დათხოვნის მომენტი. მისასადავამ, ლექსის შექმნის დროდ უნდა ვიცულისხმოთ 1762 წლის შემდგომი ხანა, შეიძლება მე-18 საუკუნის უკანასკნელი ათეული კი. ამ პერიოდში საიათნოვას უშუალო ბატონი გიორგი XII მოწიფული ვაჟაკი იყო (დაიბადა 1746 წლის 10 ნოემბერს)!, ასე რომ საიათნოვას თანესუფლად შეეძლო ეთქვა: „საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია“-ო და ამავე დროს სრულიად ბუნებრივია მეფე გიორგი XII-ს მოხსენიება, რადგან თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობიდან ვიცით, რომ საიათნოვა იყო ყმა „სანაიელი, მეფის გიორგი XII-ის სამატონიშვილო სოფლისა საქართველოს სომხეთაგან“-ო. მართლაც, 1740-იან წლებიდან „სანაიანი, სხვა საფელისწულო მამულეთთან ერთად გიორგი ბატონიშვილის მომავალი მეფის გიორგი XII-ის საკურთხეობის შეადგენდა“.2 ასე რომ, საიათნოვამ მოიხსენია თავისი ბატონი გიორგი XII და უწოდა ხანი, იმ დროის ყველაზე საპატიო ტიტული აღმოსავლეთ საქართველოში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საიათნოვა ხანს უწოდებდა მეფეს.3 ვაგვისხელო ერთი მისი ლექსი „ხარ ტურვა“, რომელშიც საიათნოვა ამბობს: „ხმალი ხელთ ვიკირავს ერეკლე-ხანო“-ო. ეს ლექსი ერეკლეს მეფობაში შექმნილი ჩანს. „კალმა სობიდან“ ვიცით, რომ საიათნოვას ერეკლეს კარზე დაახლოება მომხდარა ამ უკანასკნელის მეფობაში: „მე ვიცოდი ჩონგური კარგად და ამასთან სპარსულ ხმაზედ გაეკეთე ქართული ლექსები, ჯერ არ იყო შემოღებული იმ, როდესაც მეფემან ირაკლი იწება მეჯღონი და მიგვიყვანეს მოსაქრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე, ბატონს დიდად იამა, და ხალხთიც მიბოძა. და მერე სხვათაც მრავალთ თქვეს და მომამაქეს“.4 საიათნოვას ამ სიტყვებში საგუ-

1 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 3.

2 გ. ლეონიძე, მგოსანი საიათნოვა, აზერბაიჯანი, 1930, გვ. 11.

3 გ. შაველაშვილი, საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით. 1967, გვ. 124-125 (საკანდიდატო დისერტაცია ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში).

4 ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 1, ქ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 227.

1 ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, თბილისი, 1918, გვ. 23.



ლისხმობა ერთი ვარემოება. მგოსანი ერეკლეს დაახლოვება მეფობის პერიოდში „და როდესაც მეფემან ირაკლი იხება მეჯლიში“. ამ მეჯლიშზე საიათნოვას პირველად უმღერია ქართული ლექსები სპარსული ხმით, რაც ერეკლე მეფეს მოსწონებია და ხალაიცი უბოძებია. ჩანს, ერეკლეს საიათნოვა პირადად ვაუცენია და დაუახლოვება, როცა უკვე მეფე იყო და არა ბატონიშვილი. ეფიქრობთ, 1744 წლამდე, როცა ერეკლემ დაუტყვევა ბატონიშვილობა და გახდა კახეთის მეფე, საიათნოვა ვერ მიმართავდა ერეკლე ბატონიშვილს ასეთი სიტყვებით:

„ხმალი ხელთ გიჭირავს, ერეკლე ხანო,

ანათბ ქვეყანას, მთვარე და მზე ხარ!  
ნეტავი არ დაღამდე, რა კი დღე ხარ!  
ერთგული მოსამსახურე, ყული ხარ,  
საიათნოვავ! რა ყარბ ბუღბული ხარ!..“

ერეკლე შეშვობილია მეფური დიდების გამო-მხატველი ეპითეტებით: „ანათბ ქვეყანას, მთვარე და მზე ხარ, ნეტავი არ დაღამდე, რა კი დღე ხარ!“ საიათნოვა პირდაპირ ამბობს, ერეკლეს ერთგული „ყული ვარო“. ერთგული მოსამსახურე, ყული ხარ, საიათნოვავ! რა ყარბ ბუღბული ხარ! ვუკვობთ, საიათნოვას 1744 წლამდე ამგვარი რამ ეთქვა ერეკლე ბატონიშვილისათვის, რადგან „ერეკლე კახეთის ბატონიშვილი იყო და მეფეც და არა ქართლისა, საიათნოვა ქართლში ცხოვრობდა. ერეკლეს ბატონიშვილობის არც თუ დიდი სახელი და დიდება იძლეოდა ამის თაბაბს“.<sup>1</sup>

ამ ლექსში კარგად ჩანს ერეკლე მეფის სასახლის კარზე გაშინაურებული საიათნოვას ადამიანური და პოეტური სახე. ბუნებრივია, საიათნოვა პოეტურ სტიქონებს მიუძღვნდა მის სათაყვანებელ მეფეს, „საქართველოს მეფის სახანდარი ვარ...“ „ხმალი ხელთ გიჭირავს ერეკლე-ხანო“, „საიათნოვას ზელწიფე, ყენ-შაჰაბაზი ირაკლია“ და სხვა. ვფიქრობთ, აქ საქმე შეეხება მხოლოდ პოეტურ თქმას, რომლის წარმოქმნის იმპულსს იძლევა რეალური პიროვნება. საიათნოვა ამ სახელებს (შაჰაბაზი, ხანი, ყენი) შეთავონებისდა მხებდვით ხმარობს, რათა უკეთ განადიდოს ამ შემთხვევაში ერეკლე მეფის დიდებული სახელი, რაც შეეხება, კერძოდ, ხანის ხმარებას, ეს მოვლენა ასე წარმოგვიდგება: არამე თუ საიათნოვა, XVI-XVII სა-

უკუნეების ირანელი ისტორიკოსი ისტანდერ მუნში კახეთის მეფეს ლეიანს უწოდებდა ლეიან-ხანს, მეფე თეიმურაზს, თეიმურაზ-ხანს! სწორედ ეს მოვლინო საუკუნეების წყაროების დასახელებაც, სადაც ქართველი მეფეები წოდებულნი არიან ხანებად. ჩანს ქართველი მეფეების ხანად მოხსენება, თავისი ტრადიციის მქონე ირანში, საიდანაც შემდეგ გავრცელებულია საქართველოშიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ საიათნოვა ხანს უწოდებს მეფეს. ამიტომ, ბუნებრივია, საიათნოვა გიორგი მეფეს გულისხმობს, როცა ამბობს: „საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ მართალია“. ჩვენ სულაც არ გვეჩვენება შეუძლებლად ხსენებული ლექსი „სოფელსა და სოფელს შუა“ საიათნოვას შეეძვნა გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში (1798-1800) და არა მის ბატონიშვილობაში. მთლ ანა და, ანა როგორ გვაგონოთ საიათნოვას შვილის ივ. სეიდოვის მიერ ამ ტაბის ასეთი ჩანაწერი: „საიათნოვას გიორგი მეფის ყმას ამბობენ, მართალია“ (ზაზაშაზა ჩვენია — ბ. ა.). ივ. სეიდოვი, შესაძლებელია, ჩაწერისას საერთოდ სცოდაც, მაგრამ აქ არ გვეგონია შეცდომა მოსელოდა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შვილს ყველაზე უკეთ მოეხსენება მამის სოციალური მდგომარეობა, ვიდრე სხვას. ეფიქრობთ, უფლება არა გვაქვს არ დაუტყვეროთ ივ. სეიდოვს ასევე შეუძლებელია, ამის შესახებ არ დავეთანხმეთ პროფ. ლ. შვალტსოვების განცხადებას „ვის შეეძლო უფრო კარგად ცოდნოდა, რომ საიათნოვა გიორგი მეფის ყმა იყო, ვიდრე მის ლეილ შვილსაო“.<sup>4</sup>

ასე, რომ ზემოთხსენებული მასალების საფუძველზე შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ საიათნოვას ლექსში მოხსენებული გურგენ-ხანი, საქართველოს უკანასკნელი მეფე — გიორგი XII გახლავს.

<sup>1</sup> ისტანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. ვლ. ფუფურაძის გამოცემა, თბილისი, 1969, გვ. 13, 76.

<sup>2</sup> ლ. მელიქსეთ-მევი, საიათნოვას ენობა, თბილისი, 1930, გვ. 87.

<sup>3</sup> აზიის ზალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, ფონდითი ნომერი 21 (ყოფილი 222), გვ. 6.

<sup>4</sup> იოანე ზელაშვილი სომხეთში საქართველოს სახელმწიფო მეუფემის მოამბე, 1935-1936 წწ. ტ. X, გვ. 126.

<sup>1</sup> გ. შაყელაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124-125.

## ბიორგბი ლეონიძის თხზულებების პერსონაჟთა საკუთარი სახელები

ადამიანის საკუთარი სახელი ანუ ანთროპონიმი ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს გვიჩვენებს.<sup>1</sup> ამავე დროს „ადამიანის საკუთარი სახელი ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა“.<sup>2</sup>

გ. ლეონიძის თხზულებათა ენაში ლექსიკის ეს სფერო მეტად მდიდარია. მწერალს ლექსიკის უძველესი ფონდიდან გამოუმჯერებია ისეთი ქართული საკუთარი სახელები, რომლებიც დღეს აღარაა გავრცელებული. ლეონიძემ თავის თხზულებათა პერსონაჟებს უმთავრესად შეურჩია ძველი ქართული სახელები. მწერალი ედილობს, გამოავლინოს, გამოაცხადოს მივიწყებული ძველი ქართული საკუთარი სახელები და ამით ხელი შეუწყოს მათ გავრცელებას დღევანდლობაში. საამისოდ გ. ლეონიძემ შეარჩია ის „ქართული სახელები“, ქართული „სახელწოდებანი“, რომლებიც შექმნა, წარმოაჩინა ჩვენმა სინამდევამ, ჩვენმა ისტორიამ, ჩვენმა ცხოვრებამ, სახელები, რომელთაც ატარებდნენ ჩვენი წინაპრები და ჩამშლენიც დღეს შეიძლება ატაროს ქართველმა ნაცევად იმ უმარტოებულ, უშვერი, უჭერო და საზოთიბო სახელებისა, რომელნიც ასე უზარუნეოდ და უცნაურად ვრცელდება ჩვენში“.<sup>3</sup>

გვიარტი ლეონიძე როგორც პოეტურ, ისე პროზაულ ნაწარმოებთა პერსონაჟებს საგულდაგულოდ შერჩეულ ძველ ქართულ სახელებს არჩევს. ქართული სახელების ქომაგ პოეტს ზოგიერთი ლექსი თვით ამ სახელებზე დაწერია. ასეთი ლექსებია „თოვლა“ და „თუშია“; არივე ქალის სახელია, რომელთაგან **თოვლა** ძველქართულია, ხოლო თუშია გავრცელებულია თუშურში.

ამავე მიზეზით დაწერია ლეონიძეს პოემა „ფორთოხლა“, თვითონ მწერალს უოქავს:

<sup>1</sup> ილ. ლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი 1967, გვ. 5.  
<sup>2</sup> მისივე ქართული ლექსიკოგრაფია, თბილისი 1964, გვ. 114.  
<sup>3</sup> გ. ლეონიძე, ქართული სახელები, „ლიტერატურული გაზეთი“ № 12 (1234) 1961 წლის 17 მარტი.

„ერთ ძველ ძეგლში ამოვიკითხე — „ფორთოხლა“. ამ სახელმა მთელი პოემა დაამწერინა“.<sup>4</sup> „ფორთოხლას სახელი მართლაც ნახსენებია შოთა რუსთაველის უწინდელ ქართველ მსახულეებში.“

ჭერ კიდევ აქად მ. ბროსემ თავის „რაპორტებში“ (III, წერილი, გვ. 73) ახსენა „ფორთოხლა“ (იგივე ფორთოხ) და მისი მეუღლე მიქელ გარაჯანიძე. „ფორთოხლა“ (ფურთუხლა), რომელსაც შემდეგ „ირისე“ ეწოდა, შეტანილია ათონის, მთაწმინდის, პევერიის<sup>5</sup> ქართულთა მონასტრის „სიუვიარული მოსახსენებულში“ ის მოხსენებულა 5 მაისის (ახლათ 18 მაისი) „ალაშში“.<sup>6</sup>

მწერალმა საალერსოდ ბერშოულა უწოდა ამავე სახელწოდების პოემის მთავარ გმირს ბერისი.

მწერლის კეთილშობილური განზრახვა — გამოამწეროს ძველი ქართული საკუთარი სახელები — განსაკუთრებით კარგად ჩანს პოემაში „ამბავი თბილისისა“<sup>7</sup> და მოთხრობების კრებულში „ნატერის ხე“.<sup>8</sup>

გ. ლეონიძის ისტორიულ პოემაში „ამბავი თბილისისა“ ასახულია მეხუთე საუკუნის საქართველო, ვახტანგ გორგასალის ეპოქა, კერძოდ, ქართველი ხალხის გმირული პაპოლა სპარსი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ პოემაში ისტორიულ პირებს პოეტი სახელებს არ უდევს. ესენი არიან: მეფე ვახტანგი, მისი და გურანდუხტი, მემკვიდრე დარჩილი, ფარხმანი — ქართლის სპასპეტი, დემეტრე — ერისთავი კახეთისა და კუხეთისა, ვარაზი — ერისთავი რაზისა, ჭუანწერი — სპასპეტი ვახტანგ გორგასალისა, მღვდელი აზიათარი, დანარჩენ პე-

<sup>1</sup> კლიმენტი გოგიავა, კოლხური წევით მონათლული, „მნათობი“ № 5, 1970 წ.  
<sup>2</sup> ტრიფონ რუხაძე, გვიარტი ლეონიძის პოეზიის ძველი ქართული ლიტერატურული წყაროები, სათბილო კრებულთა „გვიარტი ლეონიძე“, თბილისი, 1970 წ., გვ. 153.  
<sup>3</sup> გ. ლეონიძე, „ამბავი თბილისისა“, თბილისი, 1969 წ.  
<sup>4</sup> გ. ლეონიძე, „ნატერის ხე“, თბილისი 1964 წ.

რონაეთა სახელები კი შწერლის შერჩეულია.

პოემის ისტორიული ხასიათი გ. ლეონიძეს აძლევს შწერნიერ შესაძლებლობას გამოავლინოს ძველთაძველი ქართული საკუთარი სახელები. დასახელებულ პოემაში შწერალმა შემოგვთავაზა მამაკაცთა შემდეგი სახელები: აბულაბ-ტარი, არიშული, არტავაზი, არშუშა, არჭევანი, ბაზალი, ბაკური, ბორტვა, ბოჩი, ვაგა, გოდერძი, გურამი, დავალი, ვარჯანი, თარხუნი, თაყა, თერგაული, თვალსაცრა, თვარელი, კვირტა, ლომშერი, მათარსი, მთავარელი, ნისლაურა, ობელი, პერანე, სავატელი, ტულაპაურა, ფარეჯანი, ფარნა, ფიწალი, ქუჭა, ლეთისხვარი, ლეთისო, ლენია, ლვირღვა, უოდლა, შაბარდინი, შარაველი, შარვაფი, ცისკარა, ხახარე, ჭავჭავები, ჩიქური.

ქალთა სახელებია: ბუდეშურა, განმა, გარიელა, იათაშე, ნეშა, ნინორე, პირიშე, რუშა, სამიფარი, ციბალი.

საყურადღებოა რომ ეს სახელები მხოლოდ ისტორიული კოლორიტისათვის არ შუერჩევი შწერალს. იგი ზრუნავს აგრეთვე ამ სახელთა დამკვიდრება-გაერყელებაზე, რის დადასტურებასაც წარმოადგენს მის მიერ შედგენილი და გამოქვეყნებული ქართული სახელების სარეკომენდაციო სია, სადაც მრავალი საკუთარი სახელი შეიტანა ამ პოემიდან. ესენია: არტავაზი, არჭევანი, ბაზალი, ბაკური, ბოჩი, ვაგა, გოდერძი, გურამი, ვარჯანი, თარხუნი, თაყა, თვარელი, კვირტა, ლომშერი, მათარსი, მთავარელი, ნისლაურა, ობელი, პერანე, ფარნა, ქუჭა, ლეთისხვარი, ლეთისო, ლენია, ლვირღვა, შარაველი, შარვაფი, ცისკარა, ჭავჭავები, ჩიქური; ბუდეშურა, განმა, გარიელა, იათაშე, ნინორე, პირიშე რუშა, სამიფარი.

რა წყაროებით სარგებლობს შწერალი ამ სახელების შერჩევისას?

როგორც ცნობილია, „ტრადიციული წარმართული, საკუთარი სახელები რელიგიურად შემორჩა მთას (ხევისრეთი, ფშავი, ხევი, რაქა, თუშეთი). აგრეთვე სვანეთსა და სამეგრელოს. მისმა მხოლოდ ცალკე ნიმუშებმა გაიკვლიეს ვხა VIII-XVIII საუკუნეთა წყაროებში და ამხვე დროს ბევრი მათგანი შემორჩა ხალხის ხსენებასაყ.“<sup>2</sup>

თუ როგორი გულმოდგინებით ეძებდა გ. ლეონიძე ქართულ საკუთარ სახელებს ზემოდასახელებულ წყაროებში. ეს კარგად ჩანს მის მიერ ეტრნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული „ნამცერვეიდან“<sup>3</sup> სადაც შწერალი გველინება როგორც შესანიშნავი მკვლევარი. იგი კვალ-

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, ქართული სახელები, „ლიტგაზეთი“ № 12, 1961 წ.

<sup>2</sup> ალ. ლონტი, ქართველეთა საკუთარი სახელები, გვ. 12.

<sup>3</sup> გ. ლეონიძე, ნამცერვეი, „მნათობი“ № 8 და № 9, 1960 წ.

დაკვალ მისდევს საძიებელ სახელს, რომელიც ხან საუკუნეთა სიღრმეში მიჩქმალულა, ხან დილაქტებისათვის შეუფარებია თავი. ზოგჯერ ხალხის ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს. ზოგჯერ ტოპონიმებს გადაურჩენია სრული დაკარგვისაგან. ამის საილუსტრაციოდ მივმართოთ გ. ლეონიძის დავიერებებს ისეთ უძველეს ქართულ სახელზე, როგორცაა ბადა. მოგუსმინით ჩვენს შწერალს და მკვლევარს: „1903 წ. პროფ. ალ. ხახანაშვილი და ბებქვა ევთვიმე მთაწმინდელის ნათარგმნი „წესი და განგება და მსჯელის — კანონი მეექვსისა კრებისა“. ეს ძველი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში მოხსენებულია ქართულ-წარმართული ბანთონისი ლმერთებთა და მათ შორის უცნობი ლეთება — ერპი „ბადაგონი“.

მე მიინდა ორიოდვე მოსაზრება გამოეთქვა „ბადაგონის“ ვარშემო:

სომ არ შედგება „ბადაგონი“ ორი სიტყვისაგან „ბადა+გონი“?

„ბადა“ დღესაც სახელი ხევისრეთში!

— მამა, გვგოთურო, ბადა მამუე ხახაბოელი!

— ვაგა?

— ვაგა კი არა, ბადა, ბადა, ხახაბოელი!

ბაღალია შენი, ბადაო, რომ გული გიწუნდებოდა და სხვა (ხევისრული პოეზია, ა. შანიძის რედ., 66).

ბადა — ბათა, ქალის სახელია თუშეთში (ბათა შაქაშვილი, — თუში ქალი, ზემო აღვანი). უბრ. ფშავთა ლექსი: —

„ამბობენ, ბადათ ქრელსა  
შორის წამოსულ მგზავრსაო,  
წამოვა, გამოსილდებო  
თათარსა, დაღისტანსაო,  
გადმოვა თიანეთშია,  
ღენოს დაეწეებს სმისაო“.

(ღრებიძე, ნინო შვედლური)

„ბადაი“ შემოკლებითი, საღრსო სახელი, დღესაც ცნობილია კახეთსა და მთიულეთში (იხ. „ბადაი“ ფერიაშვილი — ვიშითელი, 1601 წლ. ქვ. იხ. დოკუმენტები... I, 13). „ბადაი“-დან წარმომდგარა გარეკახეთის გეოგრაფიული მუწყტის „ბადაური“-ს („ბადაი“-ს ნაყუთენილარი) სახელწოდება და გვარი „ბადაიური“. უკანასკნელი დღესაც გავრცელებულია არაგვის მთიულეთში. „ქერმის-ხეგმა სთქვა ავდილი, მოვალ, მოვდივარ, მოვხუვი, ბადათ მარიას შუეარდი. გამოვალავე ქვაბები (უმიკაშე. 237); (შენიშვნა გ. ლეონიძისა, რ. 3.)

<sup>1</sup> ბადა, — სახელი მ მათუ. ბირე. ნახვარი-სა, თბილისში: „ბიბა-ჩემი ბადა, აქეთ, დიარბეჭის მისული იყო და შვილის და ვერ ეპოვნა“ (ე. არქ. სიგელების, წ. 24, საბუთი № 201), (შენიშვნა გ. ლეონიძისა, რ. 3.).

„ბადა“ იგივე „ფადა“. გვარი ფშავში, — ფადიური.

ცნობილი ასევე სახელი „ბადუ“ (ც. არქ. 226, № 5721); გვარები: ბადა-შვილი, — არაგვე და ქსანზე; იგივე „ბადაანი“ (კახეთში), ბადა-შვილი, ბადუ-ჩაშვილი (ჯავახ, საქ. ეკონომ. ინს., 1, 55); „ბადელიძე“ — უწარჩინებულესი ოსეთა გვარი (ვახუშტი, გეოგ., 137, 110); „ბადანდას ძე“, — გვარი გიორგი ბრწყინვალის მიერ ეგვიპტეში წარვლენილ ელჩობის წევრისა (ჯავახ. ქართ. ერ. ისტ., 111, 277).

ამ შემთხვევაში საინტერესოა აგრეთვე სახელწოდება ქ. გორთან ჩრდილოეთით „ბადაბეთი“ და სამხრეთ ოსეთის (ს. ძვილეეთთან) — „ბადათი-ჟაუ“.<sup>1</sup>

ადგილის სახელებში, როგორცაა ფსანაური, მახინჯაური გ. ლეონიძეს ეკვლება ძველი ქართული სახელები ფსანა და მახუნჯავ<sup>2</sup> და სხვ.

თავის გამოკვლევაში ლეონიძე მსჯელობს აგრეთვე ისეთი ძველი ქართული სახელების წყაროებზე, როგორებიცაა: თაფფრაგ, ჩიხმაგ, ბაბილაჰ მემნა<sup>3</sup> და სხვ.

ზემოთხსენილი ფაქტები ნათელია იმ დიდ ინტერესს, რასაც ლეონიძე იჩენდა ნეპოლ თუ წერბოლოში წყაროებში გახსენილი ძველი ქართული საკუთარი სახელების გამოსაყენებლად.

გ. ლეონიძის თხზულებების პერსონაჟთა საკუთარი სახელების ნაწილი ძველადაც გვხვდებოდა და დღესაც გავრცელებულია, ნაწილი ძველ სიგელ-გუჯრებში დასტურდება, ნაწილი — ქართველურ ენებსა და დიალექტებში.<sup>4</sup>

ძველად ხმარებული და დღესაც გავრცელებული სახელებია: ბაყური, ვადერძი, გუჩაში, ფანა, ამაზე. უმეტესობა კი დასტურდება V-XVIII სუეტნის ძეგლებში, დღეს კი აღარ იხმარება. ასეთებია: არტავაზი, არშუშა, არქვანი, ბორტა, ვაგა, ვარქანი, თაუ, თვარელი, ლიშხერი, შათარსი, ორხელი, ფარქანი, დეთხავარი, დენია, ცისკარა, ჯავახი, პირიზე, სამიჯარი;

ზოგი სახელი ქართველურ ენებში გვხვდება, მაგალითად, სიანურში — თახუნე, მეგრულ-

ში კვირტა, ჯაგუ, ციხლი. ზოგი კი — დიალექტებში: იმერულში — ბაჩი, გარჯაბურში — ნინორე, ხევსურულში — ვაგა, ლეთსო, ვანა, ფშავურში — თვარელი, მთავარული, ლეთსავარი, თუმურში — ქუჭა.

ამრიგად, პოემა „ამბავი თბილისისა“ ისტორიული ქარგა მწერალს საშუალებას აძლევდა დღის სინათლეზე გამოეტანა უძველესი ქართული სახელები; გიორგი ლეონიძემაც შესაძენივად გამოიყენა ეს შესაძლებლობა.

ანთროპონიმების მხრივ მეტად საინტერესოა გიორგი ლეონიძის მოთხრობების კრებული „ნატერის ხე“. ეს კრებული მწერლის „ყრბობის მოგონებანი, მამინდელი განცდილი, დანახული ჭარბულ სოფელში“. ამ მოთხრობების შრავილი პერსონაჟი მწერლის ყრბობისდროინდელი რეალური პიროვნებაა. მას თვალწინ უდგას თავისი პირველი მამწავლებლები — მეზღაპრეები: ნინუცი, ვაინე, მავა, შარია („შრობლიურ ხეთა ჩრდილებში“) ლეონიძე სიყვარულით იგონებს ყრბობის მეგობრებს; ესენი არიან: სახედა, ავლია, არსენა, ზახილა, ქეთე, მისა, ნიტრია, შოშია, ზეცურა, ლესურა („ორი შემოხვება“), ფიფონა, ბათულა („ჩვენი ქერამი“), განა შეუძლია მწერალს გულობილად არ გაიხსენოს თავისი ახლობლები: ტუბოშქართულ დედა მარია-მი და მისი შინმოუსვლელი ვაჟი შალა („დღეიდა მიყო“), მოამავე ბიძა ნიკოლოზი და მისი ძმა ვარსევანი („ორი შემოხვება“).

ჩვენთვის ამაში საინტერესოა ის საკუთარი სახელები, რომლებიც მწერალს შეუტრევიდა თავისი პერსონაჟებისათვის. ეს სახელები უმთავრესად ძველქართულია. თუ რომელიმე პერსონაჟს არაქართული სახელი ჰქვია, ეს თანასოფელეთა გელისწყარომას იწვევს: „დიაკანი ელფეთერია საღამო ზანს საფლის მოედანზე იდგა და გლეხებში საუბარს გულს აყოლებდა.

ეს სწორედ ის ელფეთერია, რომელსაც გავსულ თვეს სცემეს კეტებით დღეობაში მოსულმა ქირვეულმა სტუმრებმა ელფეთერია რათა გქვიანო! ამ ელფეთერზე იტყოდა სოფლის მცველი: ორი ელფეთერია რომ მყავდეს, ერთს უსათოდ ჩამოვახრბობდი!“ („ნატერის ხე“, გვ. 9).

მოთხრობების ამ კრებულში ამაყად იგრძნობა გ. ლეონიძის განზრახვა: რაც შეიძლება უხედავ მოგვაწოდოს დღეს მივიწყებული ქართული საკუთარი სახელები. სამისოდ მწერალი სავანებოდ უჩრევს სახელებს ისეთ პერსონაჟებსაც კი, რომლებიც მხოლოდ ერთხელ არიან ნახსენები მოთხრობაში და თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებენ მის სოცეტურ განვითარებაში, მაგალითად: „დიაკანმა ამაველ გოგოს, ახლავს, სველი ლიტრა გამოჰკლავა ხელიდან და მიიყუდა“ („ნატერის ხე, გვ. 10). — „მართლაც ისეთი ლამა-

1 გ. ლეონიძე, ნაძვრები, „მნათობი“ № 8, 1960, გვ. 87—88.  
2 „მნათობი“ № 9, 1960, გვ. 157.  
3 იქვე, გვ. 158.  
4 იქვე, გვ. 160.

5 იმის ვსათვალისწინებლად, თუ რომელი წყაროთი უსარგებლია გ. ლეონიძეს პერსონაჟთა სახელების შერჩევისას, ჩვენ გამოვიყენეთ ალ. ლონტის ნაშრომი „ქართველური საკუთარი სახელები“, სადაც თითოეულ სახელს ახლავს სათანადო წყაროზე მითითება.

ზი ზე ამოერჩია საწყალს, რომ იმის დანახვას არაფერი სჯობდა... — ამბობდა ტყის მცველი ბოდაველი" („ნატურის ზე, გვ. 11). იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი საკუთარი სახელი მოგვარდოს, შწერალი მიმართავს პერსონაჟთა ჩამოთვლას; ამით იგი გვაცნობს არა თვით პერსონაჟებს, არამედ მათ საკუთარ სახელებს:

„ოქაბებში ციციკორეს შესანდობარს სემ. დენე:

— დმერთს ჩაბარდა ჩვენი ციციკორე, ახლა ცივი მიწის ტყვეა წაივდა! საღამო მივცეთ, ბიჭებო, დენო დვეშეთი ქამზე, — იტყოდა რომელიმე ტუხა, ბახა, უოტა, ბირხლა თუ ბოხვერა და ქამზე დენოს დაუშვებდნენ მოსაგონებლად" („ციციკორე“, გვ. 154).

ან: — „ვთი, თემო და სოფელი ბობოქრობდა ციციკორე. — დამიძახეთ ელიახ, ზაზახ, გორახ, სოლომონს, ყანდუას, ჯაქარას — განკარგულებს იძლეოდა" („მარიტა“ გვ. 166).

ან კიდევ: ბუნებულს „ოთრმეტი შეილი ჰყავდა: გოგოები — თათია, ნია, ფაცაცი, შუგზა, ვაია; ბიჭები — ბატატა, საჩინო, ჯახა, გვენა, ბათუა, ზოხორა, ბაბლია" („ბუნებულა“ გვ. 212).

საკუთარ სახელთა გაცნობის მიზნით გ. ლეონიძემ ზოგჯერ ხელოვნურად ზრდის პერსონაჟთა რაოდენობას. ასეა, მაგალითად, მოთხრობაში „დენიჭუა“, სადაც ნათლობაში წვეულთა შორის არიან: გუთნისიდა თარიმანი, მუზურე ქაშიტა, ბერდიკი — კარგა მცელავი, შიობივი, თვალჩანხი, ქულურა, მელორე-ბბოვე — ცხვირგატეხილი ბაქუურა, უენო, უტყვი კოსინე. აქვე არიან: ბოტი, ბანჭურა, ღაჩინა, ზაქობა, ბატატა... გვ. 85.

მოთხრობების პერსონაჟებს გ. ლეონიძემ ემათერესად შეურჩინა ძველისძველი ქართული სახელები, რომლებიც დღეს აღარაა გავრცელებული; თუმცა ამის საბაბს არ იძლეოდა არც ამ მოთხრობების სიუჟეტები და არც მათში ასახული გეოგრაფია. მწერალი ცდილობს, დაიწყებოს ვიდეარჩინოს და დაამყარდოს ქვემოთ ჩამოთვლილი ქართული საკუთარი სახელები, რომლებიც შეუტანია აგრეთვე ქართული სახელების სარეკომენდაციო სიში; ეს სახელები: მამაკაცთა: აზარია, ანთა, არდაშელი, ბადათერა, ბახა, ბირხლა, ვაგნია, ვარხია, გვენა, გვოტია, გუგუნა, დოლა, დოქდენჯი, ელია, ელიოზი, ზაზაუნა, თარიმანი, თაქა, თორგია, ლავაჯი, ღამხია, ლექსურა, მარჯანა, ნინო, ნიკარია, რეხვია, როსტია, საჩინო, სეხნია, სოსიკა, ტუხა, ფადლაურა, ფორე, ღერენა, დენიჭუა, ყადორი, შახაშელა, შეთე, შერმა-

ლინი, შერმაზანი, ჩაღხია, ჩიტურა, ჩორები, ჯახა, ჯარღანი, ჯუნარი, ჯამშიტა.

ქალთა: ბაბაღე, ვარიღლა, გულზაჩაი, გულჩინა, გურანა, ზეცურა, ზინილა, თავთუხა, თათია, თანანა, თანუშია, თუთრუა, კონია, ლურჯთავლა, მისია, მარადია, მარიტა, მწვევარ, მწვეინარა, მშუგა, ნანუა, ნია, ნინორე, ფაცაცი, ფერანა, შვიდმისია, შოშია, ხათუთა, ზვარამზე, ზვამაქი.

მოთხრობების ამ კრებულში გვხვდება აგრეთვე ისეთი საკუთარი სახელები, რომლებიც შწერალს „ქართულ სახელებში“ არ შეუტანია; ესენია: მამაკაცთა: აჯლია, ამარღაბარა, ბაბლია, ბათუ, ბათულა, ბაბო, ბანჭურა, ბეატა, ბაშბადუნი, ბაქიპაური, ბაქუურა, ბეცია, ბერდიკი, ბოდაველი, ბოტი, გედი, გოგრაჰა, გორია, ზაზილა, ჯაქუტა, ზირაქი, თარღია, თლოშიაური, იაგორა, კანდო, კონინე, კოტოშა, ღაჩინა, მამრია, ობროხინე, სავატელი, ფიფონა, ქორია, ღვთისო, ყანდუა, ყაყღაჩა, შალია, შოილა, ჩაჩია, ჩიტლა, ზედიია, ზოხორა, ჯანჭურაქი.

ქალთა: აბდია, თაშნურა, თოთოლა, თუბალაური, ლელაური, შერცია, სახედა, ჭეოე, ჩახტურა, ჯაფარაული.

საინტერესოა, რა წყაროებით სარგებლობს გ. ლეონიძე ამ სახელების შერჩევისას? ამ კითხვაზე თითონი მწერალი იძლევა პასუხს: „იმისათვის მე შემდეგი შრომა ვაფიქვ: მივმართე თვით ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სინამდვილეს და შევარჩიე ის ცოცხალი სახელები, რომლებიც როგორც ძველად დღესაც ისევ „სამზარია“. აგრეთვე მე ბევრი ვეძებ ჩვენი ძველ სიგელ-გუჯრებში, დამწერლობის უძველეს ძეგლებში, კერძოდ, მატაიანეში. ძველებური სახელები ამოვკრიფე აგრეთვე ქართული ფოლკლორიდან, სახელების სისავსისათვის შევავსოვე ზოგი კუთხური სახელები, მაგალითად, გურლორე, მებრელი, ქართლ-კახური, იმერული, რაჭული, მოხურე, ფშავ-ხევსურულ-თეშური და სხვ.“<sup>1</sup>

ძველად ხმარებული, დღესაც ცოცხალი და ხალხში შენახული სახელების ადრინდელი გ. ლეონიძე ვითავაზობს შემდეგ სახელებს: ამირანი, ახუნა, არჩილი, ვაბრო, ვარხვეანი, გელა, გოდერძი, ედიშერი, ვახტანგი, ზაზა, ჯაქარა, ზურაიკო, თედორე, ივანე, იორამი, დევანი, ნიკოლოზი, რამაზი, რადდენი, სოლომონი, სულხანი, ვაია, ვაიანე, იაშვი, მიაკო, მართა, მარიამი, ნარგეზა, ნინუტა, ნინუცი, ნუსო.

შწერალს განსაკუთრებით უხვად გამოუნიღავს ქართული სახელები ძველი ძეგლებიდან და სიგელ-გუჯრებიდან; ესენია: აზარია, არდაშელი, ბათუა, ბატატა, ბერდიკი, ბეცია, ვარხია, გედი, გოგრაჰა, გუგუნა, დოლა, დოღენ-

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, ქართული სახელები, ლიტ. გაზეთი“ № 12, 1961 წ.

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, დსაბ. ვაზეთი.  
<sup>2</sup> იქვე.



ჭი, ელია, ელიოზი, ზაქუტა, ზირაქი, თაყა, ღაგაზი, ლაჩინა, როსტია, ზაჩინო, სტხნია, ყანღუა, უაქლანა, შერმადინი, შერმაზანი, შოლა, ჩაჩია, ჩიტაღა, ჭანჭურაბი, ჭარღანი, ჭაუნარი, ჭიმშიტა;

გულიზარი, გულიჩინა, ზვარამზე, ზვამაქი.

ზოგი სახელი ქართველურ ენებში გვხვდება; მგერულში — ბოტი, კონდრო, ნიტრია, მალა, ქეთე, ზვარამზე; ხოლო სვანურში — ბალათერ, ლაშხია; თათია, თეთრუა, ნანუა, ხათუთა.

მწერალი ყურადღებით ეკიდება აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში შემონახულ საკუთარ სახელებს. აი ისინიც:

ქახური: თარიმანი, კოტოშა; ნია, ნინორე.

ქართლური: გორია.

თურქური: ანთა, ღაგაზი, ფორე, ზეღია, ხაზეღა.

ხეესურული: ბალათერა, ბაბღია, ბაჭყურა, თორელი, ნინია, ქორია, ღვთისო, შიოღა, ჩაღხია, მჭევინარი, ნანუა, ხათუთა.

ფშაური: ბანჭურა, ბატატა, ბალათერა, ბაჭყურა, ბახა, თაღრია, თორელი, ღაგაზი, ღერენა, შაღია, შეთე, ჩაღხია; ხოხორა, ბახაღე, თეთრუა, ზვარამზე.

მთიულური: სოკია; მჭევარ.

მესხური: თარიმანი, ბათუღა.

ლენხუმური: სეზნია, საჩინო, ღვთისო; კონია, მჭეზა, საბეღა.

იმერული: გვიტია; მჭეზა.

გურული: მარაღია, მარიტა, მერცია.

როგორც ვხედავთ, გიორგი ლეონიძეს თავის მოთხრობის პერსონაჟთა სახელების შეარჩევსას უმთავრესად უსარგებლია ძველ ქა-

რთულ დოკუმენტებსა და მთის დიალექტებში გაბნეული საკუთარი სახელებით.

ზოგი სახელის გავრცელები ასპარეზი საქმოდ ვრცელა ყოფილა. მიაგლითისათვის შეიძლება დავისახელოთ ბალათერა, რომელიც დასტურდება ძველ ქართულ სიგელ-გუჯრებში, სვანურში, ხეესურულში, ფშაურში, ხოლო მისი ვარიანტი ბალათა — რაქულში. მაცრამ მიუხედავად მისი ასეთი გავრცელებლობისა, ეს სახელი დღეს აღარაა ხმარებაში. ასეთივე ბედი ეწია ასობით სხვა სახელს. ამ სახელოთა ერთგული მფარველი და ქომავია გიორგი ლეონიძე, რომელმაც თავისი თხზულებებით მრავალი უძველესი ქართული საკუთარი სახელი გამოაგლინა. თუ საამისოდ ზელსაყრელი პირობებია ისტორიულ პოემაში „ამბავი თბილისისა“, ამას ვერ ვიტყვით მის მოთხრობებზე, რომელთა არც სთუქვტი და არც მათში ასახული ეპოქა არ უზიძგებს მწერალს არცაულ საკუთარ სახელთა ასე გულუხვად გამომწუერებისაკენ. მოთხრობების პერსონაჟთა უმრავლესობას კი ძველქართული საკუთარი სახელები ამშვენებს. ამკარაა გიორგი ლეონიძის კეთილშობილური და, შეიძლება ითქვას პატრიოტული განზრახვა: ლიტერატურული გზითაც აიღვიგოს, გაავრცელოს და დაამკვიდროს „ქართული წყობის, იერის, ქართული ოფლითა და სისხლით მონათლული მამაპაბური სახელები, ზოგი ძველი, ზოგი უძველესი, თვით მეტად არქიულეზიც, წარმართულიც, ოღონდ ქართული ბუნებისა“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, ქართული სახელები, „ლიტგაზეთი“ № 12, 1961 წ.



აგრონომ ქობია

## ვერესავენი საქართველოში

### კედლის გაჭედი

ერთხელ ვერესავენი და შე ერთ დიდ ჰოსპიტალში მივიყვინეთ. სანამ შეგვედრა დაიწყებოდა, ჩვენ ჰოსპიტალი დავათვალიერეთ. ერთგან ღერეფანში კედლის გაჭედი ეკიდა. გაჭედიში ჩვენზე ცნობები იყო მოთავსებული. ვერესავეზე, აი, რა ეწერა:

ვიცენტი ვერესავენი დაიბადა 1867 წელს, 4 იანვარს. მამამისა ვიცენტი ხმილოვიჩი ექიმი იყო. შვილი ბავშვობიდანვე შეაჩუქა წიგნის კითხვას და ლიტერატურას. ვერესავემა ორი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა: პეტერბურგის უნივერსიტეტის საისტორიო-ფილოლოგიური ფაკულტეტი და დეკატის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. რუსეთ-იაპონიის ომში გაწვეული იყო როგორც ექიმი. ასევე ექიმად მუშაობდა პირველ მსოფლიო ომში.

ლიტერატურული მოღვაწეობა ვერესავემა ადრე დაიწყო. განსაკუთრებით გაუთქვა მას სახელი პირველმავე წიგნმა „ექიმის ჩანაწერები“. ვერესავენი რუსეთის ინტელიგენციისა და განმთავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი მოწინავე მწერალია. მას ხშირად დე-

ვნიდა მეფის მთავრობა. ლენინი დიდად აფასებდა ვერესავეის შემოქმედებას, აგრეთვე, მაქსიმ გორკი და ლევ ტოლსტოი. ვერესავეის ნაწარმოებებში ძალიან საინტერესოა „მოუგონარი მოთხრობები“, სადაც აღწერილია ძველი ცხოვრება და გაიცხვლია ბურჟუაზიული რევოლუციონი. ამ მოთხრობიდან დღეს რამდენიმეს წაგვიკითხავს თვითონ ავტორი...

— მ... რა განსხვავებაა ძველ არმიისა და წითელ არმიას შორის — გააქნია თავი ვერესავემა — ძველად ჭარისკაცებს კი არა, ოფიცრებს არ აინტერესებდათ ლიტერატურა... ახლა კი, ხედავთ, დაჭრილებიც კი მსჯელობენ ლიტერატურაზე... და ჩვენს ცხოვრებაში ახალი ფაქტორია კედლის გაჭედი...

რადგან ქართული მასობრივი მკითხველისათვის საჭირო იყო ვერესავეზე მოკლე ცნობები, შე კედლის გაჭედის ეს ცნობა მომეყვან ისე, როგორც მახსოვს.

### ვერესავეის საღამო

მწერალთა კავშირში ვერესავეს შემოქმედებითი საღამო გაუმართეს. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ბესო ქლენტმა გაიხსენა, რომ ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ვერესავეის შემოქმედებას და შეეცაბიდან იწერებოდა: მაცნობეთ, რაზე მუშაობს ვერესავენი.

ამ სიტყვებს ხალხმა ტაში დაუკრა. და განა მართო ამ სიტყვებს? ბესო ქლენტს ხშირად აწყვეტილებდნენ სიტყვას, ისეთი ეშხით ლაპარაკობდა. ბესო ქლენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ვერესავეის შემოქმედებას დიდ პატივს სცემენ საქართველოში, რომ ქართველებისათვის ვერესავენი საუფარელი მწერალია.

ვერესავეს, ძალიან მოეწონა ბესოს სიტყვა,

სამამლო ომის დროს ვერესავენი დიდხანს ცხოვრობდა ჩემსას. ბევრი რამ უამბუნია მას ჩემთვის თვისი ცხოვრებიდან. მეც ბევრი რამ მიამბუნია მისთვის ჩემი ცხოვრებიდან. მან წამაქება დამეწერა მისი სტილით ჩემი „მოუგონარი მოთხრობები“. დავწერე კიდევ და ზოგი რამ გამოვაქვეყნე. ხალხ თავად ვერესავეზე მისი თხილსში ყოფნის შესახებ, აი, ამჟამად ვაქვეყნებ. მკითხველი დაინახავს თუ როგორ მიიღეს საქართველოში ვერესავენი. აქ გამოგონილი არაფერია.

ავტორი

მოეწონა საღამო, მოეწონა ქართველი მწერ-  
ლებს მეგობრული დამოკიდებულება. გაუ-  
ხარდა, როცა უთხრეს, რომ მისი მოთხრობა  
„პარსკლავი“ 1903 წელს თარგმნა მწერალმა  
გუცა ნამორაძემ და დაიბეჭდა „ცნობის ფურ-  
ცელში“.

სამადლობელ სიტყვაში ვერესაევმა მადლობა  
გადაუხადა მწერალთა კემირს, მომხსენებელს,  
სახოვადოებს და ასე დაამთავრა: „მე თქვენ-  
თან თავს საკუთარ სულიერ ოჯახში ვგრძნო-  
ბო...“

შინ რომ დაებრუნდით, დიდხანს ვერ დაიძი-  
ნა. გამოვიდა ჩემთან და მოხარა:

— ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, ბევრი ხალხი  
მინახავს, მაგრამ ქართველები სულ სხვანაირი  
ხალხი ხართ... ბიბლიურ ებრაელებს თავისი თა-  
ვი ლავის მიერ მიჩნეულ ხალხად მოჰქონდათ,  
თქვენ კი შეგეძლოთ ეს უფლება თქვენთვისაც  
მიგეწყვათ, მით უმეტეს, რომ ებრაელებს ყვე-  
ლაფერი თავისთვის უნდოდათ... ღმერთიც კი...

### ხალხთა მეგობრობა

თბილისში, ნახშირის სახელობის სასწავ-  
ლებელში მოთავსებულ პოსპიტალში ვერესა-  
ევის საღამო მოაწყვეს. მე მომხსენებელი ვი-  
ყავი.

ვერესაევი დიდს ამბით მიიღეს. ვარდა და-  
პრილებისა, სასწავლებლის მთელი სამხედრო-  
პედაგოგიური პერსონალი დაესწრო: ოტიცრე-  
ბი, ექიმები, მედიცინის დები. დაპირებულში  
იყვნენ რუსები, ქართველები, უკრაინელები,  
სომხები... მოხსენებისა და მისალმებათა შემ-  
დეგ ვერესაევი სიტყვით გამოვიდა. ვერესაე-  
ვი მოუწოდა აუდიტორიას ერთმანეთის გატა-  
ნისათვის, მეგობრობისათვის, საერთო სამშობ-  
ლოს დაცვისათვის... არა მარტო ომის დროს,  
ომის შემდეგაც შევიწარჩუნოთ მეგობრობა...

სამადლობელი სიტყვა რომ დაამთავრა, ვე-  
რესაევმა განსაკუთრებით მიმართა პოსპიტლის  
ექიმებსა და მედიცინის დებს, „თავის კოლე-  
გებს“. მოაგონა თუ რა დიდი მნიშვნელობა  
აქვს დაპირისპირების ქალის ვულისხმიერ მო-  
პყრობას. წაიკითხა ორი მოთხრობა, რუსეთ-  
იაპონიის ომისდროინდელი. დიდხანს უკრავდ-  
ნენ ტაშს.

შემდეგ მეთარებმა სუფრა გაშალეს. რასაკ-  
ვირველია, აქაც იყო სიტყვები. ვერესაევმა თა-  
ვისი სიტყვა ასე დაამთავრა:

„მე მადლობელი ვარ იმ ხალხისა, რომელ-  
საც დიდ კულტურასთან ერთად დიდი ადამი-  
ანური გული აქვს. ხალხთა მეგობრობას მე  
აქ ვხედავ პრაქტიკულად და არა მარტო ქაღალ-  
დზე. მადლობელი ვარ ქართველი ხალხის...“  
შინ რომ ებრუნდებოდით, ვითხებ ვერესა-  
ევს.

— ბანკეტზე უმრავლესობა რუსები იყვნენ,

ქართველებზე მეტი. და რატომ ილაპარაკეთ სი-  
განგებოდ ქართველებზე?

— მართალია, სწორი ხართ, მაგრამ სწორედ  
უმრავლესობას მოეთხოვება შეეჩვიოს უმცირეს-  
სობის პატივისცემას. აქ აქვს არითმეტიკულ  
ერთეულობაში როლი. ხალხთა მეგობრობაც  
აქვდა იწყება: ერთმანეთის პატივისცემიდან.

### იაკობ ნიკოლაძე და პირსადაში

ერთხელ იაკობ ნიკოლაძე მოვიდა ვერესაე-  
ვთან და თხოვა ჩემი სახელისონ დაათვალიერე-  
თო. წაყავ ვერესაევი. სახელისონს დათვალი-  
ერებით კმაყოფილი დარჩა. ამით ისარგებლა  
ნიკოლაძემ და უთხრა თქვენი ბიუსტი უნდა  
გამოყვეთათო. ვერესაევი დათანხმდა. დაიწყო  
სენსები.

სენსებიდან დაბრუნებისას ვერესაევი მი-  
ამბობდა თავის შთაბეჭდილებას ნიკოლაძის შე-  
სახებ. ნიკოლაძესთან დაახლოებით, ნიკოლაძის  
ნიჭითა და კულტურით ვერესაევი დიდად კმა-  
ყოფილი იყო. ნიკოლაძესთან საუბარშიც ვაიგო  
მან, რომ მისი მოთხრობა «Без дороги»  
ქართულად უთარგმნათ 1902 წელს და დაბეჭ-  
დათა უფრად „კვალში“. ეს ძალიან გახარადა  
ვერესაევს. თვითონ ხომ პირველად იყო საქარ-  
თველოში და პირველად აქ ვაიგო ეს ამბავი.  
ნიკოლაძეს ზღმრობა უყვარდა და უთხრა ვე-  
რესაევს:

— ასე რომ, ვიკენტი ვიკენტევიჩი, თქვენ მე-  
ორედ ხართ საქართველოში... პირველად 1902  
წელს იყავით...

ვერესაევის ბიუსტი ერთხანს თბილისში იყო  
გამოფენილი, ხელოვნების სალონში. შემდეგ  
მოსკოვში მოითხოვა და ამჟამად ტრეტიაკოვის  
გალერეაშია.

ამ ბიუსტით ვერესაევი ძალიან კმაყოფილი  
იყო...

ვერესაევს ძალიან უნდოდა ნიკოლაძეს ჩემი  
გოგონა ჯილდის სახე ჩამოეჭანდაეყენინა. ბავშვს  
ძალზე შთაგონებული სახე აქვს და კარგი ქან-  
დაეებაც გამოვლავა. მოიყვანა კიდევ ნიკოლაძე  
და ახევია ჯილდა. ნიკოლაძესაც ძალიან მოეწო-  
ნა ბავშვის სახე და თქვა იაროსო ჩემთან სახე-  
ლოსნოში. მაგრამ ჯილდა სკოლაში დადიოდა  
და სკოლის საათებში სახელისონში ვერ ივლი-  
და. ჩაიშალა ეს საქმე. ვერესაევი ძალიან წუხდა:  
ზმირად იტყობა:

— რა კარგი საქმე ჩიშალა... ასე გგონია,  
მშვენიერი მხატვრული ნაწარმოები დაიკარგა...

### ლევო ქიჩაძე და პირსადაში

ერთ დროს ვერესაევი ცნობილ ქართველ  
მწერალ შალვა დადიანთან ცხოვრობდა. ერთ  
საღამოს შალვასას შევიკრიბეთ ლევო ქიჩაძე,  
ნიკო ლორთქიფანიძე, ვერესაევი და მე. საუბა-

ჩი, ჩასაკვირველია, ომის გარშემო ტრიალებდა. ომის პირველი პერიოდი იყო: ჩვენი უკან დახევის.

ლეო ქიაჩელის შესახებ მე ცალკე ვესაუბრე ვერესაევს.

— ჰოდა, მეტი რა ჰქნას ერთმა კაცმა? — სთქვა ვერესაევმა — სამი ეპოქა შორეულია: ბირველი რევოლუცია, კოლექტივიზაცია და სამამულო ომი... ნამდვილად ეს თქვენი ფართომწერელი ყოფილა. მე სწორად ასეთი შიშვარალი მიყვარს.

მე ეს ვუთხარი ლეო ქიაჩელს. გაეხარა. გაუღიმა ჩემად. ამის შემდეგ მე ვიყავი მოწმე თუ როგორ ძმურად ჩამოართვეს ხელი ერთმა ნეთს ლეო ქიაჩელმა და ვერესაევმა.

### სადილი ძახოვანი

სამამულო ომის დროს თბილისში, კობის ქუჩაზე, გახსნილი იყო მეთაურთა პოსპიტალი. პოსპიტლის უფროსი იყო მედიცინის პოლკოვნიკი დიმიტრი ძახოვი, ეროვნებით ოსი. ძახოვი იყო ნაფროსი, ნაოზარი, დაჭრილი. დიდად ავლტურული და განათლებული. შესახებდავად მიშვიდველი და მომხიბლავი.

ძახოვი დიდი მოთაყვანე იყო ვერესაევსა, მისი მუდმივი შეიხვეული ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან. ხშირად ეწვეოდა ვერესაევს ჩვენს ბინაზე.

ერთხელ ძახოვმა ვერესაევს სადილი გაუმართა. ორმოციოდე კაცი იყო სუფრაზე იყვნენ ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ქალები და კაცები. სულ სამხედროები. სულ თბილისელები. სულ ნაოზარი და იმედიანი ხალხი, რძღვან ფაშისტები უკვე იხევდნენ უკან. სუფრაზე აღმოჩნდნენ ჩეხოვის, გორკის, ბლუმენტის, ანდრეევის, კლჩინის, ჩირიკოვის, ალექსი ტალსტოის, ლენაჩარსკის, იუენის პირადი მეგობრები. დაიწყეს მოგონებები, დეკლამაცია. ექიმმა ქალმა რუსუდანი ჰრვევაძემ, შოპენი და ფალიაშვილი დაუქრა. ვერესაევმა წაიკითხა მერვეკოვის „საკაჰო-ნი“. მოუღიანეს ვერესაევს და ბევრი ტკბილი სიტყვები უთხრეს მის შემოქმედებაზე, დამსახურებაზე... არა, ეს არ იყო უპრაფლო სადილი ეს იყო მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი ლიტერატურული შეხვედრა.

აქ ხუთი ურის ენაზე ისმოდა: „სადილა“ და პოეზია. ვერესაევმა კარგი სიტყვა სთქვა. ბი-რაი მახსოვს:

— ჩვენ მარტო იარაღით როდი ვართ ვაერთინებულნი, არამედ იდეოლოგიურადაც... ჩვენ უნდა ვიხსნათ მსოფლიო აზრის დამონაგები... საგან, ბარბაროსობისაგან... მე მონაწილე ვარ რუსეთ-იპოზიის ომისა, პირველი მსოფლიო ომისა. აი, ეს მეორე მსოფლიო ომიც... რა დიდი განსხვავებაა! იმ ომებში მე ვერ ვხედავდი ომის მიღმა სინათლეს. აქ კი ვხედავ. ეს სინათლეა ადამიანის სიცოცხლე, მისი სულის ვითარება... აი, ამ სინათლისათვის ღირს ბრძოლა...

— Да здравствует свет! Да скроется тьма!..

დამთავრა ვერესაევმა.

იმ სუფრაზე იყო ორი მეთაური, რომელნიც მეორე დღეს ფრონტზე მიდიოდნენ. მივიდნენ ვერესაევთან, გადაეხვივნენ, შეიღებოდათ გამოუთხოვნენ... ვერესაევმა დალოცა ისინი...

### როგორ გაიგო დაჯილდოება

ლამის პირველი საათია. ვერესაევი ზის რადიოსთან და ყურს უდგებს მსოფლიო გადმოცემას. ასეთი ჩვეულება ჰქონდა: სახამ ყველა გადმოცემას არ მოისმენდა არ დაწყებულა. ვიყაროდა და ვესმენთ: ვერესაევი, მისი მეუღლე, ზემი მეუღლე და მე.

გათავდა სამხედრო ცნობების გადმოცემა. დაიწყო ახალი ამბები.

დაიწყეს ლიტერატურასა და ხელოვნებაში დამსახურებისათვის პრემიების მინიჭების ცნობათა გადმოცემა. ვერესაევი გულდამოთ უსმენს, ხელში სათვალეს ატრიალებს. და ვაისმა:

— ლიტერატურაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს პირველი — პრემია — 100.000 მანეთის ოდენობით მწერალ ვიკენტი ვიკენტის ძე ვერესაევს...

ჩვენ ყველანი სიხარულით მივმარდით ვერესაევს, ეხვევით, ვულოცავთ. ის კი ზის, ატრიალებს სათვალეს და სიტყვას ვერ სწავს. დიდად იყო აღელვებული. ბოლოს მიუბრუნდა ჩემს მეუღლეს და ეუბნება:

— ქენია ელოზბაროვია, ეს მე ვარ? მე დი-



მედიკალიზაცია?

— აბა, ვინ? აბა, ვის, თუ არა თქვენ? — სი- ხარულით ეუბნება ჩემი მეუღლე.

— არ მოველოდი!.. არ მოველოდი!... — გულწრფელად აღმოხდა ვერესაევს, წამოდგა და ოთხივე გადაეხევიეთ ერთმანეთს...

მე!.. რა დიდი დამსახურების მწერალი იყო და... არ მოველოდა.

ს უ მ რ ა ჯ ე

ვერესაევს ხშირად პატივებდნენ სხვადასხვა ოჯახებში. დამატრია ერთმა ჩემმა ნათესავმა ქა- ლმა, ექიმმა ალექსანდრა ქორქიამ.

იმ მძიმე დროს, როცა ხალხი ტალღებით ცხოვრობდა, მშვენიერი სუფრა ვაეშალა ექიმს. სტუმრებს შორის იყო აკადემიკოსი ავღანი ზურაბაშვილიც. ვერესაევის პატივსაცემად ალექსანდრამ ფალიაშვილი დაურა. ვერესაე- ვის სადღეგრძელო რომ დავლიეთ, ყველანი ფეხზე წამოდექით. დიასახლისმა უთხრა:

— კარგი მწერალი ყველა ქვეყნის შვილია. თქვენც ისეთი მწერალი ხართ, რომ ჩვენ, ქა- რთველები, ჩვენად ვთვლით... ჩვენ გავწვინე- ბოდა, რომ საქართველოში თქვენ სტუმრად გეგრძნობთ თავი... ვისაც აქ ხედავთ, ყველა თქვენი ნიჭის პატივისმცემლები ვართ... მე ყველა თქვენი წიგნი მაქვს... ასე რომ, ძვირ- ფასო ვიკენტი ვიკენტივი, თქვენი ჩემი შემთხ- ვევიით სტუმარი როდი ხართ, თქვენ აქ თქვენს სულიერ ოჯახში იმყოფებით!..

ვერესაევი ატრიადა, საშალობზელი სიტყვები ასე თქვა:

— ვხედავ იმასაც, რომ მარტო ჩემმა წიგნებ- მა როდი მომიყვანეს აქ. აქ მომიყვანა თქვენმა ფაქიზმა გულმა და თქვენი ხალხის დიდმა კუ- ლტურამ. მე აღრეც ბევრს ვიცნობდი ქართვე- ლებს. ბევრი კარგი ამხანაგი მყავს მათში. მაგ- რამ ამ მძიმე დროს, ზარბაზნების ქუხილისა და შიშის კენესის დროს, თქვენი ყურადღება და გულის სითბო დიდი სიხარული ჩემთვის... ახ- ლა მუხრანში ბნელა, აქ კი სინათლეა. მაგრამ მა- რტო ნათურა როდი ანათებს აქ, არამედ თქვენი ხალხის გულის სინათლეც. ეს კი იმის მანვერე- ბელია, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. მე მწამს ჩვენი გამარჯვება ისე, როგორც თქვენი გულწრფელო- ბა... მე დავბრუნდები რუსეთში და, მერაქმუ- ნეთ, თან მწვდილებ ამ დიდი რწმენისა და სი- ნათლის შექმს...

ჭალიან მოუღბინეს იმ დამეს ვერესაევს... შეფაღმე იყო, როცა რადიომ მორიგე გა- მარჯვება გვახარა.

ვერესაევი ადგა და რადიოს შესძახა: — ვაშა სტალინი!

თ ა მ ა ლ ა

ერთ ოჯახში, სადაც ვერესაევი მიიწვიეს, თა- მადღად მე ამირჩიეს. ვერესაევს ბევრი გულ- ბილი სიტყვა უთხრეს. ვერესაევი წამოდგა და დაიწყო სიტყვა. მე შევბერე, რადგან კიდევ იყვნენ სიტყვის მსურველები.

შინ რომ მოვედი, მე აუხსენი ვერესაევს თუ რა უფლებები აქვს თამადას, რატომ შევა- ჩერე.

— ბევრი უფლება და ცოტა მოვალეობა არ ვარგა, — მიმასუხა ვერესაევმა, — აბა რასა გავს ეს? ეგებ მე ახლა მომწყურდა ღვინო? ეგებ მე ახლა შინდა გამოვთქვა ჩემი აზრი? პო- ლა, თქვენ გიყურით როდის მომცემთ ნებას? აბ, ეს არ მომწონს! რა სიამოვნებაა? ვის რაში უნდა ნაკარნახევი სიამოვნება?

— ვერ დავთანხმებით, ვიკენტი ვიკენტიე- ვი! — უთხარი მე. — ხომ ხედავთ რა დის- ციპლინა იყო სუფრაზე და რამდენი ხალხი იყო?

— დისციპლინა, ჩემო კარგო, ჯარშიაც არის, — გაიციან ვერესაევმა. — ფელდფებელი რომ თითს დაუქნევს ჯარისკაცები გაიტრუნებთან მაგრამ უხარიათ კი?.. არა, არ მომწონს! როცა შინდა, მაშინ უნდა დავლიო... აბა რისი სია- მოვნებაა სხვის ნებაართვა ვუუუოო..."

არ დამთანხმა. ქართულ წესრიგს რუსული „არცა მინდა“ აირჩია.

პ ა ს უ ხ ი ს მ ა ვ ა ლ ო ბ ა ი ს გ რ ა მ ო ბ ა

თბილისში ყოფნის დროს მწერლები ხშირად დავდიოდით ჯარის ნაწილებში და პოსპიტლებ- ში. ვუმართავდით საუბრებს დაკარგულს და ვუ- კითხავდით ჩვენს ნაწარმოებებს. ვერესაევი კითხულობდა თავის „მოუგონარ მოთხრობებს“. დიდი ხალხითა და ინტერესით უსმენდა აუ- დიტორია. ვერესაევიც ხალხით ვითვლობდა.

მე შევინძე, რომ ლტერატურულ საღამოზე წავლას წინ ვერესაევის ოთახიდან უცნაური ხმები ისმოდა:

— თ...ო...ო...უ...უ...უ...ო...ო...ო... დიდხანს, არანაკლებ ერთი საათისა, ისმოდა ეს უცნაური ხმები.

შევხევედ ოთახში. ვერესაევი ხმაურობდა. — ვიკენტი ვიკენტივი, რატომ შერებოთ ასე? — შევეკითხე.

— დღეს ხომ უნდა გამოვიდე აუდიტორიის წინაშე? — მიმასუხა. — პოდა, ხმას გაეარჯი- შება უნდა. ხმა უნდა დავიკენო: სულთა ხმით



უნდა წავიკითხო. არ უნდა შევინიშნონ დაუდევრობა, ესაო და ჭარისკაცებია, შეიძლება როგორი ხმითაც ვსურს, ისეთი ხმით ელაპარაკოს მწერალი ჭარისკაცს...

ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობით ვკიდებოდა ვერესაევი თავის აუდიტორიას და მწერლის მოვალეობას.

### „ვერესაევი და აპაკი ხორავა“

ურთულ ვერესაევი „ოტელოს“ წარმოდგენას დაეწყო. ოტელოს, რასაკვირველია, აქაც ხორავა თამაშობდა. სპექტაკლიდან დამბრუნების შემდეგ თავისი შეხედულება გამიზიარა, თუ როგორ ვაივო აქაცის ოტელი.

მაგრამ სანამ ამაზე ვადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია ეთქვა თვითონ მას როგორ ესმოდა ოტელი. ვერესაევი მიხსრა: ოტელიმ დეზდემონა ექვის ნიადაგზე როდი მოჰკლა, არამედ შეღებული თევზოყვარეობის გამო.

სამუშაო საუკუნეების ადამიანს, და ისიც ცნობილ სარდალს, ბიანდს, ცოლმა ჩქები დაადა... ამის ატანა ახლაც არ შეუძლიათო მამაკაცებს იტალიაში. და განა მარტო იტალიაში? უსა, რასაკვირველია, ყალბად გაგებულ მამაკაცური თევზოყვარეობა. ჩემის აზრით, ოტელი სწორედ ამ ყალბი თევზოყვარეობის გამო ჰკლავს დეზდემონას... ჩემი ცხოვრების მანძილზე მე ბევრი ოტელი მინახავს. დაუვიწყარია სალენი. ის ეჭვიან ქმარს როდი თამაშობდა, არამედ იმედგაცრუებულს, ნდობამეურაცხოფილ ადამიანს... ადამიანს და არა ქმარს... აქაც ხორავაც ადამიანს თამაშობს, კეთილშობილ ადამიანს, რომელსაც უმტყუნა მეგობარმა... მომეწონა აგრეთვე აქაც ხორავას მონუმენტურობა. განა ქმარია სცენაზე? სარდალი, გმირი და მიწოდნი ადამიანია სცენაზე. და რა უფსკრულის წინ დადა ასეთი ადამიანი?... მე ერთმნიშვნელო მივიღია, როცა ვუყურებდი და ვუსმენდი ხორავას. არ მესმოდა მისი სიტყვა — ქართული, მაგრამ ვგრძნობდი მის სიტყვას ზოგად-კაცობრიულს... ისე, როგორც სალინისას... დიდად კმაყოფილი ვარ... დიდად...

მეც არაფერს დავუმატებ ვერესაევის სიტყვებს. თუნდაც იმდენი, რომ ქართული ერთს დიდი მსახობი აქაც ხორავა ჩემი მეგობარია.

### პარტიზოლოგა



იმ საღამოს ჩაი ერთად დაველაშქრეთ. გვერდშია შავი პერი და უშაქრო ჩაი.

უცებ ზარი გაისმა. ვავადე კარი. ორი ქალი მოვიდა: ჭალა და ახალგაზრდა. ერთს მოზრდილი კალათა ეჭირა ხელში, მეორეს თაიგული. ვერესაევი იკითხეს.

გამოვიდა ვერესაევი. ჭალარამ უთხრა: მე ეჭიმი ვარ, ეს ჩემი ქალია, სტუდენტი. აი, მე ციტრუსები მოგიტანეთ, ჩემმა ქალიშვილმა კი — ყვავილებით.

შევედით ოთახში.

— ჩვენ, ვიყენტი ვიყენტივენი, ეზოში ვაქვს ეს, რაიონში, — უთხრა ჭალარამ. — ნაყიდი არ გეგონოთ. — და მაგიდაზე დაალაგა ფორთოხლები, მინდარინები.

ვერესაევიმ დიდი მადლობა გადაუხადა, თან უთხრა: ბატონო შეწუხდით?

— აბა, რა შეწუხება?! — უპასუხა ჭალარამ. — ჩვენ გვინდა თქვენ არ იფიქრო შეწუხებული ჩვენს ქვეყანაში...

— დემეტო ჩემო, რით დავიშახურე?! — გაშალა ხელები ვერესაევიმ.

— როგორ თუ რით? მე თქვენი მკითხველი ვარ. მახსოვს თქვენი „ჩანაწერები“.

როცა ეს ქალები წავიდნენ, ვერესაევის ეუთხარა:

— ახლაც არ მოგწონათ თქვენი „ექიშის ჩანაწერები“?

ვერესაევი პრინციპის კაცი იყო და მიპასუხა:

— ახლაც არ მომწონს... მაგრამ ეს ქვეყანა და ეს ხალხი ძალიან მომწონს...

ეს ქვეყანა — საქართველო იყო...

ეს ხალხი — ქართველები იყვნენ...

როგორ მწყინს რომ მათი გვარი არ ჩაიწერე?

თუმცა რამდენის გეპასუხა ჩაიწერდი?

### ჩუჩხელაძე

ერთ საღამოს ვერესაევიან სამი სომეხი ქალი მოვიდა და გავცვენ ვერესაევის. ოჯახის მამა ვერესაევის ნაცნობი ყოფილა მოსკოვიდან. შვილებისთვის ბერძენურ უამბნა მისი ამბავი. მამა

გარდაცვლილა, მაგრამ ოჯახში დარჩენილა მამის მეგობარზე კარგი მოგონება. შეილება რომ გავიგოს ვერსავენი თბილისშიაო, ეწვივნენ ბინაზე და ვახშაშზე დაპატრეცს.

თბილისი შექმენილბული იყო, ხალხი სიარულს გაურბოდა, ვერსავენი და მისი მეუღლე მაინც წავიდნენ. გვიან ღამით დაბრუნდნენ შინ და საჩუქარიც მოიტანეს — ჩურჩხელები. ეს ჩურჩხელები ძალიან მოეწონა ვერსავეს და დიდხანს ინახავდა. ის ოჯახიც მოსწონებია, სადაც მიწვეული იყო. სომხის ოჯახში ვიყავი და ბევრი რამ ახალი გავიგეო სომეხი ხალხის შესახებ. აი, ასეთი ყოფილი პირობებში, ოჯახებში, კაცი უფრო გაეცნობაო ერის ხასიათს, ვიდრე ოფიციალურ ვითარებაში. და აუდიტორიაში. ოფიციალურ ვითარებაში მოჩვენების მხარე მეტია, ვიდრე უშუალოდ... მაგალითად, ჩურჩხელებს სომეხებიც და ქართველებიც აკეთებთ თურმე და ესეც თქვენი ისტორიის ნაწილია... როგორ-მეთქი? — ვკითხე.

როგორ და, ერთმა პროფესორმა მითხრა (საუბარი რამდენიმე დღის შემდეგ იყო) ომის დროს ყველა მეომარს უნდა ჰქონოდაო ჩურჩხელები. ამა ძველად საინტენდანტო სად იყო? ყველა მეომარს თავისი საგზალი თან ჰქონდა. ჰოდა, ჰქონდათ ეს ჩურჩხელები. ტკბილიც არის, ნოყიერიც და სატარებლადაც იოლი. არ ფუჭდება. აი, ხალხის მიგნება და ჰუეაც აქაა. საინტერესოა ვერად...

ჩურჩხელებს დიდხანს ინახავდა ვერსავენი. ამ ფაქტს შეიარე მხარეც აქვს. ვერსავენი „მოუგონარი მოთბარებებს“ მწერალი იყო. ყოფილი დეტალები და ფაქტები კი ამ მოთბარებების ლერძია.

**ოპარუს ხიდი**

ჩემი გოგონა ჭილდა ათი წლისა იყო, როცა ვერსავენი ჩვენსას ცხოვრობდა. ქართლის გარდა, ჭილდამ რუსულიც და ფრანგულიც იცოდა. ვერსავეს გამართულად ესაუბრებოდა. ვერსავეს ძალიან შეუყვარდა ჭილდა და მთელი საათობით თვითონაც ესაუბრებოდა. განა უბრალოდ! პომიროსის „ილიადა“ და „ოდისეა“ ბავშვისათვის მისაწვდომ ფორმაში გავაცნო. ზანდხან მეც უფროს ეუფლებდი სიამოვნებით.

ვერსავენი შესანიშნავი მოსაუბრე იყო. ისეთი გაღაცემა იცოდა, რომელი პროფესორი ან პედაგოგი არ დახარბდებოდა მის სუბტილუქციებს?

— ვიკენტი ვიკენტევიჩი! — ეუთხარი ერთხელ. — რატომ კარგავთ თქვენს ძვირფას დროს ამ ბავშვზე? თქვენი დრო ზომ ესოდენ ძვირფასია?

მაშინ ვერსავენი პომიროსის თარგმანზე მუშაობდა.

— ეს არაა დროს დაკარგვა, — მიმასუბა ვერსავემა. — იმაზე ძვირფასი რაა, შენი ცოდნა რომ სხვას გაუზიარო? გარდა ამისა, მარტო მე როდი ვესაუბრები ჭილდას, პომიროსი ესაუბრება. მე კი ერთგვარი ხიდი ვარ მათ შორის და საერთოდ, მე შევნიშნე, რომ პომიროსი, ეს მსოფლიო მასშტაბის პოეტი, ყველასათვის გასაგებია, ყველას ესმის... ესმის ჭილდასაც. მე ხიდი ვარ მათ შორის.

და ისხდნენ შექმენილბულ ოთახში პატარა ქართველი გოგონა ჭილდა და დიდი რუსი მწერალი ვერსავენი მთელი საათობით..

ვერსავენი — პატარა ჭილდასა და დიდი პომიროსის ოქროს ხიდი.

**შ ა მ ა რ ი**

ვერსავეს შაქრის ტალონი ჰქონდა. თბილისის ერთ-ერთ რესტორანში ამ ტალონით შექარსა და ყავას აძლევდნენ.

დადიოდა ეს მოხუცი კაცი რესტორანში ყავის დასალევად. დადიოდა მარტო. ცოლს არა ჰქონდა ტალონი და ვერ სეამდა ყავას.

იმ ხანებში ჩემი მეუღლე მძიმედ ავად გახდა. საჭირო იყო ვლუკოზა, შაქარი. ძნელი იყო ამით შოვნა. შაქარს ტალონით იძლეოდნენ. მცირე დოზით. შავ ბაზარზე კი 800 მანეთი ღირდა კილო. არ შემეძლო ყიდვა. და, აი, რასა შერებოდა ვერსავენი.

წავიდოდა ყავის დასალევად. დალევდა მარტო ყავას, უშაქროდ, იმ კენიტ შაქარს კი, ერთ კბილ შაქარს, თავის სასიცოცხლო უღუფას, ქალაქში გაახვევდა. და ჩემს მეუღლეს მოუტანდა.

რა სიტყვებით შევაჯასო ეს ფაქტი? დაე, მკითხველმა შეაჯასოს..

ქვის ხიდი

ვერესავეი უკომპრომისო და პრინციპული მწერალი იყო. ასეთი ხასიათისათვის მას რუსეთში „ქვის ხიდი“ შეარქვეს. ეს ხასიათი მან საქართველოშიც გამოიჩინა.

ერთხელ ვახუთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციამ ვერესავეთან ეურნალისტი მიზევილ ავაჯანოვი გამოგზავნა. ავაჯანოვი ვერესავეის კარგი მეგობარი იყო. ხშირად დადიოდა მასთან და ესაუბრებოდა სოხუმის ისტორიაზე, ლიტერატურაზე.

— კულტურული და ფრიალ განათლებული ეურნალისტი, — მეტყობდა ვერესავეი. — მე მას სიამოვნებით ვუგაღებ ურს.

ჰოდა, მოვიდა ავაჯანოვი და წინადადება მისცა გამოეხმარებოთ ომს. ტოლსტოი და შოლოხოვი გამოეხმარნენ, თქვენ რატომ დუმებართო?

ვერესავეი სიამოვნებით დაეთანხმა. დასწერა ვრცელი სტატია „ისტორიული ცნობა“. ავაჯანოვმა სტატია წაიღო და რამდენიმე დღის შემდეგ დააბრუნა: რედაქცია ვთხოვთ შეესწორებას. მოკავშირეთა მიმართ ტონი შეაბრუნეთ... შეასწორეთო...

— არ შევასწორებ! — მტკიცედ და ცივად უპასუხა ვერესავემა. — მე ყოველთვის ჩემს აზრს გამოეთქვამ. თუ მოგწონთ — დაჰკებდეთ. თუ არა და არა... თვალთმაქცობა კი არ შემიძლია...

ავაჯანოვმა თხოვა: ვეგბ შესცვალოთო?

— თვალთმაქცობა არ შემიძლია, — გაიმეორა ვერესავემა. — მე მჯერა, რომ ჩვენ და მოკავშირეები დავამარცხებთ ფაშისტურ გერმანიას, მაგრამ ამ ომში უდიდეს მსხვერპლს ჩვენ გავიღებთ და არა მოკავშირეები. ისინი კაბიტალისტები არიან. დღეს არიან ჩვენთან, თორემ გუშინ ჩვენი მტრები იყვნენ. ისტორიულადაც ხშირად ვგვრინა მათთან ომი. ახლაც ავგიაინებენ შეროვ ფრონტის ვახსნას... ეს მე უნდა უთხრა მოკავშირეებს. მე — ვერესავემა...

ავაჯანოვი არ მიდიოდა. ვერესავეი არ თმობდა. ბოლოს ასე უთხრა:

— თქვენ თვითონ, მიხილ ვსაიღვევიჩი, რა აზრისა ხართ? თქვენ ხომ ნიჭიერი ეურნალისტი ხართ?

ავაჯანოვმა მიმიღ ამოიხრა, ხუჭუკა თმები თითებით გადაიფარცხნა და სევდიანად უპასუხა:

— თქვენ მართალი ხართ, ვიყენებ ვიკენტოვიჩი! თქვენ ხომ „რკინის ხიდი“ ხართ?..

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მისტიდა ავაჯანოვი. ახლა უკვე გახანებულმა იყო.

— იცით, ვიკენტი ვიკენტევიჩი, რომ აკადემიკოსმა ტარლემაც იგივე აზრი გამოთქვა იმვე საკითხზე? მომეცით წერილი!

ვერესავემა არ მისცა.

— თქვენ მართლაც და „ქვის ხიდი“ ხართ,

— გაიღიმა ავაჯანოვმა. გაეცინა ვერესავესაც.

ბორჯომში

1943 წელს ზაფხულის ორი თვე ვერესავემა ბორჯომში ვაიტარა. აქ კარგად დღისვენა მან და ინტენსიურადაც მუშაობდა. იმ, რას მწერდა მე ის 1943 წლის ავგისტოში ბორჯომიდან:

„ჭვირფასო როდიონ კალენიკოვიჩ!

...ადგილობრივი რაიკომის მდივანს უნდოდა ჩვენი მოწყობა ლიკანში, მაგრამ ვერ მოხერხდა. სამავებროდ მოგვიწყო სურსათის საკითხი თვითონ ბორჯომში. აქ მოვეწყეთ ერთი სახლის მეორე საართულზე. დიასახლისი ძალიან გულსხმიერი აღამიანი აღმოჩნდა და ისე ზრუნავს ჩვენზე, როგორც თავის ახლობლებზე. ბაზარშიც დადის ჩვენი მაგვირად და ვევიზადებს საკუმეს...“

მეორე წერილი ისევ ბორჯომიდან: 6. IX. 43. „ჭვირფასო როდიონ კალენიკოვიჩ!

...აქ ცხელა მხოლოდ დღის 12 საათიდან, ვიდრე მზის ჩასვლამდე, დანარჩენ დროს კი სასაიშოვნო სიგრილეა. ჩემი ოთახის ფანქარასთან ორი უზარმაზარი აკადია დგას, რომელთა შორის მზე შემოდის და ავსებს ოთახს მომწვანო სინათლით. აქ ძალიან მეშარკვება წერა. დაეწერე უკვე ათი „მოუგონარი მოთხრობა“ და თავში კიდევ ახალ-ახალი მესახება“.

რა კარგად მოქმედებდა ვერესავეზე ჩვენი ბუნება და ჩვენი აღამანები!..

წყალტუბოში

„23. IV. 43. კობახის № 3, გენერლების. ჭვირფასო როდიონ კალენიკოვიჩ!

...19 რიცხვიდან ჩვენ წყალტუბოში ვართ... მოვეწყეთ ბინაში და კვების საკითხიც მოგვარდა. ვლებულობთ აბაზანებს, ეტებებით თბილი ჰაერით, მუღმივი ნათელი ზეით და ფართო პორიზონტის შორეული მთებით. გვიკრავს ევრეთროლებული „ვენერლების“ ოთახი, თუმცა არც ერთი ვენერალი არ გვინახავს აქ. კვება ძალიან კარგი ვაქვს...“

ასე ზრუნავდნენ ვერესავეის ოჯახზე წყალტუბოში.

**მოსკოვი**

„მოსკოვი 2, შუბინის შესახვევი 2, ბინა 14.  
15. I. 44 წ.

დვირფასო ქსენია ელიზბარონა!  
...ჩვენი ბინა დაგვხვდა სრულიად გაძარცვ-  
ლი. და არა უცხო ადამიანების მიერ, არამედ  
ჩვენი ახლობლების მიერ და ზოგიერთი ნათე-  
სავეების მიერაც. არც საშინაოებს კურკუ-  
ლი, არც აფთხებულნი, არც მარტისის ტანსაცმე-  
ლი არ დაუტოვებიათ!... თანდათანობით მოგე-  
ყავს ბინა წესრიგში...

თქვენი ერთგული ე. ვერესაევი\*.

**ოჯახში**

ვერესაევს არ მოსწონდა რომ ოჯახური საქ-  
მიანობის შველი სიმძიმე ქალს აწევდა ზოლზე.  
ამიტომ ყოველთვის ეხმარებოდა თავის მეუ-  
ღლეს საოჯახო საქმეებში. თვითონ მოპქონდა  
ნათი, წმენდდა ნეთქურას, რეცხდა შერ-  
ქელს, ფეკქენდა კარტოფილს. ეს მე ჩემი თვ-  
ლით მიხანავს.

ერთხელ, ასეთი საქმიანობის დროს, ეურნა-  
ლისტი ავთანოვი შემოესწრო. გაუკვირდა ავა-  
ჯანოვს და გამარჯობაც ვერ უთხრა.

— რა ვიკვირთ? — უთხრა ვერესაევმა. —  
უნდა გადავიჩვიოთ ქალთან ბატონკაცურ და-  
შოკიდებულებას... არ მომწონს ზოგი ჩვენი  
მამაკაცის გულცივი დამოკიდებულება საოჯახო  
წირობებთანადმი. მოვა სამსახურიდან, და-  
დება სკამზე, ფეხს ფეხზე გადაიდებს და ეუბ-  
ნება ცოლს:

— აბა, ჩქარა ვამალე სუფრა!

ცოლი კი, ცოლაც ამ დროს მოვიდა სამსა-  
ხურიდან...

ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავიჩვიოთ  
ანეთ უმსგავსოებას ოჯახში. საჭირთა მერტი პა-  
ტივისცემა ქალის მიმართ... ვარდა ამისა, ნუთუ  
არ იცით, რომ ლენინიც ეხმარებოდა კრუპსკა-  
ის საოჯახო საქმიანობაში?...

**შპარი და ცრემლები**

პრემიის მიღების მეორე დღეს ვერესაევმა  
მოთხრა:

— მე ახლა ფულიანი კაცი ვარ. შემძლია  
ოთხთის ქირა გადავიხადოთ. ექვსი ფევი, რაც  
თქვენთან ვცხოვრობ. თვეში ხუთას მანეთს...

— ვიკენტი ვიკენტოვიჩ, რას ამბობთ? —  
შეეძახე მე. — როგორ მოგივიდეთ ეს აზრი?  
ჩვენი საუბარი ჩემმა მეუღლემ გაიგონა.  
მივიდა ვერესაევთან და უთხრა:

— მე რომ ავად ვიყავი და თქვენი შპარი და-  
გქონდათ ჩემთან, გახსოვთ?

— მახსოვს, — უპასუხა ვერესაევმა.

— ის შპარი თქვენი ულუფა იყო. თქვენ იყ-

ლებდით, უშპაროდ სემადით ყავას, მე შაქლე-  
დით... გახსოვთ?

— ვერე რა? — და ვერესაევი შეიმშრუნა  
სავარჯელში.

— რა და, ვიანგარიშით რა ღირდა ის შაქ-  
არი? მაშინ შპარი 800 მანეთი ღირდა მეუ ბა-  
ზარზე. ვიანგარიშით და ვადავიხდით...

— ლებრთო ჩემო, ეს რა თქვეით? — წამოვა-  
რდა ვერესაევი. — ქსენია ელიზბარონა, ეს  
როგორ შეიძლება?... როგორც მაშას შეიღის-  
თეის, ისე მომქონდა...

— ბოო... ვეც, როგორც შეილი მაშას, ისე  
გუბუნებით: თქვენი შპარი განა მარტო შპარი  
იყო?... გული იყო თქვენი...

და ქსენია ელიზბარონა ატირდა.

**ფანჯარი და სიცოცხლე**

ერთხელ მხატვარი აღქსანდრე გველესიანი  
მოვიდა ვერესაევთან და თხოვა თქვენი სურა-  
თი უნდა დაეხატოთ ფერებში. ვერესაევი და-  
თანხმდა. დაიწყო სეანსება.

გველესიანი ჭერ ფანჯრით ხატვას შეუდგა.  
შემდეგ კი ფერებში უნდა გადაეტანა. ფერებში  
რატომღაც არ გადაიტანა, ფანჯრით ნახატი კი  
ერთდროს მხატვართა სალონი იყო გამოფე-  
ნილი თბილისში.

ვერესაევს მოსწონდა ეს სურათი და ხშირად  
იტყოდა:

— რა უკუღმართ დროს ვცხოვრობთ! აქ  
მხატვარი ცდილობს ფანჯრის წვერით აზრი და  
გრძნობა გამოთქვას, იქ კი ცოში დაფრინავს  
ადამიანი, რომ დედამიწაზე სიცოცხლე მოსპოს.

„იქ“ — ფრონტი იყო. ომი იყო. ვერესაევს  
ბოლდა ომი და უყვარდა ადამიანი. გველესიანს  
ის მოსწონდა, რომ მისი ნიჭი ადამიანისა და  
სიცოცხლის მშვენიერებას ემსახურებოდა ამ  
სამინდელი ომის დროს.

ერთხელ გველესიანთან საუბარში თქვა:

— ადამიანმა გამოიგონა ფანჯარი და ყუმბა-  
რა. რასაც ფანჯარი აცოცხლებს, იმას ყუმბარა ანგ-  
რევს... უცუღმართობის დიალექტიკა... სიყვ-  
დილ-სიცოცხლის დიალექტიკა.

— ესეც ხელოვნების მარადიული თემაა, —  
დაუმატა გველესიანმა.

— არა! ეს კამბალისტური ბოროტების შე-  
ღემაა! — დარწმუნებით თქვა ვერესაევმა. —  
მე მწამს, რომ ფანჯარი ვაიმარჯვებს კამბალი-  
ზმის ბოროტებაზე. სიცოცხლე ვაიმარჯვებს ფა-  
ნჯარის სეასტიკაზე...

და მამაშვილურად დაადო მხარზე ხელი გვე-  
ლესიანს.

**პუშკინი და სამართლებრივი**

ვერესაევი პუშკინისტი იყო. მას დიდი ნაშ-  
რომი ჰქონდა გამოქვეყნებული პუშკინის შესა-

ზებ: „პუშკინი ცხოვრებაში“. ეს ნაშრომი ფართოდაა ცნობილი.

თბილისის უნივერსიტეტის სახელით ვერსავეთან მოვიდა პროფესორი სერგი დანელია და თხოვა სტუდენტებისათვის ლექცია წაეკითხა პუშკინის შესახებ. ვერსავეი სიამოვნებით დათანხმდა.

რამდენიმე დღე ემზადებოდა ვერსავეი. რამდენიმე ლექცია წაიკითხა. ლექციებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ვერსავეი კმაყოფილი იყო: რა კულტურული სტუდენტობა გყოლიათ თბილისში? ეტყობათ, რომ იცნობენ პუშკინს და უყვართ იგი. საერთოდ, ყველა ქვეყნის სტუდენტობა არა მარტო ერის სინდისის ბარომეტრია, არამედ მისი კულტურის, მისი ინტელექტის მაჩვენებელიც... რა რევენი იყო მეფის მთავრობა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის გახსნის ფაქტებს არ აქლევდა...  
— მახსოვს, — მითხრა ვერსავეი, — კავკასიის ნაპესტიყმა ვორონცოვ-დაშკოვმა შეამდგომლობა წარუდგინა მეფის მთავრობას კავკასიის უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. წარმოადგინებ — „კავკასიის უნივერსიტეტი“ და არა ქართული, და იმაზეც უარი უთხრა სულელმა მთავრობამ... მაშინ ხომ ურჯუი ეასო იყო განათლების მინისტრი?..

დასკვნით ლექციაზე კი ვერსავემა ასე მიმართა ქართველ სტუდენტებს:

— რაც მეფის მთავრობამ დაავლო საქართველოს, ის თქვენ ვერაფერ შეავსოთ ახლა... და როცა მოდუნდებით შეუდგებით, პუშკინიც გახსენით. მას სწამდა საქართველოს უკეთესი მომავალი.

**შოკოლადის ნახაზი**

თბილისის ოდიეტრთა სახლი ოდიეტრთა ოჯახის წევრებთან ვერსავეს შეხვედრა მოუწყვეს. იყო სიტყვები, შისალმებები, ყვაილები. ბოლოს ვერსავემა თავისი „მოუგონარი მოთხრობები“ წაიკითხა. ძალიან მოეწონა აუდიტორიას და დიდხანს არ ჩამოუშვეს ტრიბუნიდან. ყელი დამეღალაო, თვე ვერსავემა. მაშინ ერთმა ქალმა, ექიმმა, შოკოლადის ნატეხი გაუწოდა:

— ყელი დაისველოთ!  
ვერსავემა გამოართვა შოკოლადის ნატეხი და თქვა: ეს ჩემი საუკეთესო პონორარიაო.  
და კიდევ წაიკითხა ერთი მოთხრობა „თიიგული“.

საპიროდ მიმანია ქართველ შკოთხველს ამ მოთხრობის მოკლე შინაარსი ვუამბო.

ერთ გიმნაზიელს, ანდრიას, შეუყვარდა გიმნაზიელი გოგონა, ნატაშა კოხაჩენკო და ყოველ დილას, გიმნაზიაში წასვლისას, თავის უზავილიდა ამხანაგის ხელით, გავიდა ხანი. გიმნაზიელებმა გაპოლავდნენ, შეხედნენ ერთმანეთს სამსახურში. ვერ იცნეს ერთმანეთი და გამოარქვა, რომ ის ამხანაგი თიიგულს თავისი

სახელით აძლევდა ნატაშას. საშინლად იწურინა ორივეს ეს დიდი ხნის ამბავი ახლა, კინტრისასკ...

„თიიგული“ დიდი ტაში დაჰკაცქტტტტტტტტტტტტ იწვია. ტაში რომ დაცხრა, ექიმმა ქალმა ცრემლები ამოიხოცა თვალოვან და უთხრა ვერსავეს:

— ოჰ, ვიკენტი ვიკენტიევიჩი! რაღაც ნატაშა კოხაჩენკოსთან ამბავი იყო ჩემს ცხოვრებაშიც. სხვები იცნობდნენ ახლა, მე კი, ხედავთ, ავტირდი...

ვერსავემა ქალს მაგრად ჩამოართვა ხელი. ქალმა ჩანთა გახსნა და შოკოლადის ნატეხი გაუწოდა კიდევ. ვერსავემა არ გამოართვა: ავი მოშვითო?

— ის ყელისთვის მოგვეციო, ეს კი — გული-სათვის. — უთხრა ქალმა.

ვერსავეს გაეხარდა და გამოართვა. დრო იყო ისეთი, რომ პატარა შოკოლადის ნატეხიც დიდობდა. გულსაც ხომ ცოტა რამე გაახარებს?

**პუშკინი, ვარსავეი და საამაჟლო ომი**

ვერსავეს თხოვეს თბილისის ფილარმონიაში ლექცია წაეკითხა პუშკინის შემოქმედებაზე. ვერსავემა წაიკითხა თემზე პუშკინის პატრიოტიზმი. ვერსავემა გააჩრია პუშკინი და დაახსიათათ ის, როგორც სამშობლოს დიდი პატრიოტი. პუშკინი ამაყობდო რუსი ხალხის პატრიოტიზმით, ოპტიზმით, ამტანობით. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ნაწარმოებებს, რომელთა იდეა ეხმიანებოდა სამამულო ომს. გააჩრია ლექსი „ნაპოლეონი“ და ერთმანეთს დაუმპარისპირა განდიღუბის მინიონი შეპყრობილი ნაპოლეონის შემოსევა და რუსი ხალხის თავდადება სამშობლოსათვის. გააჩრია „სპილენძის მხედარი“ და დაუკავშირა მიმდინარე მომენტს. როცა ერის ცხოვრებაში დგება ისეთი დარა, რომ ორი საწყისი ევაზება ერთმანეთს: პირად და საზოგადოებრივი, ინდვიდუალური და სახელმწიფოებრივი, უპირატესობა უნდა მიეცეს საზოგადოებრივს, სახელმწიფოებრივსო.

— პუშკინი დღესაც ჩვენთანაა, ჩვენს რიგებშია. — თქვა ვერსავემა, — და გვეუბნება: ყველაფერი პირადული, სიცოცხლეც კი, გვეუღოთ სამშობლოსათვის და ვისნათ იგი...  
აუდიტორია ძლიერი ტაშით შეხვდა ამ სიტყვებს. ერთმა ქალმა შესძახა:

— ჩემი ორი შვილი ფრონტზეა, ვიკენტი ვიკენტიევიჩი... და მე ტაშს გყარეთ თქვენს..  
პირე ქალი ატირდა. ვერსავემა მოიხსნა პენსი და ამოიხოცა თვალები.

ამ საღამოზე თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის მსახიობებმა პუშკინის ნაწარმოებებიდან რამდენიმე სცენა წარმოადგინეს. საღამო დიდი წარმატებით ჩატარდა. ეს საღამო ეურნალიტმა ავაქანოვმა მოაწყო.



საღამოდან გამოსული ვერსავეი კარგა მანძილზე გააცილეს დედებმა, რომელთა შვილები ფრონტზე იყვნენ.

**სიცოცხლისათვის**

1942 წელი იყო. წვიმიანი და უხალისო მარტი. ფრონტებზეც მძიმე მდგომარეობა იყო. მწერალთა კავშირმა მწერალთა შეხვედრა მოაწყო დაპირებებთან ოფიცერთა პოსტიტალში. დაპირებებს ესტუმრნენ: ვერსავეი ნოვიკოვი, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, სანდრო ველი, ვასო გორგაძე, სიმონ წვერავა, ბესო ელენტი და ამ სტრატეგების ავტორი. პოსტიტლის დიდი კლუბი და დერეფანი გაქვდილი იყო დაპირებებით და საექიმო პერსონალით. ბევრი იყო უხელო, უფეხო. იყვნენ საქაცევებით მოყვანილებიც...

მოსხენება გააცთა ბესო ელენტი. ხალისიანი, ამედიანი იყო მოსხენება. ვულდასმით უსმენდნენ. შემდეგ გამოვიდნენ მწერლები. ვერსავეი წაიკითხა თავისი „მოთხოვნანი მოთხოვნები“. ძალიან მოეწონა აუდიტორიას და იყო ერთი ტაში. ცალხელა დაპირებები ცალხელით უტრავდნენ ტაშს: თავის მუხლისათვის ურტყამდნენ ხელს, ცალხელა დაპირებები არა ხელით უტრავდნენ, მაგრამ ცალით ბდნენ სკამიდან არ ჩამოვარდნილიყვნენ და ყავარყენს იმარჯებდნენ ხშირად იმ მხარეზე, სადაც ფეხი არ ჰქონდათ. ეს მიმე სანახაი იყო.

ვერსავეიმა შეწყვიტა კითხვა და ასე მიმართა აუდიტორიას:

— მეგობრებო! თქვენ არ იფიქროთ, რომ მე მარტო მწერალი ვარ და ვულდასმელებით გიკითხაეთ ჩემს მოთხოვნებს. მეც თქვენსავე ნაფრონტალი და ნაომარი კაცი ვარ.

— სსს! შშშ! — გაისმა აუდიტორიაში, თქმვა არაიენ ხმაურობდა.

— მე სამხედრო ტემში ვარ! — ვანაგრძო ვერსავეი. — ვარ რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. ის ომი უბედური ომი იყო რუსეთისათვის. ჩვენმა ჯარმა არ იცოდა რისთვის იბრძოდა, რატომ იბრძოდა და წავაგეთ ომი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილეც ვარ. ესეც იმპერიალისტური ომი იყო, ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო... აი, ამ ომებში ბევრი დაპირილი მინახავს. ბევრიც გადავარჩინე სიკვდილს. მე კარგად მესმის დაპირებების ფსაქოლოგია და ამიტომ, შემიძლია ვესაუბროთ როგორც ომგადასხელი ომგადახდილებს... ჩემთვის განსაკუთრებით მჭირვასია თქვენი ცალი ხელით დაკრული ტაში. მე ასეთი რამ წინა ომებში არ მინახავს. ეს ნამდვილი სამამულო ომი და თქვენ ნამდვილი გმირები ხართ... იციტ რისთვის იბრძვით, რატომ იბრძვით: იცაეთ მამულს... და მის სიცოცხლეს...

ვერსავეი აღელდა. მოიხსნა სათაღე და ცხვირისაბოცი მოიტანა თვალებთან. აუდიტორია შეიჩა აღელვებულ სიჩუმეში.

— ახანავებო! საბოთა შებრძოლებო! — დასკვნა ვერსავეი. — მე დატწუნებული ვარ, რომ ჩვენ ვაგემატვებთ. ამისი თაფებია თქვენი ცალხელა ტაში. ოში კი დიდა სულიერი ფაქტორის ძალა... სიცოცხლის ძალა... გაუმარჯოს სიცოცხლეს!

სიცოცხლისათვის შებრძოლებმა ოცეცია გაუმართეს.

მაშინ ადგა შალვა დადიანი, ჩავლო ხელი ყველაზე ხანდაზმულ მწერლებს ვერსავეისა და ნოვიკოვის და სცენიდან დარბაზში ჩაიყვანა. ეს სამი მოხუცი მწერალი სამ საკაცეო დაწოლილ დაპირებებზე დასაუბრებდა მცვიდა, სამივე უსიტვოდ გადაეხვია დაპირებებს. დაპირებები ახალგაზრდები იყვნენ: ერთი რუსი, ერთი უკრაინელი, ერთი ქართული. მიმედ დაპირებები.

აღელდა აუდიტორია. ვისაც ორი ფეხი ჰქონდა — ადგა ვისაც ცალი ფეხი ჰქონდა, ისიც ადგა, დაეყარდნო უავარყენს. ექიმი ქალები ატირდნენ.

მწერლები რომ სცენაზე დაბრუნდნენ პოსტიტლის უფროსმა პოლკოვნიკმა ძახოვმა ასე მიმართა მათ:

— ძეობრებო! მწერლებო! თქვენი სიტყვები ჩვენს დაპირებებს ჩვენს წამლებზე ნაკლებ როდი მოუხდებათ... თქვენ დიდად გაგემახნევით ჩვენ და ვაგემახრეთ...

შალვა დადიანმა ძახოვის ასე უბასხა:

— მწერალი აღამიანის არა მარტო სულს ინეიერდა, არამედ ექიმიც. ძლიერი და ლამაზი სულიერი განცდა ძალიან ახნევენებს ადამიანს...

ვერსავეიმა დაამთავრა თავისი შეწყვეტილი მოთხოვნა.

პოსტიტლიდან რომ ვბრუნდებოდით, ვერსავეიმა მიხსრა:

— რა საოცარი ქმნილებაა ადამიანი! ხელი არა აქვს, ფეხი არა აქვს და მიანც უხარია... რა უხარია? სიცოცხლე უხარია... სიცოცხლე თუნდაც სიცოცხლისათვის... და ეს ომი ზომბრძოლაა სიცოცხლისათვის...

**ნინო ნაკაშიძე და პერსონალი**

მწერალთა კავშირში ნინო ნაკაშიძე და ვერსავეი ვაეცანი ერთმანეთს. დიდხანს ისაუბრეს, კავშირის კლებიდან რომ გამოედიოთ, ვერსავეიმა ნინო სახლამდე მიაცილა. შინ რომ დაბრუნდა, ვერსავეიმა მიხსრა:

— ძალიან საინტერესო საუბარი ჰქონდა ნინო ნაკაშიძესთან. თურმე ტოლსტოის კარგი ნაცნობი ყოფილა.

— „დეშეჩაჩაე“ თუ გელაპარაკათ? — ვეითხე მე.

— პოო, — გაიცინა ვერსავეი. — ნინო იოსიფოვნა მართალია, ლეე ნიკოლაევიჩი კო

არა მართალი. ჩეხოვის „დუმეჩკა“ ადამიანის დაბალი ლანდია, კარიკატურა, არც მეტი, არც ნაკლები. მაგრამ საქმე მართო ამაში რაღაცა. საქმე ისაა, რომ შევემართო ტოლსტოის. აბა... მართო შევემართის სურვილიც არ კმარა, უნდა გვეკონდენს ზურგი, ინტელექტის ძალა, ხოლო ამ პატარა და სუსტ ქალს, უკვე, რა დიდი ინტელექტი აქვს!...

სუსტიო?...

და მე ვუამბე ვერესაევს ნინო ნაკაშიძის ბიოგრაფიიდან ერთი ეპიზოდი.

1905 წელს მეფის წარები გურიას შეესია. ნინო ნაკაშიძე გამოცხადდა გენერალ სულთან კრომვირისთან და მოსთხოვა წარების გაუყავა... ნინო ნაკაშიძე რევოლუციური მოღვაწეობისათვის შერევის ციხეში ჩასვეს. ნინომ ციხეში პოლიტიკური პარტიზანობა ააწყა და მოთხოვა გუბერნატორის მოსვლა... წამოიღვივებო, რომ გუბერნატორი იძულებული გახდა პირადად გამოცხადებულყო ციხეში და ნინოს ზოგი მოთხოვნისა დაეკმაყოფილებინა. ხუმრობა საქმე როდღე იყო: ნინო კენიცი იყო...

— ევეე... — სიამოვნებით წამოიძახა ვერესაევმა. — ასეთი ქალი, ჩემო კარგო, რომელიც მეფის სატარას ვადუღდა წინ და მეტეხის ციხე ააწყა, მართლა შევემართობოდა ტოლსტოის. არ მოეწონებოდა „დუმეჩკა“. ცხოვრებას ხომ რევოლუციონერები ემნიან და არა ღოყალკაა დუმეჩკები?...

### პოპოვი, ბოლსევიკი და კარტოვილი

თბილისში ვერესაევის დიდი მეგობარი იყო ლევ ბეჟანოვი. ბეჟანოვი მსახურობდა საქართველოს საგეგმო კომისიაში. პროფესიით იურისტი იყო, მოსკოვის უნივერსიტეტი პქონდა დამთავრებული და ვერესაევს პირადად მოსკოვიდან იცნობდა.

ბეჟანოვი ხშირად დადიოდა ვერესაევთან და ესმარებოდა მას საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში. თბილისში ყოფნის დროს ვაშალაშინა ვერესაევმა „ილიადს“ თარგმანი, აქვე წერდა თავის ახალ „მოუგონარ მოთხრობებს“. მაგრამ არც „ილიადს“ თარგმანი და არც „მოუგონარ მოთხრობები“ არ იქნებოდა, შეწარალს, რომ არ პქონოდა ნათი და პური, კარტოვილი და საბონი. მოხუცი ვერესაევისათვის ძნელი იქნებოდა პროდუქტებისათვის წაწილი, მთელი საათობით რიგში დგომა. შით უმეტეს, რომ მას ფეხის ტკივილებიც აწუხებდა. აჲ, ამ საკითხის მოგვარება იყისრა ბეჟანოვმა და დიდად შეუშუბუქა მოხუც ვერესაევს ომისდროინდელი მძიმე ცხოვრების ტვირთი.

ხშირად მინახავს, რომ საღამოობით დასხდებოდა ნინო ლანდია ვერესაევი, მისი მეუღლე მარია ვერესაევი და ბეჟანოვი. მარია ვერესაევი იქნებოდა უნდა თქვას, რომ ის

იყო დიდი კულტურის ქალი. ერთ დროს ეს მოსკოვის საშაბატრო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგელ მუშაობდა. ამ თეატრის ერთ-ერთი წამყვანი ძალა იყო. ხანდახან მეც დავაჯდებოდი მათთან. მშვერტები ნათქურის გარშემო გაიმართებოდა საუბარი პოპოვისზე, ტოლსტოისზე, „ილიადს“ თარგმანზე, კარტოვილიზე, საბონზე. საუბარი სერიოზული, საინტერესო. ვერესაევი ბევრს მინახევი კაცი იყო, კარგი საუბარი იყო. ბევრის მხატველი იყო ბეჟანოვიც. ხან ერთს მიყავდა საუბარი, ხან — მეორეს, ოღონდ ვერესაევი ლაპარაკობდა ხანამალა, ბეჟანოვი კი — ჩუმი ხმით, თითქოს ლოცულობდა. ბეჟანოვი თბილისის ყველა ძველი და ახალი ამბები იცნოდა და უკმაყოფილო იყო მათი აწეული ვერესაევს. ეს ინფორმაცია იყო სისტემატური და მას ლექციასავით ვუსმენდით. ამ დროს ვერესაევი კარტოვილს ფეცვნიდა ან ჩკრით წმენდდა, ხოლო მარია ვერესაევი იყო: რამდენი „შტუტა“ კარტოვილი აქვს, რამდენი ცალი საბონი, რამდენი ბოთლი ნავთი. ამას ის ყოველ საღამოს აკეთებდა; ამას ის „მურწუნობის ვაძლოს“ ეძახდა.

ბეჟანოვი რომ საუბარს დაამთავრებდა, ვერესაევი ხელს დაიხანდა და გამოიტანდა „ილიადს“ თარგმანს, იმას, რაც იმ დღეს ან წინა დღით ვაეკეთებინა და გვიკითხავდა. მარია ვერესაევი იყო „მურწუნობის ვაძლოს“ თავს შიანებებდა და სულგანაბული უსმენდა. სულგანაბული უსმენდით ჩვენი: ბეჟანოვა და მე. და ასეთი ბუნებრივი იყო ეს სურათი, რომ არ იგრძნობოდა არავითარი კონტრასტი, არავითარი უხერხულობა პოპოვისის „ილიადის“ და საბონ-კარტოვილის მეზობლობაში. დრო იყო ისეთი: ცოტა პურის, ბევრი სიძნელის მიძიდ დრო.

ამ მძიმე დროს ვერესაევი იმუშებებდა პოპოვისის თარგმანით, ხოლო კეთილი ბეჟანოვი უმუშებებდა კარტოვილით და საბონით.

და კიდევ იმით, რომ ვერესაევს ჭირდებოდა დიდი კულტურის მქონე მოსაუბრე. ბეჟანოვს დიდი საყვარელი გულთან ერთად დიდი კულტურაც პქონდა...

რადგან „ილიადს“ თარგმანზე ჩამოვარდა ლაპარაკი, საჭიროდ მიმანია აქვე ვთქვა ესეც. ამ თარგმანს ვერესაევი კითხულობდა თბილისის გარნიზონის ნაწილებში და სტუდენტთა აუდიტორიებში, რომ დავსწრებოვარ ამ კითხვებს და ვსუბუღებ, რომ აუდიტორია კარგად იღებდა პოპოვისის შორეული გვირგების თავგადასავალს, მათი ვაეკაცობისა და სიძნელებითან ბრძოლის ამბავს. იგრძნობოდა პოპოვისის დიდი ოპტიმიზმი და იქვე ფაზისზე გამარჯვების დიდი იმედი. იგრძნობოდა, რომ შემარტარ ხელოვნება ყველა დროის ხელოვნებაა.

ამ მძიმე დროს ვერესაევი თავისი თარგმან-

თავ მხარში ედგა წითელ არმიას, ჩვენს ახალ-გაზრდობას, ჩვენს ქვეყანას...

და თბილისელი მეგობრები ხელს უწყობდნენ მას ამ პატრიოტულ საქმეში.

**ოუჩინი და მარქსიზმი**

ვერესავეს თავის მოგონებებში აქვს პატარა მოთხრობა. იმის შესახებ, თუ როგორ მოიგო და წააგო ოუჩინმა 100,000 მანეთი.

ჩვენ კი, აი, როგორ გვიამბო ეს საინტერესო ამბავი ერთ შეტრეხაზე:

იმ საღამოს კლუბში მე ვიყავი მორაგვე მამასახლისი. ბანკში რომ 100,000 მანეთს მიადნო და ბანკის მონაწილემ, მხასიაობმა რომბაკოვმა, ტირილი მორათო, მე აქ ვიდექი, ოუჩინის ვერადით. უველა შეგვიბუკრო მსტიკურმა განწყობილებმა: ხუმრობა საქმეა 100,000?.. და კაცმა შეიძლება წააგოს ამოდენა თანხა?... და როცა ოუჩინმა წააგო, მე შევაჩერდი სახეში: განიცდიდა თუ არა მდგომარეობის სიმწვევეს? შენც არ მომიყვდე! სრულიად არაა... დააგლო ბანქოს დასტა მიფიდაზე და საოცარი უღარდელით თქვა:

— ახლა კი წავიდეთ და კახური ღვინო დავლიოთ!..  
რობაკოვი ჭკითინებდა, მე კი აღტაცებაში მოხიყვანა ოუჩინის სიმწვიდემ და თავდაფერამ. მამინ გაჰყავიროვა ამ ფაქტმა: იყო ეს ენსტი თუ ბუნება ოუჩინისა?.. ახლა კი აქ, თბილისში, ნაღდივლად ვიგარქენი ოუჩინის ბუნება. ის ქართველი იყო თქვენ კი, ქართველები, ფულის მონა არა ხართ... ესეც ერთი ეროვნული თვისებაა თქვენი და მე ძალიან მომწონს. ფულის მონა უყოველთაის დაჩაგრავს სხვას, ფულის ბატონი კი — არასოდეს...

**კაცური კაცის ხალი**

ერთხელ ვერესავეთან ვიდაც გამხდარი, კოფინდარი კაცი მოვიდა და თავი ასე გააცნო: მწერალი ვარ, ივენ დიმიტრიევიმ ვასილენკო.

ვასილენკოს ეცურობოდა, რომ ავად იყო. ახველებდა კიდევ. ანდა როგორ არ უნდა ეხველებინა, როცა ზამთარი იდგა, მას კი საზაფხულო პალტო ეცვა? შერე ვავიგეთ, რომ ის პალტო ნაქირავები ჰქონია და ქვეტათაც ყოფილა ავად. მორჩენილა ქვეტისაგან და აქვამად თბილისში ცხოვრობს. იმ დღეს კი სულ ორიოდ სიტყვით გააცნო თავისი თავი ვერესავეს და თავისი წიგნი „არტიომკა“ დაუტოვა ეს იყო დილით.

იმავე საღამოს ვერესავეი დიდის სიხარულითა და აღტაცებით მეუბნება:

— იცით რა შესანიშნავად წერს ეს ვასილენკო? ვკითხულობ, ვკითხულობ წიგნს და ვერ ვმორღებდი. დიდი ხანია ასეთი სიამოვნება არ მაგრძენია წიგნისაგან.

რამდენიმე დღის შემდეგ ვერესავეი მეუბნება:

— ხელმეორედ ვკითხულობ წიგნს. მაგრამ ახლა ნაწილ-ნაწილ ვკითხულობ, რომ გავიხანგრძლივო სიამოვნება... ახ, რა მწერალია!.. რა მწერალია!.. ნეტავ, რატომ არ მოდის?...  
ვასილენკო მოვიდა ერთი კვირის შემდეგ ვერესავემა გულთბილად მიიღო, ორი ხელი ჩამოართვა, ჩაიზე დაპატოე. გამოკითხა ვინაობა.

გამოირკვა, რომ ვასილენკოს დაუმთავრებია პედაგოგიური ინსტიტუტი, უთფილა მასწავლებელი, მარტოეშავი, საივაციო ინსტიტუტის ლექტორი. ვადაუტანია ქლეკი. სამაშულო ომს თავის სამშობლო ქალაქ ტავანროვში შეხვედრია. გამოქცევია ფაშისტებს და ახლა თბილისში ცხოვრობს... მაგრამ ცხოვრობს კი?... ში და ცოცხა...

ვერესავეი დავხმარა. უყიდა პალტო. შეუწყო ხელი. ხშირად იბარებდა. დასხდებოდნენ ჩაზე და ვერესავეი ესაუბრებოდა, როგორც თანასწორი თანასწორს. ვერესავეი უხარამხარი ერთდციის კაცი იყო, მასთან ართულ ისე ილოდ იყო საუბარი. ვასილენკოს სასახლედ უნდა ითქვას, რომ ვერესავეის კარგი პარტნიორი იყო...

გავიდა ცოტა ხანიც და ვასილენკო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა, ისეთი მშვენიერი მოთხრობა დასწერა „ეპარსკელავი“.

და ეს იმიტომ, რომ მას უცნობსა და მიუსაფარს, ვერესავემა კაცური კაცის ზელი გუეწოდა, თავად სტუმარმა საქართველოში, საქართველოში კი თვითონ ვერესავეს გაუწოდეს კაცური ხელი.

**ქალღი და ადამიანი**

პავლოვის მოძღვრების მიხედვით, ცხოველები მოქმედებენ ინსტინქტით, მათ ქეუა არა აქვთ. ვკითხე ვერესავეს: თქვენ რას ფიქრობთ მეტოქე ანაზე? ის ხომ ექიმიც იყო! და აი, რა ვიპასუხა:

— ერთხელ, გაზაფხულზე, ეგვიპტედან საბერძნეთში მივდიოდი, ესე აგი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. შეენიშნე, რომ მკლევარ ფრინველებს დაფხვრალთ გემის ანემტი. ვკითხე მატროსებს, რათა აბსუნდა-მეთქი ეს მოვლენა მათ მიმასუხეს: ასე იციან ფრინველებმა გაზაფხულზე. შემოადგომაზე კი, პირაქით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიფრინავენ ასეთივე წესით, ე. ი. ფრინველები მგზავრობენ გემით, ორივე მიმართულებით, მგზავრობენ და გემიდან გემზე ასვენებენ... მიხვდით?

მე მიხვდილი, თქვა ვერესავემა. მაგრამ მარტო იმას როდი მიხვდი, რასაც უბრალო მატროსები მიხვდნენ. მე იმასაც მიხვდი, რომ ფრინველს აქვს გონება... ამ შემთხვევაში მარტო ინსტინქტი არ ემაროდო...

მამინ მე ვერესავეს ერთი საინტერესო შემთხვევა ეუამებ, რომელიც თბილისში მოხდა.

ერთ ოჯახში სამი წლის ბავშვი გარდაიცვალა. ბავშვს ჰყავდა ძაღლი, რომელიც ძალიან უყვარდა. ძაღლსაც უყვარდა ბავშვი, სულ მისი ლოვინის წინ აწეა. ბავშვი რომ დამარხეს, იმ კვირას ძაღლი დაიკარგა. ძაღლის მარტი შობილებს საღ ჰქონდათ და არც უძებნიათ. ძველი აღათის მიხედვით, შობილები რამდენიმე დღის განმავლობაში შვილის საფლავზე არ მივლენ. ასე მოხდა აქაც. ვაჟიდა რამდენიმე დღე და შობილები მივიდნენ შვილის საფლავზე. და რა ნახეს?..

ძაღლს კბილებში ბავშვის პერანგი ეჭირა და უსულოდ ეგდო საფლავზე... ცხადი იყო: ძაღლს პერანგი მოეპარა, საფლავზე წასულიყო და სული დაეღია იქ...

— ეს არაა ინტინქტი! — წამოიძახა ვერესაევმა. — მე ზოგ ზემს მოთხრობაში აწერილი მკვამლე და კეთილშობილი ძაღლი... ნეტავი მკოდნოდა ეს ფაქტი!.. აწერეთ თქვენს!.. ცოტა დაფიქრების შემდეგ დუმიტა:

— ზოგ ძაღლს რომ ზოგმა ადამიანმა მიბაძოს, არ წააგებს... აი, მე მაქვს ერთი მოთხრობა ძაღლზე. აქ ვნახე, თბილისში, ამ მოთხრობის პერსონაჟი ძაღლი. კიროვის ქუჩაზე, პურის მაღაზია რომაა, იქ ერთი ძაღლი წევს მუდამ მაღაზიის შესასვლელთან. ეტყობა ძაღლი დაბერებულია, რადგან ძლივს დადის. გარდა ამისა, ძაღლი დასუსტებულია შიმშილისაგან. ამა წარმოიდგინეთ, პურს ბარათებით იძლევიან და ძაღლს ეინ მისცემს პურს? ჰოდა, ეს საწყალი ძაღლი გამოდის შესასვლელიდან, დაჯდება ტროტუარზე და უუერებს პურის ვაღმორტირთვას. იბრგვლივ პურის სასამოჯნო სუნი დევას. ძაღლს კი არა, მეც მალიზიანებს ეს სუნი. პური მიაქვს ორ კაცს. როცა ორ კაცს პური შეაქვს მაღაზიაში, მინქანას არაფერს დააჯობს. ძაღლს შეუძლია მივიარდეს და დაიტაცოს ერთი ვაგორია. მაგრამ... მაგრამ ძაღლი არ იტაცებს პურს? მას გამოუმჯავებელი აქვს ადამიანის მიერ შესაგონებელი აზრი, რომ მოპარვა არ შეიძლება. და ძაღლი იცავს ამ მორალს, ამ ვალდებულებას. მე ეს ზემი თვალთ ვნახე...

— მეგრად... ჩასავეიერებელი, ცხოველი აზრთვინებს. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. — დავუბასტრე მე, რადგან მეც მეცრია ძაღლის აზროვნება.

მეც მინახავს ეს სურათი და ეს ძაღლი, მართლაც და, მეც მეცრია ამ მოკანების ვანზოგადებული მორალი:

— ზოგ ძაღლს ზოგმა ადამიანმა რომ მიბაძოს, კარგი იქნება...

### პარტი მემორბარი

1942 წელს მწერალთა კლუბში ცნობილ რუს მწერალს ივანე ნოვიკოვს შემოქმედებითი საღამო მოუწევს. საღამოზე მოიწვიეს ვერესა-

ევი. ქალაქი შექმენიბული იყო, ტრანსპორტი არ მუშაობდა რეგულარულად, ვერესაევმა მწერალთა კავშირიდან შირს ცხოვრობდა და ღროზე ვერ მოვიდა. საათი უტყდა თორმე ტრამვაის. და როცა იმდენ გადარწყნდა, ფეხთწამოვიდა. ფეხით სიარული კი უჭირდა — ტკიოდა. თან ბნელოდა ქალაქში. მაინც წამოვიდა მეგობრის საღამოზე და სულზე მოუსწრო.

შალვა დადიანი საღამოს ხურავდა, როცა კარებში ვერესაევი გამოჩნდა. ვერესაევს გულთბილი ტაშით შეხედნენ.

არც კი დაუსვენია, ისე ავიდა ტრიბუნაზე. ბოღინი მოიხატა დავეინებისათვის და თქვა: — ძალიან გამიჭირდა მოსვლა, მაგრამ ივანე ალექსევიჩი ჩემი მეგობარია და არ შემიძლია არ მოვსულიყავი.

ხომ შეეძლო ავადმყოფ კაცს არ მოსულიყო? მაგრამ მოვიდა, მეგობრობის განზომანში მოიყვანა. მოვიდა და დაამშვენა საღამო. შესანიშნავი სიტყვაც თქვა.

რა კარგია კარგი მეგობარია!.. ჩვენი, ქართველებს, ძალიან მოვეწონა ვერესაევის საქციელი და ამიტომ დიდხანს ვუკრავდით ტაშს.

ტარიელ-ავთანდილობა ხომ ჩვენი ეროვნული თვისებაა?..

### წაღის საიდუმლოება

ვერესაევს ძაღლზე მოსწონდა თბილისის აბანოები.

— აბანო მარტო ტანს როდი ჰბანს... ეს კარგად ესმოდათ რომში, სადაც კულტი იყო აბანოსი. რუსებსაც უყვართ აბანო, მაგრამ ჩვენი თვის აბანო ფიზიკური განმარტელობის ფაქტორია, მეტი არაფერი, ვახსენებ, რუსი ადამიანი ვეარჩერებული აბანოდან პირდაპირ თოვლში გამოვარდებდა. ესაა ფიზიკური წრთობა, მართალი რომ ვითხრობ. სამხრეთში კი, მაგალითად, თქვენთან, აბანო სულიერი ცხოვრების ფაქტორიცაა. გამოგონია, თქვენს აბანოში ქეიფობდნენ კიდევ, მღეროდნენ, ქალებს სიღამაზეს უსწავდნენ მაქანალები... ვახსენებ, ვეუბნება რომ ამოხეტა, პლინისი აბანოში იყდა. ქალაქი ინტროლიდა, ის კი, ნამდვილი რომაელი, აბანოში ნებვირობდა, სანამ გულის ჭია არ დაეკმაყოფილა.

— და დაიღუპა კიდევ, — გამოცინა მე. — და კიდევ ამაშია წყლის საიდუმლოება, — გაიცინა ვერესაევიც. — ვერ დაუნება თავი სიციცხლის პირველყოფილ ძალას. წყალია ხომ წყარო სიციცხლისა?.. თბილისის აბანოში მე სიციცხლის პირველყოფილ ძალას ვკარძობ, თუ როგორ გაღზეა ყინულით და როგორ ამოისუნთქა პირველმა არსებამ...

მართალი ვერესაევი? მაგრამ ის ხომ ფილოსოფოსიც იყო?

**ლენინის ოჯახს დახმარება**

რედაქციის წლებში ლენინის ოჯახს დიდი დახმარება აღმოუჩინა ვერესაევმა. თვითონ კი ლენინისათვის არა შეუტყობინებია რა არც მას შემდეგ გაუზიარა ამ დახმარების შესახებ ვერესაევს, როცა ლენინი ემიგრაციიდან დაბრუნდა.

ეს მე ვერესაევმა ერთ-ერთი საუბრის დროს მიხსრა.

მე ვკითხვ: ეს ფაქტი თუ არის-შეთქი სად-მე აღნიშნული? ან ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თუ უთხარი-შეთქი ლენინს?

— რა საჭირო იყო? — მიპასუხა ვერესაევმა. — მე ხომ ჩემი პარტიული მოვალეობა მოვიტანე ჩემი პარტიული ამბავის წინაშე?.. და ვანა მართა პარტიული მოვალეობა? — აღმინიერი მოვალეობაც...

არ ვიცი, არ მგონია, რომ რუსულ ლიტერატურაში აღნიშნული იყოს ეს ფაქტი. არც ვერესაევის მოგონებებშია აღნიშნული.

**ბოლსევიკი და პირველი**

ერთხელ ლევ ტოლსტოი ავად გახდა და ვერესაევი მიიწვიეს სამეურნალოდ.

შემემინდა, მიხსრა ვერესაევმა, ასეთი უზარმაზარი აღმინის სიცოცხლის პასუხისმგებელი როგორ გავხდებოდი? წარმოვიდგინე ასეთი სურათი: ჩამოვედი იასნაია პოლიანაში. ტოლსტოი წევს ლოჯიაში. ბიბლიოთეკა პარტიკულარული გამოყურება ეს მართლა და მსოფლიო ლიტერატურის პარტიკულარული. მე კი ვკვდივარ სიკვდილში. ტოლსტოი გამომიწოდა მაჯა მოვიკვდი ზელო, თან ვფიქრობ: ეჭვ, ლევ ნიკოლაევიჩ, მაშასადამე, არსებობს პულსი? მაშასადამე, მედიცინა არაა აბუხად ასადგები! ავი ამბობდი: „მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფს სასუკეთესო ექიმები ჰყურებდნენ, ის მაინც მოიხარო“.. გამივლდა ამ აზრმა და ვერ ვახერხებდი დამეთავალა ტოლსტოის პულსი... უარი შევეთვალეო.

— დიდი ხნის შემდეგ კი ჩავედი ტოლსტოისთან. მთელი დღე დავყავი მასთან და, წარმოვიდგინე, თავი აქვს ტოლსტოის სხვანაირი, თორემ მაჯა? მაჯა, ჩემო კარკი, იმასაც ჩემსავით აქვს.

ამას ხშირად ვახსენებდა ვერესაევი თბილისში. რატომღაც უყვარდა ეს მოგონება. აღმათ იმბიტომ, რომ თვითონ იყო უბრალო აღმინი და დიდი ტოლსტოის პირველებშიც უბრალოებს ეძებდა: მაქას...

**რუსეთი და პირველი**

1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომში წასვლის წინ, ვერესაევმა ჩეხოვს ერთი მოთხრობა წაუკითხა. ჩეხოვს მოეწონა მოთხრობა, რა-

ღან ფრონტზე მიდიოდა. ვერესაევს მოთხრობის დაბეჭდვის თავი არა ჰქონდა და შეინახა. მაჩუქრიდან დაბრუნების შემდეგ კი მოთხრობა ვერ იპოვა.

1937 წელს ზელნაფერი აღმოჩნდა არქივში და ერთ რედაქციაში შეიტანა ვერესაევმა. შემოიარეთო ერთ კვირაში, უთხრა რედაქტორმა.

გავიდა ერთი კვირა და ვერესაევმა შეიარა რედაქციაში.

— უნდა შეასწოროთ მოთხრობა, — უთხრა რედაქტორმა. — თქვენ 32 სტილისტური შეცდომა გავით დაშვებულ.

— აბა მაჩვენეთ რა შეცდომებია? — და ვერესაევმა გადაშალა ხელნაწერი.

ოცდათორმეტი ადგილი იყო მოხაზული წითელი ფაქტით, გაკრულად, მოჭრიდებლად. ეტყობოდა, უჭირავს მადანს მათრახი და ურტყამს სადაც სურს.

— კი მაგრამ, მოქალაქე რედაქტორო, მე ჩეხოვს წავეუთებ ეს და ძალიან რომ მოეწონოს? — უთხრა ვერესაევმა რედაქტორს.

— ის ჩეხოვი იყო, მე რეზნიცი ვარ! — იყო პასუხი.

— მოო, გეტყობათ რომ რეზნიცი ხართ! — უპასუხა ვერესაევმა. — ოღონდ ლიტერატურის რეზნიცი...

— და წაიღე ზელნაფერი, — მიხსრა ვერესაევმა. — აი, ასეთი ხალხი დაქდა ახლა რედაქციებში. ყველაფერს თავისი მაკრატლით ჭრან: არ ერიდებიან მწერალს.

ქართველ მკითხველს შეეახსენებ, რომ რუსული სიტყვა „რეზნიც“ ქართულად ყსააზს ნაშნავს.

**მასის გორაკი და „ნათელი ეშმაკი“**

მოსკოვში, რომელიც მეზღუფში, გამოფენილი იყო იშვიათი რუსული ნაკეთობანი. ვერესაევმა ინახულა გამოფენა, შენიშნა რომ ერთგან ყველაზე მეტი ხალხი იყრიდა თავს. მივიდა და საოცარი რამ ნახა.

ნახა ოქროსაგან ჩამოსხმული საწოლი — მთლიანად ოქროსაგან.

საწოლზე ორი ფირფიტა იყო ჩამოკიდებული. ერთზე ეწერა: „ყოფილი საყოთრება თავადი იუსუფოვისა, გრად სემარკოვ-ელსტონისა“. მეორეზე ეწერა: „ამ ყამად შეიძინა მაქსიმ გოკოვი“.

— ექვე! — გააქნა თავი ვერესაევმა. — ესეც შენი პრალექტორული მწერალი!..

ეს გაიხსენა ვერესაევმა ჩემთან საუბარში და დაუმატა:

— მართალი იყო თვითონ გოკოვი... დიდა ცოტენბა „ნათელი ეშმაკისა“.

ოქროს საწოლის ამბავი მე მეორე რუსმა მწერალმაც მამამბო, ივანე ნოვიკოვმა, თვითონ ვნახეო, ჩემი თვალთ...



— და ეს იმ დროს, როცა რუსეთში პერს ბარათებით არიგებდნენ, — იტყოდა ვერესა-ვი. — დღესაც გაუგებარია ჩემთვის მაქსიმ გორაკის საქციელი, მაგრამ ვასაგებია ყვეთელი ემეციის ძალა.

**ლუნახარსკი და პერესავენი**

ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე უნდა წავიდეთ. ვერესავენი მამკარებს. მე არ ვჩქარა-ობ. მაშინ, აი, რა მოხდა ვერესავენი.

„ცეკუბუს“ წიგრი ვიკავი. ერთხელ სხდომა-ზე დავაგვიანე. სულ რაღაც თხუთმეტი წუთით, ისიც ტრამპის მიზეზით. სხვებმა შეტივი დაი-გვიანეს, მე მაინც პირველი მივედი. ვხედავ, მგაიღაბე ბარათი დევს: „ამხ. ვერესავენი“. გა-ვისხენი და ჩას ვხედავ? მწერს ლუნახარსკი. ის განათლების საბჭოში იყო და „ცეკუბუს“ წიგრი მწერს ასე:

„ამხ. ვერესავენი მოვედი დანიშნულ დროს. ვიცაღე სურული 10 წუთი და წავედი. ა. ლუნახარსკი“.

შეეჭვბდი. ლუნახარსკი ჩემი კარგი მეგო-ბარი იყო და როგორ დამეშარათა ეს?.. როცა შევხედი ლუნახარსკის, მოგუბოლომე. მიზე-ზიც აუხსენი, ვაეცინა ლუნახარსკის და მით-ხრა:

— სხდომაზე და კრებაზე დავაგვიანება ჩვე-ნი საერთო სენია, რუსებისა. განა არ იცით, რომ ვლადიმერ ილიჩი არღვევს ამ უდარდე-ლომის წესს და არასოდეს არ იგვიანებს? უნ-და ვაფასებდეთ დროს. ეს ხომ ერთმანეთის პა-ტივისციემაც არის?..

— ამის შემდეგ სხდომაზე დავაგვიანება ბო-როტბად მიმანია, — დამატა ვერესავენი. — ახლა კი, სამწუხაროდ, რა ხდება? რაც უფრო მაღლა დვას აპარატის ფუნქციონერი, მით უფრო გვიან მოდის... არა, კი არ მოდის, „ჩამოდის“ თანამდებობის სიმძლავრით.

ეს რღის მითხრა ვერესავენი და მაინც არ დაბერებულა მისი სიტყვები.

**მეორის ბუნება**

ვერესავენი ხანდახან იტყოდა, რომ მას არ მოსწონდა მისი ცნობილი და ევროპაში ვახ-მურებული რომანი „ექიმის ჩანაწერები“. „წელდი კლამის“ გარჯიშობაო, იტყოდა.

არ ვეთანხმებოდი მე. არ ვთანხმებოდა მისი მეუღლეს; დიდი კულტურისა და ინტელექ-ტის აღმანი, მარია გერმოგენოვნა. ერთ დროს მარია გერმოგენოვნა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე იყო.

საოკარი კი აყო. ამ წიგნმა გაუთქვა ვერე-სავენი მხოლოდო სახელა. ეს წიგნი მოსწონდა

თვით ლევ ტოლსტოის. ვერესავენი მაინც თა-ვისაზე იღვა.

და, აი, რა მოხდა.

თბილისის ერთ-ერთ დიდ ორგანიზაციაში ვერესავენი შემოქმედებაზე მე მოხსენება წა-ვიკითხე. რადგან ავტორი თვითონ ესწრებო-და მოხსენებას და რადგან ავტორს არ მოს-წონდა თავისი „ექიმის ჩანაწერები“, მეც არა-ფერი ვთქვი ამ ნაწარმოებზე. თბილისში კი ვერესავენი ხშირად ესაუბრებოდნენ სწორედ ამ ნაწარმოებზე...

რასაკვირველია, დავამავე. ისტორიული სა-მართლიანობა მოთხოვდა მეტყვა, ხომ ცნობი-ლია, რომ ზოგჯერ ავტორი სცდება თავისივე ნაწარმოების შეფასებაში? თუნდაც გოგოლა, თუნდაც ტოლსტოი!

ვერესავენი შევატყვე, რომ არ იქნებოდა წი-ნააღმდეგი შემეყო ეს ნაწარმოები.

**მოუგონარი მოთხრობების საიდუმლოება**

რამდენიმე მოუგონარი მოთხრობა ვერესა-ვენი თბილისში დაწერა, აქვე შეადგინა ერ-თი კრებული ასეთი მოთხრობებისა და გამო-სცა „ზარია ვოსტოკა“. ამ კრებულში შესუ-ლია 24 მოთხრობა.

ამ მოთხრობებს, სანამ დაბეჭდავდა, გვიკო-თხავდა ჩვენ. მას ჩვეულმაღ ჰქონდა „ოთხმა-ბათის“ გამოართვა. ამ დღეს ვერებობოლით ზოგი მოსკოვიდან ჩამოსული ხელმოწერის მო-ღვაწენი, ზოგიც თბილისელნი, იყო საუბა-რი ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, წარსულზე მოგონებებიც. მეტად საინტერესო იყო თვი-თონ ვერესავენი მოგონებები, რადგან მას პირადი ურთიერთობა ჰქონდა ტოლსტოისთან, ჩეხოვთან, გორკისთან, ანდრეევიან, კუბრინ-თან, ლუნახარსკისთან, იუვიანთან და შრავალ სხვა გამოჩენილ ისტორიულ პირებთან. ამ სა-უბრების ზოგი რამ მას გამოკვეყნებული ჰქო-ნდა კიდევ.

ერთხელ მე შევინშე ვერესავენი, რომ მას შეეძლო თავის მოუგონარ მოთხრობებში შეეტანა რამე თბილისის ცხოვრებიდან და ქართველებთან ურთიერთობიდან.

ვერესავენი ერთ ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ მიბასუხა:

— პატარა-პატარა ჩემი მოუგონარი მოთ-ხრობები, მაგრამ მათ საფუძვლად უდევთ არცთუ ისე პატარა ამბები... დიდი დავაგვიანება და ყოფითი შერწყმა საჭირო ასაწერ ამბებ-თან... უნდა იყო ფაბულის მასპინძელი მე კი სტუმარი ვარ თქვენი... სტუმარს არ შეეფერის სხვის ოჯახში ხელის ფათური... აი, აქაა ამ მოთხრობების საიდუმლოება...

ამით აახსენება ის, რომ მისი „მოუგონარი მოთხრობების“ პატარა წიგნში, თხადისში

რომ გამოიცა, ქართული არაფერია. ეს მოთხრობები მწერალს უფრო ადრეც ჰქონდა გამოქვეყნებული რუსეთში, 1940 წელს. ის ამ ყანოს მამამთავარია რუსულ ლიტერატურაში. ხოლო „მოუგონარი მოთხრობების“ საიდუმლოებაზე გამოთქმული მისი აზრი უდავოდ სინტერესოა და სიმართლაც.

**ნამდვილი და გაკეთებული კომიკა**

ვერესაევი პოლიგლოტი იყო: ბევრი ენა იცოდა. დედანში კითხულობდა ძველ ბერძნულსა და ლათინურ ლიტერატურას. არ მოსწონდა ლათინური პოეზია, გაფთხებული, ხელოვნურიაო, ამბობდა. ტენდენციურ იდეოლოგიებზე აგებული, სტრუქტურისტული არის. სულ სხვაა ბერძნული პოეზია. ვულწარფელ განწყობილებებზე, უშუალო გრძნობებზეა აგებული.

— პომპროსს ფორმალური ოსტატობით შეილება ვერგილიუსი ჯობდეს, — ამბობდა ვერესაევი, — მაგრამ უშუალოებით და სიღრმით პომპროსი ჯობია. ამა ნახეთ: **პომპროსი** — მა და ვერგილიუსმავე ზღაპარებით ამხავე იძლეხ თავისი პოემების სიუჟეტად, მაგრამ რა განსხვავებაა ვერგილიუსის გმირება ორივე-ზეზე დადიან, პომპროსისა კი თითქოს თქვენი ნაცნობი ადამიანები არიან. ძალიან შორეული, მაგრამ ძალიან ნაცნობი... ვერგილიუსი წერს და გვეუბნება: შეშინებულეთ, რა ბიჭი ვართო... პომპროსი კი სულაც არაა დანტერესებული უკდებს თუ არა ყურს ვინმე!, ემღერება და მღერის... პოეზია ფორმალურობით მსჯელობა კი არაა, არამედ სიმართლის გულსცემია... პომპროსისა და საფოს შემდეგ კაცობრობა დიდად განვითარდა. თვითმფრინავი გამოიგონა და ცაში აფრინდა, აფრინდა, მაგრამ ჩვენი პოეზია ოლიმპის მთის სიმაღლემდე ყოველთვის რაღი აღწევს... აქლია სიმართლეს.

ამ საკითხზე ვერესაევმა ლექსიც კი წაიკითხა სამაჟლო ომის დაჭრილებთან გულდასმით უსმენდნენ დაჭრილები. ისინი ზომ სიმართლისათვის იბრძოდნენ... გაიგეს ნამდვილისა და გაყვებულის სხვაობა...

**მედიკალიზაცია, პლევაკო და კინტო**

ვერესაევის უყვარდა თავისი „მოუგონარი მოთხრობები“ და ხშირად გვიკითხავდა „ოთხშაბათობებზე“. ერთხელ წავიკითხა მოთხრობა „პლევაკო“.

პლევაკო დიდად განთქმული ადვოკატო იყო რუსეთში, შეუდარებელი ორატორი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის წიგო პროცესი, ჟიჟო ოდნავ ხელმოსაყიდებელი რამ ჰქონდა. და, აჰ, ერთხელ რა მოხდა.

სამართლებუნ ხუცესს, მან დიდი დანაშაულო ჩაიდინა: ქალიშვილი გააუპატრონა, ოცდაათი წელიწადი კი იყო მღვდელმსახური.

რასაკვირველია, ხუცესს მძიმე სასჯელი მოელოდა. ხუცესმა მიმართა პლევაკოს. პლევაკო დათანხმდა. გაუკვირდათ მის მეგობრებს.

— როგორ? ასეთ დამნაშავეს იცავ? არაფერი გამოვივა, — უთხრეს მის.

— ენახათ რა გამოვივა — უბასუბა პლევაკომ.

პროცესმა დიდალი ხალხი მიიზიდა... პროკურორმა შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა. ყველაფერი ცხადი იყო: ხუცესს მკაცრი სასჯელი მოელოდა.

აღმა პლევაკო და თქვა:

— პროკურორი მართალია, ვეთანხმები მას. დიდი ცოდვა ჩაიდინა ხუცესმა.

დარბაზი გაირინდა.

პლევაკომ გადახედა მსაჯულებს. ესენი ყვინენ მოსკოველი მდაბიო ადამიანები, ყველანი დიდად მორწმუნენი. პლევაკომ სულ რამდენიმე სიტყვით მიმართა მათ:

— ბატონო ნაფიცი მსაჯულებო! ბრალდებული ხუცესია, ის ოცდაათი წელიწადი გემსახურათ თქვენ და ოცდაათი წელიწადი გაბატებდათ ცოდვებს — აღსარებაზე... ახლა ის მეოლის თქვენგან: ერთხელ თქვენც აპატეთ მას...

და მოხდა საოცარი: ნაფიცი მსაჯულებმა — მორწმუნე ადამიანებმა — ხუცესს აპატეს დანაშაული.

ვერესაევმა რომ ამ მოთხრობის კითხვა დამთავრა, ჩვენ აღტაცებული ტაში დაუყვართ, თან გავიკინეთ. გაიჭრა ვერესაევმა.

მე კი ვუთხარი:

— ვიცენტი ვიკენტევიჩი! არის ერთი თბილისური ანეკდოტი პლევაკოს შესახებ. ძალიან სასაცილოა და, თუ ნებას დამრთავთ, გიამბობთ.

— კისმენო, გთავივა! — მისაძუბა ვერესაევმა.

— არ ვიცი იყო თუ არა პლევაკო თბილისში, — დავიწყე მე, — მაგრამ ანეკდოტი კი ახეთია. ერთხელ პლევაკო მოსკოვიდან თბილისს მოდიოდა, პროცესზე უნდა გამოსულიყო. კუბუმი მასთან ერთად თბილისელი კინტო მოდიოდა (აქ მე ავლესენი ვერესაევის, რას წარმოადგენდა კინტო). პლევაკომ როცა გაიგო, რომ მისი თანამგზავრი თბილისელია, შეეკითხა:

- დიდი ქალაქია თბილისი?
- მოსკოვი გინახავს? — შეეკითხა კინტო.
- მინახავს.
- ათქერ დიდა, — უთხრა კინტომ.
- გაუკვირდა პლევაკოს და ისევ კითხა:
- მტკვარი დიდი მდინარეა?
- პეტერბურგის ნევა გინახავს? — შეეკითხა კინტო.
- მინახავს.
- ათქერ დიდა — უთხრა კინტომ.

— რამდენი მცოხერებია თბილისში? —  
კითხა პლევაკომ.

— პეტერბურგში რამდენია იცი? — შეეკითხა კინტო.

— ეიო.

— ჰოდა, ათჯერ მეტია თბილისში, — წარბ-  
შეუხრელად დაასვენა კინტომ.

პლევაკო მიხვდა, რომ აბითურებდნენ და სე-  
რიოზული ტონით შეეკითხა:

— თბილისში ბევრია ყბედი და ლაქლაქა?

— ცნობილი ადვოკატი პლევაკო გაგიგონია?  
— შეეკითხა კინტო.

— გაგიგონია, — მიუგო პლევაკომ.

— ათჯერ ნაკლები — სერიოზულად უპასუ-  
ხა კინტომ...

ვერესაევს სიცილი აუვარდა. ბევრი იცინა.

— აი, პასუხი! აი, პასუხი! — ამბობდა, თან  
იციინოდა.

### გამოთხოვნა

დადგა გამოთხოვნის დღე. ვერესაევი მოს-  
კრულ ბრუნდებოდა. მოვიდა პოლკოვნიკი ძახოვი

მანქანით: სადგურზე უნდა წაიყენოს ვერე-  
საევი. ჩვენ ყველანი დალონებულ ვართ. ვე-  
რესაევს უხარია სამშობლოში დაბრუნება და  
მაინც სვედიანად გამოიყურება.

— რაღაცა რჩება აქ... — ამბობს ის.

ყველანი ვგრძნობთ თუ რა არის ეს „რა-  
ღაცა“...

რუსული ჩვეულების წესით შორს გზაზე  
წასვლის წინ ყველანი დასხდებოდნენ და სდუ-  
მან რამდენიმე წუთს.

ეს რუსული ეროვნული წესი გავიმეორეთ  
აქ, საქართველოში. — დავსხედით, ვსდუმვართ.  
ჩილდა კარებში დგას დალონებულად.

ვერესაევმა ხელი დაუქნია. ჩილდა მივიდა.  
ვერესაევმა გულში ჩაიკრა.

— ეს ყველას... ყველას თქვენ. — თვალებით  
გაითხრა ვერესაევმა.

ჩილდას სახით და გულში ჩახუტებით ვერ-  
ესაევი ეთხოვებოდა „ყველას“, ქართულ მე-  
გობრებს... საქართველოს...



6.62/145

ფან 80 ქპპ.

  
ИНДЕКС  
76128

**«М Н А Т О Б И»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**